www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | შაბათი, 1 თებერვალი, 2003 წელი. №30 (242) | ფასი 50 თეთრი

პოლიტიკა

რა ღირს "მრეწველთა" მხარდაჭერა?

"მრეწველები" აცხადებენ, რომ არავისთან გაერთიანებას არ აპირებენ და ხელისუფლებისთვის დათმობების საზღაურს "ნატურით", ანუ საგადასახადო ცვლილებებისა და საბიუჯეტო "შემოწირულობების" სახით იღებენ.

A3

ეკონომიკა

"კავკასიონს" ფულის გამომძალველი დივერსანტები ემტერებიან

სანამ საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი დავით მირცხულავა კავკასიის ქვეყნების ერთიანი ენერგოსისტემის შექმნაზე ოცნებობს, რუსეთთან დამაკავშირებელ 500 კილოვოლტიან ელექტროგადამცემ ხაზ "კავკასიონს" დივერსანტები ემტერებიან.

A4

უცხოეთი

აშშ, რუსეთი და ირანი: მომავალი კრიზისი

ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამების თაობაზე შეუთანხმებლობის, ანტიტერორისტული კამპანიისა და ერაყის წინააღმდეგ შესაძლო ომის ფონზე, უკვე ჩანს, რომ აშშ-რუსეთს შორის ურთიერთობებში კრიზისია მოსალოდნელი.

A5

საზოგადოება

პატაკი ბარონ მიუნჰაუზენს

ძვირფასო ბარონო!
პატივი მაქვს მოგახსენოთ, რომ ჩვენს დედაქალაქში თქვენთვის საყურადღებო მოვლენები ვითარდება. სახელისუფლო საზოგადოების სერიოზულმა პირებმა აბსოლუტურად ფანტასტიური განცხადებების გაკეთება დაიწყეს. ამ მხრივ უდავო ყურადღებას იმსახურებს ბატონი გურამ შარაძის გუშინდელი გამოსვლა პარლამენტში გამართულ პრესკონფერენციაზე.

A6

სამართალი

ციხეში სპეცოპერაცია კიდევ ჩატარდება

მიუხედავად იმისა, რომ რუსთავში, იაღლუჯის მთაზე ახალი ციხის მშენებლობის დასრულება იუსტიციის მაშინდელმა მინისტრმა საზეიმოდ აღნიშნა, საპყრობილე ჯერჯერობით კვლავ დაუმთავრებელია და მის ასამოქმედებლად მილიონ 800 ათასი ლარია საჭირო.

A7

თვალსაზრისი

უფსკრული

როცა ხელისუფალთა (ამ შემთხვევაში, პრეზიდენტის) საჯარო გამოსვლებს ვუსმენთ, გვრჩება შთაბეჭდილება, რომ სხვა პლანეტაზე მცხოვრები ადამიანი გვესაუბრება და სადღაც, ჩვენთვის უხილავ ტერიტორიაზე, საოცარი ტემპით მიმდინარეობს თავისუფალი, ბედნიერი, ეკონომიკურად ძლიერი და სამართლებრივი ქვეყნის მშენებლობა.

A8

ამინდი

თბილისი	13
ქუთაისი	14
ბათუმი	16
სოხუმი	12
ფოთი	13
თელავი	13
ზუგდიდი	13

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1849
ევრო	2.3543
გირვანქა სტერლინგი	3.6178
რუბლი	0.0687

ორი წუთი აფხაზეთისთვის

გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელიც აფხაზეთს მიეძღვნა, ნიუ-იორკის დროით 12.30-ზე დაიწყო და 12.32-ზე დამთავრდა

REUTERS

გაერო-ს დღეს სხვა პრობლემები აქვს.

რევაზ ბახტაძე

"ჩემს ქვეყანაში სჯეროდათ, რომ გაერო-ს უშიშროების საბჭოს შესწევს უნარი... რომ იგი არ დაიშურებს ძალისხმევას აფხაზეთში მშვიდობის მისაღწევად. სამწუხაროდ, ახლა ჩვენ ამ რწმენის დაკარგვის სერიოზული საშიშროების წინაშე ვდგავართ", - ნათქვამია გაერო-ში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის რევაზ ადამიას წერილში, რომელიც მან უშიშროების საბჭოს 30 იანვარს მისწერა.

30 იანვარს გაერო-ს უშიშროების საბჭომ აფხაზეთის საკითხი განიხილა და 1462-ე რეზოლუცია მიიღო. საქართველოს მუდმივ წარმომადგენელს უშიშროების საბჭოს სხდომაზე გამოსვლის უფლება არ მისცეს. საბჭო ზუსტად ორი წუთი გაგრძელდა, ნიუ-იორკის დროით 12:30-დან 12:32-მდე და მასზე ერთხმად, ფაქტობრივად, კონვეიერული წესით, მიიღეს აფხაზეთის თაობაზე რიგით 27-ე რეზოლუცია.

უშიშროების საბჭოს სხდომის უმთავრეს შედეგს საქართველოში გაერო-ს დამკვირვებელთა მისიის (UNOMIG) მანდატის 31 ივლისამდე გაგრძელება წარმოადგენს. რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ უშიშროების საბჭო 15 თებერვალს კვლავ მიუბრუნდება ამ საკითხს, თუ თბილისი დსთ-ს კოლექტიური სამშვიდობო ძალების

გაგრძელება A3 გვერდზე

გაერო-ს შტაბ-ბინის წინ ორი საათის მანძილზე ისმოდა „შავლეგო" და „ჩემო კარგო ქვეყანავ"

დიასპორამ პირველი საპროტესტო აქციები გამართა ნიუ-იორკსა და სტოკჰოლმში

ზაზა წულაძე

ქართული სახელმწიფო და ხუთჯვრიანი დროშები, ანტირუსული ხასიათის პლაკატები: "ხელები შორს საქართველოსგან", "აფხაზეთი საქართველოა", "შეწყდეს რუსეთის ანექსია", მეგაფონები, ხევსურულ ტანსაცმელში გამოწყობილი ქართველები და ქართული სიმღერები: "ჩემო კარგო ქვეყანავ" და "შავლეგო", ერთი სიტყვით, სუფთა ქართული სიტუაცია – ასე უჩვეულოდ გამოიყურებოდა გუშინ 47-ე ქუჩისა და პირველი ავენიუს კუთხე, მანჰეტენზე, წვიმიან ნიუ-იორკში და გორველსგატამის N31, მინუს 12 გრადუსამდე გაყინულ სტოკჰოლმში. გაერო-ს შტაბ-ბინისა და შვედეთში რუსეთის საელჩოს შენობის წინ ქართულმა დიასპორამ გუშინ რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ პირველი ფართომასშტაბიანი აქციები გამართა.

"ყველანი კმაყოფილები ვართ, ძალიან კარგი აქცია გამოვიდა, იქიდან გამომდინარე, თუ რაოდენ სპონტანურად დაიგეგმა ეს ღონისძიება. მართალია, უფრო მეტ ქართველს ველოდით, მაგრამ 300-350 ადამიანი მაინც შევგროვდით. აქ იყვნენ ქართველები არა მარტო ნიუ-იორკიდან, არამედ ზოგი ვაშინგტონიდან და მიმდებარე შტატებიდანაც ჩამოვიდა. ძალიან გახარებული ვარ, რომ არ დაიზარა და ინდიანადან გვეწვია ჩვენი სახელოვანი თანამემამულე, პროფესორი დოდონა კიზირიაც,"

გაგრძელება A3 გვერდზე

"კრავთა" ხვედრი – საკრებულო არ ენდობა, პრეზიდენტი არ კარგავს

სოფო ბუკია

თბილისის საკრებულომ გუშინ უნდობლობაგამოცხადებულთა კოლექცია კიდევ ერთი პერსონით გაამდიდრა. რვაწლიანი სტაჟის მქონე ვაკე-საბურთალოს "ანტიკვარული" გამგებელი დავით სულაძე კოლექციაში დიდი დებატებისა და ღრიანცელის შემდეგ მოხვდა.

"ლეიბორისტების" მიერ "კრავად" შერაცხული სულაძე კენჭისყრას არ დასწრებია, ისევე, როგორც თავად "ლეიბორისტები". ნათელაშვილის გუნდი სხდომის დასაწყისშივე გამოვიდა ინიციატივით, ბარემ ხუთივე "კრავი" (გამგებელი) ერთად გავასამართლოთო. "ლეიბორისტებმა" საკუთარ გამოსვლებში მიანიშნეს, რომ ამ კონკრეტული გამგებლის ბედ-იღბლით რომელიღაც პოლიტიკური ძალაა დაინტერესებული და შესაძლოა, ეს ძალა "ნაცმოძრაობა" იყოს, რომელიც სულაძის "თავისი კაცით" ჩანაცვლებას ცდილობს. შეურაცხყოფილ "ნაციონალებს" "აღორძინება-თბილისის" წევრი დავით იოსელიანი გამოესარჩლა, რომელმაც გამგებლების პრობლემა საკრებულოს საერთო პრობლემად, "ლეიბორისტები" კი კანცელარიის მოციქულებად გამოაცხადა. ეს თემა ეკონომიკური თეორიის მოშველიებით განავრცო რომან გოცირიძემ. მისი თქმით, "ლეიბორისტებს" კანცელარიის ვალი მართებთ, რადგან კანცელარია დიდად გაისარჯა არჩევნების დროს ნათელაშვილის სასარგებლოდ. ამჯერად კი, გოცირიძის გათვლით, ვალის დაბრუნების ჟამი დადგა. ამიტომ პრეზიდენტის ერთგულ გამგებელს გამწარებით იცავენ. კობა ბექაურის ინფორმაციით, "ლეიბორისტ" პარლამენტარს - მეჭიაურს თავის დროზე კანცელარიამ ტრანსფერი მისცა, 250 ათასი ლარის ოდენობით. ბექაურის თქმით, "ლეიბორისტებს" ეს თანხაც გასასტუმრებელი დარჩათ.

ბრალდებებით შეურაცხყოფილმა "ლეიბორისტებმა" კენჭისყრას პროტესტი გამოუცხადეს და დარბაზი გაბუტულებმა დატოვეს. ფრაქციის კაბინეტში სახელდახელო პრესკონფერენცია მოეწყო, სადაც გულნატკენმა დეპუტატებმა ჟურნალისტებს აუხსნეს, კანცელარიის დაკვეთას ჩვენ კი არა, "ნაცმოძრაობა" ასრულებსო. საკრებულოს მდივნის, "ლეიბორისტ" ზურაბ ჟვანიას ინფორმაციით, კანცელარიაში, კარგა ხანია, უნდათ

გაგრძელება A2 გვერდზე

საქართველოში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა არ დაწყებულა

ჰონგკონგური წესრიგით აღფრთოვანებული დელეგაცია პრეზიდენტს რეცეპტს სთავაზობს

ხათუნა ჭანგირაშვილი

"სანამ ქვეყანაში იქნება იმის საშუალება, რომ ზოგიერთმა ნებისმიერი დანაშაულისთვის სასჯელს თავი აარიდოს, სანამ დაუსჯელობის სინდრომი არ მოისპობა, სახელმწიფო ვერ განვითარდება", - აცხადებს ჰონგკონგიდან დაბრუნებული უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ლადო ჭანტურია, რომლის ხელმძღვანელობითაც ქართული დელეგაცია ათი დღით იმყოფებოდა ჩინეთთან ამ ახლად შეერთებულ პროვინციაში. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ, უშიშროების საბჭოს მდივნის პირველმა მოადგილემ ჯემალ გახოკიძემ და იუსტიციის საბჭოს მდივანმა ზურაბ აბაშიძემ

გაგრძელება A7 გვერდზე

ბიუჯეტის 70 პროცენტი ბიუროკრატების შენახვას ხმარდება

სოფიკო ოხანაშვილი
მაია ურუშაძე

"2002 წელს ეკონომიკური განვითარების ზრდის მაჩვენებელმა 5,4 პროცენტს მიაღწია. ეს ძალიან მნიშვნელოვანი და სასიხარულოა, რადგან ბოლო ხუთი წლის მანძილზე ყველაზე მაღალი მაჩვენებელია", - განაცხადა ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრმა, გიორგი გაჩეჩილაძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე.

მინისტრის ინფორმაციით, ეკონომიკის ზრდა **"მთელმა რიგმა ფაქტორებმა განაპირობა. მათ შორის სამეწარმეო გარემოს განვითარებამ, სალიცენზიო კანონის მიღებამ, სტრუქტურული ცვლილებების განხორციელებამ."** ზრდის მაღალი ტემპი აღინიშნა მთელ რიგ დარგებში, მათ შორის მშენებლობაში, ტრანსპორტის სექტორში, საფინანსო შუამავლობაში. გაჩეჩილაძემ სოფლის-მეურნეობის დარგის წილის შემცირების ერთ-ერთ მიზეზად კი, ცუდი კლიმატური პირობები დაასახელა.

გაგრძელება A3 გვერდზე

ბიძინა გუჯაბიძის დღიური

B1,B7

A2 ინფორმაცია | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 თვალსაზრისი

B2 კულტურა | B3 ანკეტა | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 განცხადებები | B7 სტილი | B8 სხვადასხვა

პოლიტინტრიგა საკრებულოდან პარლამენტში ინაცვლებს

მას შემდეგ, რაც თბილისის საკრებულოში განვითარებულმა მოვლენებმა სააშკარაოზე გამოიტანა ის შიდაპარტიული დაპირისპირებები, რომლებიც ცალკე ლეიბორისტულ პარტიასა და ცალკე "აღორძინების კავშირში" მიმდინარეობდა, ორივე პარტიამ "მოღალატეების" წინააღმდეგ გადამჭრელ ღონისძიებებს მიმართა. საქართველოს პარლამენტში, "ლეიბორისტების" ინიციატივითა და "აღორძინების" სრული მხარდაჭერით, უკვე შესულია კანონპროექტი, რომლის მიღების შემთხვევაშიც ორივე პარტიის ლიდერებს "განდგომილების" საკრებულოდან გამოწვევის სრული იურიდიული საფუძველი ექნებათ. დღეს მოქმედი კანონმდებლობა კი არჩევითი ორგანოს წევრის გამოწვევის მექანიზმს არ ითვალისწინებს.

ფრიდონ ინჭია.

ლევან ხეჩოკელიძის ფოტო

თამარ მჭედლიგვილი

კანონპროექტის პირველი მოთელვა გუშინ პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის სხდომაზე განხორციელდა. პრეზენტაციამ, რომელიც პროექტის ოფიციალურმა ინიციატორმა, "ლეიბორისტმა" ფრიდონ ინჯიამ გამართა, ზედმეტი კითხვების გარეშე ჩაიარა. გუშინვე გადაწყდა, რომ კომიტეტი მწვანე შუქს აუნთებს ამ კანონპროექტს და ძალღონეს არ დაიშურებს საიმისოდ, რომ იგი პარლამენტის პლენარული სხდომის დღის წესრიგში შევიდეს.

"ქართულ სინამდვილეში ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე ნეგატიურად აისახა საკრებულოს წევრთა გამოწვევის შეუძლებლობა... შედეგად მივიღეთ აბსოლუტურად უკონტროლო საკრებულოები, სადაც პოლიტიკური გაერთიანებების მიერ წარდგენილი საკრებულოს წევრები კარგავენ საწესდებო კავშირს საკუთარ პარტიასთან და ივიწყებენ აღებულ ვალდებულებებს. აღსანიშნავია ისიც, რომ "საკრებულოს წევრის სტატუსის შესახებ" კანონის მეოთხე მუხლის ამჟამინდელი ფორმულირება წინააღმდეგობაში მოდის თავად არჩევნების ძირითად პრინციპებთან, რადგანაც საკრებულოს წევრი უფლებამოსილების განხორციელებისას გათავისუფლებულია ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან ამომრჩევლისა და წარმდგენი პარტიის წინაშე... აღსანიშნავია ისიც, რომ სახეზე გვაქვს სამართლებრივი დისბალანსი, როდესაც საკრებულოს წევრს, ერთი მხრივ, მინიჭებული აქვს გარკვეული უფლებამოსილებანი და არ აკისრია პასუხისმგებლობა, რაც იმაში გამოიხატება, რომ ის არავის წინაშე არ არის ანგარიშვალდებული, აღჭურვილია გაუმართლებელი იმუნიტეტით...", – ეს ის არგუმენტებია, რომლის გათვალისწინებასაც "ლეიბორისტები" პარლამენტს სთხოვენ.

რაც შეეხება კანონის ახალ ფორმულირებას, იგი, შალვა ნათელაშვილის თანაგუნდელების ხედვით, ასე უნდა ჟღერდეს: **"საკრებულოს წევრი თავისი მოვალეობის შესრულებისას უნდა ითვალისწინებდეს ამომრჩევლისა და მისი წარმდგენი პოლიტიკური გაერთიანების განაწესებსა და დავალებებს"**, და, რაც მთავარია, **"პოლიტიკური გაერთიანება, რომლის პარტიული სიითაც იქნა არჩეული საკრებულოს წევრი, ნებისმიერ დროს უფლებამოსილია საკრებულოდან გაიწვიოს მისი წევრი".**

ნამდვილად არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ საკითხის განხილვისას თითოეული საპარლამენტო ფრაქცია არა არგუმენტაციის ძლიერ თუ სუსტ მხარეებს, არამედ იმას მიაქცევს ყურადღებას, თუ რამდენად მისაღები იქნება მისთვის წინასაარჩევნო პერიოდში საკრებულოებზე ამგვარი კონტროლის დაწესება.

ერთი სიტყვით, "ლეიბორისტებისა" და "აღორძინების" პარტიული გასაჭირი ახალი პოლიტიკური ვაჭრობის საბაბი ხდება. თუკი გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ თბილისის საკრებულოში მიმდინარე პროცესები ნამდვილად არ არის მისაღები არც სახელისუფლებო პარტიისა და არც მისი მხარდამჭერი პოლიტიკური ორგანიზაციებისათვის, არ არის გამორიცხული, პროექტს სულ მალე კანონის ძალა მიენიჭოს.

ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რა პოზიციას დაიჭერს პარლამენტის "თემატური უმრავლესობა". თუმცა ის კომენტარები, რომელიც "სოციალისტებმა" და "მოქკავშირელებმა" "24 საათთან" საუბრისას გააკეთეს, აშკარად მიუთითებს, რომ პროშევარდნაძისტული ძალები საკითხის ამდაგვარი გადაწყვეტის წინააღმდეგნი ჯერჯერობით არ არიან. თანაც, პოლიტიკურ კულუარებში სულ უფრო ხშირად გაისმის ხმები მათი და "ლეიბორისტების" ფარული ალიანსის თაობაზე.

"ჩვენ საკითხის განხილვას მხარს დავუჭერთ, რადგან მიგვაჩნია, რომ პრობლემა სწორად არის დასმული", – ასეთია ქართველი "სოციალისტების" ლიდერის ვახტანგ რჩეულიშვილის განწყობა.

"შინაგანად, საკითხის ამდაგვარად დასმას ვეთანხმებით, მაგრამ გამოსაყოფია და გასათვალისწინებელია ორი პრინციპული საკითხი: ჯერ ერთი, რამდენად სამართლიანი იქნება, რომ პარტიულმა ლიდერებმა გამოიწვიონ ის ადამიანები, რომლებსაც მოქალაქეებმა მისცეს ხმა და მეორე - პრინციპულად მიმაჩნია ისიც, რომ ეს ცვლილება უნდა გავრცელდეს ყველა არჩევითი ორგანოს წვერებზე, მათ შორის პარლამენტარებზე, ეს კი საკონსტიტუციო ცვლილებებს მოითხოვს", - ეს უკვე ფრაქცია "მოქკავშირის" თავკაცი ვიტალი ხაზარაძეა.

რაც შეეხება ოპოზიციურ ფრაქციებს. მათი პოზიცია ამ კანონპროექტისადმი აშკარად უარყოფითია. **"სასაცილო პროექტია",** - ამბობს "ნაციონალების" ერთ-ერთი ლიდერი ვანო მერაბიშვილი.

"ჩვენს ფრაქციას ჯერ არ უმსჯელია ამ კანონპროექტის თაობაზე, მაგრამ წინასწარ შემიძლია გითხრათ, რომ არა მგონია, მისი მიღება დღეს არსებულ პოლიტიკურ სიტუაციას რამეთი მაინც წაადგეს. პირიქით – პარტიებს ამით დამატებითი პრობლემები შეექმნებათ", – ამბობს ფრაქცია "გაერთიანებული დემოკრატის" წევრი დავით ტყეშელაშვილი.

რაც შეეხება "ახალ მემარჯვენეებს", "24 საათის" ინფორმაციით, ისინიც ამ პროექტის მიღების წინააღმდეგნი არიან. თანაც, პარლამენტის კულუარებში სულ უფრო ხშირად საუბრობენ გიორგი თარგამაძის გუნდის (ამ გუნდში სწორედ საკრებულოს ის წევრები შედიან, რომლებმაც "აღორძინება" დატოვეს) და "ახლების" დაახლოების თაობაზე. თუკი ეს ინფორმაცია სიმართლეს შეესაბამება, მაშინ "ახლები" საკმაოდ საერიოზულ ოპონირებას გაუწევენ "ლეიბორისტებისა" და "აღორძინების" ერთობლივ ინიციატივას.

ხელისუფლება არჩევნების სამართლიანად ჩატარებაზე პასუხისმგებლობას კისრულობს

სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ სახელმწიფო კანცელარიაში გამართულ შეხვედრაზე 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების მზადებასთან დაკავშირებული პრობლემები გააცნო ამერიკის, საფრანგეთის, იტალიის, თურქეთის ელჩებსა და გაერო-ს განვითარების პროგრამის მუდმივ წარმომადგენელს საქართველოში ლანს კლარკს.

როგორც ავთანდილ ჯორბენაძემ შეხვედრაზე განაცხადა, ხელისუფლება მომავალი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებაზე პასუხისმგებლობას იღებს. მისი თქმით, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად იქმნება კომისია, რომლის სრულ სიას გაერო-ს წარმომადგენელს მარტის ბოლოსთვის გააცნობენ. ლანს კლარკი მოახლოებული არჩევნების სამართლიანად ჩატარებას ქვეყანაში ამ ეტაპზე მიღწეული სტაბილურობის შენარჩუნების ერთ-ერთ გარანტად მიიჩნევს. სწორედ ამ ფაქტორით ხსნის კლარკი 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების მიმართ მეგობარი ქვეყნების ესოდენ დიდ დაინტერესებას.

კლარკის თქმით, საარჩევნო კოდექსში ცვლილებები ბოლო მომენტში არ უნდა შევიდეს, რათა ამან არჩევნების პროცესს ხელი არ შეუშალოს. გარდა ამისა, გაერო-ს განვითარების პროგრამის მუდმივი წარმომადგენელი ქვეყნის ხელისუფლებისგან ამომრჩეველთა ზუსტი და სანდო რეგისტრაციის სისტემის უზრუნველყოფას მოითხოვს. **მედია-ნიუსი**

მოკლედ

ზუგდიდი.. დევნილთა გრანდიოზული მიტინგის ჩატარებასთან დაკავშირებით, რაც ზუგდიდში 3 თებერვალს იგეგმება, აქტიური მუშაობა უკვე მიმდინარეობს. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

ერევანი. საქართველოს ტერიტორიაზე მაღალი სტრანსპორტო დანახარჯები და მძიმე გადასახადები იწვევს სომხური საქონლის ფასების ზრდას და იგი რუსეთის ბაზარზე არაკონკურენტუნარიანი ხდება. ამის შესახებ სომხეთის მთავრობის მიღებების სახლში ხუთშაბათს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა მოსკოვის მერმა იური ლუჟკოვმა. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. გორელმა კომუნისტებმა, საქართველოსა და რუსეთს შორის სავიზო რეჟიმის გაუქმების მოთხოვნით, გორში აქცია გამართეს. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

თბილისი. „სამართლიანობის აღდგენის კავშირის" ერთ-ერთი ლიდერის, საქართველოს უზენაესი საბჭოს ყოფილი ვიცე-სპიკერის ნემო ბურჭულაძის სიტყვით, მისი პარტია, თუ დაპატიჟებენ, სტუმრის სტატუსით დაესწრება „ნაციონალურ მოძრაობასთან" ალიანსში მყოფ „ეროვნულ ძალთა გაერთიანების" ყრილობას, რომელიც 11 მარტს არის დაგეგმილი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველო-რუსეთის საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთზე დააკავეს საზღვრის დამრღვევი, რომელიც ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

თბილისი. განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრის მალხაზ კაკაბაძის ინფორმაციით, აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირებასთან დაკავშირებით, გაერო-ს გენმდივნისა და საქართველოს მეგობარი ქვეყნების (აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, რუსეთი გერმანია) სპეცწარმომადგენელთა შეხვედრა ჟენევაში, სავარაუდოდ 18-19 თებერვალს გაიმართება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ნატო-ს გენერალური მდივანი ჯორჯ რობერტსონი საქართველოს მიმდინარე წელს ეწვევა. როგორც სახელმწიფო კანცელარიაში აცხადებენ, ამის შესახებ ჯორჯ რობერტსონმა პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს წერილით აცნობა. **პრაიმ-ნიუსი**

შკიდჩენკო, დავით თევზაძის მსგავსად, სიტყვაძუნწი აღმოჩნდა

შესაძლოა, მომავალში ქართულ-უკრაინული ბატალიონი შეიქმნას

თბილისში უკრაინის თავდაცვის მინისტრის ვლადიმირ შკიდჩენკოს ოფიციალურმა ვიზიტმა ცხადყო, რომ შკიდჩენკო თავის ქართველ კოლეგაზე არანაკლებ სიტყვაძუნწია. როგორც ჩანს, ორ ქვეყანას შორის მოლაპარაკებები სამხედრო თანამშრომლობის სფეროში დღევანდელ ეტაპზე ისეთ ფაზაში არ შესულა, რომ კონკრეტულ შეთანხმებებზე ხმამაღალი განცხადებები გაკეთდეს.

ქარველი და უკრაინელი ოფიცრები თავდაცვის სამინისტროს წინ.

ვახო ბაბალიას ფოტო

ვერიკო თევზაძე

გუშინ შკიდჩენკომ და თევზაძემ საათზე მეტ ხანს ისაუბრეს დახურულ კარს მიღმა, თუმცა ამ შეხვედრის დასრულებისას მათ ჟურნალისტებისთვის კონკრეტული არაფერი უთქვამთ. ამის შემდეგ შკიდჩენკო მოლაპარაკებებს აწარმოებდა სახელმწიფო მინისტრთან ავთანდილ ჯორბენაძესთან და საქართველოს პრეზიდენტთან ედუარდ შევარდნაძესთან. ოფიციალური ვიზიტის ბოლოს მინისტრები ხუთიოდე წუთით შეხვდნენ მასმედიას.

ჯერჯერობით, გარკვევით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ჩვენი სამხედროები უკრაინის უმაღლეს სამხედრო სასწავლებლებში მიიღებენ განათლებას (უკრაინაში ქართველი ოფიცრები 1997 წლიდან გადიან სამხედრო მომზადებას, რისთვისაც საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მეგობარ სახელმწიფოს მილიონი დოლარი უნდა გადაუხადოს. ამ ვალის რესტრუქტურიზებაზე მინისტრებს პრესასთან შეხვედრაზე არაფერი უთქვამთ). ქართველი ოფიცრების უკრაინაში სწავლების სამომავლო გეგმების გარდა, ვიზიტის ფარგლებში ზოგადად ისაუბრეს სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის გაფართოებაზე, ასევე - რეგიონში უსაფრთხოების შესახებ თანამშრომლობაზე.

შკიდჩენკომ კომპეტენტურად არ ჩათვალა თავი ისეთ თემაზე სასაუბროდ, როგორიც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში უკრაინელი სამშვიდობოების შესაძლო ჩანაცვლებაა. უკრაინის თავდაცვის მინისტრის თქმით, ეს საკითხი ქვეყნის პრეზიდენტების დონეზე უნდა გადაწყდეს, თუმცა, მოგვიანებით, შკიდჩენკომ საქართველოსადმი კეთილგანწყობა ზოგადი ფრაზით გამოხატა: **"თუ გაერო თანახმა იქნება, ჩვენ მზად ვართ, ყოველმხრივი დახმარება გაგიწიოთ."**

კვლავ გაურკვეველი რჩება უკრაინული ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის სისტემათა მოწოდების საკითხი. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ წლევანდელ ბიუჯეტში საამისო თანხები არ გამოყოფილა, ადვილი მისახვედრია, რატომ ვერ გასცა კონკრეტული პასუხი ამ თემის გარშემო დასმულ შეკითხვებს უკრაინის თავდაცვის მინისტრმა. **"ყველაფერი იქნება თავის დროზე... თქვენ გინდათ, იმაზე მეტი გაიგოთ, რაც ჩვენ ვიცით",** - ამგვარად "დააკმაყოფილა" ჟურნალისტების ცნობისმოყვარეობა დავით თევზაძემ.

უკრაინაში საქართველოს ელჩის გრიგოლ ქათამაძის ინფორმაციით, მომავალში ნავარაუდევია საქართველოსა და უკრაინის თავდაცვის სამინისტროების ერთობლივი ბატალიონის შექმნა. ამგვარი ინიციატივა უკავშირდება საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი ნავთობისა და გაზსადენების დაცვას, ასევე - ევრაზიული სატრანსპორტო დერეფნის უსაფრთხოებას (დღეისთვის მგავსი ბატალიონების შექმნას უკრაინა უნგრეთთან და რუმინეთთან აპირებს). საქართველოს და უკრაინას შორის 1996 წლიდან დაწყებულ სამხედრო-ტექნიკურ თანამშრომლობას ქათამაძე წარმატებულს უწოდებს.

უკრაინის თავდაცვის მინისტრმა ვლადიმირ შკიდჩენკომ, თერთმეტკაციანი დელეგაციით, გუშინ დატოვა თბილისი.

დოკუმენტი, რომელიც ზღუდავს პოლიტიკური ლიდერის თვითნებობას

საქართველო ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის ძიებაში

უამრავი მცდელობის მიუხედავად, დამოუკიდებლობის 12 წლის განმავლობაში, საქართველოს ვერც ერთმა ხელისუფლებამ ვერ მოახერხა შეემუშავებინა ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, მკაფიოდ განესაზღვრა ქვეყნის ადგილი თანამედროვე მსოფლიოში, მისი სასიცოცხლო ინტერესები და მათი დაცვის მექანიზმები.

ქობა ლიკლიკაძე
"რადიო თავისუფლება"
სპეციალურად "24 საათისთვის"

1996 წლიდან მოყოლებული, საქართველოში უსაფრთხოების კონცეფციის რამდენიმე ალტერნატიული პროექტი შემუშავდა და მნიშვნელობით კონსტიტუციის მომდევნო სახელმწიფოებრივი დოკუმენტის მისაღებად ყველა პირობა არსებობდა. თანაც, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის შექმნა საქართველოს უსაფრთხოების საკითხებში მრჩეველთა საერთაშორისო საბჭოს ერთ-ერთი უმთავრესი რეკომენდაციაა და მისი არსი მეტად მარტივი გახლავთ: საქართველოს ხელისუფლებამ უნდა განსაზღვროს ეროვნული ინტერესები, ქვეყნის სტრატეგიული მიზნები, შემდეგ - საფრთხეები, რაც ამ ეროვნულ ინტერესებს ემუქრება და უშიშროების უზრუნველყოფის სუბიექტებს შესაბამისი ამოცანები დაუსახოს. ყველაფერი დანარჩენი, ანუ ვინ როგორ არის მზად ამ ამოცანის შესასრულებლად და რა უნდა გაკეთდეს სახელისუფლებო ინსტიტუტების გასაძლიერებლად, უკვე ამ დოკუმენტის მიღების შემდეგ განისაზღვრებოდა.

უშიშროების კონცეფციის არსებობის აუცილებლობაზე გამახვილდა ყურადღება 29-30 იანვარს გამართულ თბილისის სემინარზე. მრჩეველთა საერთაშორისო საბჭოს თავმჯდომარემ, გენერალმა სერ გარი ჯონსონმა, კიდევ ერთხელ გააფრთხილა ქართველი კოლეგები, რომ დოკუმენტში ღირებულებათა და ინტერესთა განსაზღვრის დროს, თავი შეეკავებინათ ბანალური, სადღეგრძელოების მსგავსი განცხადებებისგან.

"საქართველოს სჭირდება ქაღალდზე დაწერილი ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. სულაც არ არის საჭირო, რომ ეს იყოს ვრცელი დოკუმენტი, მაგრამ მან უნდა განსაზღვროს საქართველოს სტრატეგია და მისი განვითარება უახლოესი ათი წლის განმავლობაში. პრაღაში პრეზიდენტმა შევარდნაძემ განაცხადა, რომ საქართველოს სურს ევროატლანტიკურ ორგანიზაციასა და ევროკავშირში გაწევრიანება. ეს დოკუმენტი უნდა იყოს ამ სურვილის გაგრძელება და უპასუხებდეს შეკითხვას, თუ როგორ გესახებათ ამ მიზნის მიღწევა," - განაცხადა ჩვენთან საუბარში სერ გარი ჯონსონმა.

თუმცა, როგორც სემინარზე გაირკვა, საქართველოში ჯერ იმის განმარტებაა საჭირო, თუ როგორ უნდა იყოს სტრუქტურულად შედგენილი ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. ხშირ შემთხვევაში, ყველაფერთან ერთად, პრობლემას ქმნის ტერმინთა სემანტიკური მნიშვნელობის დადგენა. ბევრი ექსპერტი ვერ თანხმდება იმაში, ნატო-ში გაწევრიანება ეროვნულ მიზნად ჩაითვალოს თუ ამ მიზნის მიღწევის საშუალებად. რაც შეეხება ერონული საფრთხეების ჩამონათვალს, იმდენად დიდია სურვილი მასში ჩაიწეროს ყველაფერი - მოსახლეობის დაბალი ეკოლოგიური ცნობიერებით დაწყებული და ახალგაზრდობაში ოჯახების შექმნის სუსტი მოტივაციით დამთავრებული, რომ არ არის გამორიცხული, ასეთი კონცეფციის გასაგებად ცალკე კონცეფციის დაწერაც გახდეს საჭირო. მიუხედავად ამისა ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაზე მუშაობის გაჭიანურებაში ინტელექტის პრობლემას გამორიცხავს მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის დირექტორი გია ნოდია:

"მე მგონი, არანაირი ინტელექტუალური პრობლემა აქ არ არის; ესაა წმინდად პოლიტიკური ნების პრობლემა, იმიტომ რომ რამდენიმე წლის წინ შეიქმნა სახელმწიფო კომისია, ბატონ ირაკლი მენაღარიშვილის ხელმძღვანელობით, შეიქმნა გარკვეული პროექტი. გარდა ამისა, კიდევ მრავალი სხვადასხვა ჯგუფი მუშაობდა ამ პროექტის შექმნაზე, მაგრამ ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ არ უნდა ასეთი კონცეფცია ამ ეტაპზე და ჩემთვის გასაგებია, რატომაც - ასეთი ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია ერთგვარად ზღუდავს პოლიტიკური ლიდერის თვითნებობას. ამიტომ უფრო უკეთესად ჩაითვალა, არ იყოს განსაზღვრული ეს მიზნები და როგორც გინდა, ისე ცვალო ისინი," - აცხადებს ნოდია.

ასეთ მოსაზრებას არ იზიარებს ეროვნული უშიშროების აპარატში პოლიტიკური ანალიზისა და სტრატეგიული პროექტების უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი ჯიმი ჯალიაშვილი, რომელიც კონცეფციის არარსებობას ობიექტური მიზეზებით ხსნის:

"საქართველო დამოუკიდებლობის შემდგომ ვერ მიიღებდა ამგვარ დოკუმენტს, იმიტომ, რომ ჩვენი სტრატეგიული მიზნების დასახვისთვის აუცილებელი ბევრი ტენდენცია, ჯერ კიდევ გამოუკვეთავი იყო. იგივე საგარეო პოლიტიკური ორიენტაციები, ისინი ხომ 1996-97 წლიდან ყალიბდებოდა. ჩვენ უფრო ნელ-ნელა ვკვეთავდით იმ კურსს, რომელმაც პრაღაში მოგვცა ასეთი განცხადების გაკეთების საშუალება. რაც მთავარია, არ იყო ხელსაყრელი ტენდენციები საშინაო ცხოვრებაში. კონცეფცია არ უნდა იყოს თეორიული და სინამდვილეს მოწყვეტილი დოკუმენტი. ის უნდა ეყრდნობოდეს ახლო ან შორვადიან მყარ ტენდენციებს."

მაგრამ, ძნელია დაეთანხმო ასეთ შეფასებას. მით უფრო, თუ გავიხსენებთ, რომ ზემოხსენებულმა კომისიამ, რომელსაც საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი ხელმძღვანელობს, 2000 წელს შეიმუშავა საინტერესო დოკუმენტი **"საქართველო და მსოფლიო: მომავლის ხედვა და სტრატეგია"**. მასში საკმაოდ გასაგები ენით არის განმარტებული საქართველოს ფუძემდებლური ეროვნული მიზნები, ქვეყნის ადგილი საერთაშორისო გარემოში და ქვეყნის თავდაცვითი სტრატეგია. ერთადერთი, რაც ამ დოკუმენტს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციისგან განასხვავებს, მისი სახელწოდებაა და თანაც მასში არ არის მოცემული საფრთხეები და რისკები. სამაგიეროდ, ეს შემადგენელი საკმაოდ დიდი დოზით არის წარმოდგენილი საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის იმ პროექტებში, რომლებიც სემინარის მუშაობის დროს განიხილებოდა. მათში რეალური და პოტენციური საფრთხეების ჩამონათვალი ორმოცდაათს აჭარბებს. ამათგან აღსანიშნავია პოლიტიკური და მმართველი ელიტის კრიმინალიზება, დემოკრატიული ინსტიტუტების განუვითარებლობა და მმართველი ფენის კომპეტენტურობის დაბალი დონე, რაც მართლაც რეალურ საფრთხეს უქმნის ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს. მაგრამ თუკი ეს ასეა, მაშინ რატომ წარმოადგენს საფრთხეს იმ "ხელისუფლების მკვეთრი და ხშირი ცვლილებები"საქართველოში, რომელსაც არასაკმარისი კომპეტენცია აქვს?

ნიშანდობლივი დეტალია ისიც, რომ ეროვნული უსაფრთხოების საკითხებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციას არ ესწრებოდნენ საქართველოს ძალოვან სამინისტროთა ხელმძღვანელები, რომლებიც უშუალოდ არიან პასუხისმგებელნი ქვეყნის უსაფრთხოებაზე. თუმცა ცნობილია ერთ-ერთი მათგანის - თავდაცვის მინისტრის დამოკიდებულება: "მე სამხედრო ვარ და მხოლოდ მკაფიოდ დასმული ამოცანა მჭირდება" - 1998 წლიდან ითხოვს დავით თევზაძე. ასეთი ამოცანის, უფრო ზუსტად, ასეთი ამოცანების განსაზღვრაა სწორედ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის მთავარი დანიშნულება.

და თუ ამჟერად საქართველოს ხელისუფლებას ეყოფა პოლიტიკური ნება, ასეთი დოკუმენტი, შესაძლოა, ქვეყანას გაზაფხულზე ჰქონდეს.

"კრავთა" ხვედრი - საკრებულო არ ენდობა, პრეზიდენტი არ კარგავს

ჰირველი გვერდიდან

ვაკე-საბურთალოს გამგებლის თავიდან მოცილება, რისთვისაც სააკაშვილის გუნდს იყენებენ. **"სააკაშვილი ჯორბენაძის დახმარებით შეეცდება ვაკე-საბურთალოზე თავისი კაცი მოიყვანოს,"** – ამბობს ჟვანია.

"ჩვენ დავიწყეთ შევარდნაძის ხელისუფლების დემონტაჟი და ძალიან სამწუხაროა, რომ "ლეიბორისტები" ჩვენთან არ არიან," – საზეიმოდ გამოაცხადა "ნაციონალმა" დავით ბერძენიშვილმა ულეიბორისტებოდ დარჩენილ დარბაზში.

დარბაზში არ იყვნენ "ახლებიც", სხდომას ესწრებოდა მხოლოდ ფრაქციის თავმჯდომარე მამუკა კაციტაძე, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას აუწყა - ჩვენი ფრაქციის ექვსივე წევრი ავად გახდაო. კაციტაძემ "ახლების" სახელით სიტყვიერი უნდობლობა გამოუცხადა ვაკე-საბურთალოს გამგებელს და კენჭისყრაშიც მიიღო მონაწილეობა.

სულაძისთვის უნდობლობის უზრუნველყოფა ნათელაშვილის თანამებრძოლების გარეშეც მშვენივრად მოხერხდა: 27 ხმა სამის წინააღმდეგ და სულაძეც უნდობლობაგამოცხადებულია...

დაინტერესებულ პირებს ვამცნობთ, რომ საკრებულოს ამ გადაწყვეტილებით სულაძეს თავი მაინცდამაინც არ ასტკივდება. გამგებლის მოხსნის პრეროგატივა თავად პრეზიდენტს აქვს, რომელსაც საკრებულო, ალბათ, უახლოეს დღეებში გააგებინებს, რომ სულაძე არ მოსწონს და მის გათავისუფლებას ითხოვს.

პრეზიდენტი ან გაანთავისუფლებს სულაძეს ან არა. ისე, ცნობისათვის, იმ პირებს, ვისაც საკრებულო უნდობლობას უცხადებს, საოცრად სწყალობთ ბედი. მაგალითისთვის, ვიცე-პრემიერები დარჯანია და ღვინიაშვილი, რომლებიც საკრებულომ პირველივე სხდომებიდან "შეიძულა", უმუშევრებად არ დარჩენილან - მათ საკმაოდ პრესტიჟული სამუშაო ადგილები მოუძებნეს და ისინი გამგებლები არიან. კიდევ ერთი ადამიანი, რომელსაც სასტიკად არ ენდობა საკრებულო, მშვიდად შრომობს თავის სამუშაო კაბინეტში, რომელზეც გაკრული აბრა გვაუწყებს, რომ ის თბილისის მერია და მას ვანო ზოდელავა ჰქვია.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

გაერო-ს შტაბ-ბინის წინ ორი საათის მანძილზე ისმოდა „შავლეგო" და „ჩემო ქარგო ქვეყანავ"

– გვითხრა ნიუ-იორკში საპროტესტო აქციის ორგანიზატორმა, მოქანდაკე ელისო წიკლაურმა, რომელსაც გუშინ საღამოს ნიუ-იორკში დავუკავშირდით.

ნიუ-იორკის პოლიციაში აღებული ნებართვის მიხედვით, ქართველების აქცია ზუსტად დღის 12 საათზე დაიწყო (მაშინ, როცა თბილისში საღამოს 9 საათი იყო) და ორი საათის მანძილზე გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში მანჰეტენზე შეკრებილმა ჩვენმა თანამემამულეებმა, დროშებითა და პლაკატებით, გაერო-ს შტაბ-ბინის წინ მსვლელობა მოაწყვეს.

"მიუხედავად იმისა, რომ ამერიკაში, ერაყის კრიზისის გამო, შეიძლება ითქვას, წინასაომარი მდგომარეობაა და როგორც მოსახლეობის, ისე პრესის მთელი ყურადღება სპარსეთის ყურისკენ არის მიმართული, ნიუ-ორკელები მაინც დაინტერესდნენ ჩვენი პრობლემებით, ჩერდებოდნენ, კითხულობდნენ პლაკატებს, გვეკითხებოდნენ, ვინ ვიყავით, რას მოვითხოვდით. ჩვენ არ გვქონდა ილუზია, რომ ამ აქციით რაიმე ზეგავლენას მოვახდენდით ან გაერო-ზე, ანაც რუსეთზე. იმითიც კმაყოფილნი ვართ, რომ დღეს რამდენიმე ასეულმა ამერიკელმა გაიგო საქართველოს და მის მთავარი ტკივილის– აფხაზეთის შესახებ. კმაყოფილი ვართ იმით, რომ ეს აქცია შედგა, რომ ორი საათის მანძილზე აქაური ქართველები ერთად ვიდექით," – გვითხრა ელისო წიკლაურმა.

დაპირების მიუხედავად, აქციაში მონაწილეობა არ მიიღო ქართული ხალხური სიმღერების შემსრულებელმა ამერიკელ მომღერალთა გუნდმა. **"მათ ჩათვალეს, რომ ეს იყო პოლიტიკური**

ქართველთა საპროტესტო აქცია სტოკჰოლმში.

აქცია და არ მოვიდნენ. თუმცა, "ჩემო კარგო ქვეყანავ" და "შავლეგო" ორი საათის მანძილზე მაინც ისმოდა მანჰეტენზე. ნებართვაში ჩვენ გვეწერა, რომ აქციის დროს ყვირილის უფლებაც გვქონდა, მაგრამ ამაზე უარი ვთქვით და სიმღერა ვამჯობინეთ. ჩვენს სიმღერას ვერანაირი ყვირილი ვერ შეედრება. ეფექტი ძალიან დიდი იყო, თან ახალგაზრდებს ხევსურული ტანსაცმელი ეცვათ," – გვითხრა ქალბატონმა წიკლაურმა.

აქციის მონაწილეებმა გაერო-ს გენერალურ მდივანს კოფი ანანს, უშიშროების საბჭოსა და გაერო-ს წევრ ქვეყნებს გაუგზავნეს მიმართვა (მიმართვის ტექსი "24 საათის" 29 იანვრის ნომერში გამოქვეყნდა). ისინი მოინახულა საქართველოს წარმომადგენელმა გაერო-ში რევაზ ადამიამ და ყველაზე მთავარი, **აქციაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს ნიუ-იორკში მცხოვრებმა აფხაზებმაც.**

"აქ მცხოვრები ერთი აფხაზი ახალგაზრდა დამიკავშირდა, თითქმის საათნახევარი ვისაუბრეთ ტელეფონით. მან გაიზიარა ჩვენი შეხედულებები, მითხრა, რომ ძალიან ბევრი აფხაზი ფიქრობს ჩვენსავით. ბოდიშიც კი მომიხადა, რომ ვერ შეძლებდა აქციაში მონაწილეობის მიღებას, იმ უბრალო მიზეზით, რომ დღეს სამუშაო დღე იყო, თუმცა დამპირდა, რომ მომავალ აქციებში აქაური აფხაზებიც აუცილებლად შემოგვიერთდებიან," – გვითხრა ელისო წიკლაურმა.

ნიუ-იორკის აქციამდე ექვსი საათით ადრე ქართველთა მცირერიცხოვანი აქცია გაიმართა სტოკჰოლმში, შვედეთში რუსეთის საელჩოს წინ. **"სტოკჰოლმში მინუს 12-14 გრადუსი იყო და სულ 20-მდე ადამიანი შევიკრიბეთ. ძალიან დიდი მადლობა მინდა ვუთხრა აქ სასწავლებლად ჩამოსული სტუდენტების მშობლებს, ბავშვებმა ყველაფერი გვერდზე გადადეს და შემოგვიერთდნენ. რუსეთის საელჩოში ნამდვილად არ მოელოდნენ, მეგაფონებით რომ შევუტევდით. საელჩოს სამსართულიანი შენობა აქვს. ყველა ფანჯრიდან იყურებოდა. ერთი საათი, სანამ აქცია მიმდინარეობდა, ფანჯრებს არ მოშორებულან. შემდეგ ერთი თანამშრომელი გამოვიდა და ვიდეოთი და ფოტოაპარატით გადაგვიღო. კმაყოფილები ვართ, შვედებს, ვინც ამ დროს გარეთ მოძრაობდა, შვედურ ენაზე შედგენილი ფურცლები დავურიგეთ, ავუხსენით, საიდან ვიყავით. პირველი აქციის კვალობაზე კარგი გამოვიდა,"** – გვითხრა შვედეთის ქართული სათვისტომოს ხელმძღვანელმა მარინა-მარია აქსელმა, რომელსაც გუშინ სტოკჰოლმში ვესაუბრეთ.

როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, ქართული დიასპორის აქტიურობა მხოლოდ ამ აქციებით არ შემოიფარგლება. ფინეთის ქართული სათვისტომოს ხელმძღვანელის გოჩა ბახიას ინიციატივით, მზადდება ქართული დიასპორის პირველი მსოფლიო კონგრესი. ქართველი ემიგრანტები ასევე აპირებენ საფრანგეთში, ლევილის მამულში ტრადიციულ შეკრებებს ჩაუყარონ საფუძველი.

ქრონიკა

რა ღირს "მრეწველთა" მხარდაჭერა?

გოგი თოფაძე - ლუდის მთავარი მწარმოებელი.

თამარ ივანიძე

ხელისუფლებამ დღეს პარლამენტში შეძლო გაუფორმებელი უმრავლესობის შექმნა, თუმცა ეს უმრავლესობა, წყაროს პირას ჩასაფრებული გველეშაპის მსგავსად, მუდმივად ითხოვს მსხვერპლს, ანუ ერთიანობის და სახელისუფლებო ინიციატივების მხარდაჭერის საფასურს.

სანამ "მოქალაქეები" და, მათთან ერთად, "სოციალისტები" ერთიან საარჩევნო სიაში ადგილებს ვერ იყოფენ, "მრეწველები" აცხადებენ, რომ არავისთან გაერთიანებას არ აპირებენ და ხელისუფლებისთვის დათმობების საზღაურს "ნატურით", ანუ საგადასახადო ცვლილებებისა და საბიუჯეტო "შემოწირულობების" სახით იღებენ.

ეს პროცესი ჯერ კიდევ გასული წლის გაზაფხულზე დაიწყო. მაშინ პარლამენტმა "მრეწველთა" ინიციატივით მიიღო საგადასახადო ცვლილებები, რომელმაც, ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური განმარტების მიხედვით, ქვეყნის საგადასახადო ბაზა 10 მილიონი ლარით შეამცირა.

"24 საათი" უკვე წერდა იმის შესახებ, რომ 2003 წლის ბიუჯეტში მოულოდნელად 9 მილიონ ლარამდე გაიზარდა წარმოების განვითარების საინვესტიციოდ საქართველოს პრეზიდენტის ფონდისთვის გამოყოფილი თანხა. ამ ფონდს კი "მრეწველთა" ერთ-ერთი ლიდერის ვაჟი ხელმძღვანელობს, რაც, რა თქმა უნდა, დასაძრახი სულაც არ არის.

სხვათა შორის, ათასი ჭორი დადის "მრეწველთა" მიერ აღებულ ახალ კრედიტებთან და ძველ საბიუჯეტო დავალიანებებთან დაკავშირებითაც, მაგრამ ეს მხოლოდ ჭორია, მართალი კი ის გახლავთ, რომ 29 იანვარს, როცა სახელმწიფო ბიუჯეტის გატანა გახერხდა, პარლამენტმა ასევე დაამტკიცა ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის პირველი პუნქტი გვამცნობს, რომ დღგ-სგან თავისუფლდება "ალაოს იმპორტი". იგივე ცვლილება შევიდა საქართველოს საბაჟო კოდექსშიც. სხვათა შორის, ეს ცვლილება თავის დროზე იმ კანონპროექტში გახლდათ გათვალისწინებული, რომლითაც მსგავსი შეღავათი ხორბლის იმპორტზეც უნდა გავრცელებულიყო.

პარლამენტში ხორბალი შეღავათისთვის ვერ გაიმეტეს, ალაო კი გათავისუფლდა დღგ-სგან. ალაო ლუდის წარმოების ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია. საქართველოში კი ლუდის მთავარი მწარმოებელი ვინც არის, ამაზე "ხალხის პირისპირ" აღმოჩენილი ყველაზე "უიმედო" მოთამაშეც უპასუხებს.

29 იანვრის საგადასახადო ცვლილებები ამით არ შემოფარგლულა. გადაწყვეტილება მიიღეს სასტუმროების მშენებლობის შეღავათიან რეჟიმში მოქცევის შესახებაც. მიუხედავად იმისა, რომ ეს ინიციატივა უშუალოდ "მრეწველებიდან" არ მოდიოდა, საინტერესოა შემდეგი გარემოება: ეს შეღავათი ითვალისწინებს მაღალმთიან და საკურორტო ზონებში სასტუმროების მშენებლობაზე 10 მილიონს ზემოთ ინვესტიციის გათავისუფლებას მოგების გადასახადისგან 5 წლით, 5 მილიონს ზემოთ ინვესტიციისას კი - შედარებით ნაკლები ვადით.

პირველ რიგში, ეს ცვლილება იმითაა საინტერესო, რომ თუ დიდი კაპიტალის მფლობელი ბიზნესმენი არ ხარ და, მაგალითად, ერთმილიონიან ინვესტიციას გაახერხებ, ეს შეღავათი შენს ინვესტიციაზე არ გავრცელდება, რაც პირდაპირ მიუთითებს, რომ ცვლილება უმსხვილესი ინვესტორების მიერ არის ლობირებული, საქართველოში კი ხელისუფლება, რატომღაც, თავს მსხვილი და საშუალო ბიზნესის ხელშემწყობად რაცხს, მაგრამ "საბიუჯეტო პრობლემების გამო" მათთვის შეღავათების დაწესებას "ვერ ახერხებს". აქ, შესაძლოა, მოსატანი სულაც არ არის, მაგრამ ძალაუნებურად გახსენდება ისიც, რომ "მრეწველთა" ლიდერს დღეს ბაკურიანში, ანუ "მთიან საკურორტო ზონაში" დიდი და სერიოზული სასტუმროს მშენებლობა აქვს წამოწყებული.

ორი წუთი აფხაზეთისთვის

ჰირველი გვერდიდან

დატოვების შესახებ გადაწყვეტილებას არ მიიღებს. თუმცა, საქართველოს პრეზიდენტის მიერ გაკეთებული განცხადებები ცხადყოფს, რომ უშიშროების საბჭოს 15 თებერვალს თავის შეწუხება ნამდვილად არ მოუწევს.

უშიშროების საბჭოსთვის გაგზავნილ წერილში რევაზ ადამია მკაცრად აკრიტიკებს სამშვიდობო პროცესის არსებულ ფორმატს, რომელიც UNOMIG-ისა და დსთ-ს სამშვიდობო ძალების მანდატების ერთმანეთთან მიბმას გულისხმობს.

"შეიქმნა უნიკალური სიტუაცია, როდესაც რეგულარულად, უშიშროების საბჭოს ზეწოლის ქვეშ, საქართველო იძულებულია, თანხმობა განაცხადოს დსთ-ს სამშვიდობო ძალებისთვის მანდატის გაგრძელებაზე - იმ ძალებისთვის, რომლებსაც თავად უშიშროების საბჭომ არ მისცა თანხმობა გაეროს სახელითა და რწმუნებით მოქმედებისა... ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფა კი მთლიანად არის დაკისრებული დსთ-ს სამშვიდობოებზე", - ნათქვამია წერილში.

რეზოლუციის მეოთხე მუხლში ნათქვამია, რომ უშიშროების საბჭო მხარს უჭერს თბილისსა და სოხუმს შორის საკონსტიტუციო უფლებამოსილებების გადანაწილების ე.წ. ბოდენის დოკუმენტს. უშიშროების საბჭო "ღრმა მწუხარებას" გამოთქვამს აფხაზების მიერ დოკუმენტის განხილვაზე რამდენიმეგზის უარის თქმის გამო.

თუმცა, ამგვარი მუხლები რეზოლუციაში უფრო მოვალეობის მოხდის მიზნით არის შეტანილი. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ დოკუმენტში ერთი სიტყვაც კი არ არის ნათქვამი სოჭსა და სოხუმს შორის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის თაობაზე, არც რუსული პასპორტების აფხაზებისათვის დარიგების, გუდაუთიდან რუსეთის სამხედრო ბაზის გაყვანისა და რუსეთსა და აფხაზეთს შორის ბოლო ხანებში გაცხოველებული ეკონომიკური კავშირების შესახებ, რომლის შედეგად უძრავი ქონება რუსი ბიზნესმენებისა და ჩინოვნიკების საკუთრებაში გადავიდა.

"მაშინ, როდესაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა მტკიცედ ცხადდება ოფიციალურ განცხადებებში, რეალურად, რუსეთი აგრძელებს საქართველოს დანაწილების პროცესს, მისი ისტორიული ნაწილის - აფხაზეთის ანექსიას", - აღნიშნულია ქართველი ელჩის მიმართვაში.

ნიუ-იორკში კარგად უწყოდნენ, რომ საქართველოს ელჩი ამ საკითხებს აუცილებლად დააყენებდა, ამიტომ თავიდან აიცილეს ზედმეტი გართულებები და უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრის – რუსეთის განაწყენება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საერთაშორისო თანამეგობრობისათვის ერაყში მოსალოდნელი ომისა და ჩრდილოეთ კორეის ბირთვული კრიზისის მოგვარებაში მოსკოვის პოზიციას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს.

რევაზ ადამიასთვის სიტყვით გამოსვლაზე უარის თქმამ საქართველოში აშკარა უკმაყოფილება გამოიწვია. **"უშიშროების საბჭო არ იყო მზად, მოესმინა ის მწარე სიმართლე, რომლის თქმასაც რევაზ ადამია აპირებდა",** - გაღიზიანებულმა განაცხადა საგანგებო დავალებათა მინისტრმა მალხაზ კაკაბაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას.

საქართველოს ხელისუფლებას ნუგეშად რეზოლუციის მეორე პუნქტიღა რჩება, სადაც ხაზგასმულია, რომ უშიშროების საბჭო მხარს უჭერს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას და საჭიროდ მიიჩნევს აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრას საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს შემადგენლობაში.

ტრადიციულად, თბილისი ყოველთვის იმაზე მეტს ელის გაერო-სგან, ვიდრე რეალურად შესაძლებელია. საქართველოსათვის აუცილებელია ამ საერთაშორისო ორგანიზაციის უფრო აქტიურად გამოყენება, მაგრამ, ამავდროულად, საჭიროა შიდა რესურსების მობილიზება, რაც სოხუმსა და მოსკოვს თბილისის აბსოლუტური იგნორირების საშუალებს აღარ მისცემს.

აფხაზეთის კონფლიქტის ირგვლივ გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუციის შესახებ აზრს გვიზიარებს საქართველოს ელჩი ამერიკაში, ბატონი ლევან მიქელაძე

"მე აღშფოთებული ვარ იმის გამო, რომ არ გაიმართა დებატები. არ მინდა, ვიყო ზედმეტად ეჭვიანი და ვიფიქრო, რომ ეს გადაწყვეტილება საქართველოს წინააღმდეგ იყო მიღებული, მაგრამ ქვეყანა რომ ამით დაზარალდა, ეს ფაქტია. ჩვენ არ მოგვეცა ჩვენი პოზიციის გამოთქმის საშუალება.

კითხვაზე, რატომ აკეთებდნენ ამას, გაერო-ში გვიპასუხეს, რომ ამ ორგანიზაციაში ამგვარი პრაქტიკა არსებობს. ამგვარი პრაქტიკა, ჩემი აზრით, გაუმართლებელია.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ გაერო-ში ბევრი რამ უნდა შეიცვალოს. მთელი ორგანიზაცია არის აწყობილი ისე, რომ მოერგოს რამდენიმე დიდი ქვეყნის ინტერესებს. პატარა ქვეყნების ინტერესები კი, უმრავლეს შემთხვევაში, სრულიად იგნორირებულია.

მე დიდი ხანი ვიმუშავე ეუთო-ში. დოკუმენტების გატანა იქაც დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული, მაგრამ იქ, ფორმალურად მაინც, ყველა სახელმწიფო თანასწორია, საქართველოსა და რუსეთის ხმებს ერთი და იგივე წონა აქვთ. გაერო-ში კი, განსხვავებული, შეიძლება ითქვას, დრაკონული სისტემაა.

თუმცა, დებატების არგამართვა არ ნიშნავს, რომ ჩვენ ჩვენს პოზიციას ვერ ვაფიქსირებთ. რევაზ ადამიამ შესანიშნავი წერილი მოამზადა, რომელიც გაერო-ს ყველა წევრ-სახელმწიფოს დაეგზავნა.

რაც შეეხება თავად რეზოლუციას:

არ უნდა გვქონდეს იმის ილუზია, რომ დიპლომატიურ ფრონტზე ერთ დღეში სერიოზული გარღვევა შეიძლება მოხდეს. ამ რეზოლუციითაც რაიმე გარღვევისათვის არ მიგვიღწევია.

საერთოდ, დოკუმენტი ფასდება ორი თვალსაზრისით: ერთი - შინაარსობრივი მხარეა, ანუ შეიცავს თუ არა დოკუმენტი რაიმე ახალ და არსებით წინადადებას და მეორე, პოლიტიკური შეფასების ენის თვალსაზრისით. შინაარსობრივად და ოპერატიული ელემენტებით ეს დოკუმენტი დატვირთული არ არის, მაგრამ ენის თვალსაზრისით, წინა რეზოლუციებთან შედარებით, პროგრესი მაინც შეიმჩნევა.

მაგალითად, მეორე პარაგრაფში ნათქვამია: **"წევრი სახელმწიფოები ხელახლა ადასტურებენ თავიანთ ერთგულებას საქართველოს სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი, ამასთან, ხაზს უსვამენ აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრის აუცილებლობას საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში, ზემოხსენებულ პრინციპებზე დაყრდნობით."**

გარდა ამისა, დოკუმენტში რამდენჯერმეა ხაზგასმული აფხაზეთის დესტრუქციული პოზიცია, აღნიშნულია, რომ აფხაზები ბლოკავენ მოლაპარაკებებსა და ბოდენის დოკუმენტის მიღებას.

არის კიდევ ერთი ფრაგმენტი, რომელიც წინააღმდეგობრივ გრძნობებს აღმიძრავს. იქ საუბარია იმაზე, რომ გაერო მიესალმება კოდორის ხეობაში დაძაბულობის შემცირებას. ერთი მხრივ, ეს კარგია, რადგან რუსებს არ რჩებათ არავითარი საფუძველი, ჩვენ ბრალი დაგვდონ კოდორში ჯარების შეყვანასა და ვითარების გამწვავებაში. მეორე მხრივ, მაეჭვებს ის, რომ რუსეთმა ეს პუნქტი ასე ადვილად მიიღო. კოდორი მათთვის ამჟამად ყველაზე "მადის აღმძვრელი ლუკმაა".

მისასალმებელია, რომ 19-20 თებერვალს, დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლის - ბრაიან ფოლის ინიციატივით, ჟენევაში ჩატარდება "საქართველოს მეგობართა ჯგუფის" კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ თავად ფოლი, რუდოლფ პერინა, ლოშჩინინი და სხვები. ამ კონფერენციაზე უნდა მოხდეს აფხაზეთში არსებული მდგომარეობის განხილვა, მოსალოდნელია ძალიან ღია საუბარი. გარღვევას არც აქ უნდა ველოდეთ, მაგრამ, შეიძლება, ეს კონფერენციაც წინგადადგმულ ნაბიჯად იქცეს."

ყურადღება! იძებნება "შეჭმული" კრედიტები

სამთავრობო გარანტიით გაცემული კრედიტები უდაბნოში დაღვრილ წყალს ჰგავს - ხშირად, ისე უკვალოდ ქრება, რომ მის ასავალ-დასავალს ვერავინ პოულობს. კორუფციასთან ბრძოლის დროებითმა საპარლამენტო კომისიამ (თავმჯდომარე რომან გვენცაძე) გადაწყვიტა, კრედიტების საკითხი ძირფესვიანად შეისწავლოს და ერთხელ და სამუდამოდ დაადგინოს, რამდენად კანონიერად დაიხარჯა სახელმწიფო გარანტიით სესხები და რატომ არ ბრუნდება უკან არც ძირითადი თანხა და არც პროცენტები. როგორც რომან გვენცაძე აცხადებს, საკითხში გასარკვევად იმდენად დიდი მოცულობის სამუშაოებია ჩასატარებელი, რომ ამჟამინდელი მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე ყველა "შეჭმული" კრედიტის გამოაშკარავება ვერაფრით მოესწრება. თუმცა, დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე საზოგადოებას იმას მაინც ჰპირდება, რომ უკვე დაწყებული საქმეების შესწავლას აუცილებლად მიიყვანს ბოლომდე. მითუმეტეს, შედეგი არის: გვენცაძის თქმით, "გაუჩინარებული" და მისი კომისიის მიერ უკვე აღმოჩენილი კრედიტების ოდენობა 100 მილიონ ლარს აღემატება.

გიორგი ასანიშვილი

გუშინ გამართულ დროებითი კომისიის სხდომაზე არაერთი გამაოგნებელი ფაქტი და ტენდენცია დასახელდა. თუნდაც ის რად ღირს, რომ, მაგალითად, სესხები გაცემულია ისეთ სტრუქტურებზეც კი, რომელთა ასავალ-დასავალი ამჟამად არავინ იცის და მათ შესახებ მონაცემები ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტსაც არ გააჩნია. ამიტომ, სულაც არ არის გასაკვირი, რომ ზოგიერთი კრედიტორი აღარც კი ფიქრობს საკრედიტო თანხის დაბრუნებაზე, ზოგიერთებიდან კი სესხის ამოღება შეუძლებელია გადახდის უუნარობის გამო. კომისიის ექსპერტების მტკიცებით, კრედიტების გაცემის პროცესში დაშვებული სერიოზული, ხშირ შემთხვევაში, დანაშაულებრივი შეცდომები, კორუფციული გარიგებების შედეგია.

კრედიტების არამიზნობრივად ხარჯვის "კლასიკურ ნიმუშად" შეიძლება ჩაითვალოს თელავის ძაფსახვევ-საგრეხი ფაბრიკა, რომელსაც 1999 წლის მაისში პრეზიდენტის ფონდიდან, სამი წლის ვადით, სესხის სახით, 300 ათასი ლარი გამოეყო. სესხის გადახდა 2000 წლის მეორე კვარტლიდან უნდა დაწყებულიყო, მაგრამ დღემდე ერთი თეთრიც არ არის გადახდილი და დავალიანებამ 470 ათას ლარს გადააჭარბა. მუშა-მოსამსახურეები დათხოვნილები არიან, ფაბრიკა არ მუშაობს და, ამდენად, თანხის დაბრუნების გარანტია, პრექტიკულად, არ არსებობს.

როგორც ირკვევა, ფინანსთა სამინისტროს მხრიდან საბიუჯეტო თანხები განსაკუთრებული "ხელგაშლილობით" გაიცემოდა ჩაის გადამამუშავებელ საწარმოებზე. კომისიის სხდომაზე გაიჟღერა შპს "ჩაი-98"-ის, სააქციო საზოგადოება "ქართული ჩაის", "საქაგროსერვისის", "საქჩაისუბტროპიკის" და სხვა სახელებმა, რომელთა მიერ დავალიანების დაფარვის პერსპექტივა თითქმის არ არსებობს.

ამასთან, კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას სააქციო საზოგადოება "ქართული ქაღალდიდან", აგრეთვე "ფოთითეზიდან", "მარცვლიდან", "თეთრიწყაროს ბროილერიდან", მცხეთის აღორძინებისა და განვითარების ფონდიდან და მთელი რიგი სხვა კომერციული სტრუქტურებიდან თანხების ამოღების საკითხი.

ერთი სიტყვით, კორუფციასთან ბრძოლის დროებით საპარლამენტო კომისიას, კონტროლის პალატასთან ერთად, უზარმაზარი სამუშაო აქვს ჩასატარებელი. სხვა საკითხია, რა გამოვა მათი საერთო ძალისხმევიდან - უდაბნოში დაღვრილ წყალთან გაცემულ-შეჭმული კრედიტების მსგავსება ზემოთ უკვე აღვნიშნეთ.

ასლან აბაშიძემ დრო იხელთა

პარლამენტში ისევ ოფიციალურად შევა კანონპროექტი თავისუფალი ეკონომიკური ზონის (თეზ-ის) შესახებ

თამარ ხორბალაძე

ახალი კანონპროექტი, ძველისაგან სახელწოდებით ("სპეციალური ეკონომიკური ზონების შესახებ") და, ნაწილობრივ, შინაარსითაც განსხვავდება, თუმცა არსი ვერც ასოების ჩანაცვლებამ და ვერც დეტალების შესწორებამ ვერ შეცვალა: კანონპროექტი საქართველოში თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნას ითვალისწინებს, მათ შორის - ბათუმის პორტშიც.

საკანონმდებლო ინიციატივის ავტორი ე.წ. "ბათუმური ბლოკის" სამი ფრაქცია გახლავთ - "აღორძინება", "ერთიანი საქართველო" და "21-ე საუკუნე". პარლამენტში ამჟამად წარდგენილი კანონპროექტით, თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნის საკითხს წყვეტს პრეზიდენტთან შექმნილი სპეციალური ინსტიტუტი - 8 წევრისგან შემდგარი საკოორდინაციო საბჭო.

ამასთან, უშუალოდ თავისუფალ ეკონომიკურ ზონას მართავს სპეციალური ბიურო, რომლის დირექტორსაც, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წარდგინებით, პრეზიდენტი ამტკიცებს.

"აღორძინების" ლიდერი ჯემალ გოგიტიძე განმარტავს, რომ თავისუფალი ეკონომიკური ზონა, პირველ რიგში, უნდა შეიქმნას თბილისის აეროპორტში, ფოთისა და ბათუმის პორტებში, რაც **"ქვეყანას ხუთ-ექვს წელიწადში 10 მილიარდამდე შემოსავალს მოუტანს".**

ამ კანონპროექტის ეკონომიკურ წანამძღვრებზე საუბარი უკვე ექვსი წელია მიდის და უახლოეს დღეებშიც საკმაოდ აქტიურად გაჩაღდება. მით უმეტეს, რომ არგუმენტები თეზ-ების შემოღების საწინააღმდეგოდ, დღევანდელ საქართველოში, აუწყობელი ეკონომიკისა და შეუკვრელი საზღვრების პირობებში, ძალზე ბევრია.

თუმცა, ცალკე საკითხია, რომ ასლან აბაშიძემ დღეს გადაწყვიტა პარლამენტში ოფიციალურად შემოტანა საკითხისა, რომლის გატანასაც, უკვე ექვს წელზე მეტია, უშედეგოდ ცდილობს. ჯემალ გოგიტიძემ გუშინ თავი აარიდა ხელისუფლებისგან მიღებული შესაძლო გარანტიების შესახებ საუბარს, თუმცა განაცხადა, რომ დღევანდელ პარლამენტში კანონპროექტის მხარდამჭერი 79 დეპუტატის მოძებნა არ გაჭირდება.

ჩანს, ჯემალ გოგიტიძეს ამის განცხადების სერიოზული საფუძველი აქვს. დღევანდელ პარლამენტში მართლაც ზედმიწევნით ხელსაყრელი სიტუაციაა შექმნილი საამისოდ.

პირველ რიგში, საკმაოდ მნიშვნელოვანია, რომ ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტს დღეს სწორედ ბათუმური ბლოკის წევრი ხელმძღვანელობს.

ჟურნალისტებთან საუბარში საგადასახადო კომიტეტის თავმჯდომარემაც განაცხადა, რომ თეზ-ების შემოღებას მხარს დაუჭერს. ეს კანონპროექტისთვის "მრეწველების" შესაძლო მხარდაჭერაზეც გვამცნობს.

მართალია, ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარემ დემურ გიორხელიძემ ამ კანონპროექტს "24 საათთან" საუბარში კატეგორიულად მიუღებელი უწოდა და განაცხადა, რომ ასეთი ზონები ფულის გათეთრების შესანიშნავი საშუალებაა, რაც საქართველოში დამატებით ხელშეწყობას არ საჭიროებს, მაგრამ... ვერც ეკონომიკური კომიტეტის ხელმძღვანელის პოზიცია და ვერც დღევანდელი ოპოზიციის წინააღმდეგობა ამ პარლამენტში ერთი კანონპროექტის "ჩაგდების" წინაპირობად ვერ გამოდგება, მით უმეტეს, თუ ოფიციალურმა სახელისუფლებო პარტიამ მას, "აღორძინებასთან" ერთად, მხარდაჭერა გამოუცხადა.

ე.წ. სახელისუფლებო პარტიის ხელმძღვანელმა, დღევანდელმა სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ ამ საკითხის კომენტირებაზე "24 საათს", იმ მოტივით, რომ ახალ კანონპროექტს არ იცნობდა, უარი განუცხადა. შემდეგ კი დააზუსტა, რომ კომენტარს ამაზე მაშინ გააკეთებს, როცა საჭირო იქნება.

სამაგიეროდ, დღევანდელი სახელისუფლებო პარტიის სახემ პარლამენტში - ვიტალი ხაზარაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ **"ის, რაც მიუღებელი იყო გუშინ, შესაძლოა, დღეს მისაღები გახდეს".**

ცხადია, ასლან აბაშიძის ამ "ახალ ინიციატივას" არც ვახტანგ რჩეულიშვილი აღუდგება წინ.

ასეთი "გაერთიანებული" მხარდაჭერა კი, როგორც ბიუჯეტის დამტკიცებისას ვნახეთ, საკმარისია.

საბითუმო ბაზრის ანგარიში კიდევ ერთხელ დააყადაღეს

მაია ურუშაძე

ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარს პრობლემები არ ელევა. ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ მისი ანგარიში ამჯერად "ჩხორჰესისადმი" არსებული 210 მილიონ ლარიანი დავალიანების გამო დააყადაღა. როგორც გაირკვა, ამ მცირე ელექტროსადგურს 2002 წელს დენი საერთოდ არ გამოუმუშავებია და საბითუმო ბაზრის ანგარიშის დაყადაღების გზით ძველი დავალიანების დაფარვას ლამობს.

ამ ერთი თვის წინ ბაზრის ანგარიში "თბილსრესმშენისა" და "ნაბათის" მიმართ არსებულ დავალიანებათა გამო დააყადაღეს. საბითუმო ბაზარში ვარაუდობენ, რომ დაყადაღებათა სერიების მიღმა ერთი და იგივე ფინანსური ჯგუფის შორს მიმავალი ინტერესები დგას.

საბითუმო ბაზარი მიიჩნევს, რომ ანგარიშის გაყინვის გადაწყვეტილება ქვეყნის ენერგეტიკული ბალანსის შენარჩუნებას შეუშლის ხელს. **"უკვე მეორე თვეა, რაც ანგარიში თვის ბოლოს, ანუ მაშინ დაგვიყადაღეს, როცა ბაზარმა ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური ოპერაციები უნდა აწარმოოს,** - აცხადებს საბითუმო ბაზრის გენერალური დირექტორი ალბერტო სოლისი, - **გუშინ ბაზარს "ეი-ი-ეს მტკვრისთვის" ბუნებრივი აირის შესაძენად 300 ათასი ლარი უნდა გადაერიცხა, ხოლო ენგურჰესის თანამშრომლებისთვის სახელფასო დავალიანების დასაფარად 200 ათასი ლარი მიეცა."**

ალბერტო სოლისის აზრით, ბუნებრივი გაზის შესაძენად განკუთვნილი თანხის საბითუმო ბაზრის ანგარიშზე გაყინვამ, შესაძლოა, თბილსრესის მეცხრე ენერგობლოკის გაჩერება გამოიწვიოს. **"ეი-ი-ეს მტკვარს" არა აქვს თანხა, რომ გაზი თავისით შეიძინოს,"** – შიშობს სოლისი და პრეზიდენტს განმეორებით სთხოვს, ერთხელ და სამუდამოდ აიკრძალოს ბაზრის ანგარიშის დაყადაღება.

მოსახლეობის ნახევარზე მეტი სიღარიბის ზღვარს მიღმაა

სოფო კვინტრაძე

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტში 2002 წლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ოფიციალური მონაცემები წარმოადგინეს. დეპარტამენტის მონაცემებით, 2002 წელს საარსებო მინიმუმმა შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცისათვის 127 ლარი შეადგინა, საშუალო მომხმარებლისათვის – 112 ლარი, ხოლო საშუალო, ანუ ოთხსულიანი ოჯახისათვის 222 ლარი. საქართველოს მოსახლეობის 55 პროცენტი კი სიღარიბის ზღვარს მიღმაა. თუმცა, სტატისტიკის დეპარტამენტში აცხადებენ, რომ ეს ჯერ დაუზუსტებელი მონაცემებია. 2001 წელთან შედარებით, გასულ წელს გაიზარდა რეგისტრირებულ უმუშევართა რიცხვიც. დასაქმების სახელმწიფო სამსახურებში აღრიცხვაზეა სამუშაოს მაძიებელი 39 ათასი ადამიანი. უმუშევართა სრული რაოდენობის შესახებ დეპარტამენტი ზუსტ მონაცემებს არ ფლობს, რადგან უმუშევართა დიდი ნაწილი რეგისტრაციას თავს არიდებს. უცნობია საქართველოდან უცხოეთში წასულ ადამიანთა ზუსტი რაოდენობაც და ამის მიზეზად მოსახლეობის აღწერის დაუსრულებელ პროცესს ასახელებენ. თუმცა, წინასწარი მონაცემებით რეგისტრაცია გაიარა 4,4 მილიონმა ადამიანმა. ასე რომ, 1989 წლის მერე, სავარაუდოდ, მიგრირებულია საქართველოს ერთი მილიონი მოქალაქე.

როგორც პრესკონფერენციაზე აღინიშნა, 2002 წელს ქვეყანაში მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) 5,4 პროცენტით გაიზარდა და შვიდი მილიარდ 284 მილიონი ლარი შეადგინა. ბოლო წლებში მსგავსი ზრდა არ დაფიქსირებულა, გარდა 1997 წლისა. მაშინ მშპ წინა წელთან შედარებით 10 პროცენტით გაიზარდა. სტატისტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარის თეიმურაზ ბერიძის განცხადებით, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაში ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი ქვეყნის ეკონომიკის შემდეგ სექტორებს მიუძღვით: მრეწველობას (საქონლის წარმოება და მომსახურეობა), მშენებლობას, ტრანსპორტს და კავშირგაბმულობას. საინტერესოა, რომ ჩრდილოვანი ეკონომიკის დიდი წილიც სწორედ ამ სექტორებზე მოდის. ოფიციალური მონაცემებით, **"საქართველოს ეკონომიკის 34 პროცენტი ჩრდილშია მოქცეული"**. მათ შორის, ყველაზე რთულად გასაკონტროლებელი სასტუმროებისა და რესტორნების ბიზნესია, სადაც შემოსავლების 67-70 პროცენტი აღურიცხავია.

საინტერესო მონაცემებია საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებში. როგორც თეიმურაზ ბერიძე აცხადებს, 2002 წელს საქართველოს საგარეო ვაჭრობამ ერთი მილიარდ 45 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. აქედან 325 მილიონი არის ექსპორტი და 720 მილიონი – იმპორტი. ამდენად, 2002 წელს საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი ჰქონდა 89 პარტნიორ ქვეყანასთან და სავაჭრო დეფიციტმა 455 მილიონი დოლარი შეადგინა. თუმცა, თეიმურაზ ბერიძე აცხადებს, რომ იმპორტის სიდიდე ექსპორტთან შედარებით მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში შეინიშნება.

მოკლედ

თბილისი. „თბილგაზს“ ლიცენზია კიდევ 4 თვით - მიმდინარე წლის 1 ივნისამდე გაუგრძელდა. ასეთი გადაწყვეტილება, მიუხედავად კომპანიაში არსებული მძიმე ტექნიკური მდგომარეობისა, ენერგეტიკის ეროვნული მარეგულირებელი კომისიის (სემეკი) დღევანდელმა სხდომამ მიიღო. ამასთან, თბილისში გაზის მრიცხველების შემოწმება დაიწყო. როგორც სემეკის დღევანდელ სხდომაზე „თბილგაზის“ გენერალურმა დირექტორმა ვახტანგ ცაავამ განაცხადა, შემოწმება, რომელსაც ერთობლივად ატარებენ, „თბილგაზისა“ და „საქსტანდარტის“ მუშა-ჯგუფები, გულისხმობს მრიცხველების ხარისხის დადგენას, დახარჯული აირის აღრიცხვას და მრიცხველების ხელახალ დალუქვას, რათა შემცირდეს ჩვენების გაყალბების ფაქტები. ცაავას თქმით, შემოწმება ვაკიდან დაიწყო და უკვე მოიცვა აბონენტთა 80 პროცენტი. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. „საქართველოს რკინიგზის“ სამგზავრო მატარებლებზე დღეიდან ისევ შარშანდელი ტარიფები ამოქმედდა, - განაცხადა შპს „საქართველოს რკინიგზის“ გენერალურმა დირექტორმა აკაკი ჩხაიძემ. რკინიგზის ადმინისტრაციამ ეს გადაწყვეტილება საქართველოს მთავრობის და პარლამენტის მოთხოვნით მიიღო. როგორც აკაკი ჩხაიძემ განაცხადა, დაიწყება მშენებლობა ახალ სარკინიგზო მაგისტრალზე სამტრედია-სუფსა-ფოთის პორტი. ამის გარდა, ამ მაგისტრალზე დამატებით კიდევ 4 ათასი ადამიანი დასაქმდება. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

სოხუმი. აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელმძღვანელის ვლადისლავ არძინბას თქმით, ოფიციალური სოხუმის პოლიტიკური ნაბიჯები მიმართულია აფხაზეთის რუსეთთან ასოცირებული ურთიერთობის დამყარებისაკენ. ეს კერძოდ **"ითვალისწინებს რუსეთთან სავალუტო და საბაჟო კავშირში შესვლას, რესპუბლიკის მიერ მოსკოვთან კოორდინირებული საგარეო პოლიტიკის განხორციელებას, ასევე კოორდინირებული პოლიტიკის გატარებას თავდაცვისა და უშიშროების სფეროში". კავკას-პრესი.**

■ ■ ■

ბაქო. "უკრაინის შეიარაღებულ ძალებს შეუძლიათ უზრუნველყონ ბაქო-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო მილსადენის უსაფრთხოება", - განაცხადა ბაქოში უკრაინის თავდაცვის მინისტრმა, არმიის გენერალმა ვლადიმირ შკიდჩენკომ. აღნიშნული საკითხი შეიძლება განიხილონ სუუამ-ის თანამშრომლობის ფარგლებში. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოსა და უკრაინის სამხედრო უწყებებმა, ტექნოგენური კატასტროფების თავიდან ასაცილებლად ქართულ-უკრაინული ბატალიონის შექმნასთან დაკავშირებით შესაძლოა ახლო მომავალში კონსულტაციები დაიწყონ. **"საქართველოში ასეთი ბატალიონის შექმნის აქტუალობა დაკავშირებულია ქვეყნის ტერიტორიაზე მსხვილი ნავთობსადენისა და გაზსადენების გავლით, ასევე ევრაზიული სატრანსპორტო კორიდორით",** - თქვა უკრაინაში საქართველოს ელჩმა გრიგოლ ქათამაძემ. **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. ბაქო-თბილის-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტთან დაკავშირებით აზერბაიჯანისა და ყაზახეთის მოლაპარაკებათა მორიგი რაუნდი თებერვალში ყაზახეთში გაიმართება. ამჟამად მხარეები ამზადებენ სამთავრობათაშორისო ხელშეკრულებას ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის დაფინანსებაში ყაზახეთის ნავთობის ოპერატორების ჩართვის შესახებ. ამ დოკუმენტის გარდა, ყაზახეთის მთავრობა ამზადებს ამ ქვეყანაში მომუშავე ნავთობკომპანიებთან შეთანხმების პროექტსაც. შეთანხმების დოკუმენტების გაფორმება წლის ბოლომდე გაგრძელდება, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდება, დაზუსტდეს ბაქოს გავლით თურქეთის ხმელთაშუა ზღვის ნავსადგურ ჯეიჰანში საექსპორტო ყაზახური ნავთობის კონკრეტული მოცულობა. **მედია-ნიუსი.**

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ
2003 26 იანვარი - 1 თებერვლის მდგომარეობით



მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები		UK£	US$	€uro	¥en
	UK£		0.6038	0.6535	0.0051
	US$	1.6568		1.0823	0.0084
	€uro	1.5303	0.9239		0.0078
	¥en	197.21	119.07	128.84	

ბიუჯეტის 70 პროცენტი ბიუროკრატების შენახვას ხმარდება

ეკონომიკის მინისტრი კი 2002 წლის შედეგებით კმაყოფილია

პირველი გვერდიდან

ახალგაზრდა ფინანსისტები

გუშინვე საქართველოს ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციამ "საქართველოს გადამხდელთა კავშირის" ოფისში შეხვედრა გამართა და 2003 წლის იანვრის ბიუჯეტის შესრულება მკაცრად გააკრიტიკა. **"კანონი ახლახან დამტკიცდა, იანვრის ბიუჯეტი კი უკვე გაირღვა,"** – განაცხადა ასოციაციის პრეზიდენტმა ტარიელ გიორგაძემ. მთავრობამ იანვრის ბიუჯეტი, რეალურად, 44 მილიონ ლარიანი გარღვევით რომ დაასრულა, ახალგაზრდა ბიზნესმენები ქვეყანაში ეკონომიკური პოლიტიკის უქონლობით ხსნიან. მათი გათვლებით, ნორმალური ადმინისტრირების პირობებში, სახელმწიფო ბიუჯეტში 2-2,5 მილიარდი ლარის მობილიზებას შესძლებდა, თუმცა ამას არასწორი დაგეგმვა და ადმინისტრირება უშლის ხელს.

ეკონომიკის მინისტრის გიორგი გაჩეჩილაძის ინფორმაციით, ეკონომიკაში მიღწეული შედეგები ყველაზე ნაკლებად სოციალურ სექტორზე აისახება. მინისტრის განცხადებით, უკეთესი შედეგების მიღებას გარკვეულად ობიექტურმა მიზეზებმაც შეუშალა ხელი. ასეთ ობიექტურ მიზეზად ჩრდილოვანი სექტორი დაასახელა და მაგალითად მშენებლობის სექტორი მოიყვანა. **"აღნიშნული პრობლემიდან გამომდინარე, ჩვენი მთავარი პრიორიტეტია ყველა ასეთი დარგის ლეგალიზაცია, ამისთვის კი მნიშვნელოვანი რეფორმებია გასატარებელი",** - დასძინა ეკონომიკის მინისტრმა. იგი იმედოვნებს, რომ 2003 წელს ეკონომიკური განვითარების ზრდის მაჩვენებელი კი არ იკლებს, არამედ მოიმატებს. ასეთი ვარაუდის ერთ-ერთ საფუძვლად მან ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის განხორციელების დაწყება დაასახელა.

ამავდროულად, ახალგაზრდა ფინანსისტთა ასოციაცია საქართველოს სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის მქონე სახელმწიფოდ არ მიიჩნევს, რადგან ბიუჯეტის 70 პროცენტი ბიუროკრატიული აპარატის შენახვას ხმარდება. **"ეს ქვეყანა საკუთარი ბიუჯეტით, ფაქტობრივად, აკანონებს სოციალურ უთანასწორობასა და კრიზისს,"** – აცხადებენ ახალგაზრდა ფინანსისტები და ფინანსთა სამინისტროს ბიუჯეტის დაგეგმვისა და ადმინისტრირებისას დაშვებულ იმ შეცდომებზე მიუთითებენ, რომელთაც ბიუჯეტის გარღვევა, პრაქტიკულად, დამტკიცებისთანავე გამოიწვიეს.

ისევ დეპოში...

აკაკი ჩხაიძეზე უკვე "დოკუმენტურ" ფილმებსაც ქმნიან

ნინო ნარჩემაშვილი

მარე გელაშვილის ნახატი

"საქართველოს რკინიგზის მწყობრიდან გამოყვანის მიზნით მიზანმიმართული და შეგნებული კამპანია მიმდინარეობს. მე ვფიქრობ, რომ ამ პროცესების სათავე სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ისა და გადაცემა "60 წუთის" მიერ ჩემს წინააღმდეგ მომზადებული მასალებიდან მოდის. რკინიგზას ებრძვიან და ვიღაცას მზამზარეული, გამართული კომპანიის ხელში ჩაგდება უნდა," – განაცხადა ჟურნალისტთა სახლში გამართულ პრესკონფერენციაზე შპს "საქართველოს რკინიგზის" გენერალურმა დირექტორმა, აკაკი ჩხაიძემ. ის დარწმუნებულია, რომ რკინიგზა საქართველოში გამართულად მუშაობს და სარკინიგზო ობიექტებიც საიმედოდ არის დაცული. კანონმდებლობის შესაბამისად, დაცვა თურმე მხოლოდ 100 მეტრზე მეტი სიგრძის ხიდებზე ხორციელდება. ხოლო, სამტრედიის რაიონის სოფელ ვაზისუბანთან მომხდარი ავარიის ადგილას ხიდის სიგრძე 75 მეტრია. ასე რომ, ობიექტი დაუცველი გახლდათ და პასუხიც არავის მოეთხოვება. აკაკი ჩხაიძე ამ ავარიას, რომლის დროსაც სამი ცისტერნა ნავთობი მდინარე ცხენისწყალში ჩაიღვარა, ხოლო მიყენებულმა ზარალმა 100 ათასი ლარი შეადგინა, დივერსიად მიიჩნევს. მისი თქმით, ავარიასთან დაკავშირებით ბევრი საეჭვო ფაქტი არსებობს: **"თუნდაც თვითმხილველის ჩვენება, რომ ავარიის ადგილის მიდამოებში უცნობი პირი იქნა შემჩნეული."** "საქართველოს რკინიგზის" გენერალური დირექტორის განცხადებით, გასულ წელს საქართველოს რკინიგზაზე არც ერთი ავარია არ დაფიქსირებულა. მიმდინარე წლის იანვარში კი, უკვე ზედიზედ ორი ინციდენტი მოხდა და ყოველივე ეს, მართლაც, საფუძვლიან გამოკვლევას საჭიროებს (შსს მინისტრის, კობა ნარჩემაშვილის ინფორმაციით, ექსპერტთა წინასწარი ანალიზით, დივერსია არ დასტურდება).

პრესკონფერენციის დასასრულ ნაჩვენები იყო მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო ფილმი, რომლის შემქმნელიც საქართველოს პრეზიდენტის მთავარი კონსულტანტი საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და მასმედიასთან ურთიერთობის საკითხებში, გია ლომაძე გახლავთ. ამ უკანასკნელმა "საქართველოს რკინიგზის" გენერალური დირექტორის საქმიანობა, გადაცემა "60 წუთის" საპირისპიროდ, ძალზე დადებითად ასახა.

"კავკასიონს" ფულის გამომძალველი დივერსანტები ემტერებიან

სანამ საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი დავით მირცხულავა კავკასიის ქვეყნების ერთიანი ენერგოსისტემის შექმნაზე ოცნებობს, რუსეთთან დამაკავშირებელ 500 კილოვოლტიან ელექტროგადამცემ ხაზ "კავკასიონს" დივერსანტები ემტერებიან. "რაც მე მეკუთვნის, ხელი არ შეახოთ, თორემ სისხლის დაღვრა მოხდება. 10 ათასს თუ არ გადაიხდით, მანამდე ტყვილა იმუშავებთ ყველა!" – ამ შინაარსის წერილებს "კავკასიონის" მეპატრონე "საქრუსენერგო" უკვე დიდი ხანია, სისტემატურად იღებს. "კავკასიონის" ნორმალური მუშაობის საზღაურად ანონიმი ავტორები ხან 10 ათას, ხან 100 ათას, ხან კი მილიონ ლარს ითხოვენ.

მაია ურუშაძე

როგორც წესი, წერილებს საქმეც მოჰყვება ხოლმე და საქართველო პერიოდულად რუსული ელექტროენერგიის გარეშე რჩება. ამჯერად, ხიდას უღელტეხილის მისადგომებთან, სოფელი ლახამში, დაუდგენელმა პირებმა "კავკასიონის" ერთ-ერთ ანძაზე იზოლატორები დაამტვრიეს. "საქრუსენერგოს" გენერალური დირექტორი შოთა მაისურაძე იმედოვნებს, რომ "კავკასიონი" დღეს ჩაირთვება. მისივე განცხადებით, ამ ტერიტორიაზე ხაზის დაცვა, პრაქტიკულად, შეუძლებელია. ეს კი ნიშნავს, რომ მსგავს სიურპრიზებს, მინიმუმ, დამნაშავეების გამოვლენამდე და დაკავებამდე უნდა ველოდოთ.

დამნაშავეების გამოვლენაზე ხმამაღლა საუბარს კი "საქრუსენერგოში", ანონიმი დივერსანტების გაღიზიანების შიშით, დღემდე ვერ ბედავენ. ხუმრობა ხომ არ არის, კარაბინიდან ერთი ზუსტი გასროლის წყალობით "საქრუსენერგოს" ბრიგადებს ორი-სამი დღე მუხლჩაუხრელი შრომა უწევთ. **"ხაზი არ აღადგინოთ, ყოველ წამს შეგვიძლია ლეშად გაქციოთ!"** – ასეთი შინაარსის მუქარით აღსავსე წერილების ფონზე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართულ-რუსული კომპანია აღდგენით სამუშაოებს სასიცოცხლო რისკის ფასად აწარმოებს.

თუმცა, "უცნობი დივერსანტების" ვინაობის შესახებ რამდენიმე ვერსია არსებობს. ერთი მათგანის მიხედვით, ისინი "რუსეთის გაერთიანებულ ენერგოსისტემაზე" "მუშაობენ", ვინაიდან რემონტების საფასურს რუსეთი იხდის. შემდეგ კი, ამ თანხის ერთობლივი საწარმოს "საქრუსენერგოს" საწესდებო კაპიტალში თავის წილად ჩათვლას (ანუ გაზრდას) მოითხოვს. მეორე ვერსიით, "თოფიანი კაცები" მხოლოდ "საქრუსენერგოსთან" არიან "შეკრული" და "კავკასიონის" რემონტისთვის გამოყოფილი თანხებიდან მათაც პატარა ლუკმას არგუნებენ ხოლმე. არის მესამე ვერსიაც, რომლის მიხედვითაც "კავკასიონს" სადენების ქვეშ მცხოვრები მოსახლე ცხრილავს, ვინაიდან მას უსაფრთხო ადგილას გადასახლებისთვის საჭირო თანხას არ აძლევენ.

ასეა თუ ისე, საქართველოს ენერგეტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი არტერიის, ასეთ ხშირ და უცნაურ დაზიანებებთან დაკავშირებით უშიშროების სამინისტრო კომენტარს ვერ აკეთებს. ფაქტი კი ფაქტად რჩება – პერიოდულად საქართველო სასიცოცხლო მნიშვნელობის, 300-350 მეგავატის სიმძლავრის ელექტროენერგიის გარეშე რჩება.

"ახალი ქსელები" სააბონენტო გადასახადს ზრდის

20 თებერვლიდან "ახალი ქსელების" აბონენტებს ორ ლარამდე გაზრდილი სააბონენტო გადასახადის გადახდა მოუწევთ. ამის მიზეზი კომპანიასა და "საქართველოს ელექტროკავშირს" შორის გაფორმებული ახალი ხელშეკრულებაა, რომლის თანახმადაც, 1 თებერვლიდან "ახალი ქსელებს" "ელექტროკავშირის" სააბონენტო წყვილების გამოყენება თითქმის ხუთჯერ ძვირი დაუჯდება.

გვანცა კვინიკაძე

სააბონენტო გადასახადი გაიზრდება როგორც ორგანიზაციებისთვის, ასევე ინდივიდუალური აბონენტებისთვისაც. სამაგიეროდ, უცვლელი რჩება ყოველთვიური 300-წუთიანი უფასო ლიმიტი და ლიმიტის ამოწურვის შემდეგ თითოეულ წუთზე ორთეთრიანი (ღამის საათებში - ერთთეთრიანი) გადასახადი. "ახალი ქსელების" მარკეტინგისა და დაგეგმარების განყოფილების უფროსის მზია კაპანაძის განცხადებით, "ახალი ქსელები" 1997 წლიდან ინარჩუნებდა ერთლარიან სააბონენტო გადასახადს, მაგრამ ახლა იძულებული გახდა, გაეზარდა სააბონენტო გადასახადი, რადგან იგი თითქმის 75 პროცენტით იყენებს "საქართველოს ელექტროკავშირის" სააბონენტო წყვილებს.

"საქართველოს ელექტროკავშირის" ფინანსური დირექტორის მერაბ კანკავას განცხადებით, სააბონენტო წყვილების გამოყენების საფასურის ზრდა "კავშირგაბმულობის შესახებ" კანონის საფუძველზე მოხდა, რომლის თანახმადაც, 2003 წლიდან სატელეკომუნიკაციო მომსახურების საფასური თვითღირებულების გათვალისწინებით უნდა წესდებოდეს. კანკავას თქმით, ელექტროკავშირმა კავშირგაბმულობის მარეგულირებელი კომისიის მონაწილეობით ჩაატარა გათვლები და სააბონენტო წყვილების გამოყენების საშუალო ფასი - 2.30 ლარი დაადგინა. მანამდე ეს თანხა 40 თეთრს შეადგენდა.

მზია კაპანაძის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ "ელექტროკავშირისთვის" თითოეულ წყვილში გადასახდელი თანხა ორ ლარს აღემატება, "ახალი ქსელები" მაინც ორლარიან სააბონენტო გადასახადს აწესებს და 30-თეთრიანი სხვაობის დაფარვას საკუთარი, შიდა რესურსებით აპირებს. მისი აზრით, "ელექტროკავშირის" საკაბელო მეურნეობისგან თავის დაღწევა პარალელური საკაბელო ქსელის მშენებლობას ნიშნავს. ეს კი "ახალი ქსელებისთვის" ნაკლებად გამართლებული იქნება. თუმცა, კომპანიას საკუთარი ქსელი ვარკეთილსა და დიდ დიღომში უკვე გააჩნია.

სააბონენტო გადასახადის ზრდა თბილისში 75 ათას აბონენტს შეეხება. "ახალ ქსელებს" აბონენტები ქუთაისსა და ფოთშიც ჰყავს.

ზაკაევის საქმის განხილვა ორი კვირით გადაიდო

გუშინ აჰმედ ზაკაევის ექსტრადიციის თაობაზე ლონდონის სასამართლოში საქმის განხილვა განახლდა, - იუწყება რუსული ტელეკომპანია "ნტვ".

სხდომის მსვლელობისას ბრალმდებელმაც და დაცვის მხარემაც პროცესისათვის შესაბამისი მასალების მოსამზადებლად ორი კვირა მოითხოვა.

ახლა ზაკაევი კვლავ თავდებით არის გათავისუფლებული და მისი პასპორტი პოლიციაში ინახება.

სასამართლოში საქმე მას შემდეგ განახლდა, რაც დიდი ბრიტანეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა დევიდ ბლანკეტმა ზაკაევის ექსტრადიციის პროცესის დასაწყებად განკარგულებას მოაწერა ხელი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ახლა ზაკაევის ექსტრადირება მხოლოდ სასამართლოზეა დამოკიდებული. ასლან მასხადოვის წარმომადგენლის გადაცემა რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ მოითხოვა.

ბრიტანეთის ხელისუფალთა განცხადებით, პროცესის დაწყება იმას არ ნიშნავს, რომ რუსების მიერ წარმოდგენილი მასალები მათ საკმარის მტკიცებულებად მიიჩნიეს.

რუსეთის იუსტიციის მინისტრი იური ჩაიკა თვლის, რომ ბრიტანეთის ხელისუფლებას ყველანაირი საფუძველი აქვს, რათა ასლან მასხადოვის ემისარი რუსეთის ხელისუფლებას გადასცენ. "(ბრიტანეთის ხელისუფლების) გადაწყვეტილება იმას ნიშნავს, რომ ბრიტანულმა მხარემ ჩვენი მოსაზრება გაიზიარა. ინგლისში მიხვდნენ, რომ არ არსებობენ "ჩვენი" და "სხვისი" ტერორისტები", - აღნიშნა ჩაიკამ "ნტვ"-სთან საუბრისას.

აჰმედ ზაკაევი და ვანესა რედგრეივი სასამართლოს დაწყების წინ.
REUTERS

თავად აჰმედ ზაკაევი თავის შესაძლო ექსტრადიციაში მხოლოდ პოლიტიკურ მოტივაციას ხედავს. "ძნელი სათქმელია, როგორ პოზიციას დაიკავებს ბრიტანეთის ხელისუფლება. მათ შეუძლიათ, ზეწოლა განახორციელონ სასამართლოზე ან დანიის მაგალითს მიბაძონ და პროცესი დაუყოვნებლივ შეაჩერონ", - განაცხადა ზაკაევმა გაზეთ "კომერსანტისათვის" მიცემულ ინტერვიუში.

"მე აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, ადვოკატები შეძლებენ სასამართლოს დარწმუნებას, რომ ჩემი საქმე მთლიანად პოლიტიკურ ხასიათს ატარებს", - დასძინა მან.

ცნობილმა ბრიტანელმა მსახიობმა ვანესა რედგრეივმა, რომლის დახმარებითაც ზაკაევი თავდებით გამოუშვეს, "ეხო მასკვისათვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ "პროცესი ჯერ კიდევ არ დასრულებულა და აჰმედ ზაკაევის ექსტრადირებას არსად არ აპირებენ". მისი მტკიცებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილება მხოლოდ და მხოლოდ საკითხის უახლოეს მომავალში გადაწყვეტას ისახავს მიზნად.

"24 საათი"

აშშ, რუსეთი და ირანი: მომავალი კრიზისი

ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამების თაობაზე შეუთანხმებლობის, ანტიტერორისტული კამპანიისა და ერაყის წინააღმდეგ შესაძლო ომის ფონზე, უკვე ჩანს, რომ აშშ-რუსეთს შორის ურთიერთობებში კრიზისია მოსალოდნელი. სავარაუდოა, აგრეთვე, ევრაზიაში რუსეთს, აშშ-ს, ირანსა და თურქეთს შორის არსებული მყიფე გეოპოლიტიკური წონასწორობის დარღვევაც. ირანის ბირთვული შეიარაღების პროგრამა აშშ-რუსეთის ურთიერთობებს უეჭველად დაძაბავს და შესაძლოა, დაპირისპირების ესკალაციაც გამოიწვიოს კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში. საქართველოსა და აზერბაიჯანის სუსტი სახელმწიფო ინსტიტუტებისა და ხელისუფლების მოახლოებული ცვლილებები, ავტორიტარული რეჟიმების არსებობა აშხაბადიდან ბიშკეკამდე, რეგიონული და საერთაშორისო მონაწილეების დაპირისპირებასა და დესტაბილიზაციას რეალურს ხდის.

არიელ კოენი
"ცენტრალური აზია-კავკასიის" ანალიტიკოსი

გასული წლის დეკემბერში მედიაში გამოჩნდა თანამგზავრიდან გადაღებული სურათი, რომელზეც აღბეჭდილი იყო ორი გასაიდუმლოებული შენობა ირანში, რომლებიც, სავარაუდოდ, ურანის გასამდიდრებლად გამოიყენება. სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალი თანამდებობის პირების განცხადებით, ირანი ბირთვული შეიარაღების პროგრამაზე აქტიურად მუშაობს. სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა რიჩარდ ბაუჩერმა განაცხადა, რომ არაკასა და ნათანცში ბირთვული რეაქტორების მშენებლობას ირანის ენერგეტიკული მოთხოვნილებები ვერ ამართლებს. ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს თავმჯდომარემ მოჰამად ელ-ბარადეიმ ინტერვიუში განაცხადა, რომ ურანის გასამდიდრებელ რეაქტორებს შეეძლებათ, ატომური ბომბებისათვის გამდიდრებული ურანი აწარმოონ. ამას გარდა, ბაუჩერის თქმით, ირანს აქვს საშუალება, გაცილებით მეტი ელექტროენერგია აწარმოოს საკუთარი გაზის რეზერვების ხარჯზე, ვიდრე ეს ბირთვული რეაქტორების დაგეგმილი სიმძლავრეებით არის გათვალისწინებული.

მართლაც, ირანს იმდენი გაზი აქვს, რომ არც კი იცის, სად წაიღოს. ვინაიდან თურქეთში გაზის ექსპორტირების პროექტი არც თუ ისე წარმატებული გამოდგა, ახლა თეირანი პაკისტანის და, სავარაუდოდ, ინდოეთის მიმართულებითაც მილსადენის აშენებას გეგმავს. თუმცა, გაზსადენის იდეა თაროზე შემოდებული დარჩება მანამ, სანამ ისლამაბადსა და დელის შორის ურთიერთობები დაძაბული იქნება. აღსანიშნავია, რომ თურქმენეთმა ახლახან ხელი მოაწერა მემორანდუმს, რომლის თანახმად აშხაბადი, ავღანეთის გავლით, გაზსადენის აშენებას აპირებს პაკისტანისაკენ. როგორც ჩანს, ამ პროექტს შეერთებული შტატები გაცილებით აქტიურად დაუჭერს მხარს, ვიდრე ირანულ მილსადენს, - აღნიშნა ამერიკელმა მაღალჩინოსანმა. ამდენად, რუსეთის მიერ აშენებული, 800 მილიონ ამერიკულ დოლარად შეფასებული ბუშერის ბირთვული რეაქტორი და უახლოეს მომავალში დაგეგმილი ორი პროექტის განხორციელება არც ეკონომიკურად არის დასაბუთებული და დამაჯერებლობაც აშკარად აკლია.

ირანის წარმომადგენლები გულმოდგინედ უარყოფენ, რომ ბირთვულ რეაქტორებს სამხედრო მიზნებით გამოიყენებენ და აცხადებენ, რომ მათ აღნიშნული პროგრამების თაობაზე ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს აცნობეს (მხოლოდ მას შემდეგ, რაც თანამგზავრიდან გადაღებული სურათები გამოქვეყნდა). ირანის განცხადებით, სააგენტოს წარმომადგენლებს თებერვალში მიიწვევენ. ირანის ატომური ენერგიის პროგრამის ხელმძღვანელმა ღოლამრეზა აღაზადემ ელ-ბარადეის აცნობა, რომ ამჟამად 6000-მეგავატიანი რეაქტორის მშენებლობა მიმდინარეობს. გაერო-ში ირანის ელჩმა მოჰამად ჯავად ზარიფმა თავი შეიკავა ახალი რეაქტორის კონკრეტულ ფუნქციებზე საუბრისაგან. მისი თქმით, ირანის ყველა ბირთვული საქმიანობა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას შეესაბამება.

რუსეთის ბირთვული ინდუსტრიის მინისტრმა ალექსანდრე რუმიანცევმა, რომელმაც გასული წლის დეკემბერში ირანი მოინახულა, თეირანის ადვოკატის როლი ითავა. "ირანი ბირთვულ ენერგიას მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებით გამოიყენებს... აქ ბირთვული იარაღის შესაქმნელად ან ბირთვული ტექნოლოგიების გასავითარებლად პროგრამები არ არსებობს", - განაცხადა რუმიანცევმა. თუმცა, მას გაუჭირდა აეხსნა, რატომ არ აწერს ხელს ირანი რუსეთთან ხელშეკრულებას, რომლის თანახმად გამოყენებული საწვავი ხელახლა გადასამუშავებლად რუსეთში დაბრუნდება. სავარაუდოდ, ამერიკელების მოსაზრება სიმართლეს შეესაბამება და მოსკოვმა ირანს ურანის გასამდიდრებელი ტექნოლოგია უკვე მიჰყიდა. მათი სამხედრო მიზნებით გამოყენება კი სავსებით შესაძლებელია.

ჩრდილოეთ კორეის მაგალითი ცხადყოფს, როგორ შეიძლება ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებიდან უეცრად გამოსვლა და საერთაშორისო ისპექტორების ქვეყნიდან გაძევება, რაც დიდ სახელმწიფოებს ახალ თავსატეხს უჩენს. დაზვერვის ექსპერტების აზრით, ეს არის გზა, რომელიც ირანის ხელმძღვანელობამ, დიდი ხანია, აირჩია. რუსეთი, ერთი მხრივ, აცხადებს, რომ მხარს უჭერს შეერთებულ შტატებს ტერორიზმის წინააღმდეგ ომში, ამავდროულად, ირანისათვის ბირთვული იარაღის მიწოდებით, მოსკოვი ასეულობით მილიონი დოლარის ჩაჯიბვას ცდილობს.

ბუშის ადმინისტრაცია უქმად ყოფნას არ აპირებს მაშინ, როდესაც თეირანში არსებული რეჟიმი თავის პირველ ბირთვულ რეაქტორს აშენებს. რუსეთ-ამერიკის თანამშრომლობა ტერორიზმის წინააღმდეგ ომში, შესაძლოა, ახალ დაპირისპირებას შეეწიროს. ამ ვითარების კიდევ ერთი მსხვერპლი კი, შეიძლება, კავკასიაში არსებული ამჟამინდელი გეოპოლიტიკური modus vivendi გახდეს. დღეს ვაშინგტონი და მოსკოვი, სიტყვიერად მაინც, შეთანხმებულები არიან "ალ-ქაიდას" ელემენტების განადგურებაზე პანკისის ხეობაში, საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული ურღვეობის თაობაზე, კასპიური ნავთობის მშვიდობიან მოპოვებასა და ცენტრალურ აზიაში ნატო-ს ჯარების განლაგებაზე. აშშ-სა და რუსეთს ერთნაირად არ უყვართ თურქმენბაში და სურთ ისეთი ექსტრემისტული დაჯგუფებების საქმიანობის აღკვეთა ცენტრალურ აზიაში, როგორებიცაა უზბეკეთის ისლამური მოძრაობა და ჰიზბ-უტ თაჰრირი.

რუსეთ-აშშ-ს ახალი დაპირისპირება (თუ მოხდა) რუსეთის უფრო აგრესიულ ჩარევას გამოიწვევს ძალაუფლებისათვის მიმდინარე ბრძოლაში საქართველოსა და აზერბაიჯანში. ედუარდ შევარდნაძისა და ჰეიდარ ალიევის პოლიტიკური სცენიდან წასვლის შემდეგ, მოსკოვი, შესაძლოა, ირანის მხარდაჭერით, აზერბაიჯანში ანტიამერიკულად განწყობილი კანდიდატების მოყვანას შეეცადოს. ამიტომ აუცილებელია, რომ შეერთებულმა შტატებმა კორეის კრიზისის თანამშრომლობის გზით მოგვარების მოდელი გამოიმუშავოს, რათა მომავალში ირანის ბირთვული შეიარაღების გაცილებით უფრო რთულ დილემას გაუმკლავდეს. ჩრდილოეთ კორეის კრიზისთან დაკავშირებით ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის ნაყოფიერი ურთიერთობების განვითარებამ, შესაძლოა, ხელი შეუწყოს მძაფრი დაპირისპირების თავიდან აცილებას, რაც ირანის მიმართ რუსეთის პოლიტიკამ შეიძლება გამოიწვიოს.

ერაყში ომამდე რამდენიმე კვირა რჩება

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა და მისმა სტრატეგიულმა მოკავშირემ, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ერაყის საკითხზე ევროპის ქვეყნების ლიდერებთან გაცხოველებული კონსულტაციები გამართეს. გუშინ კი ტონი ბლერი თავად ამერიკის პრეზიდენტს ეწვია. კემპ-დევიდში ორი ქვეყნის ლიდერების შეხვედრას დამკვირვებლებმა "სამხედრო საბჭო" უწოდეს.

ჯორჯ ბუში და სილვიო ბერლუსკონი.
REUTERS

ლევან ღირსიაშვილი

მანამდე კი აშშ-ს ლიდერმა იტალიის პრემიერ-მინისტრი მიიღო, ხოლო ტონი ბლერი თავის ესპანელ კოლეგას - ხოსე მარია ასნარს ეწვია მადრიდში. თეთრ სახლში სილვიო ბერლუსკონისთან გამართულ შეხვედრაზე ჯორჯ ბუშის მიერ გაკეთებული განცხადების თანახმად, აშშ-ს იმედი აქვს, რომ "თავისუფალი სამყაროს ზეწოლა" საბოლოოდ ჰუსეინს პოსტიდან გადადგომის აუცილებლობაში დაარწმუნებს. თუმცა, ერაყის განიარაღება მაინც უპირველეს და უმთავრეს მიზნად რჩება. ამასთანავე, პრეზიდენტი ბუში აცხადებს, რომ არ შეიძლება, ერაყის კონფლიქტის დიპლომატიური გზებით მოგვარება უსასრულოდ გაგრძელდეს. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ პოლიტიკური საშუალებებით კონფლიქტის გადაჭრას ის თვეების განმავლობაში ვერ დაელოდება და მხოლოდ რამდენიმე კვირის ვადას იძლევა.

შეერთებული შტატების ლიდერი თავის უცხოელ კოლეგებთან და საგარეო საქმეთა მინისტრებთან კონსულტაციების ბოლო რაუნდს იწყებს. სადამ ჰუსეინის შესაძლო გადადგომის საკითხი კი საუდის არაბეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან საუდ ალ-ფაიზალთან კონსულტაციების დროს განიხილება. როგორც ცნობილია, იანვრის შუა რიცხვებში საუდის არაბეთმა ერაყის ლიდერისათვის თავშესაფრის გამოძებნის გზით ომის თავიდან აცილების იდეა წამოაყენა. ეს კი დიდი ომის არდაწყების ბოლო შანსს წარმოადგენს. საუდელ ლიდერებთან შეხვედრამდე აშშ კონსულტაციებს ევროპასთან აწარმოებს.

აშშ-ს ლიდერის საგარეოპოლიტიკური პოზიციები კიდევ უფრო განამტკიცა ევროპის რვა სახელმწიფოს ლიდერების ერთობლივმა დეკლარაციამ ერაყის საკითხში აშშ-სადმი მხარდაჭერისა და სოლიდარობის გამოცხადების თაობაზე. ამის შესახებ დეტალურად "24 საათის" გუშინდელი ნომერი იუწყებოდა. თეთრი სახლის მიერ გაკეთებულ საპასუხო განცხადებაში კი ნათქვამია: **"პრეზიდენტი ბუში ამაყად გრძნობს თავს ასეთი გავლენიანი ლიდერების გვერდით და აცნობიერებს, რომ ამერიკის პოლიტიკას მრავალი მხარდამჭერი ჰყავს."**

თეთრი სახლის პრეს-მდივანმა არი ფლეიშერმა კი თავის განცხადებაში გერმანიისა და საფრანგეთის ლიდერებისა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტის ნელსონ მანდელას პოზიციები მკაცრად გააკრიტიკა. ამ უკანასკნელმა რამდენიმე ხნის წინ განაცხადა, რომ ჯორჯ ბუშის მთელი მცდელობა მხოლოდ ერთ მიზანს – ერაყის ნავთობის ხელში ჩაგდებას ემსახურება. აღსანიშნავია, რომ, საფრანგეთისა და გერმანიის ლიდერების გარდა, რვა ევროპელი ლიდერის დეკლარაციას ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანა - საბერძნეთიც გამოეხმაურა. პრემიერ-მინისტრმა კოსტას სიმიტისმა განაცხადა, რომ აღნიშნული დეკლარაცია ერაყის საკითხის მიმართ ერთიან ევროპულ პოზიციას არ გამოხატავს.

ერთი სიტყვით, ერაყის საკითხი, შეიძლება ითქვას, უკვე გადაწყვეტილია. თუ ჰუსეინი არ გადადგება, რაც ალბათ უტოპიის სფეროს განეკუთვნება, აშშ ბაღდადის წინააღმდეგ მასშტაბურ სამხედრო აქციას დაიწყებს. ვაშინგტონს გაერო-ს ნებართვა ამისათვის აღარ სჭირდება. დამკვირვებელთა თქმით კი, ბლერისა და ბუშის შეხვედრიდან ერაყში ომის დაწყებამდე უკვე ერთი ნაბიჯი რჩება.

"ალ-ქაიდამ" "ბინძური ბომბი" შექმნა

საერთაშორისო ტერორისტულ ქსელ "ალ-ქაიდას" ე.წ. "ბინძური ბომბი" (ბომბი, რომელსაც აფეთქების შემდეგ რადიაქტიური გამოსხივების უნარი აქვს, მაგრამ მასშტაბურ ნგრევას არ იწვევს) უკვე გააჩნია. ამის შესახებ სააგენტო "ბი-ბი-სი" დიდი ბრიტანეთის ხელისუფლების წარმომადგენლებზე დაყრდობით იტყობინება. სააგენტოს მონაცემებით, ტერორისტებმა ბომბი ავღანეთში თალიბების დახმარებით შექმნეს. "ალ-ქაიდასთვის" რადიოაქტიური მასალების შეძენა სწორედ "თალიბანის" ლიდერებმა მოახერხეს. ეს სენსაციური ინფორმაცია ბრიტანეთის სადაზვერვო სამსახურის თანამშრომლებმა მოიპოვეს, რომლებმაც "ალ-ქაიდას" ორგანიზაციაში აგენტების შეგზავნა და ტერორისტთა საწვრთნელ ბანაკებში შეღწევა შეძლეს.

როგორც გაირკვა, ბინ ლადენის მიერ კონტროლირებადი "ალ-ქაიდა" მასობრივი განადგურების იარაღის შექმნაზე დიდი ხანია მუშაობს. 1999 წლიდან ეს ორგანიზაციის მთავარ მიზნად იქცა.

ბრიტანეთის სპეცსამსახურის მონაცემებით, "ბინძური ბომბი" ავღანეთის დასავლეთში მდებარე ქალაქ ჰერატში მდებარე ლაბორატორიაში შეიქმნა. დაზვერვის მიერ მოპოვებული მასალები და მონაცემები, შემდგომი ანალიზისა და შესწავლისათვის, პორტონ დაუნის ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის კვლევის ცენტრში გადაიგზავნა. ცენტრის სპეციალისტებმა დაასკვნეს, რომ "ალ-ქაიდას" ტერორისტებმა "მცირე ბინძური ბომბის" შექმნა შეძლეს.

აღსანიშნავია, რომ ამერიკელები ჯერ კიდევ 2001 წელს აკეთებდნენ გამაფრთხილებელ განცხადებებს იმის თაობაზე, რომ პაკისტანელი სწავლულები, რომლებიც ბირთვული იარაღის შექმნაში მონაწილეობდნენ, 2001 წელს ოსამა ბინ ლადენსა და "თალიბანის" ლიდერს მოლა ომარს შეხვდნენ და გადასცეს ინფორმაცია ბომბის შესაქმნელად რადიაქტიური ნივთიერებების გამოყენების ტექნოლოგიის შესახებ. ამის შემდეგ კი ცნობილი გახდა "ალ-ქაიდას" ერთ-ერთი წარმომადგენლის განცხადება, რომლის თანახმადაც ბინ ლადენის ტერორისტებმა გარკვეული რადიაქტიური ნივთიერების ხელში ჩაგდება მოახერხეს.

ამჟამად უკვე ბრიტანეთის დაზვერვამ მოიპოვა მრავალი დამამტკიცებელი მასალა, რომლის თანახმადაც "ალ-ქაიდა" მხოლოდ კვლევით სამუშაოებს კი არ ატარებდა, თავის წევრებს ასწავლიდა კიდეც, თუ როგორ უნდა მიაყენონ "ბინძური ბომბის" გამოყენებით ობიექტს მაქსიმალური ზიანი. ამის შესახებ ინფორმაციას ბრიტანული სპეცსამსახურები ავრცელებენ.

აღსანიშნავია, რომ მჭიდროდ დასახლებული ქალაქის ცენტრში აფეთქებული "ბინძური ბომბი" ბირთვული ბომბის მსგავს მასშტაბურ ნგრევას არ იწვევს. აფეთქების დროს ის ჰაერში იშლება და რადიოაქტიურ ნივთიერებებს მიმოფანტავს. იგი იმით არის საშიში, რომ მისი აფეთქების შემდეგ ტერიტორია წლების მანძილზე სიცოცხლისათვის გამოუსადეგარი ხდება.

ბრაზილიაში "ნულოვანი შიმშილის" პროგრამა დაიწყო

ბრაზილიის ახალმა პრეზიდენტმა ლუიშ იგნასიო ლულა და სილვამ ქვეყანაში შიმშილთან ბრძოლის მიზნით შექმნილი პროგრამის დაწყების შესახებ გააკეთა განცხადება. პროგრამა, რომლის დაწყების საზეიმო ცერემონიალსაც 500 სტუმარი ესწრებოდა, თავად ლულამ წარადგინა. აღნიშნული პროგრამა, საქველმოქმედო ორგანიზაციების დახმარების გარეშე, დღეში სამჯერ ყველა უქონელი ბრაზილიელის გამოკვებას ითვალისწინებს. თავის რადიკალურ პროგრამას მემარცხენე და ანტიგლობალისტური შეხედულებებით ცნობილმა პრეზიდენტმა "ნულოვანი შიმშილი" უწოდა.

ლულა და სილვა ერთმნიშვნელოვნად აცხადებდა, რომ ქვეყანაში შიმშილის აღმოფხვრა მისი პრეზიდენტობის მთავარ ამოცანას წარმოადგენს.

"ნულოვანი შიმშილის" პროგრამის დაწყების ცერემონიალს ქვეყნის წამყვანი პოლიტიკური ლიდერები, სასულიერო პირები და სხვა საზოგადო მოღვაწეები ესწრებოდნენ.

"ამიერიდან მე მოვუწოდებ ყველას, უახლოესი ოთხი წლის განმავლობაში წარმართონ მუშაობა იმ მიზნით, რომ ბრაზილიამ თავიდან მოიცილოს ნაციონალური სირცხვილი – შიმშილი. ჩვენ უნდა დავამარცხოთ შიმშილი, უთანასწორობა და ტანჯვა. ჩვენ ვაცხადებთ ომს არა იმისათვის, რომ მოვკლათ, არამედ იმისათვის, რომ ვიხსნათ უამრავი ადამიანის სიცოცხლე," - განაცხადა პროგრამის გახსნაზე პრეზიდენტმა. მან თავის გამოსვლაში ასევე პასუხი გასცა იმ ოპონენტებს, რომლებიც აცხადებენ, რომ "ნულოვანი შიმშილი" მხოლოდ სიპმტომებს ებრძვის და არა ამ პრობლემის გამომწვევ მიზეზებს. სახარებისეული იგავის გამოყენებით, ლულამ განაცხადა, რომ ეს პროგრამა ხალხს არა მხოლოდ თევზს მისცემს, არამედ ასწავლის კიდეც თევზის დაჭერას, რათა შემდეგ მათ თავად შეძლონ თავის რჩენა.

პროგრამის საწყისი სტადია მილონ-ნახევარი ოჯახისათვის სასწრაფო დახმარების გაწევას ითვალისწინებს. თითოეული ოჯახი აუცილებელი პროდუქტების შესაძენად ყოველთვიურად 15 ამერიკულ დოლარს მიიღებს.

უნდა ითქვას, რომ პროგრამის ამ ნაწილმა ქვეყანაში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია, რადგან მრავალი გაჭირვებული ბრაზილიელი ამ სიაში ვერ მოხვდა. არსებული მონაცემებით, სულ ბრაზილიაში 23 მილიონი ადამიანია შიმშილის პირას.

ამ პროგრამის შემდეგ, პრეზიდენტის განცხადებით, კიდევ ორი პროგრამა დაიწყება: მინის რეფორმა და განათლების რეფორმა. ეს პროგრამები კი, ლულას თქმით, ბრაზილიას შიმშილის პრობლემას მოუხსნის.

"მწვანეები" უსაფრთხოებას იწუნებენ და იმუქრებიან

საქართველოს მწვანეთა პარტია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის დაბლოკვითა და ჩაშლით იმუქრება. პარტიის ლიდერის, გია გაჩეჩილაძის თქმით, "მწვანეებს" საამისოდ რამდენიმე სერიოზული ბერკეტი აქვთ. ერთ-ერთი მათგანი ევროპარლამენტის მწვანეთა კომისიის მხარდაჭერა და თანადგომაა. იმ შემთხვევაში, თუ პროექტის განმახორციელებელი, კომპანია "ბრითიშ პეტროლიუმი", ბორჯომის ხეობაზე გამავალი მარშრუტის ალტერნატიულ ვარიანტს არ წარმოადგენს, "მწვანეები" ამ ბერკეტის ამოქმედებას შეეცდებიან.

ეთერ მამულაშვილი

გუშინ, საგანგებოდ მოწყობილ პრესკონფერენციაზე, გია გაჩეჩილაძემ კიდევ ერთხელ ისაუბრა ბორჯომის ხეობაზე გამავალი მარშრუტის მოსალოდნელი ეკოლოგიური საშიშროების შესახებ. გაჩეჩილაძის თქმით, ბორჯომის მინერალური წყლების გარდა, სერიოზული საფრთხე ემუქრება მთლიანად ამ რეგიონის წყალმომარაგებას. **"ჩვენ ძალიან კარგად გვესმის ასეთი გრანდიოზული პროექტის გეოფიზიკური მნიშვნელობა, მაგრამ მისი განხორციელება ადამიანთა ჯანმრთელობასა და გარემოს დაცვას რისკის ქვეშ არ უნდა აყენებდეს"**, - აცხადებს "მწვანეების" ლიდერი.

გაჩეჩილაძის თქმით, დღემდე წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ნავთობსადენმა ყველაზე აქტიურ მეწყრულ ზონაზე უნდა გაიაროს. პარტიის ლიდერმა ეს განცხადება ტერიტორიის აერო, ფოტო და კოსმოსური გადაღებების საფუძველზე გააკეთა.

პროექტის მთავარ ინვესტორს, "ბრითიშ პეტროლიუმს", გაჩეჩილაძემ უსაფრთხოების დამცავი მექანიზმებიც დაუწუნა. "მწვანეთა" ლიდერის განცხადებით, დამცავი ტექნიკა კატასტროფიდან 20-22 წუთის შემდეგ დაიწყებს ამოქმედებას. გაჩეჩილაძის გაანგარიშებით, ამ დროში მილსადენიდან დაიღვრება 800-2000 ტონა ნავთობი.

გაჩეჩილაძე "ბრითიშ პეტროლიუმს" სთხოვს, უახლოეს თვეებში დეტალურად შეისწავლოს და საჯაროდ წარმოადგინოს ახალქალაქის მარშრუტი. იგივე მოთხოვნები აქვს პროექტის სამ უმსხვილეს თანადამფინანსებელს. მსოფლიო ბანკმა, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა, "ბრითიშ პეტროლიუმს" დასაწყისშივე რამდენიმე პირობა წაუყენეს. ერთ-ერთი პირობა სწორედ მარშრუტის სამი-ოთხი ალტერნატიული ვარიანტის დეტალურად შესწავლა და განხილვა იყო.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე "მწვანეების" თავკაცმა კიდევ ერთი საყურადღებო ინფორმაცია მოგვაწოდა. გაჩეჩილაძის თქმით, მსოფლიო ბანკმა თავისი წილი დაფინანსება "ბრითიშ პეტროლიუმს" ერთი წლით შეუჩერა. ამის ერთ-ერთ მიზეზად მსოფლიო ბანკი ასახელებს იმას, რომ საქართველოს ხელისუფლებამ და "ბრითიშ პეტროლიუმმა" გარემოს დაცვის სამინისტროზე, გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემისას, ზეწოლა მოახდინა. გარდა ამისა, თანადამფინანსებელი ეკოლოგიური უსაფრთხოებითაც უკმაყოფილოა.

გაჩეჩილაძეს ეს ინფორმაცია ინტერნეტით მოუპოვებია - მსგავს ინფორმაციას საქართველოში მსოფლიო ბანკის წარმომადგენლობა არ ფლობსო.

ინფორმაცია

ალექსანდრე კარტოზიას ხსოვნის პატივსაცემად

გუშინ თბილისის ყოფილი ვაჟთა მე- 12 სკოლის (დღევანდელი მე-18 სკოლა) 1952 წლის კურსდამთავრებულები ერთმანეთს კიდევ ერთხელ შეხვდნენ. მათ შარშანდელ შეხვედრაზე გადაწყვიტეს, რომ თავიანთი სკოლის დირექტორის, ალექსანდრე კარტოზიას ხსოვნის პატივსაცემად სკოლაში მემორიალური დაფა გაეხსნათ.

გუშინვე, მე-18 სკოლაში ალექსანდრე კარტოზიას სახელობის ბიოლოგიის კაბინეტიც გაიხსნა.

ალექსანდრე კარტოზია 1940-1958 წლებში თბილისის მე-12 ვაჟთა სკოლის დირექტორი იყო. ყოფილი მოსწავლეები მას პატივისცემით და სითბოთი იგონებდნენ. ალექსანდრე კარტოზია დაიბადა 1899 წლის 18 იანვარს სენაკის მაზრის სოფელ ნოქალაქევში. დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ ჯერ ბანძის ორკლასიან სასწავლებელს ამთავრებს, შემდეგ სენაკის სკოლას და იწყებს მასწავლებლობას გეჯეთის შრომით სკოლაში. 1927 წელს ინიშნება ბეთლემის ოთხწლედის გამგედ. 1934 წელს წარჩინებით ამთავრებს თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბიოლოგიის ფაკულტეტს და მუშაობას იწყებს თბილისის თსუ-ს ფიზიოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლად, პროფესორ ივანე ბერიტაშვილის ხელმძღვანელობით. 1937 წელს, ხელმძღვანელთან კერძო ხასიათის უთანხმოების გამო, ტოვებს ფიზიოლოგიის ინსტიტუტს და მუშაობას იწყებს თბილისის 33-ე საშუალო სკოლაში სასწავლო ნაწილის გამგედ, 1940 წლიდან ინიშნება დირექტორად და ამ სკოლის დირექტორია გარდაცვალებამდე (33-ე სკოლა 1943 წელს გადაკეთდა ვაჟთა მე-12 სკოლად, ხოლო 1954 წლიდან - 18 სკოლად) . 1941 წელს ალექსანდრე კარტოზიას მიენიჭა დამსახურებული მასწავლებლის წოდება. იგი სასწავლო-მეთოდური ხასიათის შრომების ავტორია, მაგრამ მისი უმთავრესი საქმიანობა და დამსახურება მაინც ისეთი მასწავლებლობა და დირექტორობაა, რომელიც 50 წლის შემდეგაც საამაყოდ გასახსენებელია მისი ყოფილი მოსწავლეებისთვის.

ალექსანდრე კარტოზიას შთამომავლობიდან, ქალიშვილი ნელი კარტოზია სკოლის დაარსების დღიდან ქართულ ენას ასწავლიდა თბილისის 22 -ე საშუალო სკოლაში და დღეს მას ყოფილი მოსწავლეები "ცხოვრების ადამიანად" იხსენიებენ; ვაჟიშვილი, პროფესორი გურამ კარტოზია ცნობილი ფილოლოგია; ასეთი ღირსეული ოჯახის მემკვიდრეობა ერგო საქართველოს განათლების მინისტრს, ალექსანდრე კარტოზიას, დიდი ალექსანდრე კარტოზიას შვილიშვილის.

"24 საათი"

ფალსიფიკატორთა გამოვლენა

საქართველოს შსს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების ინფორმაციით, 2003 წლის 24 იანვარს ჩატარებული ერთობლივი ოპერატიული სამძებრო ღონისძიების საფუძველზე გამოვლენილ იქნა ბორჯომის რაიონის სოფელ რველში მცხოვრები, 1979 წელს დაბადებული მურად როლანდის ძე სტეფნაძე, რომელსაც ქ, თბილისში, მელაანის ქუჩის №280-ში, თავისი ქვისლის დავით შედიშვილის საცხოვრებელი ბინის სარდაფში მოწყობილი ჰქონდა უალკოჰოლო სასმელების ჩამომსხმელი არალეგალური საამქრო.

აღნიშნულ საამქროში იგი კუსტარულად დამზადებული დანადგარების საშუალებით ეწეოდა ფალსიფიცირებული "ბორჯომისა" და "კოკა-კოლას" წარმოებასა და რეალიზაციას.

ოპერაციის შედეგად ამოღებულია დიდი რაოდენობით დამზადებული ფალსიფიცირებული პროდუქცია და ამ პროდუქციის დამზადებისთვის საჭირო ნედლეული და ყველა დაზგა-დანადგარი.

ასევე 24 იანვარს, ოპერატიული სამძებრო ღონისძიების შედეგად საქართველოს შსს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ფალსიფიკაციის ბრძოლის განყოფილებამ ქ. თბილისში, ფიფიების ქ. №17-ში აღმოაჩინა მოქალაქე თემურ ნიბლიაშვილის საცხოვრებელ ბინაში მოწყობილი საბითუმო სარეალიზაციო პუნქტში ფალსიფიცირებული ბორჯომი, რაოდენობით 480 ბოთლი, რომელიც გამზადებული იყო სარეალიზაციოდ.

ფალსიფიცირებული პროდუქცია მთლიანად ამოღებულ იქნა.

მოქალაქე სტეფნაძის მიმართ გუშინ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

"24 საათი"

მოკლედ

თბილისი. 30-31 იანვარს თბილისში პროგრამა "ტასის"-ის ეროვნულმა საკოორდინაციო ჯგუფმა გამართა სემინარი თემაზე "სიღარიბის დაძლევა და ეკონომიკური ზრდა". სემინარში მონაწილეობდნენ საქართველოს ხელისუფლების ოფიციალური პირები და საქართველოსა და სომხეთში ევროკომისიის დელეგაციის წარმომადგენლები. მათ სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის პროგრამის შესაძლო პრიორიტეტული მიმართულებები განიხილეს. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის მერიის ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო სამსახურმა დედაქალაქის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგინა პროგრამა "დამცველი - არასრულწლოვანის სამსახურში". პროგრამა კანონდამრღვევ არასრულწლოვანთა ფსიქოლოგიურ დახმარებას ითვალისწინებს. მოზარდების დამცველებად დაინიშნებიან ის ფსიქოლოგები, რომლებიც შესაბამის კონკურსში გაიმარჯვებენ და იურიდიულ ფსიქოლოგიაში გამოცდილება ექნებათ. პროგრამის დასაფინანსებლად 38.000 ლარია საჭირო. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამით შარშან საქართველოში 270 უმუშევარი დასაქმდა. სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ინფორმაციით, შარშან ეს პროგრამა 409 ათასი ლარით დაფინანსდა. ფონდის ინფორმაციით, წლეულს დასაქმების პროგრამებისთვის ბიუჯეტში 5,5 მილიონი ლარია გათვალისწინებული. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სინოპტიკოსთა პროგნოზით, საქართველოში თებერვალი ცივი და ნაკლებნალექიანი უნდა იყოს. თვის პირველ დეკადაში მოსალოდნელია ტემპერატურის დაკლება ღამით -5...-8 გრადუსამდე. ცალკეულ დღეებში კი ტემპერატურა დღისით +17 გრადუსსაც მიაღწევს. **მედია-ნიუსი**

პატარა ბარონ მიუნჰაუზენს

ჩვენი მთელი უბედურება იმაშია, რომ ძალიან სერიოზულები ვართ და ყველა სისულელეს სახის ასეთი გამომეტყველებით ჩავდივართ.
ბარონი მიუნჰაუზენი

ზაზა ფაჩუაშვილი

ბარონი მიუნჰაუზენი

გურამ შარაძე

ძვირფასო ბარონო!

პატივი მაქვს მოგახსენოთ, რომ ჩვენს დედაქალაქში თქვენთვის საყურადღებო მოვლენები ვითარდება. სახელისუფლო საზოგადოების სერიოზულმა პირებმა აბსოლუტურად ფანტასტიური განცხადებების გაკეთება დაიწყეს. ამ მხრივ უდავო ყურადღებას იმსახურებს ბატონი გურამ შარაძის გუშინდელი გამოსვლა პარლამენტში გამართულ პრესკონფერენციაზე: "სააკაშვილის მეტასტაზებმა ყველგან შეაღწიეს. დღევანდელი სასამართლო მისი ჯიბის სასამართლოა, მერია და საკრებულო მას ფეხქვეშ ეგება. ამას ემატება 3-4 რაიონიც. საპატრიარქოში მოკალათებულმა სწორედ მისმა ხალხმა გააკეთებინეს საპატრიარქოს და პატრიარქსაც განცხადება ხუთჯვრიანი დროშის შესახებ, რომ ხუთჯვრიანი დროშა იყო, არის და იქნება ქართულ ეკლესიაშიო."

თავს უფლებას მივცემ და დავასკვნი, რომ გურამ შარაძის ბოლოდროინდელი განცხადებებით მიხეილ სააკაშვილი საქართველოში ყოვლისშემძლე ადამიანი გამხდარა. მან, თურმე, საპატრიარქოც დაიმორჩილა და მცდარი განცხადების გაკეთება აიძულა. ეს ნათქვამი იყო ძალიან სერიოზული გამომეტყველებითა და მხარდამჭერთა ტაშის თანხლებით.

ვფიქრობ, თქვენთვის არანაკლებ მნიშვნელოვანი უნდა იყოს აღნიშნული პრესკონფერენციის თემის დასახელება - "რა კავშირი აქვს ერთმანეთთან სააკაშვილის ხუთჯვრიან დროშასა და ლევან ღვინჯილიას სახელმწიფო ენის კანონს."

ენის პალატის თავმჯდომარეს ლევან ღვინჯილიას სააკაშვილზე ნაკლები პატივი არგუნეს ("სააკაშვილი წელში წყვეტს მართლმადიდებელ სარწმუნოებას, ღვინჯილია კი გვართმევს ქართულ ენას."), მაგრამ ჩვენი გმირების ფანტაზიის მრავალფეროვნებაში, თურმე, მასაც დიდი წვლილი მიუძღვის.

გუშინდელი პრესკონფერენცია კიდევ ერთი ნიშნით უნდა გამოიყოს. ეს არის შავის თეთრად წარმოჩენის შესაშური მცდელობა. შარაძის მტკიცების მიუხედავად, პრესკონფერენციაზე მეჩქარებოდა და სამწუხაროდ ბოლომდე ვერ დავრჩი ისტორიის ინსტიტუტში მოწყობილ შოუ-მასკარადზეო, ყველა სატელევიზიო არხმა აჩვენა, თუ როგორ გამოაძევეს ინსტიტუტიდან დაუპატიჟებელი სტუმარი. როგორც აღმოჩნდა, ხსენებული ინსტიტუტიც სააკაშვილის მიერ ყოფილა დაქირავებული, თანაც უფასოდ. აქ ყურადღებას იქცევს გურამ შარაძის ორიგინალური ლოგიკა.

ძვირფასო ბარონო, ვგონებ, საკმარისი უნდა იყოს იმისთვის, რომ ჩვენმა გმირმა ფანტაზიორის საპატიო ტიტული დაიმსახუროს. ველით თქვენს ჩამობრძანებას. გარწმუნებთ, ჩვენს ქალაქში კიდევ მრავლად აღმოაჩენთ ფანტაზიორის ტიტულის კანდიდატებსაც და თქვენი უტყუარი თეორიის დამადასტურებელ ფასდაუდებელ არგუმენტებსაც.

არ გჯერათ? აბა მოუსმინეთ ბატონ გურამ შარაძეს: "სააკაშვილი და სონღულაშვილი (მთაწმინდა-კრწანისის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარე) დენთის კასრზე სხედან და მალე აფეთქდებიან".

იჩქარეთ, ბარონ!

მიწას ვაკოცებდი, აქ რომ მქონდეს!

მაკა ჭაიანი

300 ათასი ქართველის დევნილობა მალე ათი წლისთავს "იზეიმებს". რა თქმა უნდა, ჩვენ გვახსოვს აფხაზეთი. ასეთი შინაარსის პლაკატიც კი გვაქვს სადღაც, თბილისის რომელიღაც შემოსასვლელში. თავის დროზე, ჩვენ სამაჩაბლოც გვახსოვდა, მაგრამ იქიდან დევნილები ჯერ ისევ სასტუმრო "აფხაზეთის" ხიზნები არიან.

ზევა ჭალაღონია

ბაბუა ზევეს ნატვრის ხე

ამ ხელისუფლების წყალობით, ყოველდღიური ყოფითი პრობლემებით დატვირთული ქართველობისთვის ქვეყნის დაკარგული ტერიტორიები თანდათან კარგავს კონტურებს და იმ ზოგადი გამღიზიანებლების რიცხვს ემატება, რომელთა ტალღაზე, ხმაურიან კამპანიებში გულზე მჯიღის ცემისა და საკუთარი უნიკალურობის შესახებ საუბრის სურვილით ვინთებით. ეს სურვილი საერთაშორისო თუ ვიწრო სახელისუფლო დონეზეც დაგვრევს ხოლმე ხელს, თუმცა, იქაც, იქაც და იქაც, ნაკლებად იგრძნობა, რომ აფხაზეთი ნამდვილად გვახსოვს და ზუსტად გვესმის იმ ადამიანებისა, ვინც 1993-ში გოლგოთის გზა გამოიარა.

მათი ძირითადი ნაწილი დღეს ენგურს აქეთ დარჩენილ საქართველოში ცხოვრობს. მათ ყოფას, ვინც სახელმწიფოს მზრუნველობაზეა დამოკიდებული, ცხოვრებას ძნელად უწოდებ. თვეში 14 ლარი, ელემენტარული სამედიცინო მომსახურების ფიქტიური გარანტორი - უმწეოთა პოლისი, დამატებითი სამედიცინო მომსახურების პროგრამა სამეგრელო-ზემო სვანეთში განლაგებული დევნილებისთვის, დევნილ ინვალიდთა სოციალური რეაბილიტაციის პროგრამა, უფასო სწავლება დევნილი ბავშვებისთვის სწავლების მესამე ეტაპზე, ელემენტარული ჭერი თავზე - სულ ეს არის, რითაც სახელმწიფო მათ ეხმარება. ვინც კომერციას აუღო ალღო, ამ ათი წლის განმავლობაში თბილისში პატარა ბუდის მოწყობაც შეძლო, თუმცა, თბილისელთა იმ ნაწილისთვის, რომელმაც იგივე ვერ მოახერხა, ეს უცნაურ იმპულსად იქცა. მათ თვალში ამ ადამიანებმა დევნილის სტერეოტიპი დაარღვიეს და ამან, რატომღაც, გააღიზიანა.

ნელი მოქმედების ნაღმი
(გამოკვლევის მიხედვით)

ფსიქოლოგები სხვა სურათს ხატავენ. 1994-ში, მაშინ მოქმედი სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროსთან არსებულმა, მოსახლეობის პროფესიული ორიენტაციისა და ფსიქოლოგიური დაცვის რესპუბლიკურმა ცენტრმა აფხაზეთიდან დევნილების ფსიქოსოციალური კვლევა ჩაატარა. მიღებული შედეგების მიხედვით, დევნილები ხასიათდებიან: დაცვითი რეაქციების სიჭარბით, მოვლენების შეფასების მკვეთრად გამოხატული სუბიექტივიზმით, ეჭვიანობით, უნდობლობით; შეიმჩნევა ქრონიკული სტრესული მდგომარეობით გამოწვეული ფსიქოპათოლოგიური პროცესებისა და დეზადაპტირებული მდგომარეობის განვითარების სიმპტომები, მკვეთრად გამოხატული შფოთვა, მომავლის უიმედობა, ფიზიკური გადაღლა, დისკომფორტი, დასვენებისა და მოდუნების ძლიერი მოთხოვნილება; ვლინდება შექმნილი სიტუაციისადმი ძლიერი პროტესტი, საკუთარი უძლურებისა და უსუსურობის განცდა, გარშემო მყოფებისადმი გადაჭარბებული მომთხოვნელობა, გონიერი კომპრომისისა და ლავირების დეფიციტი.

ერთი დეტალი, რომელმაც განაპირობა რვა წლის წინათ ჩატარებული ამ კვლევის დამოწმება: დასკვნის მიხედვით, ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორთა ხანგრძლივი მოქმედება ხელს უწყობს ადამიანებში ფსიქოპათოლოგიური და დეზადაპტირებული პროცესების პროგრესირებას. ტერმინების გარეშე თუ ვისაუბრებთ და იმასაც გათვალისწინებით, რომ გამოკითხულ დევნილებში შეკავებული აგრესიის აშკარა ნიშნები დაფიქსირდა, ამ ხალხის სახით, საქართველოში ნელი მოქმედების კიდევ ერთი ნაღმი არსებობს. ხელისუფლება მის განეიტრალებას არაფრით უწყობს ხელს. ზოგადი განცხადებებისა და შეუსრულებელი პირობების იქით საქმე არ მიდის. დევნილთა გაღიზიანებას ეს კიდევ უფრო ზრდის. პარალელურად, იზრდება ადგილობრივთა გაღიზიანებაც. ბევრს არ სჯერა, რომ დევნილები საერთოდ ისურვებენ უკან დაბრუნებას. მოტივი - სოფლებს, რომლებშიც ისინი აქამდე ცხოვრობდნენ, თბილისი ნამდვილად სჯობს. ლოგიკის მარცვალი ამაში, რა თქმა უნდა, არის, მაგრამ თავად დევნილები სხვანაირად ფიქრობენ.

ნატვრის ხე
(ზევე ჭალაღონიას მიხედვით)

"ისე მენატრება იქაურობა, შვილო, ღომს რომ ჩამომიტანენ, ჯერ ვკოცნი და მერე ვჭამ! მიწას ვაკოცებდი, აქ რომ მქონდეს! - ამბობს 80 წლის ზევე ჯალაღონია, რომელიც დღეს მოხუცთა პანსიონატ "სავანეში" ცხოვრობს. - **ვისაც იქ უცხოვრია, სხვას არაფერს იტყვის... რა მოხდა?.. რატომ მოხდა?.. ახლაც არ ვიცი... კარგი დამოკიდებულებისა და პატივისცემის მეტი არაფერი მახსოვს აფხაზებისგან. 22 წლის ვიყავი, აგუბედიაში მასწავლებლად რომ გამანაწილეს. აფხაზი ბავშვებისთვის ქართული ენა და ლიტერატურა, ისტორია და გეოგრაფია უნდა მესწავლებინა. თავიდან გამიჭირდა, ბავშვები არ მოდიოდნენ ჩემთან. აფხაზი იყო იქ, ალანი, რუსულს ასწავლიდა, მე დაგეხმარებიო, მითხრა. შემომყვებოდა კლასში, გამოაფხიზლებდა ბავშვებს, მოუსმინეთ, ისწავლეთო, ეტყოდა... ცხენი მაჩუქა საბჭოს თავმჯდომარემ. 50 კილომეტრით ვიყავი ჩემს სოფელს, ზემო ბარღებს დაშორებული და ყოველ შაბათს ჩავდიოდი დედაჩემის სანახავად. მანქანა სად იყო მაშინ, 1945 წელს, ცხენებით დადიოდა, ვისაც ჰყავდა. ჰოდა, მაჩუქეს ცხენი, მაპატიეთ და, ცოტა ჯაგლაგი გამოდგა. მეგობარი მყავდა, აფხაზი, ტყეებუჩავა. ამ ცხენით როგორ უნდა გაგიშვა, სამეგრელოში რომ ჩახვალ, შენი ცხენი უნდა ხტუნავდესო, მითხრა. მომიყვანდა შაბათობით სკოლაში შეკაზმულს, მომიტანდა ნაბადს და ისე მიშვებდა დედაჩემთან... რომელი ერთი გავიხსენო? ღორის ხორცს არ ჭამენ აფხაზები და სპეციალურად ჩემთვის ყიდულობდნენ, უყვარსო... კარგი ურთიერთობა გვქონდა ძალიან! დღეს რომ ქვას ვესვრით ერთმანეთს, ასე არ იყო. 70-იანი წლებიდან გართულდა ყველაფერი. ახირებულები მათშიც არიან და ჩვენშიც, მაგრამ, თუ ერთად ცხოვრება გვინდა, მეგობრულად, სიყვარულით უნდა შევრიგდეთ, სისხლით და იარაღით არაფერი გამოვა."**

ზემო ბარღებში, საკუთარ კარმიდამოში, ზევე ჯალაღონიამ შვილებს სახლები ცალ-ცალკე აუშენა. 93-ში ეს სახლებიც, ისევე როგორც მათ ქუჩაზე მდგარი ყველა სახლი, აფხაზებმა გადაწვეს. **"მე იქ არ ვიყავი,** - იხსენებს იგი. - **ჩემი ვაჟი, თურმე, აქედან, ენგურგაღმიდან უყურებდა, როგორ იწვოდა მისი სახლი. ხეზე ასულა და ისე უცქერია, ვიდრე სულ არ ჩაიფერფლა... გალოთდა... ოზურგეთში ცხოვრობს თავის შვილებთან ერთად და ისე ეტანება ღვინოს, ვერ მოწყვეტ. აქ მყავდა ცოტა ხანს. შემოვიდოდა ღამე, კედელ-კედელ და იგინებოდა... მისი ნაბოლარა სამი თვისა იყო, ეს ამბავი რომ მოხდა. წამოიზარდა და მეკითხება, მე თბილისში დავიბადეო? არა-მეთქი, ზემო ბარღებში. ზემო ბარღები რა არისო? ჩვენ იქ ვცხოვრობდით-მეთქი. სამშობლო არ იცის ბავშვმა!.. მისთვის გავაკეთე ეს მაკეტი, მინდა, იცოდეს, როგორი იყო მისი სახლი, მინდა, ახსოვდეს."**

სახლის გარდა, ბაბუა ზევეს ნატვრის ხეც გაუკეთებია. ტოტები შვილებს ნიშნავს, დიდი ჩიტები - შვილიშვილებს, პატარები - შვილთაშვილებს. დღეს ამ ხეზე 8 დიდი და 7 პატარა ჩიტი ზის. მათი ნაწილი თბილისში ცხოვრობს, ნაწილი - ოზურგეთში. შვილიშვილებმა ხელობა ისწავლეს და ლუკმაპურს შოულობენ, მაგრამ საკუთარ სახლში უნდათ ცხოვრება.

ამის უფლება აქვთ.

გორის პოლიცია ზარების ჩამოსარეკად ემზადება

სამართალდამცველებს მუშაობაში, თურმე, კანონები და საზოგადოების უნდობლობა უშლის ხელს

ლოზუნგების ქვეყნად წოდებულ საბჭოთა კავშირში ერთი ასეთი ლოზუნგიც იყო: "მე მიცავს ჩემი მილიცია!" სიმართლე უნდა ითქვას და, სამართალდამცავების მიმართ განსაკუთრებული სიყვარული საზოგადოების დიდ ნაწილს არც მაშინ ჰქონია, მაგრამ დღეს ეს დამოკიდებულება კიდევ უფრო შეიცვალა და როგორც არაერთი გამოკითხვა მოწმობს, ზემოთ ნახსენები ლოზუნგი შეიძლება ასეთი პერიფრაზირებით ჩამოვაყალიბოთ: "დავიცვათ თავი ჩვენი პოლიციისაგან!"

შიო კოშაძე და ვახტანგ ყანჩაველი.

ვასილ გელეური
გორიდან

შარშან, 23 ნოემბერს, ქალაქ გორში პოლიციის თანამშრომელთა შორის მომხდარმა შეიარაღებულმა შეტაკებამ სამართალდამცავთა მაღალჩინოსნების სავარძლები შეიწირა. ახალ ხელმძღვანელობასთან მიმართებაში ანდაზამ "ახალი ცოცხის" თაობაზე არ გაამართლა – ქალაქში დანაშაულმა კიდევ უფრო იმატა. ავტომანქანების გატაცება, ქურდობა, ყაჩაღობა, ძარცვა, მკვლელობა - გორში თითქმის ყოველდღიურობად იქცა. აღარც ის ანდაზა მოქმედებს, ქურდისთვის ბნელი ღამის აუცილებლობას რომ ამტკიცებს – დამნაშავეთა სამყარო ბოროტმოქმედებას დღისითაც აუღელვებლად სჩადის. ქალაქის ადმინისტრაციული შენობის წინ, დღისით-მზისით, გაიტაცეს სამხედრო კომისრის ავტომანქანა... სკოლაში, გაკვეთილზე თანაკლასელებმა ერთმანეთი დაჭრეს... ქალაქის ცენტრში ქალს ყელიდან ყელსაბამი ჩამოგლიჯეს... დააყაჩაღეს ოჯახი და მოკლეს ერთ-ერთი წევრი... დანაშაული უამრავია, გახსნილი - ძალიან მცირე.

შიდა ქართლის სამართალდამცავები ამ მდგომარეობას ხშირად კონფლიქტის ზონის სიახლოვით ხსნიან. ნარკოტიკები ცხინვალიდან შემოდის... მოტაცებული ავტომანქანები ცხინვალში გადაყავთ... ასეთი არგუმენტაციის გასანეიტრალებლად გორის შესასვლელებში უკვე მერამდენედ ეწყობა ე.წ. ბლოკპოსტები, მაგრამ დანაშაული ამით არ მცირდება.

რატომ არ სჯერა საზოგადოებას სამართალდამცავების? რა უნდა გაკეთდეს დანაშაულის აღმოსაფხვრელად? ამ კითხვებზე პასუხის მისაღებად გაიმართა შეხვედრა გორის სამართალდამცავებს, რაიონისა და ქალაქის ხელმძღვანელებს და საზოგადოების წარმომადგენლებს შორის.

გორის რაიონის გამგებელმა შიო კოშაძემ არსებული მდგომარეობა უარყოფითად შეაფასა და აღნიშნა, რომ ფაქტების ბუნდოვანების და სირაქლემას მდგომარეობაში ყოფნა არაფერს შეცვლის, ამიტომ დროა, საზოგადოებამ თავისი დამოკიდებულება გამოხატოს და გვერდით დაუდგეს პოლიციას. მან უბნის რწმუნებულთა საქმიანობის მნიშვნელობაზეც ისაუბრა და სამართალდამცავებს მოუწოდა, ხშირად შეხვდნენ მოსახლეობას.

გორის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსმა რევაზ კოტიაშვილმა, რომელიც ერთი თვეა ამ თანამდებობაზე დაინიშნა, კადრების სიმწირეზე და მოქალაქეთა მხრიდან უნდობლობაზე ისაუბრა. **"ხალხს აღარ სჯერა პოლიციის, უნდობლობის გამო ვერ მოდიან ჩვენთან. თუ ასე გაგრძელდა, გორში პროფესიონალი ყაჩაღები გვეყოლება. ადრე კახეთში მოხდა დანაშაული და იყო კაკაბეთის ზარები. დღეს გორში უნდა შემოვკრათ ზარი! მე უფლება არა მაქვს მიგატოვოთ, რადგან ძალიან დიდხანს იყავით მიტოვებულები,"** - დააიმედა მან გორელები და დაჰპირდა, რომ დამნაშავეებს მალე "მაგრად გაამწარებენ".

რადგან საუბარი საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერასა და სამართალდამცავების მიმართ უნდობლობას შეეხო, დარბაზში შეკრებილებმა არაერთი ფაქტი დაასახელეს, როდესაც ხალხის მიერ დაკავებული დამნაშავე მეორე დღეს კვლავ თავისუფალი იყო. ამ პრეტენზიებს სამართალდამცველებმა ტრადიციულადქცეული არგუმენტები დაუპირისპირეს: მათ, თურმე, ხელფეხს არსებული კანონმდებლობა უბორკავთ, სათანადო მტკიცებულებების შეგროვებაში უშლით ხელს, უდანაშაულობის პრეზუმფციის გამო დამნაშავეს ვერ იჭერენ. ამ არგუმენტებს ზუსტად მიესადაგება შეხვედრაზე სიტყვით გამოსული პარლამენტარის ვახტანგ ყანჩაველის სიტყვები იმის თაობაზე, რომ, თუ მუშაობა არ უნდა, არც პარლამენტარი უნდა დარჩეს თავის ადგილზე და არც პოლიციელი.

გორის გამგებელმა პაატა ჩხეიძემ აღნიშნა, რომ დამნაშავეებთან ბრძოლას სერიოზული დაფინანსება სჭირდება. მაგრამ რადგან ეს სფერო თვითმმართველობის კომპეტენციაში არ შედის, საჭირო თანხა რაიონის ბიუჯეტში უნდა იყოს გათვალისწინებული. **"სამართალდამცავები ხალხს არსად უყვარს. პოლიციამ უნდა მიაღწიოს პატივისცემას და შიშსაც, რომელიც მერე სიყვარულში გადაიზრდება,"** - განაცხადა მან.

პატივისცემის რა ვთქვათ, მაგრამ პოლიციის შიში, დამნაშავეთა სამყაროსგან განსხვავებით, მოსახლეობას ნამდვილად აქვს. შეიქმს თუ არა იგი სიყვარულს, ამას მომავალი გვიჩვენებს.

ციხეში სპეცოპერაცია კიდევ ჩატარდება

მიუხედავად იმისა, რომ რუსთავში, იაღლუჯის მთაზე ახალი ციხის მშენებლობის დასრულება იუსტიციის მაშინდელმა მინისტრმა საზეიმოდ აღნიშნა, საპყრობილე ჯერჯერობით კვლავ დაუმთავრებელია და მის ასამოქმედებლად მილიონ 800 ათასი ლარია საჭირო.

ინგა ალავიძე

იაღლუჯის საპყრობილის მშენებლობა 1984 წელს დაიწყო და მე-18 წელიწადია, ჯერ კიდევ არ დასრულებულა. არადა, პენიტენციალური სისტემის წარმომადგენლები ახალი ტიპის საპყრობილის მშენებლობის სასწრაფოდ დასრულებას და მასში ტუსაღთა გარკვეული კატეგორიის გადაყვანას გადაუდებლად მიიჩნევენ.

"მიმდინარე წლის ბიუჯეტში კაპიტალურ მშენებლობებზე 200 ათასი ლარი დაგვიმტკიცეს. ხშირად მეკითხებიან, როგორ ვაპირებთ მშენებლობის დამთავრებას. არადა, მშენებლობა აუცილებლად უნდა დასრულდეს, თუ გვინდა, რომ ციხეში არსებული დაძაბული ვითარება განიმუხტოს. ამისთვის კი სისტემაში ნორმალური სოციალური პირობების შექმნაა საჭირო. წინააღმდეგ შემთხვევაში, ციხეში ოპერატიული მდგომარეობა უმძიმესი გახდება," – განაცხადა მშენებლობის დასათვალიერებლად იაღლუჯის ციხეში მისულმა იუსტიციის მინისტრმა როლანდ გილიგაშვილმა. მისი განცხადებით, იგი მშენებლობის დათვალიერების შემდეგ დარწმუნდა, რომ პატიმართა იქ გადაყვანა დაუშვებელია.

საქმე ისაა, რომ ციხის გაუმართაობაზე სპეციალურად საპყრობილის შესამოწმებლად ისრაელიდან

იალღუჯის საპყრობილე იუსტიციის მინისტრმა დაათვალიერა.

ჩამოსულმა ექსპერტებმა 200-გვერდიანი დასკვნა დაწერეს. უცხოელი ექსპერტები საპყრობილის ექსპლუატაციაში გაშვების კატეგორიული წინააღმდეგნი არიან მანამდე, სანამ მათ მიერ მითითებული ხარვეზები არ გამოსწორდება.

შენობაში არ არის წყალი, ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი, გათბობა, გაუმართავია უსაფრთხოების სისტემა, რომელიც ციხეში რეჟიმს გააკონტროლებს, ჯერჯერობით არ არის მზად სამედიცინო პუნქტი, სადილო, საშხაპეები, ადმინისტრაციული შენობა და საკნები, არ არის ინვენტარი. სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია ციხის მხოლოდ ერთ სართულზე, სადაც 150 პატიმრის მოთავსება შეიძლება.

"მინიმალური დაფინანსების შემთხვევაში, შესაძლოა მხოლოდ ერთი სართულის მომზადება და იქ სამასი პატიმრის მოთავსება, თუმცა მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფა და შიდაგაყვანილობების მოწესრიგება ზუსტად იმავე ხარჯს ითხოვს, რაც მშენებლობის დასრულებისთვისაა საჭირო. საუბარია გათბობის ცენტრალურ სისტემაზე, დაცვაზე და მომსახურე პერსონალზე, ელექტროენერგიის ხარჯებზე..." - აცხადებს მინისტრი და ირწმუნება, რომ უფრო ეფექტური და მომგებიანი იქნება, ციხე მთლიანად შევიდეს ექსპლუატაციაში.

როლანდ გილიგაშვილის განცხადებით, საპატიმროებში არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია მან პრეზიდენტს უშიშროების საბჭოს სხდომაზე მიაწოდა. იუსტიციის მინისტრს პრეზიდენტი დაჰპირდა, რომ მშენებლობის დასამთავრებლად საჭირო თანხის ნაწილს იგი საკუთარი ფონდიდან გაიღებს, ნაწილს კი ფინანსთა სამინისტრო გასცემს.

იაღლუჯის ციხე 1000 პატიმარზეა გათვლილი. იმ შემთხვევაში, თუ მშენებლობისთვის სახსრები გამოიძებნება, იგი წლის ბოლომდე ამოქმედდება. **"მე მესამედ მოვედი საპყრობილის სანახავად და აღარ მოვალ მანამდე, სანამ მშენებლობა არ დასრულდება,"** – ამბობს როლანდ გილიგაშვილი.

იაღლუჯის საპყრობილეში "პატიმართა გარკვეული კატეგორია - დესტრუქციული ელემენტები მოთავსდებიან," – აცხადებს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე პაატა მხეიძე. ანუ, ახალ ციხეში "ავტორიტეტულ" კრიმინალებს გადაიყვანენ, რათა სხვა საპყრობილეები "შავი სამყაროს" წარმომადგენლებისგან გაიწმინდოს.

იუსტიციის მინისტრის ინფორმაციით, სწორედ ამ "დესტრუქციული ძალის" მიერ შექმნილი სიტუაციის მოსაწესრიგებლად ჩატარდა გასულ შაბათს ორთაჭალის ციხეში სპეცოპერაცია. **"მოვერიდეთ სისხლისღვრას და ძალადობას და ამიტომაც შევაჩერეთ ჩხრეკა. მაგრამ გვაქვს ინფორმაცია, რომ ციხეში იარაღი კიდევ არის, ისევე როგორც სხვა უკანონო ნივთები. უახლოეს მომავალში ოპერაცია აუცილებლად განმეორდება",** – განაცხადა როლანდ გილიგაშვილმა.

იუსტიციის მინისტრმა გუშინ კიდევ ერთი მშენებარე საპატიმრო – ქალთა კოლონია მოინახულა. **"კეთილშობილ ქალთა პანსიონატს ვერ დაგპირდებით, მაგრამ სარემონტო სამუშაოები სამ თვეში დასრულდება და ქალთა კოლონია ევროსტანდარტების დონეზე იქნება მოწყობილი,"** – განაცხადა პაატა მხეიძემ.

საქართველოში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა არ დაწყებულა

ჰონგკონგური წესრიგით აღფრთოვანებული დელეგაცია პრეზიდენტს რეცეპტს სთავაზობს

მონაწილეობა მიიღეს ინტერპოლისა და კორუფციასთან ბრძოლის დამოუკიდებელი კომისიის ერთობლივ საერთაშორისო კონფერენციაში.

პეკინი-ჰონგკონგი-შანხაი – ამ მარშრუტს დელეგაციის წევრები წარმატებულს და საქართველოსთვის სასარგებლოს უწოდებენ, ქართველებისა და ჩინელების კანონმორჩილებას შორის პარალელებს ავლებენ და საერთო დასკვნას აკეთებენ: **"საბოლოოდ დავრწმუნდით, რომ საქართველოში კორუფციასთან ბრძოლა რეალურად არც დაწყებულა. ჩვენთან კანონს არავინ სცემს პატივს, არავინ იცავს. ყველაზე დიდი კორუფცია კი, როგორც სხვა ქვეყნებში, საქართველოშიც სწორედ სამართალდამცველ ორგანოებშია".**

ჰონგკონგური წესრიგით აღფრთოვანებული ქართული დელეგაცია კორუფციასთან ბრძოლის იქაური დამოუკიდებელი კომისიის საქმიანობის შესახებ საუბრობს და მსგავსი სამსახურის საქართველოში შექმნასა და ამოქმედებაზე ფიქრობს.

"ჩვენ არასდროს არ ვსაუბრობთ იმაზე, რა არ შეგვიძლია, ვამბობთ იმას, რაც შეგვიძლია. აქედან გამომდინარე, დამნაშავეებს ეშინიათ ჩვენი და მაქსიმალურად იცავენ კანონს", - განუცხადებიათ ჰონგკონგში კორუფციასთან ბრძოლის დამოუკიდებელი კომისიის წევრებს ქართველებისთვის.

ბრძოლა სამართალდამცველ ორგანოებში არსებული კორუფციის წინააღმდეგ, პოლიციელებზე კონტროლი და სულ უბრალო დანაშაულისთვის მათი დასჯა – ეს გახლავთ ჰონგკონგური დამოუკიდებელი კომისიის ძირითადი პრინციპი. ამ კომისიის შექმნისთანავე, პოლიციასა და კომისიის წევრებს შორის სიტუაცია იმდენად დაძაბული, საქმე ლამის სამოქალაქო ომამდეც მისულა. კომისიის მუშაობის შედეგები კი, ღადო ჭანტურიას თქმით, ასეთია: ჩადენილი დანაშაულისთვის დასჯილი პოლიციელები, პროკურორები და მოსამართლეები. კომისიამ, ხშირ შემთხვევაში, თურმე ისიც კი იცის, რომელ ორგანიზებულ დანაშაულებრივ დაჯგუფებას ვინ მფარველობს.

"როგორი ნდობითაც არ უნდა სარგებლობდეს პოლიცია, მაინც საჭიროა ისეთი პარალელური ორგანოს არსებობა, რომელიც პოლიციის საქმიანობას გააკონტროლებს და ამ სტრუქტურის შესახებ ყველანაირი ინფორმაცია ექნება. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა რეალურად უნდა დავიწყოთ", - აცხადებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და ჰონგკონგში მყოფი დელეგაციის სხვა წევრებთან ერთად, ამ საკითხებთან დაკავშირებით პრეზიდენტთან შეხვედრას აპირებს.

ერთი სიტყვით, ჰონგკონგში არსებული წესრიგითა და კანონმორჩილებით დელეგაცია კმაყოფილი დარჩა. **"საქართველომ უნდა გაიზიაროს და გადმოიღოს ჰონგკონგის გამოცდილება და დანაშაულთან ბრძოლა უნდა გაამკაცროს. ჰონგკონგის მაგალითზე ჩანს, რომ კორუფციის დამარცხება რეალურად შესაძლებელია, თუმცა ამისათვის ძალზე მნიშვნელოვანია პოლიტიკური ნების არსებობა. კორუფციის აღმოფხვრას დიდი მნიშვნელობა აქვს ტერორიზმთან ბრძოლის თვალსაზრისითაც",** - ასეთია დელეგაციის წევრთა საერთო აზრი.

„კანონიერი" ქურდები რუსეთის სპეცსამსახურების აგენტები არიან"

ბექა სისაური
ქუთაისიდან

გუშინ იმერეთს შინაგან საქმეთა მინისტრი კობა ნარჩემაშვილი, გენერალური პროკურორი ნუგზარ გაბრიჩიძე და უშიშროების მინისტრის მოადგილე ირაკლი ალასანია სტუმრობდნენ. მათი ვიზიტის ძირითადი მიზანი რეგიონში არსებული დაძაბული კრიმინოგენული ვითარების ადგილზე განხილვა გახლდათ.

სტატისტიკის მიხედვით, შარშან რეგიონში 2376 დანაშაული მოხდა. მხარის პროკურორის თამაზ ჭუმბურიძის ინფორმაციით, სტატისტიკურ მონაცემებში ჩადენილი დანაშაულის მხოლოდ 10 პროცენტი ხვდება. პროკურორმა ისიც დაადასტურა, რომ დანაშაულის გარკვეული რაოდენობა პოლიციის მიერ შეგნებულად იმალება და ამის გამო დასჯილი რამდენიმე პოლიციელის გვარიც დაასახელა. იმერეთის პროკურატურას არც ადამიანის უფლებების დარღვევისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისათვის დასჯილ სამართალდამცველთა რაოდენობა დაუმალავს.

შინაგან საქმეთა მინისტრი მხარის პროკურორის გამოსვლას უკომენტაროდ უსმენდა, უშიშროების რეგიონული სამსახურის ხელმძღვანელს - გელა ლობჟანიძეს კი პოლიციისადმი გამოთქმული კრიტიკული შენიშვნა არ აპატია. საქმე ის არის, რომ ლობჟანიძემ "კანონიერი ქურდების" წინააღმდეგ საბრძოლველად უშიშროების, პოლიციისა და პროკურატურის თანამშრომლებისგან შემდგარი ჯგუფის შექმნა მოითხოვა, რასაც ნარჩემაშვილი არ დაეთანხმა და ქურდების წინააღმდეგ ბრძოლა ყველას საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში ურჩია.

გუშინ იმერეთის გუბერნატორმა საკრებულოს თავმჯდომარეს დათო ბენიძესა და მწერალთა კავშირის ადგილობრივი ორგანიზაციის თავმჯდომარეს თემურ ლანჩავას "კანონიერ ქურდებთან" ერთად ქეიფში დასდო ბრალი. ქურდების თემა გუშინდელ თათბირს ფონად გასდევდა. ამასთან დაკავშირებით უშიშროების მინისტრის მოადგილემ ირაკლი ალასანიამ პირდაპირ განაცხადა: "კანონიერი ქურდები" რუსეთის სპეცსამსახურების აგენტები არიან და საქართველოში კრიმინოგენული დესტაბილიზაციის შექმნა აქვთ დავალებული". მისივე განმარტებით, გასულ წელს უშიშროებისა და პოლიციისთვის პრიორიტეტი პანკისის ხეობა გახლდათ, წელს კი აღნიშნული სამინისტროები დანაშაულებრივი დაჯგუფებების ალაგმვას ქვეყნის სხვა რეგიონებშიც აპირებენ. სხდომაზე კატეგორიული იყო გენერალური პროკურორიც. მან ოლქის პროკურორს იმ რაიონების პროკურორთა სიის მიწოდება მოსთხოვა, ვინც საკუთარ მოვალეობას ვერ თუ არ ასრულებენ. სხდომაზევე გაათავისუფლეს იმერეთის ოლქის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსი ზვიად მოსეშვილი. უახლოეს ხანში მოსალოდნელია იმერეთის რამდენიმე ქალაქის პროკურორის შეცვლაც.

იმ დროს, როდესაც თბილისიდან ჩამოსული მაღალჩინოსნები რეგიონის კრიმინოგენულ სიტუაციას მიმოიხილავდნენ, დღისით-მზისით კიდევ ერთი დანაშაული მოხდა. გამსახურდიას ქუჩაზე ავტომატური იარაღით მოქალაქეები: შმაგი ლეჟავა და დათო სულაკიძე დაცხრილეს. დაჭრილები მძიმე მდგომარეობაში გადაიყვანეს საავადმყოფოში. ინციდენტის დროს ასევე დაიჭრა ქუჩაში მიმავალი ქალბატონი. დამნაშავეები მიიმალნენ.

მიხეილ გორბაჩოვს სასამართლოში ელიან

გუშინ აზერბაიჯანის ხელისუფლებამ ოფიციალურად განაცხადა, რომ აპირებს სამართლებრივი პასუხისმგებლობა დააკისროს საბჭოთა კავშირის ყოფილ პრეზიდენტს მიხეილ გორბაჩოვს. მას 1990 წლის ბაქოს მოვლენების დროს 132 ადამიანის დაღუპვა ბრალდება.

როგორც ცნობილია, 1990 წლის იანვარში, ბაქოში საბჭოთა არმიის განსაკუთრებული დანიშნულების ქვედანაყოფების შეყვანიდან რამდენიმე საათში მოკლეს 132 ადამიანი, დაიჭრა - 612, 841 კი - დააპატიმრეს. აზერბაიჯანის გენერალური პროკურატურის მძიმე დანაშაულთა გამოძიების სამმართველომ დაადგინა, რომ ამ დანაშაულისთვის პასუხი უნდა აგოს მიხეილ გორბაჩოვმა, რომელმაც ბაქოში ჯარის შეყვანის ბრძანება გასცა და ამით დაარღვია საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის 119-ე და აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციის 71-ე მუხლები, ამასთანავე გაერო-ს გენერალური ასამბლეის 2200A რეზოლუცია.

ნარკოტიკების უმსხვილესი პარტია ნიუ-იორკის ისტორიაში

გუშინ ნიუ-იორკის ერთ-ერთ რაიონში - კუინსში მიაგნეს ქალაქის ისტორიის მანძილზე უმსხვილეს ნარკოტიკების პარტიას.

პოლიციის ინფორმაციის თანახმად, ისინი სპეციალურ რეიდს ატარებდნენ და მცენარეული ზეთის გადამზიდველი ერთ-ერთი სატრანსპორტო კომპანიის საწყობის ჩხრეკისას აღმოაჩინეს კოკაინის შეკვრები, რომელთა საერთო რაოდენობა 2 ტონას აღწევს. ექსპერტთა შეფასებით, ამოღებული ნარკოტიკების ფასი შავ ბაზარზე 120 მილიონ დოლარს შეადგენდა.

ნარკოტიკების გავრცელებასთან ბრძოლის განყოფილების პოლიციელებმა რეიდის მსვლელობისას დააპატიმრეს სატრანსპორტო ფირმის ოთხი მფლობელი. დაპატიმრებულები დომენიკის რესპუბლიკისა და მექსიკის მოქალაქეები არიან.

აზერბაიჯანელები ევროსასამართლოს ყველაზე ხშირად მიმართავენ

ევროსაბჭოს ყოველწლიური ანგარიშის თანახმად, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში აზერბაიჯანიდან მარტო 2002 წელს თითქმის ოთხჯერ მეტი საჩივარია შესული, ვიდრე საქართველოდან. რიცხვებში ეს მონაცემები ასე გამოიყურება: აზერბაიჯანიდან - 123 საჩივარი, საქართველოდან – 37. ექსპერტებს უჭირთ იმის დადგენა, თუ რას უნდა მიეწეროს სამხრეთ კავკასიის ორი რესპუბლიკის მონაცემთა შორის ასეთი დიდი განსხვავება: ამ ქვეყნებში ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით არსებულ განსხვავებულ მდგომარეობას თუ აზერბაიჯანის მოქალაქეთა სამოქალაქო აქტივობის ზრდას. აქვე უნდა ითქვას, რომ იმავე 2002 წელს ევროსასამართლოში სომხეთიდან 21 საჩივარი შევიდა.

მოკლედ

თბილისი. გუშინ გაზის კუსტარული წყლის გამათბობლიდან გაჟონილი ბუნებრივი აირით ორ ადამიანი დაიღუპა. როგორც "კავკას-პრესს" დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პროკურორმა ირაკლი წერეთელმა განუცხადა, სისხლის სამართლის საქმე ჯერჯერობით არ არის აღძრული, რადგან გარდაცვლილების - ეკა ფუცხვანიძისა და ნუგზარ გიგაურის გვამების გაკვეთაზე ოჯახის წევრებმა უარი განაცხადეს. ხეთაგუროვის ქუჩა N4-ში ბუნებრივი აირის გაჟონვის გამო გარდაცვლილი ცოლ-ქმარი ოჯახის წევრებმა აღმოაჩინეს. როგორც მათ პროკურატურის თანამშრომლებს განუცხადეს, ცოლ-ქმარი ბებიის სახლში დასაბანად მივიდა. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. გრძელდება საქართველოს იუსტიციის საბჭოსა და მსოფლიო ბანკის წარმომადგენელთა სამუშაო შეხვედრები, რომელზეც საქართველოში სასამართლო რეფორმის მიმდინარეობას განიხილავენ. შეხვედრაზე ითქვა, რომ სამართალწარმოების საკითხებში ხარვეზებია და აუცილებელია, უფრო სწრაფი და ეფექტური გახდეს სასამართლოს სამართალწარმოება. აგრეთვე აღინიშნა, რომ სწრაფ და ეფექტურ სამართალწარმოებაზე უნდა იზრუნონ სასამართლოს თავმჯდომარეებმა და კანცელარიის უფროსებმა. მსოფლიო ბანკის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ სასამართლო რეფორმა წარმატებულია, თუმცა მას ხარვეზებიც ახლავს, რისთვისაც შემდგომში ამ თვალსაზრისით გარკვეული ნაბიჯები გადაიდგმება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. დღეს გაიმართება პროკურორების საკვალიფიკაციო ტესტირების კიდევ ერთი ტური, რომელშიც 250 იურისტი, მათ შორის, 200 პროკურორი მიიღებს მონაწილეობას. ეს გამოცდები შარშან დეკემბერში დაიწყო და 8 მარტამდე გასტანს. მოქმედი პროკურორებისთვის ეს ბოლო ტესტირებაა. 8 მარტამდე სხვა იურისტებიც გაივლიან ტესტირებას. ამჟამად მხოლოდ 200 პროკურორია დარჩენილი, რომლებიც ხვალ გავლენ გამოცდებზე. დანარჩენებმა ტესტირება უკვე გაიარეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ბორჯომის რაიონის პოლიციამ დააკავა 32 წლის ალბერტ დალიბანდიანი და 22 წლის ლევან აკოფოვი, რომლებმაც ბორჯომის შუშის ქარხნის შენობის სახურავიდან მოიპარეს ალუმინის ფურცლები. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის მთაწმინდა-კრწანისისა და დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოს შესაბამისი სამსახურის თანამშრომლებმა დააკავეს 20 წლის კარლო ოდიშარია და 19 წლის დიმიტრი მარგიანი, რომლებმაც იერუსალიმის ქუჩიდან გაიტაცეს მამუკა ხუციშვილის ავტომანქანა „ვაზ"-2106. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სისხლის სამართლის სამძებროს სამმართველოსა და თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს ოზურგეთის რაიონის სოფელ ოზურგეთში მცხოვრები, 18 წლის იაგო ჩხაიძე, რომელმაც „დეზერტირების" ბაზრობაზე ხათუნა კობიძეს მოპარა ფული. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. გუშინ უზენაესმა სასამართლომ 5 ჩეჩენ პატიმარს - ჰუსეინ ალხანოვს, რუსტამ ელიხაჯიევს, რუსლან გელოგაევს, ადლან უსლანოვს და ასლან ხანოევს პატიმრობის ვადა 1 თვით - 27 თებერვლამდე გაუგრძელა. აღნიშნული გადაწყვეტილება სასამართლომ დახურულ სხდომაზე მიიღო. უახლოეს დღეებში პატიმრობის ვადა კიდევ ერთ ჩეჩენ პატიმარს - ხამზად ისაევსაც უნდა გაუგრძელდეს. **მედია-ნიუსი**

უფსკრული

დემოკრატიული სახელმწიფოს ფუძე მხოლოდ ინდივიდუალურ თავისუფლებაში მდგომარეობს".
არისტოტელე.
"პოლიტიკა"

მამუკა ხერხეულიძე

"უღმერთო უსამართლობამ ტყეში მისროლა სახლიდან, ნეტავი ერთი ცხოვრება დამაწყებინა თავიდან", – ასეთ დარდს ათქმევინებს არსენა ოძელაშვილს ხალხური ლექსი და, თითქმის დარწმუნებული ვარ, ყველა ასოციალური ადამიანი, ვისაც მე ვიცნობ, გულში უერთდება ამ სენტენციას და მეტიც: საკუთარი შვილი არსენას (საკუთარი, განვლილი) გზისთვის არ ემეტება.

თითოეული ჩვენგანი დაპყრობილ, უკანონო და უზნეო ქვეყანაში დაიბადა. საკუთარი სიმართლის, ღირსების დასაცავად ადამიანებს რეალობისგან თავის გარიდებისა და განდგომის სხვადასხვა ფორმის ძიება დასჭირდათ. ძლიერი ინდივიდუალობის მქონე ზოგიერთმა პიროვნებამ კი ქუჩასა და ტყეს შეაფარა თავი. ამით უზომოდ დაზარალდა ქვეყანა, რადგან, როგორც წესი (მცირე გამონაკლისის გარდა), ამ უკანასკნელ გზას თავის თაობაში გამორჩეული, ლიდერობის უნარიანი, ნიჭიერი და კარგი ოჯახიშვილები ირჩევდნენ. რამდენად ბანალურადაც უნდა მოგვეჩვენოს ასეთი რაციონალიზაცია, ეს მაინც იყო პროტესტის ფორმა, გამოხატული უკანონო, ძალადობრივი, არათავისუფალი რეჟიმისა და კონფორმისტი "ფსევდოსაზოგადოების" მიმართ, რომელსაც თავადაც ერჩია თავისუფლებისმოყვარე პრინციპული ხალხის კანონგარეშე არსებობა, რათა შეურიგებელ და გამბედავთა გვერდით საკუთარი ქონდრისკაცობის დამალვა შესძლებოდათ. საქართველომ მთელი თაობები დაკარგა ღირსეული, ნიჭიერი მოქალაქეებისა, რომელთაც დღეს ქვეყნისთვის გულწრფელ სამსახურში ჩადგომა ხელეწიფებოდათ. ეს პროცესი დღესაც გრძელდება, იმ მთავარი და მარტივი მიზეზის გამო, რომ სახელმწიფო ვერ იცავს პიროვნების უფლებას და იგი იძულებულია, თავად დაიცვას საკუთარი თავი და ეძიოს სამართალი.

ეს ტენდენციები ყველა დაპყრობილი კოლონიური რეჟიმისთვის დამახასიათებელი სინდრომია. ბრწყინვალე მაგალითი – ტომას ჯეფერსონი, ამერიკის ერთ-ერთი დამფუძნებელი მამა, თავისუფლების დეკლარაციის ავტორი, ვირჯინიის უნივერსიტეტის დამაარსებელი, ახალგაზრდობაში თავად იყო გენგის (ბანდის) წევრი. მისივე სიტყვებით, მას "ჰქონდა კარგი შანსი, რომ საზოგადოებისთვის ისეთივე უვარგისი გამხდარიყო, როგორც იმ ცუდი კომპანიის სხვა წევრები", მაგრამ ჯეფერსონმა ამ პერსპექტივას სამშობლოს თავისუფლებისთვის ბრძოლა ამჯობინა. ალბათ, აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ, დამოუკიდებლობის დეკლარაციის ავტორობასთან ერთად, მას შეეძლო ვიოლინოზე დაკვრა, ცხენის გახედნა, ასმეთაურობა, ადვოკატობა, მასწავლებლობა და გამომგონებლობა.

ყველაზე მტკივნეული საკითხი, რომელსაც ყოველი გონიერი ქართველი განიცდის, ეს არის ხალხსა და ხელისუფლებას შორის გაჩენილი თვალუწვდენელი უფსკრული. ხალხს აღარ ესმის (ან ესმის და არ სჯერა) ის, რასაც ქვეყნის უმაღლეს საფეხურზე მდგომი მოხელეები ეუბნებიან.

როცა ხელისუფალთა (ამ შემთხვევაში, პრეზიდენტის) საჯარო გამოსვლებს ვუსმენთ, გვრჩება შთაბეჭდილება, რომ სხვა პლანეტაზე მცხოვრები ადამიანი გვესაუბრება და სადღაც, ჩვენთვის უხილავ ტერიტორიაზე, საოცარი ტემპით მიმდინარეობს თავისუფალი, ბედნიერი, ეკონომიკურად ძლიერი და სამართლებრივი ქვეყნის მშენებლობა. გაუცნობიერებელ მაყურებელს რჩება შთაბეჭდილება, რომ ეს კაცი სულაც არ არის დამარცხებული, ტერიტორიებდაკარგული, გაღატაკებული, დამცირებული და ღირსებააყრილი ხალხის ხელისუფალი თუ წინამძღოლი. შეიძლება, ეს ილუზია ხალხის საკეთილდღეოდ კეთდება, რომ არ დაიკარგოს იმედი (როგორც ეს სეთურის მოგონილ ჭაში მჯდომი ზებოს შემთხვევაშია), მაგრამ, როცა არსებულ რეალობას, თავისი ტრაგიკული კოლიზიებით, ერი სასოწარკვეთილებამდე, ხოლო ხალხი თვითმკვლელობამდე მიჰყავს, "იდილიური სურათი" ცინიზმისა და გროტესკის ელფერს იძენს.

რაც დრო გადის, უფსკრულის ყოვლისშთანმთქმელი ხახა საშიში და ამოუვსები ხდება; უფრო და უფრო დიდ მსხვერპლს მოითხოვს, ხოლო დაუძლურებულ, სისხლისგან დაწრეტილ ადამიანებს მსხვერპლის გაღება აღარ შეუძლიათ. ხელისუფლება კი, იმის ნაცვლად, რომ ამ უფსკრულის ამოვსება სცადოს, თავად გვევლინება გაუმაძღარ "ლევიათანად", რომელიც "მოში დიკის" სილაღით დაქრის უსამართლობისა და კორუფციის ოკეანეში და მზადაა საღად მოაზროვნე ადამიანთა, ანუ "შეშლილთა ხომალდის" გადასაყლაპავად (მოგვიტევოს მკითხველმა სიმბოლოებით ამგვარად აპელირება, მაგრამ ეს მეთოდი აბსურდული მდგომარეობის ანალიზისთვის ყველაზე შესაფერისად მიგვაჩნია). ეს ტექტონური უფსკრული, როგორც დიდი გეოლოგიური კატაკლიზმების დროს ხდება, იწვევს პარალელურ, პერიფერიულ, შედარებით მცირე, მაგრამ თვით ძლიერი სახელმწიფოსთვისაც კი უაღრესად საშიში უფსკრულების გაჩენას. ერთ-ერთი, ჩემი აზრით, ყველაზე დიდი უფსკრული, ეს ქვეყნის ცნობიერების ხელახალი კრიმინალიზაციაა.

ამ მხრივ საქართველოში პარადოქსული სიტუაციაა: ყველა, მათ შორის, ხელისუფლებისგან ჯერ კიდევ მოტყუებული თუ მოსყიდული ხალხი, აღიარებს, რომ ქვეყანა მასი, ნამუსი, ვაჟკაცობა, ღირსება და ბოლოს, ქვეყნის ინტერესებიც. სხვას რას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ ქართველ ახალგაზრდას არ სურს, მოიხადოს თავისი პატრიოტული ვალი ქვეყნის წინაშე – დამოუკიდებელი საქართველოს არმიაში სამსახურით. თუმცა, სხვა რა

რაც ხელისუფალთა (ამ შემთხვევაში, პრეზიდენტის) საჯარო გამოსვლებს ვუსმენთ, გვრჩება შთაბეჭდილება, რომ სხვა პლანეტაზე მცხოვრები ადამიანი გვესაუბრება და სადღაც, ჩვენთვის უხილავ ტერიტორიაზე, საოცარი ტემპით მიმდინარეობს თავისუფალი, ბედნიერი, ეკონომიკურად ძლიერი და სამართლებრივი ქვეყნის მშენებლობა.

თითოეული ჩვენგანი დაპყრობილ, უკანონო და უზნეო ქვეყანაში დაიბადა. საკუთარი სიმართლის, ღირსების დასაცავად ადამიანებს რეალობისგან თავის გარიდებისა და განდგომის სხვადასხვა ფორმის ძიება დასჭირდათ. ძლიერი ინდივიდუალობის მქონე ზოგიერთმა პიროვნებამ კი ქუჩასა და ტყეს შეაფარა თავი.

ფიოზურმა კლანებმა წალეკეს, რომ ადგილი აქვს ტოტალურ კრიმინალიზაციას და რომ ხდება საზოგადოების უკიდურესი პოლარიზაცია მდიდრებად და ღატაკებად. მიუხედავად ამისა, არავითარი ნიშანიც კი არ ჩანს იმისა, რომ ამ კრიზისს თავს დავაღწევთ.

ალბათ, გინახავთ პირდაპირ ეთერში, რა ფორმით უსწორდებიან ერთმანეთს პარლამენტში და შემდეგ, ჟურნალისტების კითხვებზე, როგორ კლასიკურ "ქურდულ" ჩვენებებს იძლევიან. ყველა ჩინოვნიკი, პოლიტიკოსი, სამართალდამცავი (აკადემიკოსი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე) პირად საუბარში სიამაყის გრძნობით გეტყვით, რომ მას გავლილი აქვს ე.წ. "ქუჩის აკადემია" (ვითომ ეს ჰარვარდის ან კემბრიჯის უნივერსიტეტი იყოს) და რომ ამ სკოლამ მათ ყველაზე მთავარი ცოდნა და გამოცდილება მისცა. თუ ამ დოქტრინას მივიღებთ მხედველობაში, უფრო ეფექტიანი იქნებოდა, მომავალი არჩევნებისთვის საარჩევნო კომისია რომელიმე იზოლატორში გადაგვეტანა. საარჩევნო სიები შეგვედგინა "წამოყენების" ან "მიდგომის" მეთოდით. იმუნიტეტისთვის დაგვერქმია "რამკა", იმპიჩმენტისთვის - "გაფუჭება", "ჩარტყმა", "გაჩერება", საპარლამენტო სესიებისთვის კი "სხოდკა" გვეწოდებინა. თუმცა, ეს აღარ არის სასაცილო.

უფრო ეფექტიანი იქნებოდა, მომავალი არჩევნებისთვის საარჩევნო კომისია რომელიმე იზოლატორში გადაგვეტანა. საარჩევნო სიები შეგვედგინა "წამოყენების" ან "მიდგომის" მეთოდით. იმუნიტეტისთვის დაგვერქმია "რამკა", იმპიჩმენტისთვის - "გაფუჭება", "ჩარტყმა", "გაჩერება", საპარლამენტო სესიებისთვის კი "სხოდკა" გვეწოდებინა.

"ცუდ ამბებს ვხედავ, კვლავაც უნდა ცუდს მოველოდეთ", – ჰამლეტის ეს ფრაზა, წარმოთქმული "დანია საპყრობილეში", ზედმიწევნით შეესაბამება ჩვენს მდგომარეობას, როცა ხალხი პერმანენტულად ცუდის მოლოდინშია, როცა მან დაკარგა თავისი ელემენტარული (არ ვამბობ ფუნდამენტურს) უფლებების მოპოვებისა და მიღწევის იმედი, როცა იგი მისულია სრულ დეგრადაციამდე.

ბუნებრივია, ყოველ მოვლენას განაპირობებს სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური, ისტორიული და, შესაბამისად, ზნეობრივი საფუძვლები. ქვეყნის კრიმინალიზაციის პროცესი თავისთავად, სპონტანურად არ დაწყებულა. ამ პროცესს ხელი შეუწყო სახელმწიფო სისტემის შეგნებულად ამგვარმა მოწყობამ, არა მცდარმა სოციალურმა ექსპერიმენტებმა, არამედ ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში დაგეგმილმა ვერაგულმა პოლიტიკამ. ამ გეგმის ერთ-ერთმა ნაწილმა – სოფლების დაცლამ, მოშლილმა მეურნეობამ, უმუშევართა გაჩენამ და მათმა მიგრაციამ ქალაქებისკენ კრიმინალთა რიგების კადრების მომმარაგებლის ფუნქცია შეასრულა. თანდათანობით შეიცვალა ხალხის ფსიქოლოგიაც – იგი დაემსგავსა წვრილმან მოვაჭრეს, მეჯღანუაშვილს, რომელიც მზადაა, ანგარებას შესწიროს ყველაფერი – სინდისი, ღირსება, ოჯახი, სამშობლო.

კომისია რომელიმე იზოლატორში გადაგვეტანა. საარჩევნო სიები შეგვედგინა "წამოყენების" ან "მიდგომის" მეთოდით. იმუნიტეტისთვის დაგვერქმია "რამკა", იმპიჩმენტისთვის - "გაფუჭება", "ჩარტყმა", "გაჩერება", საპარლამენტო სესიებისთვის კი "სხოდკა" გვეწოდებინა. თუმცა, ეს აღარ არის სასაცილო.

"ცუდ ამბებს ვხედავ, კვლავაც უნდა ცუდს მოველოდეთ", – ჰამლეტის ეს ფრაზა, წარმოთქმული "დანია საპყრობილეში", ზედმიწევნით შეესაბამება ჩვენს მდგომარეობას, როცა ხალხი პერმანენტულად ცუდის მოლოდინშია, როცა მან დაკარგა თავისი ელემენტარული (არ ვამბობ ფუნდამენტურს) უფლებების მოპოვებისა და მიღწევის იმედი, როცა იგი მისულია სრულ დეგრადაციამდე.

ბუნებრივია, ყოველ მოვლენას განაპირობებს სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური, ისტორიული და, შესაბამისად, ზნეობრივი საფუძვლები. ქვეყნის კრიმინალიზაციის პროცესი თავისთავად, სპონტანურად არ დაწყებულა. ამ პროცესს ხელი შეუწყო სახელმწიფო სისტემის შეგნებულად ამგვარმა მოწყობამ, არა მცდარმა სოციალურმა ექსპერიმენტებმა, არამედ ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში დაგეგმილმა ვერაგულმა პოლიტიკამ. ამ გეგმის ერთ-ერთმა ნაწილმა – სოფლების დაცლამ, მოშლილმა მეურნეობამ, უმუშევართა გაჩენამ და მათმა მიგრაციამ ქალაქებისკენ კრიმინალთა რიგების კადრების მომმარაგებლის ფუნქცია შეასრულა. თანდათანობით შეიცვალა ხალხის ფსიქოლოგიაც – იგი დაემსგავსა წვრილმან მოვაჭრეს, მეჯღანუაშვილს, რომელიც მზადაა, ანგარებას შესწიროს ყველაფერი – სინდისი, ღირსება, ოჯახი, სამშობლო.

კრიმინალური ცენტრი ისევ მოსკოვია და მისი სივრცეც - საბჭოეთი. განგსტერიზმისა და მაფიოზობის ტენდენციები და მეთოდები ჯერ იქ ინერგება და გადის აპრობაციას და მხოლოდ შემდეგ იმპორტირდება ჩვენთან. ასევე იყო ქურდული ტრადიციების ჩამოყალიბების შემთხვევაშიც.

ვიდრე ჩვენ ხალხს ვეუბნებით, რომ ის ცდება, ხელისუფლებას ვეუბნებით, რომ ის ცდება, ვიდრე ხალხს ვეუბნებით, რომ ის ტყუილად ეჭვობს ხელისუფლებას, ხელისუფლებას ვეუბნებით, რომ ის ტყუილად ეჭვობს ხალხს, ჩვენს შვილებს, შთამომავლობას და საკუთარ მომავალს.

შემჩნეული გექნებათ, რომ კრიმინალური ცენტრი ისევ მოსკოვია და მისი სივრცეც - საბჭოეთი. განგსტერიზმისა და მაფიოზობის ტენდენციები და მეთოდები ჯერ იქ ინერგება და გადის აპრობაციას და მხოლოდ შემდეგ იმპორტირდება ჩვენთან. ასევე იყო ქურდული ტრადიციების ჩამოყალიბების შემთხვევაშიც. იგი რუსეთის "ლაგერებში" განხორციელდა (თუმცა, ამ საქმის შემოქმედი იყო ქართველი – სტალინი, ვისი აზრითაც, მილიონობით პატიმარს შიგნიდან რეგულირება სჭირდებოდა). თუ დავაკვირდებით, ამ სამყაროს სლენგიც მთლიანად რუსულია, ქართველები კი დღესაც რუსული სლენგით ურთიერთობენ. შემთხვევითი არ არის, რომ პოლიტიკაშიც ჯერ მოსკოვში ხდება მნიშვნელოვანი ანტიდემოკრატიული, ადამიანის უფლებების იგნორირების, საზოგადოების მონობის ნიშნით აღბეჭდილი არასამართლებრივი მოვლენები და მერე საქართველოში ხდება ამგვარ საქმეთა კოპირება.

დღეს ჩვენ უნდა ვაღიაროთ – სახელმწიფო არ შედგა. ყველაფერი ახლიდანაა დასაწყები - ნულიდან. ამის გაკეთება არც ისე ძნელია, თუ ნება აღმოგვაჩნდება, მით უმეტეს, რომ დღეს მსოფლიოში არსებობს სახელმწიფოს შენების უამრავი, უკვე აპრობირებული მოდელი.

დიდ სულ, თუ ყოველგვარი წვალების გარეშე მოიხვეჭოს მოსახვეჭელი და უზრუნველ ცხოვრებას მისცეს თავი, ფეხებზე დაიკიდოს სამშობლოც, ხალხიც, კულტურაც, ზნეობაც და სხვა ყველაფერიც. აი, უფსკრულიც გამოჩნდა... თითქოს სამომავლო გზა არ ჩანს. ეს გზა კი მხოლოდ მაშინ გამოჩნდება, თუ ყველაფერი შეიცვლება, მაგრამ ისე არა, როგორც ერთი იტალიელი მწერალი ამბობდა: "ყველაფერი უნდა შეიცვალოს, რათა ყველაფერი ძველებურად დარჩეს". დღეს ჩვენ უნდა ვაღიაროთ – სახელმწიფო არ შედგა. ყველაფერი ახლიდანაა დასაწყები - ნულიდან. ამის გაკეთება არც ისე ძნელია, თუ ნება აღმოგვაჩნდება, მით უმეტეს, რომ დღეს მსოფლიოში არსებობს სახელმწიფოს შენების უამრავი, უკვე აპრობირებული მოდელი. აქვე მინდა გაგაცნოთ ჩვენი დიდი ხნის ოცნება ახალი დედაქალაქის აშენებისა, დაახლოებით, ისეთის, ფოლკნერის მოთხრობებში რომ არის აღწერილი – დიდი ცენტრით - ბანკის, სასამართლოს, თეატრის, მერიის შენობებით, საავადმყოფოთი და სადგურით, სკოლითა და უნივერსიტეტით, მოკლედ, მთელი ინფრასტრუქტურით. საცხოვრებელი სახლებით, მწვანე ეზოებით ღობეების გარეშე, მყუდრო და კოხტა შენობებით, ბორხესის მოსაწონი ბიბლიოთეკებით... ოცნება იქით იყოს და, მგონი, ეს ყველაფერი უფრო იაფი დაჯდება, ვიდრე ჩვენი დამახინჯებული, თავკომბალა, გადაგვარებული და ნაგვის ბუნკერად ქცეული თბილისის რესტავრაცია. თუმცა, რესტავრაცია კი არა, არქეოლოგიური სამუშაოებია ჩასატარებელი (თანაც, ნაგავში) იმ თბილისის აღმოსაჩენად, ჩვენ რომ სიგიჟემდე გვიყვარს და მხოლოდ როინიშვილისა და ერმაკოვის გახუნებულ ფოტოებზეღაა შემორჩენილი. თორემ ჩვენი სახლებიდან, საითაც უნდა გაიხედო, ვერაფრით მიხვდები, რომელ ქალაქში ხარ – დონეცკში, კიროვაბადში თუ ბიშკეკში (კარგი იქნებოდა, დათო მაღრაძეც თუ დააჩქარებდა "აღა მაჰმად ხანის" ორდენის კავალრის გამოვლენას ("თბილისის ქილერი") და ჩვენს ახალ ქალაქში, ჩვენთან ერთად, შეეცდებოდა ფიროსმანის იდეის ხორცშესხმას – ხის სახლი, ჩაი და ხელოვნებაზე საუბარი. თბილისში მაინც ყველაფერი უკვე გაყიდულია).

ასე რომ, დავიწყოთ თავიდან, ნაბიჯ-ნაბიჯ, რომ ჩვენს შვილებს ცხოვრება მოუწიოთ ლამაზ, ბედნიერ და, რაც მთავარია, კანონიერ სახელმწიფოში, რომელიც მათ, არსენა ოძელაშვილივით, ტყეში ან ქუჩაში არ გააგდებს.

www.24hours.ge 24 B

ნომრის სტუმარი

აქ ემიგრაციაში ვარ

მაია ჭალაგანიძე

ბიჭს საგზლის მომცრო გუდა ეკიდა, დაგორგოლავებულ ნაბადზე ჩამომჯდარიყო და სოფლის საქონელს მწყემსავდა. ასე ერქვა, თორემ, გურიის მთებს გასცქეროდა და ფიქრობდა - აუ, რა მთებია... მაშინ ეგონა, რომ ის ვერასდროს ავიდოდა მთაზე, რადგანაც ალპინისტებად იბადებიან... ის კი ზუსტად იცოდა, რომ კაბინეტში ვერასოდეს დაჯდებოდა. უფრო მერე, ბიძინა გუჯაბიძე სულ პირველად უშბის სამხრეთ დასავლეთის კედელს მიადგა, "ახოტნიჩი ნაჩოვკებზე" ადიოდა, ჩანჩქერებსაც გაუარა... სრულიად მოულოდნელად, მთელი სიგრძე-სიგანით უშბა დაინახა და მუხლი მოეკვეთა... ვისღა ახსოვდა ნახირშეფენილი სურების მთები.... იმის მერე თხუთმეტჯერ წავიდა უშბაზე. რვაჯერ მიაღწია, შვიდჯერ - ვერა. ნახა სილამაზით მსოფლიოში განთქმული ბევრი მწვერვალი, მაგრამ ის პირველი დაუვიწყარი იყო. იმის მერე უშბაზე წასვლის შემთხვევას ხელიდან არ უშვებს. წელს კი ოფიციალური მიზეზი მიეცა: უშბაზე პირველი ასვლის 100 წლისთავი სრულდებოდა. ჰოდა, ლოვა სარქისოვი, მერაბ ხაბაზი, შოთა კომახიძე და ბიძინა გუჯაბიძე მოემზადნენ და წავიდნენ. ყველაფერი გეგმით მიდიოდა. ჩავიდნენ ზუგდიდში, მერე სვანეთში - ბეჩოში, იქიდან კი მარშრუტზე გავიდნენ. დააღამდათ. ფარნებით იყვნენ, ამინდიც კარგი, უქარო იყო და დინჯად მოძრაობდნენ. ერთი მეტრი აშორებდათ ღამის სათევს, ანუ, სამშვიდობოს - მერაბს რომ ფეხიდან ჯერ ერთი წრიაპი გასძვრა, მერე - მეორე. დაეკიდებოდა, მაგრამ წერაყინიც უხერხულად ეჭირა. არც გაჩერება შეეძლო, თორემ სხვები მივიდოდნენ, დაცვას გაუკეთებდნენ, ჩაცმევდნენ წრიაპს და გზას განაგრძობდნენ.... მოკლედ, მოწყდა. 20-25 მეტრი იფრინა. ამოიგდო კვირისთავი და მიხვდა, რომ უშბა ამ ჯერზე მორჩა. ამასობაში, სხვები დაეკიდნენ, და ისეთ ადგილზე დაუშვეს ტრამვირებული, ოდნავ ჩამოჯდომა რომ შესძლებოდა. თავად ასე დაკიდებულებმა გაათენეს. მეორე დღეს იმუშავეს და დაშავებული ვერტმფრენისთვის ადვილად მისადგომ ადგილზე დაუშვეს...

ბიძინა გუჯაბიძე

ირაკლი ლორთქიფანიძის ფოტო

ჩაკეტილი კოლექტივის ენა, ანუ მთამსვლელთა ლექსიკონის მცირე ნაწილი განმარტებებით:

მთის მოყვარული - ადამიანი, რომელსაც მთის დიდ მცოდნედ მოაქვს თავი, სინამდვილეში კი არაფრის მაქნისია.
ტურისტი - გინება. ასე მიმართავენ ადამიანს, ვინც ყველაფერს აფუჭებს.
სახლში ყოფნა - უხიფათო ადგილი.
დაკიდე ოჯახი - პალო. ეს ისეთი საიმედო რამაა, რომ ოჯახს ანდობ.
დავკიდეთ თოკები - სახლში დაბრუნება. იყენებენ ქალაქშიც სტუმრობის დამთავრების ნიშნად.
გაყიდე ბათინკი - მოეშვი ალპინიზმს.
ხალოდნი - ღამის თევა კარვის გარეშე
ბაკლანი - ადამიანი, რომელიც კარგ საქმეზე აგვიანებს.
сахар для водных туристов - შაქრის ნატეხი, რომელიც ძალიან მაგარია და არ დნება.
სტანცია - თოკის დამაგრების ადგილი

უშბასთან

ბიძინა გუჯაბიძის ფოტო

- ამ შემთხვევის მერე ასვლა რომ გაგეგრძელებინათ, იქნებოდა რისკი?

- არა, არ იქნებოდა. რადგანაც ფიზიკურადაც და მორალურადაც კარგ ფორმაში ვიყავით, კარგი გუნდი იყო, აღჭურვილობა კარგი და პროდუქტი საკმარისი გვქონდა, ამინდიც ორი-სამი დღე არ გაფუჭდებოდა. მაგრამ ძალიან შეგვაწუხა გულშემატკივრებზე ფიქრმა. მოწყვეტა ჩვენთვის ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ ახლობლებისთვის... ჩვენ კი ვიცოდით, რომ ცოცხალი იყო და ვერტმფრენიც რომ არ მოსულიყო, ორ-სამ დღეში მერაბის ჩაყვანასაც მოვახერხებდით. ეს ჩვენ ვიცოდით, აქ კი ისიც არ იცოდნენ, ვინ დაიმტვრა, რა მოიტეხა და საერთოდ ცოცხალი იყო თუ არა. თანაც მთელი ბეჩო ფეხზე იდგა. ასეთი დაძაბულობის მერე ამ კაცს მარტო ვერ გამოვუშვებდით. რა გამოდიოდა? სიმძიმე მოვიშორეთ, ჩვენს საქმეზე წავედით და ახლა სოფელმა და ოჯახმა ინერვიულოს? სწორედ ამის გამო გავწირეთ ჩვენი მიზანი და საქმე. ამაზე სულ ვფიქრობ. სიტყვით გადმოცემა კი მიჭირს.

- ამას ჰქვია მწვერვალიდან დამარცხებული წამოსვლა?

- არა. ამას არ ჰქვია დამარცხება. დამარცხება იმას ჰქვია, როცა იტყვი, რომ ჩემი სულიერი და ფიზიკური შესაძლებლობები ამას ვერ მოერევა. იტყვი - ეს ზღვარია და ვეღარ ივლი.

- ახლობლების განცდა ახალგაზრდობაშიც გქონდათ?

- ჯერ ერთი, ამდენი გულშემატკივარი არ იყო. ასვლების შესახებ ჩვენ და ძალზე ვიწრო წრემ იცოდა. არც მჭირდებოდა და არც მიხაროდა ჟურნალისტებთან ურთიერთობა. ამას ჩვენთვის ვაკეთებდით. უფრო საინტერესო და რთული ასვლები გვქონია, რომლისგან ფოტოც კი არ გვაქვს. ფოტოაპარატი იქ ზედმეტი ტვირთი იყო. ზოგჯერ, ტარგადაჭრილი კოვზი მიგვქონდა, წონა რომ შეგვემსუბუქებინა...

- ეს შემთხვევა რატომ გახმაურდა?

- ვერტმფრენით პირდაპირ მარშრუტიდან ჯგუფის მოხსნა პირველი შემთხვევა იყო. მსგავსი რამ შარშანწინ, ისევ უშბაზე მოხდა, როცა ჩვენი მეგობარი ვანო გულედანი ამერიკელ კლიენტთან, ჯო დანსენთან ერთად დაიღუპა. ცხედრები ვიპოვეთ, გავამზადეთ ტრანსპორტირებისთვის და ვერტმფრენის მისადგომად მოსახერხებელ ადგილზე დავუშვით. მაშინაც შამილა მოფრინდა, ჩავუბით ვერტმფრენს ცხედრები, ჩვენ ყველანი ფეხით წამოვედით.

- მთამსვლელობა არის სიცოცხლის რისკი?

- ჩემს მოძღვართანაც, ბერებთანაც და სხვა სამღვდელო პირებთან ამ თემაზე ბევრჯერ მისაუბრია. შეცდომაა, როცა ამბობენ, რომ ალპინისტები რისკიანი ხალხია. ჩვენ რისკიანები არ ვართ, უბრალოდ, ძალიან ზუსტად ვითვლით შესაძლებლობებს.

ბავშვი რომ იბადება, ცოცვას იწყებს. ეს ბუნებრივი მდგომარეობაა. ბავშვობასთან მიბრუნება სასიამოვნო პროცესია. როცა პროფესიონალი ხარ, სულ სწავლობ. ლიტერატურაც არსებობს და არც იმას აქვს მნიშვნელობა, ახალბედასგან გაიგებ რამეს, თუ პირველთანრიგოსნისგან... ამიტომაც რისკი იშვიათია...

- შეგრძნება იმისა, რომ მწვერვალის დაპყრობა მთლიანად შენს გამძლეობაზე და მოხერხებაზეა დამოკიდებული, როგორია?

- მხოლოდ ამაზე არ არის... მოკლედ, ღმერთზე ხარ დამოკიდებული და ყველაზე ურწმუნო ადამიანიც კი მხურვალედ ლოცულობს. შემდეგ ყველა ერთხმად აღიარებს, რომ ლოცვა შველით...

- როგორ არჩევთ ჯგუფებს. რა თვისება უნდა ჭარბობდეს თქვენს პარტნიორში?

- პროფესიონალიზმი. სხვა კრიტერიუმი არ მაქვს.

უამრავ ხალხთან მივლია, სხვადასხვა ეროვნების ადამიანებთან. რუსებიც კი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ციმბირელი რუსები მოსკოველებისგან განსხვავდებიან, თვითონ ციმბირელებიც სხვადასხვანაირები არიან... თუმცა, რუსებს ძლიერი ამტანობა აქვთ.

- ქართველები?

- ქართველები ისედაც ხომ ცოტა ვართ და მთამსვლელები - საერთოდ. ლენინგრადში 300 სპორტის ოსტატი მთამსვლელი იყო ხოლმე. საქართველოში კი საერთოდ არ ყოფილა ამდენი მთამსვლელი - ერთ-ორ კანდიდატს თუ მოაგროვებდი. ამის გამო რუსებთან კონკურენცია რთულია. მაგრამ მათ არ ჩამოვუვარდებით არც ამტანობითა და არც პროფესიონალიზმით. თანაც ძალიან გვშველის ჩვენი ქართველობა. რუსი ხანდახან გვავალდებულებს კიდეც, რომ იყო ლიდერი და მარტო იმიტომ, რომ ქართველები ვართ. თუ ის შენში პროფესიონალს ხედავს, მაშინვე გზას გითმობს. ბევრ ქართველს არ უყვარს რუსებთან ერთად სიარული, მაგრამ მე ძალიან მომწონს და მიყვარს.

- ახალბედებს როგორ იღებთ გუნდში?

- შოთა კომახიძე 25 წლისაა და ჩვენთან ერთად პირველად იყო მთაში. ის ჩვენს თვალწინ იზრდება, ვარჯიშობს და ვიცით, რაც შეუძლია. ამჯერად ძველები სამნი ვიყავით - მე და ლოვა 18 წელია ერთად ვართ და ის პროფესიონალია ყველაფერში, გინეკოლოგიიდან დაწყებული, თვითმფრინავმშენებლობით დამთავრებული... ცოტა ნაკლები წლები მაკავშირებს მერაბთან. ასეთ დროს ახალი კაცი არაფერს ცვლის, თუმცა, საინტერესოა, რადგან ძველებმა ერთმანეთი ზეპირად ვიცით და ზოგჯერ მოსაწყენიცაა. ახალს რაღაცეებს ვალაპარაკებთ ხოლმე. თვითონ ამას ვერ გრძნობს. შოთამ ადგილის ეკონომიის მიზნით გვირჩია, კარავში თავბოლოშექცევით დავწოლილიყავით. ეგ მე 20 წლის და ლოვამ 35 წლის წინ გაიგო. ჩვენ შოთა შევაქეთ და ვთქვით - აი, რა სასარგებლოა, როცა ახალგაზრდას წამოიყვან, ახალ იდეას მოგაწვდისო...

- გაგიბრუნებიათ ვინმე გუნდიდან? რას არ პატიობთ ერთმანეთს ექსტრემალურ ვითარებაში?

- მარშრუტიდან არა და საბაზო ბანაკიდან კი გაგვიგდია. ერთი შემთხვევა მახსენდება, არც იმის მერე და არც მანამდე ეგეთი რაღაც აღარ შეგვხვედრია. ერთი ქართველი იყო და მთელი ჯგუფი ჭკუიდან გადაგვიყვანა. ისიც კი გვაგიჟებდა, როგორ აყრიდა საჭმელს მარილს - დაიყრიდა ხელის გულზე და მეორე ხელის გულით აყრიდა. მაშინ გაჭირვება იყო, შევაგროვეთ ფული და 7 კილო კარაქი წავიღეთ. ლოვამ, კარაქი რომ დიდ ხანს გვყოფნოდა, ერთნაირ ნაჭრებად დაჭრა - როგორც ჯარში. ის კაცი კი ამას გვიკონტროლებდა - რატომ შუადღეს კარაქს არ ვჭამთ, როცა საკმარისიაო? ვერაფერს გამოვთქვამდით და მაგის გამო მთელი გუნდი ერთმანეთს დავერიეთ. არაგულწრფელიც იყო, "პადხალიმიც", რაღაცეებს გვპარავდა. ეს ვიცოდით და ვუთხარით კიდეც, მაგრამ არაფერი გამოგვირთმევია. ბარგი ჩავულაგეთ, ვერტმფრენში ჩავსვით და გავაბრუნეთ. საერთოდ კი, თუ გუნდის ღერძი ერთ მიმართულებას ადგას, ერთი და ორი კაცი ვერაფერს ცვლის.

- ადამიანები ექსტრემალურ პირობებში ჭეშმარიტ თვისებებს ამჟღავნებენ. ამის დიდი გამოცდილება გაქვთ და დასკვნაც გექნებათ, რატომ?

- მთაში შენიღბვის დრო, ძალა და ენერგია არ გრჩება. ექსტრემალურ მდგომარეობაში ზღვარი იხსნება, გრძნობა იშლება, სირცხვილის და უხერხულობის დრო აღარ გრჩება. ზოგჯერ ცხოველსაც ემსგავსება ადამიანი.

- მთაში არ ხართ. რას ვერ გადალახავთ ხოლმე ქალაქში, ჩვეულებრივ ურთიერთობებში?

- ბევრი რამ მიჭირს. ხანდახან, გაუცხოებაც კი მემართება. აქ ემიგრაციაში ვარ. ყველაზე მეტად სხვისი უპატივცემულობა მაგიჟებს. ვთქვათ, ვიღაცას ქუჩაში მეგობარი შეხვდა. შუა გზაში გააჩერებს მანქანას, საუბარს გაუბამს და არ აინტერესებს, ვინმეს უშლის ხელს გავლაში თუ არა... ამას ვერ ვიტან.

- როგორ გამოხატავთ აღშფოთებას?

- ახალგაზრდობაში უფრო მწარედ გამოვხატავდი, მირტყამდნენ, ვურტყამდი და ა.შ. ახლა ახალ სტადიაზე გადავედი – ვცდილობ, არ შევიგინო. უხერხულია, მერე აღსარებაში მომიწევს ამის თქმა.

ოჯახი სულ სხვა რიტმით ცხოვროზს. ახლაც კი ერთ-ერთ ოთახი სავსეა აღჭურვილობით და დალაგებას აზრი არ აქვს. არავინ იცის, როდის გახდება კვლავ ჩასალაგებელი.

ჰყავს ოთხი შვილი: 18 წლის გიორგი, 17 წლის გოგონა - ბაისო, 16 წლის ირაკლი და 8 წლის ალექსანდრე, რომელსაც მამის მორიგი არყოფნის დროს უთქვამს - ერთი, არც დიდი და არც პატარა ლოცვა მასწავლეთო... ბაისო კი პატარაობიდან ასე იძინებდა და იღვიძებდა - ღმერთო, მამიკო მოვიდეს... და ერთხელაც, როცა ღმერთმა სურვილი შეუსრულა და მამა დაინახა, სუნთქვა შეეკრა. როცა ამოისუნთქა, თქვა: - ღმერთო, მამიკო მოვიდა. უფროსმა ბიჭმა სკოლაში თავისუფალი თემა "მამა" ასე დაიწყო: "მე მამაჩემის სახე არასდროს მინახავს..." (მამის მუდმივი წვერი იგულისხმა)...

- სულ ერთი წლის იყო ალექსანდრე, როცა საბაზო ბანაკში ვცხოვრობდით მთელი ოჯახი. ისეთი ტყე იყო, რომ ჩვენს მოსაკრეფ მოცვს დათვი ჭამდა. მაშინ წასვლა იაფი იყო. სამი წლის განმავლობაში სამხედრო შეკრება გვქონდა ხოლმე. სამსახურში ხელფასი მინარჩუნდებოდა და ჩვენც მივდიოდით. ამ სამ თვეს, როგორც წესი, ნახევარ თვეს კიდევ დავამატებდით და ოჯახებთან ერთად ვმოგზაურობდით. ვიყავი "ცესკა"-ს ნაკრების კაპიტანი და მწვრთნელი, ლოვა სარქისოვი ამ ნაკრების უფროსი მწვრთნელი იყო. გვაძლევდნენ სამხიდიან კამაზს, მიგვქონდა, რაც საჭირო იყო და საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ვმოგზაურობდით... ეს ჩვენი ცხოვრება იყო.

ბავშვები მთაში დამყავს და ჩემთან ერთად ვარჯიშობენ. ირაკლი სასიმაღლო სამუშაოებისას მეხმარება. კვანძებში კარგად ერკვევა. სამივე ცოცავენ კლდეზეც და ყინულზეც. გოგონა ნაკრების წევრი იყო. ახლა სტუდენტია და სავარჯიშოდ ვერ იცლის.

- მეუღლე, რომელსაც უდიდესი წვლილი მიუძღვის იმაში, რომ თქვენს საქმეს აკეთებთ...

- ღმერთმა დამიფაროს, რაიმე მოუვიდეს... ერთხელ ძალიან ავად იყო. ექიმები ვერ ამბობდნენ, გადარჩებოდა თუ არა. მაშინ წარმოვიდგინე... გავნადგურდები და მეც არ ვიცი, სადამდე დავეშვები. აღარაფერი დარჩება ჩემგან.

- შიში რა არის?

- შიში არის შიში. ამას სულ ებრძვი. პირველ რიგში კი - ლოცვით.

ჩემთვის შიში ორნაირია - ხანმოკლე და ხანგრძლივი. ხანმოკლე შიში მალე მიდი-მოდის: როცა უცბად პალო ამოვარდება, ან ფეხი დაგიცურდება, ან ზვავი ჩამოვა და ა.შ ეს შიში ბევრია. ხანგრძლივი შიში ზვავივით ნელა იწყება და იზრდება და იზრდება. ის დიდხანს არის. მარშრუტს რომ ირჩევ, იქიდან იწყება - გეშინია, რომ არაფერი შეგეშალოს. ერთხელ ჩვენს თავზე განუწყვეტლივ გადადიოდა ზვავები და აღარც ბოლო უჩანდა. როგორც იქნა, ღამის 12 საათზე ის ფერდი გაიყინა და მორჩა.

- მთას როგორ ეპყრობით?

- ის პარტნიორია. არასდეს ვებრძვი და არც შურისძიების გრძნობა მაქვს მის მიმართ. ის კარგი, სასიამოვნო ადამიანივით არის. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ერთნი ვართ, ერთ საქმეზე ვართ.

- დროის აღქმაც სხვანაირია. რომ გგონია, მიხვედი...

- პამირთან და ტიან-შანთან შედარებით, კავკასიონი პატარა ჩანს. რომ გგონია, ცოტაც და მოსახვევთან მიხვედი, იქამდე კიდევ 2 დღის სავალია...

- აქ როგორ გაქვთ დროისა და მანძილის შეგრძნება?

- აქ ყოველთვის წინასწარ ვარკვევ, ვინ დანიშნა შეხვედრა - ფილოლოგია, ალპინისტი, თუ გეოლოგი. თუ ბოლო ორია, მაშინ ისინი ზუსტ აღწერილობას მაძლევენ - მინიშნება, ემოცია, რაც იმ ადგილის დანახვამ უნდა გამოიწვიოს და ა.შ. თუ ფილოლოგმა დანიშნა, ზუსტად ვიცი, რომ ვერ მივაგნებ.

- თქვენი პროფესიით გამომუშავებული თვისებები აქ გეხმარებათ?

- მაგის გამო აქ მოშვებული ვარ. საერთოდ, ხალხს ალპინისტებად და ბუღალტრებად ვყოფ. თუმცა, ალპინისტებშიც შეიძლება იყვნენ ბუღალტრები და ბუღალტრებში - ალპინისტები. ბუღალტერისთვის ადვილია გარაჟის აშენება, ან რემონტის გაკეთება... გარაჟზე გიამბობთ: მეზობლებმა თქვეს, ფული დავდოთ და ერთად ავაშენოთ გარაჟებიო. მითხრეს, რომ 3 ტონა ცემენტი იყო საჭირო. საკუთარ თავზე ავიღე ეს ცემენტი და მივიტანე 5 ტონა... დღეს ყველას გარაჟი აქვს ჩემს გარდა. ნამდვილად არ ვიცი, ეს როგორ მოხდა. თუ ჩემს ცოლს დავუჯერებ - მთაში თავს ვაფარებ. ან პირიქით, მთის პრობლემებისგან აქაური პრობლემებით ვისვენებ...

ისე კი, ეს თვისებები ცხოვრებას მიშლის. იქ ზუსტი კრიტერიუმები და შეფასებები, ურთიერთობაა - უფროსი, უმცროსი, პასუხისმგებლობა... შეიძლება არც გინდოდეს რაიმეს გაკეთება, მაგრამ სიტუაცია, გუნდი ამის ვალდებულს გხდის. ამიტომ, ზედმეტი საუბრის დრო აღარ არის. ზოგჯერ ინტონაციაც კი სიტუაციას გამოხატავს. მაგალითად, როცა გეტყვიან - "ქვა" - ინტონაციაც გახვედრებს, რა სისწრაფით მოდის ეს ქვა, უნდა გაერიდო, უნდა აიხედო თუ არა... იქ საუბარი სხვა დონეზეა.

- ყველაზე ბოლოს რას დებთ ზურგჩანთაში?

- ყველაზე პირველი, ანუ ძირს - საძილე ტომარა იდება. თუ "პადხოდზე" მიდიხარ, შემდეგ იდება რკინა (პალოები, წრიაპები). თუ მყინვარზე ხარ, თოკი, წრიაპი, ჩასაცმელი აუცილებლად ზემოთ უნდა იდოს.

- რაიმე თილისმები...

- არა, ეგეთი პოეტი არ ვარ.

- მთამსვლელი პოეზიის გარეშე?

- პროზაიკოსი ვარ...

გაგრძელება B7 გვერდზე

შოთა კომახიძე

ლოვა სარქისოვი



მერაბ ხაბაზი

რეჟისორი თეატრიდან წავიდა

თითქოს, დიდი არაფერი მომხდარა - ერთი წავა და სხვა მოვა... მაგრამ როდესაც მიდის მეორე, მესამე, მეოთხე... საფიქრებელია, რომ თეატრში რაღაც ხდება, თეატრს რაღაც უჭირს, შველა სჭირდება.

ვასილ გულეური
გორიდან

გორის გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი 1934 წელს დაარსდა და იმ საუკეთესო ტრადიციების მატარებელი იყო, რასაც XVIII საუკუნეში სწორედ გიორგი ერისთავმა ჩაუყარა საფუძველი. შალვა ხერხეულიძე, ვასო კახნიაშვილი, ერვანდ არაქელოვი, ქეთევან ბოჭორიშვილი, ეთერ მოციქულაშვილი, ჟუჟუნა კაბულაშვილი, გოგი ბასიშვილი და სხვები სხვადასხვა თაობის შესანიშნავი მსახიობები იყვნენ, რომლებიც ნებისმიერი თეატრის სცენას დაამშვენებდნენ. წლების განმავლობაში წარმოდგენები ანშლაგებით იმართებოდა, ყოველ სეზონზე ათობით ახალი პიესა იდგმებოდა, დღეს კი გორის თეატრს უჭირს და ამის მიზეზი მხოლოდ დაფინანსების სიმწირე არ უნდა იყოს.

გასული საუკუნის ბოლო ათწლეულმა ბევრი რამ შეცვალა, ბევრი ღირებულება გაუფასურდა. გაჭირვებულ და მშიერ ადამიანს, თითქოს, ნაკლებად სცალია თეატრისათვის. ამის მიუხედავად, გორელი მაყურებელი მტკივნეულად აღიქვამდა, როდესაც თეატრის სცენაზე ხან საცირკო სანახაობა, ხან კი ლუდის (თუნდაც, ქართულის) ზეიმი ეწყობოდა და, მსახიობთა თამაშის ნაცვლად, გორელებს პატივმოყვარე ლიპების ლუდის კათხების დაცლაში შეჯიბრების ყურება უწევდათ.

ბოლო წლებში, თითქოს, მდგომარეობა შეიცვალა - თბილისში ახალი თეატრები იხსნება, თეატრალური ცხოვრება გამოცოცხლდა ქუთაისში, თელავში, ბათუმში...

მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივმა ბიუჯეტმა გორის თეატრს დაფინანსება გაუზარდა, გასულ სეზონზე დასმა მაყურებელს მხოლოდ ორი პრემიერა შესთავაზა. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი რეჟისორი ზაზა წაქაძე, რომელიც შარშან ჩაუდგა თეატრს სათავეში, მრავალი საინტერესო ჩანაფიქრით შეუდგა დასთან მუშაობას - დადგა ლეო ქიაჩელის "ჰაკი აძბა", დაგეგმილი ჰქონდა ვაჟა-ფშაველას "სტუმარ-მასპინძელი" და იაკობ გოგებაშვილის "იავნანამ რა ჰქმნა." იგი მიიჩნევდა, რომ ქართული რეპერტუარისთვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექციათ და ასეც აპირებდა მუშაობის გაგრძელებას, მაგრამ... მთავარი რეჟისორი მოულოდნელად თეატრიდან წავიდა, თანაც ისე, რომ მიზეზი არავისთვის განუცხადებია.

"მე არ ვიცი, რატომ დატოვა თეატრი ბატონმა ზაზა წაქაძემ," – აცხადებს თეატრის დირექტორი, კახა ბერიძე. მიზეზს ვერც მსახიობები ასახელებენ და თავს შეუმჩნეველად გრძნობენ. კულუარული ინფორმაციით, უკვე ბევრს უჭირავს თვალი თეატრის სამხატვრო რეჟისორის ადგილზე. მაყურებელი კი ამაოდ ელის წარმოდგენებს. თუმცა, თეატრის დირექტორი აცხადებს, რომ მაყურებელი მხოლოდ პრემიერაზე მოდის, მერე კი გაყიდული ბილეთების ღირებულება ელექტროენერგიის ხარჯსაც ვერ ფარავს.

კალენდარი

1 თებერვალი

ავა გარდნერი მასზე ამბობდა: "შეუძლებელი იყო ნებისმიერ ნორმალურ ქალს იგი არ შეყვარებოდა". ასეთი "ნორმალური" ქალბატონები ცხოვრების განმავლობაში ნამდვილად არ აკლდა კლარკ გეიბლს. მაგრამ ახალგაზრდობაში მას ტყუილად ჰქონდა იმედი, რომ მიანიჭებდნენ "ჰოლივუდის მეფის" ტიტულს, რაც მოგვიანებით გარდაუვალი აღმოჩნდა.

უილიამ კლარკ გეიბლი დაიბადა აშშ-ში, ოჰაიოს შტატის ქალაქ კადისში. შვიდი თვისას დედა გარდაეცვალა. საშუალო სკოლა არ დაუმთავრებია, 16 წლისა კი სახლიდან წავიდა. მომავალი რეტ ბატლერის ახალგაზრდობამ გაიარა სამხერხაოსა და პლანტაციებში; გარკვეული პერიოდი ჰალსტუხების გაყიდვითაც ირჩენდა თავს. შემდეგ კლარკი თეატრით დაავადდა და მსახიობობა გადაწყვიტა.

გეიბლისთვის ყველაფერი ბროდვეის სპექტაკლიდან, "უკანასკნელი მილი"-დან დაიწყო. ამის შემდეგ კლარკი ჰოლივუდში მიიწვიეს. მართალია, პროდიუსერმა ირვინგ თალბერგმა, რომელსაც გეიბლი საჩვენებლად მიუყვანეს, თქვა: "აზრი არა აქვს, ნახეთ რამხელა ყურები აქვს!", მაგრამ მორიგ საცდელ გადაღებაზე გეიბლის ყურები სკოჩით მიამაგრეს და დამწყები მსახიობის ყურებისთვის აღარავის მიუქცევია ყურადღება. პირველი ფილმების შემდეგ კლარკ გეიბლი ჰოლივუდის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მამაკაცი გახდა. "ქარწაღებულნი"-ში რეტ ბატლერის როლზე ხომ გეიბლი მთელმა ამერიკამ აირჩია.

კლარკ გებლი ხუთჯერ დაქორწინდა. როგორც თავად ამბობდა, ყველაზე დიდი სიყვარული მაინც მსახიობთან, ქეროლ ლომბარდთან აკავშირებდა. მაგრამ მათი ქორწინება ტრაგედიით დასრულდა: ინდიანას შტატის ხელმძღვანელობამ ჰოლივუდიდან ითხოვა ვინმე, ვინც მათ სახელმწიფო ობლიგაციების მხარდაჭერაში დაეხმარებოდა. გეიბლმა სთხოვა მეუღლეს, ჩაბმულიყო კამპანიაში, მაგრამ, თვითმფრინავი, სადაც ქეროლი იმყოფებოდა, მთას შეეჯახა. ეკიპაჟი და მგზავრები დაიღუპნენ. კატასტროფის ადგილას იპოვეს მხოლოდ შობის დღესასწაულზე მეუღლისთვის გეიბლის ნაჩუქარი ბრილიანტის საყურეები. ამ ტრაგედიამ ცხადია, მნიშვნელოვნად იმოქმედა შეყვარებულ მეუღლეზე. მსახიობი გახდა, სასმელს მიეძალა, გააუქმა ყველა კონტრაქტი კინოსტუდიებთან და წავიდა ომში, ავიაციაში, სადაც მაიორის წოდებას მიაღწია.

გეიბლის მეხუთე ცოლი გახდა ქეი სპრეკელსი, ვისთანაც მსახიობს ვაჟიშვილი შეეძინა. თუმცა, შვილი გეიბლს არ უნახავს, იგი მამის გარდაცვალებიდან ოთხი თვის შემდეგ დაიბადა. "ჰოლივუდის მეფე" 1960 წლის 16 ნოემბერს გულის შეტევით გარდაიცვალა.

კლარკ გეიბლი 1901 წლის 1 თებერვალს დაიბადა.

ლტოლვილები და ვარსკვლავები ბერლინში

რას გვთავაზობს "ბერლინალე"

თამარ ბაბუაძე

შარშანდელი ვერცხლის დათვის მფლობელი - ოთარ იოსელიანი

"ბერლინალეს" დირექტორი დიტერ კოსლიკი

1951 წელი, ჰიჩკოკი და მისი "რებეკა"; მოქანდაკე რენე სენტანის იდეით შექმნილი ოქროს დათვი; აღმოსავლეთ გერმანელები და პოლიტიკა კინოში; 1959 წელი და უკვე 53 მონაწილე ქვეყანა. პირველი გამარჯვებულები: ფასბინდერი, ანტონიონი, გოდარი და, რაც მთავარია, კინოთეატრ Titania-Palast-ის საუკუნის ვარსკვლავებით გაჭედილი დარბაზი: გარი კუპერი, სოფი ლორენი, ჯულიეტა მაზინა, ეროლ ფლინი, ჟან მარე, ჰენრი ფონდა, მიშელ მორგანი, კერი გრანტი... – ეს "ბერლინალეს" პირველი წლებია, უკვე ისტორიად ქცეული და კინომოყვარულთათვის უძვირფასესი...

დღეიდან ასეთი მოგონებები "ბერლინალეს" თემაზე "კინო-რომანტიკოსობად" უკვე აღარ ჩაითვლება: ხუთ დღეში ბერლინის რამდენიმე ცნობილ კინო-დარბაზში 1951 წელს დაარსებული ფესტივალი 53-ეჯერ გაიხსნება. ღონისძიება 16 თებერვლამდე გასტანს. საერთაშორისო ჟიური, რომელსაც სომხური წარმოშობის კანადელი რეჟისორი, ატომ ეგოიანი უხელმძღვანელებს, კონკურსში მონაწილე ფილმებიდან მთავარი პრიზის – "ოქროს დათვის" მფლობელ საუკეთესო ფილმს გამოავლენს. დაჯილდოება 15 თებერვალს, "ბერლინალე-პალასში" გაიმართება. იმავე დღეს შემდეგ კატეგორიებში "ვერცხლის დათვებსაც" დაარიგებენ: ჟიურის გრან-პრი, პრიზები საუკეთესო რეჟისორს, საუკეთესო მსახიობ ქალს, მამაკაცს, პრიზი გამორჩეული ინდივიდუალური წვლილისა და ფილმის მუსიკისთვის. გამოვლინდება ორი სპეც-ჯილდოს მფლობელიც. ესენია: მარლენ დიტრიხის სახელობის "ლურჯი ანგელოზის ჯილდო" – საუკეთესო ევროპული ფილმისთვის და ფესტივალის დამფუძნებლის, ალფრედ ბაუერის პრიზი ნოვაციისათვის.

თუ კინოს პოლიტიკური კუთხით მივუდგებით, წლევანდელ და პირველ "ბერლინალეებს" შორის მრავალ საერთოს აღმოვაჩენთ. დაძაბული საერთაშორისო ფონი ხომ არც თანამედროვე კინემატოგრაფს აკლია, განსაკუთრებით კი 11 სექტემბრის შემდეგ. ღონისძიების დირექტორის, დიტერ კოსლიკის განმარტებით, აუცილებელიცაა ფესტივალმა არსებული პოლიტიკური რეალობა ასახოს. ამიტომაც "ბერლინალეს" განწყობა სევდიანი იქნება. ამაზე მიგვანიშნებს მისი დევიზიც – Toward Tolerance. უჩვენებენ სამ ფილმს, რომლებიც ლტოლვილების თემას ეხება. ერთ-ერთია მაიკლ უინტერბოტომის "ამ სამყაროში". ფილმში მაყურებელი კვალდაკვალ მიჰყვება ორი ავღანელი ლტოლვილი ქალის იძულებით მოგზაურობას ირანში, თურქეთში, იტალიაში, საფრანგეთსა და ინგლისში. "ლტოლვილთა პრობლემა სულ უფრო მწვავდება. ეს გლობალური საკითხია, რომელიც ფილმებშიც აისახება და ამიტომ ჩვენთანაც ფართოდ გაშუქდება", - აცხადებს დირექტორი.

ამ პოლიტიკურ განწყობას ბერლინში ცნობილი სახეების გამოჩენა გაახალისებს. სანამ ვარსკვლავები წითელ ხალიჩაზე არ დაადგამენ ფეხს, დირექტორი მათი ვინაობის გამხელისგან თავს იკავებს. მაგრამ პოტენციურ სტუმრებს შორის მაინც მოიაზრებენ: ჰოლივუდელებს – დასტინ ჰოფმანს, ჯულიან მურს, ნიკოლას კეიჯს, მერილ სტრიპს, ნიკოლ კიდმანს, ჯორჯ კლუნის. შეიძლება გამოჩნდნენ - კევინ სპეისი, კეით უინსლეტი, ედვარდ ნორტონი, სპაიკ ლი. იქვე აუცილებლად იქნებიან ლია ვან ლეერი, ვიმ ვენდერსი და დენის ჰოპერი, რომლებიც "ბერლინალეს ნიჭიერთა კამპუსს" უხელმძღვანელებენ – ლექციებსა და გამოცდილების გაზიარების მიზნით ახალგაზრდა რეჟისორებისთვის დაგეგმილ ტრენინგებს. ასე რომ, მართალია, ბერლინის ფესტივალს აკლია კანისა და ვენეციის ფესტივალებისთვის ჩვეული მომხიბვლელობა, მაგრამ, წონიანი სტუმრებისა და მასშტაბურობის გამო, ისიც ევროპის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კინო-ღონისძიებად ითვლება.

6 თებერვალს ფესტივალს რამდენიმე "ოქროს გლობუსის" მფლობელი მიუზიკლი-რიმეიკი, "ჩიკაგო" გახსნის. 16 თებერვალს კი ბოლო აკორდად მაყურებელს სკორსეზეს "ნიუ იორკის ბანდებს" უჩვენებენ. ამ ათი დღის განმავლობაში ბერლინში შეკრებილ კინომოყვარულებს 400-მდე ფილმის ნახვის შანსი ექნებათ. თუმცა, ამერიკელებს განსაკუთრებულად საამაყოდ აქვთ საქმე – 22 საკონკურსო ფილმიდან ხომ ამერიკული რამდენიმეა: "ნიუ იორკის ბანდები" (მარტინ სკორსეზე), "საშიში აღსარებები" (ჯორჯ კლუნი – ეს მისი სარეჟისორო დებიუტი გახლავთ), "სოლარისი" (სტივენ სოდერბერგი), "საათები" (სტივენ დალდრი), "დევიდ გეილის ცხოვრება" (ალან პარკერი; ბრიტანეთი-აშშ-ს ერთობლივი ნაწარმოები), "25-ე საათი" (სპაიკ ლი), "ადაპტაცია" (სპაიკ ჯონსი – ფილმის "იყო ჯონ მალკოვიჩი" რეჟისორი).

კონკურსზე ასევე წარდგენილია პასკალ ბონიცერის (საფრანგეთი), ოსკარ როლერის (გერმანია), ჰანს-კრისტიან შმიდის (გერმანია), დამჟან კოზოლეს (სლოვენია), გაბრიელე სალვატორეს (იტალია), კლოდ შაბროლის (საფრანგეთი), პატრის შეროს (საფრანგეთი), მუსა სენე აბსას (სენეგალი), იოჯი იამადასა (იაპონია) და ჩენ იმოუს (ჩინეთი) ფილმები.

პარალელურად, გაიმართება გალა-ჩვენებებიც. ანუკ ემეს პატივსაცემად აჩვენებენ "ლოლას", ფესტივალის დირექტორის, ატომ ეგოიანის პატივსაცემად კი – მის ბოლო ფილმს "არარატს". დიდ რეტროსპექტივას მიუძღვნიან იასუჰირო ოძუს ასი წლის იუბილესაც.

მოეწყობა გერმანული, საბავშვო, მოკლემეტრაჟიანი და დოკუმენტური ფილმების ჩვენებები. წელს პირველად, ცალკე "ოქროს დათვი" დაწესდება საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმისთვის. ტრადიციული "პანორამას" ფარგლებში, მრავალ სხვა ფილმთან ერთად უჩვენებენ ოლივერ სტოუნის "კომანდანტესაც", რომლის მთავარი გმირიც ფიდელ კასტროა...

როგორც ხედავთ, ბერლინის ფესტივალის პროგრამა მართლაც მრავალფეროვანია. 400-მდე ფილმის ნახვა, ბუნებრივია, ფიზიკურად შეუძლებელი იქნება, თუმცა ამ მდიდარი პროგრამიდან დამსწრე საზოგადოებას მათთვის საინტერესო სურათების არჩევის საშუალება ნამდვილად ექნება. ქართველი მაყურებლისთვის კი სასიამოვნო იქნება იმის ცოდნა, რომ წლევანდელ "ბერლინალეზე" საქართველოს ბასა ფოცხიშვილი წარმოადგენს მარიკა თხელიძის სიმღერაზე გადაღებული კლიპით.

ფოლკლორიდან გალობამდე

"ფესვები" ახალ ალბომზე მუშაობს

ნანა ბასილაშვილი

სულ მალე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ანსამბლის, "ფესვების" ახალი ალბომი გამოვა. "ფესვებისათვის" ეს რიგით მეორე ალბომია. ანსამბლის წევრების თქმით, მასში მხოლოდ კომპოზიტორთა 12 საესტრადო სიმღერა შევა. ახალი ალბომის სათაური ჯერ-ჯერობით უცნობია.

ანსამბლი "ფესვები"

"ფესვების" სადებიუტო ნამუშევარი მხოლოდ ქართულ ხალხურ სიმღერებზეა აგებული. თითქოს, მომავალშიც ასე უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ ნელ-ნელა მათ არჩეული გეზიდან გადაუხვიეს... ექვსი წლის წინათ მაესტრო დავით უზნაძემ ის მომავალი ექიმები შეკრიბა, რომლებსაც, უბრალოდ, ემღერებოდათ და სიმღერის სწავლა უნდოდათ. სტუდენტებმა ქართული ფოლკლორი იმდენად კარგად შეისწავლეს, რომ მალე სამედიცინო უნივერსიტეტთან არსებული, ვაჟთა ვოკალური ანსამბლი საქართველოში ერთ-ერთ პოპულარულ ანსამბლად იქცა. "ფესვებმა" უკვე კარგა ხანია, გაითქვა სახელი არამარტო საქართველოში. თბილისელ მსმენელს კარგად ახსოვს მათი კონცერტები კონსერვატორიისა და ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზებში. "ფესვებისა" "უნივერსიტეტის" ერთად გამართული ბოლო კონცერტი კი საქველმოქმედო იყო. ამავე დროს ანსამბლი უცხო ქვეყნებშიც მოგზაურობდა - წარმატებით მოიარეს იტალია, თურქეთი, ბელგია, ესპანეთი და მოსკოვი. სხვადასხვა ფესტივალებზე მიწვევებს "ფესვები" ახლაც ღებულობს, მაგრამ როგორც თავად მომღერლებმა მითხრეს, გასტროლები დიდ თანხებთანაა დაკავშირებული.

"ფესვები" ექვსი წელია არსებობს. ეს დრო, ალბათ, არც ბევრია, არც – ცოტა. ამ ხნის მანძილზე ანსამბლმა რეპერტუარში თანდათანობით საესტრადო სიმღერებიც შეიტანა. ახალ ალბომში მომღერლები გვთავაზობენ მარიკა კვალიაშვილის, ლილიკო ნემსაძის, ნატო გელაშვილის, მედიკო კარტოზიას, მიშა მდინარაძის, ალექსანდრე რაქვიაშვილისა და ნუნუ დუღაშვილის სიმღერებს.

პირადად ჩემთვის კი ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი ისაა, რომ უკვე ორი წელიწადია, რაც ანსამბლის რვა წევრი ყოველ შაბათ-კვირას წმინდა სამების ტაძარში გალობს.

"ვცდილობთ, უპირატესობა გალობას მივანიჭოთ - სამხმიან გალობას ხომ სამების დიდი მადლი აქვს. ვინც ამბობს, რომ მღერის და სიმღერა იცის, მას პირველ რიგში გალობა უნდა შეეძლოს. და რადგან ვგალობთ, ვცდილობთ, მართლად ვიცხოვროთ, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს უბრალოდ ჩვენი სურვილია, ჩვენ ეს მოგვეთხოვება,"- მითხრა ერთ-ერთმა მგალობელმა დათო ნოზაძემ.

"ფესვებს" ტაძარში გალობა ანჩისხატის მგალობელთა ჯგუფის ხელმძღვანელმა შესთავაზა. თამარ ბახტურიძე კი ბიჭებს ჩანაფიქრის განხორციელებაში დაეხმარა. "ვერ წარმოიდგენთ, როგორი ჰარმონია და მადლია გალობაში. სირთულესთან ერთად გალობა ძალზედ საპასუხისმგებლოა", - ამბობს გიორგი ლომთათიძე.

"ფესვების" წევრებმა ცოტა რამ სამომავლო გეგმებზეც მითხრეს. გაზაფხულზე ისინი სოლო კონცერტისათვის მოემზადებიან და თან მესამე ალბომზე დაიწყებენ მუშაობას, რომელშიც მხოლოდ საგალობლებს შეიტანენ.

ახალგაზრდა მომღერლები ინსტიტუტის რექტორის, რამაზ ხეცურიანის მადლიერნი არიან. "მთელი ანსამბლის სახელით ვამბობ, ჩვენს ჩამოყალიბებასა და არსებობაში ჩვენს რექტორსა და მაესტროს დიდი წვლილი მიუძღვით. თითქმის, ნულიდან დავიწყეთ და, მათი წყალობით, სწორ გზას დავადექით. ძალიან გთხოვთ, ეს დაწეროთ", - მითხრა ლევან თოლორდავამ. მადლიერების გამოხატვას კი აბა, როგორ დავამადლიდი.

შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დელეგაციები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)



გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

როგორია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაიღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამბავი?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით გეთქვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

თურქეთის "ქოჯაელის" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, კლუბში გასინჯვაზე მყოფი ქართველი ფორვარდი ზაზა ჯანაშია დაიტოვოს. ჯანაშია თურქებს უსასყიდლოდ ერგოთ - თბილისის "ლოკომოტივმა" ფეხბურთელთან კონტრაქტი გაწყვიტა.

■ ■ ■

სანტანდერის "რასინგის" მეპატრონემ, პრეზიდენტმა და არაოფიციალურმა მწვრთნელმა, ოდესელმა დმიტრი პიტერმანმა, "ვალიადოლიდთან" შეხვედრის წინ, შემადგენლობიდან ამოაგდო კლუბის ფორვარდი პედრო მუნიტისი. პიტერმანის თქმით, ეს არის ერთ-ერთი ნაწილი იმ საკადრო ცვლილებებისა, რომელსაც ის იწყებს.

■ ■ ■

მოსკოვის "ლოკომოტივში" მატებაა. ახალი სეზონიდან რუსეთის ჩემპიონის ღირსებას დაიცავს კოსტარიკელი ფორვარდი უინსტონ პარკსი. რკინიგზელთა თავკაცის, იური სიომინის თქმით, პარკსი ჩინებული ფორვარდია და იმედი აქვს, გუნდს ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფური ეტაპიდან გასვლაში შეეშველება.

■ ■ ■

გერმანული "ფრაიბურგის" რუსი ლეგიონერი, ვლადიმირ ბუტი, ახალი კლუბის ძიებაშია. მას ცოტა ხნის წინათ ბერძნულ "პანათინაიკოსში" სინჯავდნენ, მაგრამ მხარეები სატრანსფერო თანხაზე ვერ შეთანხმდნენ და ბუტსაც გერმანიაში მოუხდა დაბრუნება. ის "ფრაიბურგში" დარჩენას არ აპირებს და ახალ კლუბს ეძებს.

■ ■ ■

იტალიის "იუვენტუსი" ორ ფეხბურთელს შეელია. ამიერიდან ემილიანო მორეტი "მოდენას", ხოლო დავიდ ბაიოკო "პიაჩენცას" ღირსებას დაიცავს. ფეხბურთელთა გასხვისება კლუბის ხელმძღვანელობამ მარჩელო ლიპისთან კონსულტაციის შემდეგ გადაწყვიტა.

■ ■ ■

ინგლისური საინფორმაციო წყაროების მიხედვით, ინგლისის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ბოლოსწინა მატჩს "მიდლსბროს" Riverside Stadium-ზე გამართავს. ეს ფაქტი მნიშვნელოვანია იმით, რომ 1937 წლის შემდეგ ეროვნულ გუნდს ამ სტადიონზე არ უთამაშია.

■ ■ ■

შოტლანდიის "დანდი იუნაიტედის" ახალი მწვრთნელი გახდა იონ მაკკოლი. შოტლანდიის ჩემპიონატის აუტსაიდერის პრეზიდენტმა ედი ტომპსონმა მაკკოლის კანდიდატურა კლუბის დირექტორთა საბჭოს წევრებთან კონსულტაციის შემდეგ შეარჩია.

■ ■ ■

ფრანგული "ლიონი" "ფულემის" მეპატრონეს, მოჰამედ ალ ფაიედს, სასამართლოში უჩივის. საქმე ის არის, რომ ალ ფაიედმა გადაწყვიტა, სტივ მარლეს გადაბირებისთვის გადასახდელი თანხა ფრანგებს სრულად არ გადაუხადოს. ხელშეკრულების მიხედვით, ალ ფაიედს თანხა ნაწილ-ნაწილ უნდა გადაეხადა, მაგრამ დარჩენილი 3,1 მილიონი გირვანქის გადახდა არ სურს. მიზეზი ის არის, რომ ალ ფაიედმა არ იცის, რაში გამოიყენა კლუბმა ეს თანხა.

■ ■ ■

"ვესტ ჰემის" მწვრთნელი, გლენ როდერი, სატრანსფერო ბაზარზე დიდი აქტიურობით გამოირჩევა. ახლა ლონდონელები სატურნირო ცხრილის ბოლო საფეხურზე არიან. მწვრთნელი ცდილობს, იყიდოს ის ფეხბურთელები, რომლებიც გუნდს კრიზისს დააძლევინებენ. ლი ბოიერისა და ლეს ფერდინანდის ყიდვის შემდეგ როდერმა "პანათინაიკოსის" მცველს, ლეონიდას ვოკოლოსს დაადგა თვალი. ბერძენი მცველი უკვე ლონდონშია და საკონტროლო მატჩიც ითამაშა, სავარაუდოდ, ახალი კლუბის შემადგენლობაში.

■ ■ ■

ვალერი ლობანოვსკის ოთხმეტრიანი ქანდაკება გაზაფხულიდან კიევის "დინამოს" სტადიონის შესასვლელს დაამშვენებს. ჯერჯერობით ცნობილი არ არის, თუ როგორია ქანდაკება, მაგრამ, უკრაინული პრესის ინფორმაციით, გამოჩენილი მწვრთნელი იმ პოზაში იქნება, როგორიც ის საზოგადოებას ახსოვს - სკამზე მჯდომარე.

■ ■ ■

დონეცკის "შახტარის" პრეს-სამსახურმა ოფიციალურად უარყო გავრცელებული ხმები იმის შესახებ, რომ კლუბს ამიერიდან ტირასპოლის "შერიფის" მწვრთნელი გავრილე ბალინტა გაწვრთნის. "იარამჩენკოს ყველანაირად ვენდობი. ასე რომ, "შახტარს" კვლავაც ის უხელმძღვანელებს", - განაცხადა დონეცკელთა პრეზიდენტმა რინატ ახმეტოვმა. ამასთან ერთად, საბოლოოდ გაირკვა ნიგერიელი ფორვარდის ჯულიუს აგაჰოვას ბედიც. ის ისევ "შახტარის" ღირსებას დაიცავს.

■ ■ ■

ფრანგული "პსჟ"-ს მწვრთნელს, ლუის ფერნანდესს, დისკვალიფიკაცია ემუქრება. საქმე ის არის, რომ "ნიცასთან" მატჩისას, მსაჯის მოქმედებით უკმაყოფილო ფერნანდესმა, გვერდით არბიტრთან საქმის გარჩევა დაიწყო. გვერდით მსაჯად კი იმ მატჩზე მშვენიერი სქესის წარმომადგენელი ნელი ვიენო იყო.

■ ■ ■

ლევერკუზენის "ბაიერმა" კოტბუსის "ენერგიას" პოლონელი ფორვარდი რადოსლავ კალუჟნი შეიძინა. მართალია, ხელშეკრულება კლუბსა და ფეხბურთელს შორის ჯერ არ გაფორმებულა, მაგრამ სატრანსფერო თანხის რაოდენობა ცნობილია - 1,2 მილიონი ევრო.

■ ■ ■

ნიგერიელმა მცველმა, ტარიბო ვესტმა, ბელგრადის "პარტიზანთან" გააფორმა კონტრაქტი. მოგეხსენებათ, იუგოსლავიელებს ლოთარ მათეუსი წვრთნით და ვესტის გადაბირებაც მას ბრალდება.

■ ■ ■

UEFA-მ მსაჯებს რასიზმის წინააღმდეგ უფრო მკვეთრი ღონისძიებების გატარებისკენ მოუწოდა. ევროპული ფეხბურთის მმართველთა თქმით, მსაჯებმა მოედანზე რასიზმის ყოველგვარი გამოვლინება თავიდანვე უნდა აღკვეთონ. თავად UEFA კი იმ კლუბს, რომლის გულშემატკივრებიც რასიზმში იქნებიან შემჩნეულნი, უმკაცრესად დასჯის - ევროტურნირებიდან მოკვეთს.

ისტორიული ფოტო

ეს იყო 45 წლის წინათ...

1958 წლის 10 ოქტომბერი, რიო დე ჟანეირო. ბრაზილიის ნაკრებისა და "ბოტაფოგოს" ლეგენდარული ნახევარმცველი დიდი.

ფეხბურთი

მზადება რევანშისთვის ექსპერიმენტული შემადგენლობით

მიხეილ აბაიშვილი

საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა პირობა დადო, რომ ქვეყნის პირველი გუნდის გარშემო დაგროვილ საკითხებზე თვეში ერთხელ მაინც გამართავდა პრესკონფერენციას. გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ნაკრების მწვრთნელების, ალექსანდრე ჩივაძის, მურთაზ ხურცილავასა და ოთარ გაბელიას პრესკონფერენცია, ერთი შეხედვით, ჟურნალისტებთან რიგითი შეხვედრა იყო, თუმცა, მხოლოდ ერთი შეხედვით, რადგან უახლოეს ორ თვეში ეროვნული გუნდი ევროპის ჩემპიონატის მიმდინარე შესარჩევი ციკლის სამ უმნიშვნელოვანეს საშინაო მატჩს გამართავს. ამ თამაშების შედეგებზე იქნება დამოკიდებული არა მხოლოდ საქართველოს ნაკრების ფინალურ ეტაპზე გასვლა-არგასვლის საკითხი, არამედ, ალბათ, ისიც, დარჩებიან თუ არა ნაკრების "მართვის პულტთან" ეს მწვრთნელები.

ალექსანდრე ჩივაძე თაობათა ცვლას აპირებს

თუმცა, ირლანდიის, შვეიცარიისა და რუსეთის ნაკრებ გუნდებთან დაპირისპირებამდე, ჩვენს ეროვნულს ელის ერთი ამხანაგური მატჩიც, რომელიც გადამწყვეტი ბრძოლის წინ გენერალური რეპეტიცია იქნება. გუშინდელი პრესკონფერენციაც, ძირითადად, ამ მატჩს ეხებოდა. შეხვედრის წინ, საწვრთნელ შეკრებაზე, ჩივაძემ იხმო: მეკარეები ლომაია (ლოკომოტივი), ნიკურაძე (ფინეთის "კტპ"); მცველები შაშიაშვილი ("დინამო" თბ.), ამისულაშვილი ("დინამო" თბ.), სახვაძე ("დინამო" თბ.), აბრამიძე (სპარტაკი), დიდავა (ქოჯაელისფორი), ქემოკლიძე (ქოჯაელისფორი), ჯიქია (ამიცა); ნახევარდაცვა - ბურდული ("დინამო" თბ.), დარასელია ("დინამო" თბ.), გოგობერიშვილი ("დინამო" თბ.), მენთეშაშვილი ("ალანია), მუჯირი (შტურმი), კვარაცხელია (ლოკომოტივი); თავდასხმა - ალექსიძე ("დინამო" თბ.), აფხაზავა (კიევის "არსენალი"), აშვეთია (ალანია), ჩალაძე (რუბინი).

ქართულ ფეხბურთში ოდნავ ჩახედული ადამიანიც კარგად მიხვდება, რომ მთავარმა მწვრთნელმა მოლდოვასთან მატჩის წინ საკადრო ექსპერიმენტებს მიმართა. ნაკრებში რამდენიმე ახალი სახელი გამოჩნდა. განსაკუთრებით მოულოდნელია ფინეთის "კტპ"-ს 23 წლის მეკარის, გიორგი ნიკურაძის გამოჩენა. მწვრთნელის, ოთარ გაბელიას თქმით, ნიკურაძე გასულ სეზონში თავისი კლუბის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა, რაც მეკარისთვის ძალიან ძნელია.

ჩივაძემ აღნიშნა, რომ შარშან, შვეიცარიასთან განცდილი მტკივნეული მარცხის შემდეგ, ნაკრებში დაიწყო თაობათა ცვლა, რის თვალსაჩინო დადასტურებადაც რუსეთთან ჩაშლილი შესარჩევი მატჩის ერთი ტაიმი გამოდგება. ამიტომაც, ნაკრების ხელმძღვანელობამ მოლდოვასთან მატჩში ეროვნული გუნდის უახლოესი რეზერვის გამოცდა გადაწყვიტა. ჩივაძის თქმით, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ასაკის გამო უარს ამბობს რომელიმე გამოცდილი ფეხბურთელის სამსახურზე. ისედაც გასაგებია, რომ თაობას, რომლის მხრებზეც გადაიარა ოთხმა შესარჩევმა ციკლმა, ჯერ სრულფასოვანი შემცვლელი არ ჰყავს და მათზე ჩივაძე, ძალიანაც რომ უნდოდეს, უარს ვერ იტყვის. მით უმეტეს, ბატონი ალექსანდრე სწორედ მათი მონაწილეობით აპირებს, ამ ციკლში ნაკრები ფინალური ეტაპის საგზურამდე მიიყვანოს: "არც ერთ ლეგიონერზე უარის თქმის უფლება არა გვაქვს. ჩვენ თვალყურს ვადევნებთ მათ კარიერას. ბოლო დროს თითქმის ყველა ქართველმა ლეგიონერმა საკუთარი კლუბის ძირითად შემადგენლობაში დაიმკვიდრა ადგილი, ზოგიერთი მათგანი საკუთარი გუნდის ლიდერიცაა. ნაკრების კარი ყველასთვის ღიაა, რის დასტურადაც დღეს გამოცხადებული შემადგენლობაც გამოდგება. ჩვენ ერთი მთავარი ორიენტირი გვაქვს: ირლანდიის ეროვნულ ნაკრებთან მატჩი. ირლანდიელები უკვე ორჯერ დამარცხდნენ და უკან დასახევი გზა მათაც მოჭრილი აქვთ. ისინი თბილისში მოსაგებად ჩამოვლენ. ამიტომ ჩვენ ყველა საუკეთესო ფეხბურთელი უნდა გამოვიყენოთ საჭირო შედეგის მისაღწევად. საჭირო შედეგი კი მხოლოდ გამარჯვებაა", - თვლის ჩივაძე.

საქართველოს ნაკრების დამრიგებელს მომდევნო სამ მატჩზე არა აქვს პროგრამა მინიმუმი და პროგრამა მაქსიმუმი. როგორც თავად განაცხადა, მას მხოლოდ მაქსიმალური შედეგი, ანუ 9 ქულა დააკმაყოფილებს. ყოველ შემთხვევაში, გუნდიც და მწვრთნელებიც ყველაფერს იღონებენ ამისთვის.

"ბარსელონას" ახალი მწვრთნელი ჰყავს: რადომირ ანტიჩი

გეგმები უკანასკნელ წამს შეიცვალა - გასპარმა, მენოტის ნაცვლად, ანტიჩს უხმო

აკა ტონია

როგორც იქნა, "ბარსელონამ" ახალი მწვრთნელი იპოვა. ჯერ კიდევ ვან გაალის გათავისუფლებამდე დაიწყო გუნდის მწვრთნელის კანდიდატთა სიის შედგენა. თავდაპირველად იყვნენ შუსტერი, მენოტი, ანტიჩი, ძაკერონი. შემდეგ მათ დაემატათ კუმანი, პეკერმანი, რეშაკი, ლორენცო სერა ფერერი, ფერნანდესი, ჰაჯი... ვინ მოთვლის, რამდენი ადამიანის გვარი ახსენეს. არგენტინელმა სეზარ ლუის მენოტიმ თავდაპირველად უარი განაცხადა, გუშინწინ კი გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს, "ბარსელონამ" ის დაითანხმა. საქმე ყველას გადაწყვეტილი ეგონა. საინფორმაციო საშუალებები იუწყებოდნენ, რომ მენოტი გუშინვე ჩავიდოდა ბარსელონაში კონტრაქტზე ხელის მოსაწერად, მაგრამ...

მოვლენები უკანასკნელ წამს შეიცვალა. მენოტიზე აღარავინ საუბრობს, ის წარსულს ჩააბარეს. ჩვენი ახალი გმირი იუგოსლავიელი რადომირ ანტიჩია - "ბარსელონას" ახალი მწვრთნელი. მისი გვარი თავიდანვე ახსენეს კანდიდატთა შორის. მაშინ, როდესაც თითქმის ყველა მწვრთნელის აზრი ცნობილი იყო, რადომირ ანტიჩზე არავინ საუბრობდა. უცნობი იყო მისი აზრი, სურდა თუ არა მას "ბარსელონას" მწვრთნელობა. ახლა უკვე ვიცით - ის თანახმაა.

ანტიჩის დანიშვნის შესახებ ინფორმაცია გუშინ დილიდანვე გავრცელდა. "ბარსელონას" ხელმძღვანელობა კომენტარისგან თავს იკავებდა, თუმცა, ცნობილი გახდა, რომ კლუბის პრეზიდენტი ხუან გასპარი უკვე შეხვდა იუგოსლავიელ მწვრთნელს, რის შემდეგაც მიღწეულ იქნა შეთანხმება ანტიჩის "ბარსელონას" მწვრთნელის პოსტზე დანიშვნის შესახებ. იმისთვის, რომ ანტიჩი, როგორც ახალი მწვრთნელი, ოფიციალურად იქნას წარდგენილი, საჭიროა, კადიდატურა კლუბის დირექტორთა საბჭომ დაამტკიცოს. გასპარისა და მწვრთნელის შეხვედრის შემდეგ, გუშინ, საღამოს, საბჭოს სხდომაც შედგა. ოფიციალურად "ბარსელონა" ანტიჩს დღეს წარუდგენს ჟურნალისტებს.

ამით დასრულდა კარლოს რეშაკის მოღვაწეობა დროებითი მწვრთნელის პოსტზე. ამ ფუნქციას "ბარსელონაში" ის უკვე მეხუთედ ასრულებდა. ეს უკანასკნელი შემთხვევა ყველაზე ხანმოკლე აღმოჩნდა (4 დღე). ესპანეთის "პრიმერა-დივიზიონის" დღევანდელ მატჩში, მადრიდის "ატლეტიკოს" წინააღმდეგ, "ბარსელონას" სწორედ ახლად დანიშნული რადომირ ანტიჩი უხელმძღვანელებს. ამ მატჩისთვის მოსამზადებლად იუგოსლავიელ სპეციალისტს მხოლოდ 24 საათი

რადომირ ანტიჩი

ჰქონდა. საინტერესოა, როგორ "ბარსას" ვიხილავთ ამ საღამოს.

ბოლოს ანტიჩი "ოვიედოს" წვრთნიდა. მანამდე კი სათავეში ედგა მადრიდის "ატლეტიკოს", რომელსაც 1996 წელს "დუბლი" შეასრულებინა - გაამარჯვებინა ესპანეთის ჩემპიონატში და ააღებინა ქვეყნის თასი. იუგოსლავიის ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი, 54 წლის ანტიჩი, "ატლეტიკოსა" და "ოვიედოს" გარდა, ბელგრადის "პარტიზანსა" და ესპანურ "სარაგოსასაც" წვრთნიდა.

ანტიჩის კონტრაქტი "ბარსელონასთან" მიმდინარე სეზონის ბოლოს დასრულდება, თუმცა, კარგი შედეგების შემთხვევაში, ავტომატურად გაგრძელდება.

"ბარსელონა" ახალი ფეხბურთელებითაც გადახალისდება. მიღწეულია შეთანხმება რომის "ლაციოსთან", მათი არგენტინელი მცველის, ხუან პაბლო სორინის კატალონიურ კლუბში გადასვლასთან დაკავშირებით. სორინი ბრაზილიური "კრუზეიროს" საკუთრებაა, "ლაციოს" ის იჯარით ჰყავს აყვანილი, ახლა კი, ასევე იჯარით, "ბარსელონაში" გაანათხოვრებს. 26 წლის მცველი გუშინ, ღამით ჩაფრინდა ბარსელონაში, სადაც სამედიცინო შემოწმებას გაივლის. სორინის კონტრაქტი ასევე ნახევარწლიანია - "ბარსელონაში" ის სეზონის ბოლომდე ითამაშებს.

მაშ ასე, "ატლეტიკოს" წინააღმდეგ მატჩში დღეს სახეშეცვლილ, ნაიარევ, ახალ "ბარსელონას" ვიხილავთ.

მძიმე ბრალდებები მათიას ზამერის წინააღმდეგ

ამორუზოს ბრაზილიელი ექიმი ზამერს რასიზმსა და აკრძალული მედიკამენტების გამოყენებაში ადანაშაულებს

დორტმუნდის "ბორუსიას" ბრაზილიელი თავდამსხმელის, მარსიო ამორუზოს და გუნდის მწვრთნელის, მათიას ზამერის ურთიერთობა არასოდეს გამოირჩეოდა განსაკუთრებული სითბოთი და სტაბილურობით. ამ ადამიანებს ხან უყვართ ერთმანეთი, ხან კი ნამდვილ მტრებად იქცევიან ხოლმე.

ამჟამად ურთიერთობა კვლავ დაიძაბა. მიზეზი გახდა ფეხბურთელის ბრაზილიელი ექიმის, ნივალდო ბალდოს განცხადება - მან დორტმუნდელთა მწვრთნელს მძიმე ბრალდებები წაუყენა.

ბრაზილიური ვებ-გვერდისთვის "Terra Esportes TV"-სთვის მიცემულ ინტერვიუში, ნივალდო ბალდომ მათიას ზამერი რასისტობასა და აკრძალული მედიკამენტების გამოყენებაში დაადანაშაულა. "საკუთარი თვალით ვნახე, როგორ ურიგებდა ზამერი ფეხბურთელებს აკრძალულ მედიკამენტებს. ამორუზოს ვურჩიე, ეს პრეპარატები არ მიეღო. მარსიოს არ სურს კონფლიქტი, რადგან ეს გუნდში პრობლემებს შეუქმნის. მაგრამ მე თავად ვარ მოწმე, რომ ზამერი უსამართლოდ იქცევა", - განაცხადა ექიმმა.

მარსიო ამორუზო და მათიას ზამერი

გერმანულ კლუბზე თავდასხმას ბალდო იმით ხსნის, რომ დორტმუნდელი ფეხბურთელების მკურნალობის სანაცვლოდ მას კლუბისგან ერთი ცენტიც არ მიუღია. მათიას ზამერმა კი ის საერთოდ "არასასურველ პერსონად" გამოაცხადა.

არც "დორტმუნდის" ხელმძღვანელობა აპირებს უკან დახევას და ბრაზილიელ ექიმზე კონტრიერიში მიაქვს. "არ მესმის, თუ რატომ უნდა გადავუხადოთ მას ფული. ჩვენი ფეხბურთელები კარგად არიან დაზღვეულები, ხოლო ბალდო ჩვენთან არავის დაუპატიჟებია", - ამბობს კლუბის სპორტული მენეჯერი მიხაელ ცორკი. აკრძალული მედიკამენტების გამოყენებასთან დაკავშირებით კი ცორკმა განაცხადა: "ეს ნონსენსია! ჩვენს გუნდს კომპეტენტური, მაღალკვალიფიციური სამედიცინო განყოფილება აქვს, თანაც, ხშირად ვატარებთ დოპინგ-კონტროლს. მისი გამონათქვამები ამ კაცის არასერიოზულობაზე მიანიშნებს".

გერმანული კლუბი აპირებს, ნივალდო ბალდოს სასამართლოში უჩივლოს, რადგან, მათი თქმით, ბრაზილიელი ექიმის გამონათქვამები დორტმუნდის "ბორუსიას" პრესტიჟს სამხრეთ ამერიკაში ჩრდილს აყენებს.

კალათბურთი

კალათბურთელები ბურთს თასშიც ჩააგდებენ

გიგა გურასაშვილი

16 თებერვლამდე, საქართველოს ჩემპიონატის განახლებამდე, კალათბურთელებს, ახალი ტურნირის სახით, გახურების საშუალება მიეცემათ. ამასთან, რამდენიმე ტრანსფერის წყალობით, მეტოქე გუნდის თავკაცები ერთმანეთსაც დაზვერავენ. ესეც რომ არა, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სააქტო დარბაზში გუშინ მოწყობილ პრესკონფერენციაზე კალათბურთის ფედერაციის საკადრო ცვლილებაზეც შევიტყვეთ.

მერაბ რატიშვილი, ბესიკ ლიპარტელიანი და პაატა გურასპაული

პირველად, ქართული კალათბურთის ისტორიაში, საქართველოს თასი გათამაშდება. საქართველოს თასზე ასპარეზობის სურვილი უკვე დაადასტურა რვა კლუბმა. "დინამო", "თსუ", "სტუდენტი", "აზოტი", "მაკაბი", "ბასკო", "სსუ" და "აკადემია" 3 თებერვლიდან სათასო ციებ-ცხელებაში ჩაებმებიან. გათამაშების განაწესით, გუნდები ორ ჯგუფად გაიყოფა და წრიული სისტემით ითამაშებენ. თითოეულ ჯგუფში პირველ-მეორე ადგილებზე გასული გუნდები ერთმანეთს ჯვარედინი პრინციპით შეხვდებიან. ანუ, A ჯგუფის გამარჯვებული B ჯგუფის მეორე ადგილზე გასულს შეხვდება და პირიქით. აქ გამარჯვებულები კი ფინალში საქართველოს თასისთვის გააგრძელებენ ბრძოლას. ასპარეზობებს რუსთავის სპორტკომპლექსი "აზოტი" უმასპინძლებს. ტურნირი 8 თებერვალს დასრულდება.

პრესკონფერენციის ერთ-ერთი საკითხი კალათბურთის ფედერაციის საკადრო ცვლილებაც გახლდათ. კერძოდ, ფედერაციის გენერალური მდივანი, პაატა გურასპაული, თანამდებობიდან გადადგა, თუმცა, გენერალური მდივნის გამოთავისუფლებული სავარძლისთვის კანდიდატი თავადვე წამოაყენა - მერაბ რატიშვილი, რომელიც აქამდე საერთაშორისო ურთიერთობათა დირექტორი იყო.

სხვათა შორის, მერაბ რატიშვილს შესაბამის თანამდებობებზე მუშაობის საკმაო გამოცდილება აქვს. 1996-1998 წლებში იგი საქართველოს ძიუდოს ფედერაციის გენერალურ მდივნად მუშაობდა. 1999 წლიდან დღემდე კი რატიშვილი საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის გენერალური მდივანია. თუმცა, როგორც ირკვევა, კალათბურთის ფედერაციის ახლად არჩეულ გენერალურ მდივანს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის შესაბამისი თანამდებობის მიტოვება გაუხარია. "საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტს, ელგუჯა ბერიშვილს, ამ დღეებში ჩემს მოსაზრებას გავაცნობ. იმ შემთხვევაში, თუ ახლა არ დააკმაყოფილეს ჩემი თხოვნა, მაშინ ფაქტია, მომავალ არჩევნებზე საკუთარ კანდიდატურას აღარ წამოვაყენებ. რას გადაწყვეტს ასოციაციის პრეზიდენტი და აღმასკომი, ეს მათი პრეროგატივაა. ფუნქციას ხომ უნდა ვასრულებდე?"

- იქნებ იმის შესახებ გვითხრათ, საიდან გაჩნდა საქართველოს თასის გათამაშების იდეა?

პირველად, რაც ქართული კალათბურთი არსებობს, ყოველ შემთხვევაში, ბოლო 55 წლის განმავლობაში, ამ სახის შეჯიბრება არ ჩატარებულა. ასე რომ, იყო ამის აუცილებლობაც. იდეა კი კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტისგან, ბესიკ ლიპარტელიანისგან მოდის.

- 3-8 თებერვალს ტურნირს რუსთავი უმასპინძლებს...

- ეს მონაკვეთი იმიტომ შევარჩიეთ, რომ ამ დროს კლუბების უმეტესობას არც თბილი დარბაზი აქვს და არც ბურთით ვარჯიშის საშუალება. ამასთან, ერთგვარ მოსამზადებელ პერიოდსაც გაივლიან. რაც შეეხება მასპინძელს, რუსთავში მშვენიერი დარბაზი აქვთ. ესეც რომ არა, კალათბურთი თბილისის გარეთაც უყვართ.

- არ შეიძლება, ნაკრებზეც არ გკითხოთ. ნოემბერში 2005 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი იწყება...

- გამორიცხული არ არის, კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციამ (FIBA) ვადები შეცვალოს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნაკრები მზადებას არ დაიწყებს. გუნდი, სრული შემადგენლობით, ივნისში შეიკრიბება. საბერძნეთის კალათბურთის ფედერაციასთან მოლაპარაკების საფუძველზე, გველის ამხანაგურ შეხვედრები როგორც ნაკრებთან, ისე ბერძნულ კლუბებთან. გვიწვევენ იტალიაშიც, სადაც ივნისის ბოლოს საერთაშორისო ტურნირი ეწყობა. ამ ქვეყნიდან ასეთი მიწვევა აქამდე არასდროს გვქონია.

- ფაქტობრივად, კალენდარი შედგენილია. უცხოელი მწვრთნელის ვინაობას როდის შევიტყობთ?

- ნაკრების მწვრთნელად რვა კანდიდატურას განვიხილავდით. დარჩა ორი. თებერვლის ბოლოს მათ ვინაობაც შეიტყობთ. ვიდრე კონტრაქტი არ გაფორმდება, მათივე თხოვნით, ვინაობას ვერ გავახმაურებთ. ის რომ, უცხოელ მწვრთნელზე ვამახვილებთ ყურადღებას, ეს იმით კი არაა გამოწვეული, რომ ჩვენ არ გვყავს მწვრთნელი, არამედ იმით, რომ ფედერაციამ ასეთი სტრატეგია აირჩია. ერთადერთი, რისი თქმაც შემიძლია, ისაა, რომ ნაკრებს ჩაიბარებს ვინმე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ან ხმელთაშუა ზღვისპირა სივრციდან.

მაიკლ ჯორდანმა დიდსულოვანი წინადადება უარყო

მაიკლ ჯორდანი

NBA-ის "ყველა ვარსკვლავის" მატჩში ლეგენდარული მაიკლ ჯორდანი სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთვება. ასე მოისურვეს გულშემატკივრებმა, რომელთა გამოკითხვის შედეგად "მფრინავი მაიკლი" აღმოსავლეთ კონფერენციის გუნდის სასტარტო ხუთეულში ვერ მოხვდა. ამ გადაწყვეტილებით, როგორც ჩანს, ძალიან შეწუხდა ფილადელფიელი ალენ აივერსონი და ორლანდოელი ტრეისი მაკგრეიდი. მათ მიაჩნიათ, რომ, ასაკის მიუხედავად, ლეგენდარულ ჯორდანს სასტარტო ხუთეულში ადგილი ეკუთვნის და მას თავიანთი ადგილი შესთავაზეს. "ამ შემოთავაზებას ვიღებ, როგორც ქათინაურს, - ამბობს ჯორდანი, - მაგრამ, მირჩევნია, მატჩი აივერსონმა და მაკგრეიდიმ დაიწყონ. მე კი სათადარიგოთა სკამიდან ჩავერთვები."

39 წლის მაიკლი არ გაანაწყენა გულშემატკივართა გამოკითხვის შედეგებმა, რომლის მიხედვითაც მან სასტარტო ხუთეულში ადგილი ვერ მოიპოვა და მისთვის უჩვეულო სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდა. "ეს რომ ჩემი მე-14 შოუ არ იყოს, გამოკითხვის შედეგებით, შესაძლოა, უკმაყოფილო ვყოფილიყავი", - განმარტა "ვაშინგტონ უიზარდსის" ვეტერანმა.

ამრიგად, "ყველა ვარსკვლავის" მატჩის სასტარტო ხუთეულები არ შეცვლილა. შეხვედრაში, რომელიც 8-9 თებერვალს ატლანტაში (ჯორჯიის შტატი) გაიმართება, აღმოსავლეთ კონფერენციის გუნდის ღირსებას დაიცავენ: ვინს კარტერი (ტორონტო), ალენ აივერსონი (ფილადელფია), ტრეისი მაკგრეიდი (ორლანდო), ჯერმენ ო'ნილი (ინდიანა) და ბენ უოლესი (დეტროიტი).

დასავლეთ კონფერენციის სასტარტო ხუთეული კი ასე გამოიყურება: კობი ბრაიანტი (ლეიკერსი), ტიმ დანკანი (სანანტონიო), კევინ გარნეტი (მინესოტა), სტივ ფრენსისი (ჰიუსტონი) და იაო მინგი (ჰიუსტონი).

ხელბურთი

ერაძის გუნდი ოლიმპიადის საგზურისთვის იბრძოლებს

პორტუგალია
მსოფლიო ჩემპიონატი
მეორე ჯგუფური ეტაპი
მესამე ტური

A ჯგუფი

ესპანეთი - ისლანდია 32:31
პოლონეთი - კატარი 35:26

ესპანეთი	3	3	0	0	106:71	6
ისლანდია	3	2	0	1	106:83	4
პოლონეთი	3	1	0	2	89:93	2
კატარი	3	0	0	3	63:117	0

B ჯგუფი

გერმანია - იუგოსლავია 31:31
პორტუგალია - ტუნისი 27:26

გერმანია	3	2	1	0	98:81	5
იუგოსლავია	3	2	1	0	89:86	5
პორტუგალია	3	1	0	2	84:93	2
ტუნისი	3	0	0	3	74:85	0

C ჯგუფი

ხორვატია - დანია 33:27
რუსეთი - ეგვიპტე 29:22

ხორვატია	3	3	0	0	90:76	6
რუსეთი	3	2	0	1	90:78	4
დანია	3	1	0	2	90:94	2
ეგვიპტე	3	0	0	3	71:93	0

D ჯგუფი

შვედეთი - საფრანგეთი 24:30
სლოვენია - უნგრეთი 25:28

საფრანგეთი	3	3	0	0	90:70	6
უნგრეთი	3	1	0	2	84:87	2
სლოვენია	3	1	0	2	76:84	2
შვედეთი	3	1	0	2	82:91	2

შეტევაზეა გერმანელი პასკალ ჰენსი

პორტუგალიაში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე ნახევარფინალისტები გამოვლინდნენ. მედლებისთვის იბრძოლებენ საფრანგეთის, ესპანეთის, გერმანიისა და ხორვატიის გუნდები, ოლიმპიადის საგზურებისთვის კი ისლანდიის, იუგოსლავიის, უნგრეთისა დარუსეთის გუნდები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. შეგახსენებთ, რომ ათენის ოლიმპიური თამაშების საგზურს მსოფლიო ჩემპიონატის პირველი შვიდი გუნდი ავტომატურად მოიპოვებს, ამიტომ, მედლების მაძიებლებისა არ იყოს, მეორე ეშელონის ოთხეულსაც კარგი მოტივაცია აქვს.

მესამე, გადამწყვეტი ტური, როგორც მოსალოდნელი იყო, უაღრესად დაძაბულად წარიმართა. ლიდერთა ყველა შეხვედრა უშეღავათო გამოდგა. სამწუხაროდ, ესპანური ბარიერი დაუძლეველი აღმოჩნდა როლანდ ერაძის ისლანდიისთვის. ქართველი მეკარე მთელი მატჩის განმავლობაში ჩინებულად თამაშობდა. დრამატული მატჩის პირველი ტაიმი 18:18 დასრულდა. მეორე ნახევარიც გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. სოლიდური უპირატესობა ვერც ერთმა გუნდმა ვერ მოიპოვა. ყველაფერი გაირკვა მატჩის ბოლოს, როცა კუნძულელებმა დაცვაში რამდენიმე უხეში შეცდომა დაუშვეს და თამაშიც ესპანელთა სასარგებლოდ - 32:31 დასრულდა.

ისლანდია მეხუთე ადგილისთვის პირველ მატჩში შეხვდება რუსების გუნდს, რომელმაც პრინციპულ მატჩში ეგვიპტე კი დაამარცხა, მაგრამ მაინც ნახევარფინალს მილმა აღმოჩნდა, რადგან ხორვატებმა მოუგეს დანიის გუნდს.

რაც შეეხება სხვა ჯგუფებს, ისლანდია-ესპანეთის შეხვედრაზე არანაკლებ დაძაბული გამოდგა გერმანია-იუგოსლავიის მატჩი. ორივე გუნდი უხეშობდა და ერთმანეთს ნამდვილი ბრძოლა გაუმართეს. ამ ბრძოლის პირველი ეტაპი "იუგების" გამარჯვებით დასრულდა (16:15), მაგრამ მეორე ნახევარში გერმანელებმა მაინც მონახეს ძალები თამაშის გადასარჩენად - უკანასკნელ წუთზე გაათანაბრეს ანგარიში. ნახევარფინალში გერმანიის გუნდი გავიდა. სლავები კი ოლიმპიური საგზურებისთვის ბრძოლაში ჩაებმებიან - პირველ მატჩს უნგრელებთან გამართავენ, გუნდთან, რომელმაც, შეიძლება ითქვას, წლევანდელ ჩემპიონატზე სასწაული მოახდინა და რვა უძლიერესს შორის მოხვდა, თანაც, უკან ჩამოიტოვა შვედეთისა და სლოვენიის გუნდები.

არაფერი გვითქვამს საფრანგეთის უაღრესად ძლიერ და თავმოყვარე გუნდზე. მსოფლიო ჩემპიონებმა ტურნირზე მორიგი, ზედიზედ მერვე გამარჯვება მოიპოვეს. ამჯერად ფრანგებმა შვედები დაამარცხეს და ნახევარფინალში გერმანელებს შეხვდებიან. მეორე ნახევარფინალში ხორვატიისა და ესპანეთის ნაკრები გუნდები ითამაშებენ.

კალენდარი

1 თებერვალი

გაბრიელ ბატისტუტა

1895 - დაიბადა ჯონ სმიტი. კანადელი პოკერისტი, მწვრთნელი, მენეჯერი. "ტორონტო მეიპლ ლიფების" დამაარსებელი.

1915 - დაიბადა სტენლი მეტიუსი. ინგლისელი ფეხბურთელი. "ოქროს ბურთის" პირველი მფლობელი. კარიერის განმავლობაში უხეშობისთვის არც ერთხელ არ მოუღია ვადიდან ბარათი. 1965 წელს ბრიტანეთის დედოფალმა მას რაინდის ტიტული უბოძა.

1962 - დაიბადა მანუელ ამორო. ფრანგი ფეხბურთელი, 1984 წლის ევროპის ჩემპიონი.

1969 - დაიბადა გაბრიელ ბატისტუტა. არგენტინელი ფეხბურთელი. მსოფლიოს სამი ჩემპიონატის მონაწილე. ბომბარდირული თვისებების გამო მას "ბატიგოლს" უწოდებენ.

1969 - დაიბადა ნინო სალუქვაძე. ტყვიის სროლაში სულის ოლიმპიადის გამარჯვებული და ვერცხლის მედალოსანი. მსოფლიოს და ევროპის არაერთგზის ჩემპიონი. მსოფლიოს რეკორდსმენი.

1971 - დაიბადა ზლატკო ზახოვიჩი. სლოვენიელი ფეხბურთელი, ერთერთი საუკეთესო ქვეყნის ისტორიაში.

ქადრაკი

კასპაროვმა ადამიანურად წააგო

ნიუ-იორკში ადამიანმა და კომპიუტერმა ეკვატორი გადალახეს და ძალთა თანაფარდობას ინარჩუნებენ. სამი ტურის შემდეგ გარი კასპაროვისა და "Deep Junior"-ის შეხვედრაში ანგარიში საყაიმოა - 1,5:1,5. კომპიუტერმა ქედმაღალ ადამიანს მესამე პარტია მოუგო.

გარი კასპაროვმა სადებიუტო ბრძოლა მოიგო და სახიფათო შეტევის განვითარების საშუალება მოიპოვა. თუმცა, "Deep Junior"-მა დაცვის შესაშური უნარი გამოიჩინა და დიდოსტატის იერიში გააუვნებელყო. გადამწყვეტ მომენტში - იქ, სადაც ადამიანს ყაიმი უნდა ეკმარა, მოსაგები პოზიციის ძებნაში, უხეში შეცდომა დაუშვა. კასპაროვმა მეტოქეს პაიკი შესწირა, რომელმაც გადაწყვიტა კიდეც თამაშის ბედი. ეს ამბავი 32-ე სვლაზე მოხდა. ოთხი სვლის შემდეგ კასპაროვი დანებდა. პარტია 3 საათსა და 45 წუთს გაგრძელდა.

"თითქოს, დავიბენი. მიუხედავად იმისა, რომ კომპიუტერს შესანიშნავი გუნდი და გამოცდილი მწვრთნელები ჰყავს, დებიუტში უპირატესობის მოპოვებას ყოველთვის ვახერხებ", - განაცხადა კასპაროვმა. დიდოსტატის თქმით, ის იღლება იმ პარტიების თამაშით, რომლებიც 3 საათზე დიდხანს გრძელდება. კომპიუტერი კი დაღლას ვერ გრძნობს. "ვფიქრობ, ამ მხრივ მუშაობა მჭირდება", - ამბობს გარი კასპაროვი.

ექსპერტები ფიქრობენ, რომ დარჩენილ სამ პარტიაში კასპაროვს ძალიან გაუჭირდება. "საკითხავია, რამდენად შეძლებს კასპაროვი დაივიწყოს პირველ პარტიებში დაშვებული შეცდომები და თამაში ჩვეულ სტილში, აგრესიულად გააგრძელოს. კომპიუტერი ხომ უმნიშვნელო შეცდომასაც არაჩვეულებრივად იყენებს", - განაცხადა ჯონ ფერნანდესმა, მატჩის სპონსორის X3D Technologies-ის მოჭადრაკე-კონსულტანტმა.

გარი კასპაროვსა და "Deep Junior"-ს კიდევ სამი პარტია დარჩათ სათამაშო. შეგახსენებთ, რომ საპრიზო ფონდი მილიონი დოლარია. აქედან დიდოსტატი 500 000 დოლარს ავტომატურად მიიღებს. მეორე ნახევარი კი, ყაიმის შემთხვევაში, თანაბრად განაწილდება. თუ არადა, გამარჯვებული 300 000-ს მიიღებს, დამარცხებული კი - 200 000-ს.

მატჩს თვალყურს ადევნებს ცნობილი საერთაშორისო არბიტრი, ჰოლანდიელი გერტ ჰეისენი და FIDE-ს ექსპერტთა ჯგუფი. მათი მოვალეობაა, არ დაუშვან რაიმე გაუგებრობა. ვთქვათ, ისეთი, რომელიც ექვსი წლის წინათ, 1997 წელს, გარი კასპაროვისა და "Deep Blue"-ს შეხვედრის დროს მოხდა. მაშინ კომპიუტერმა დაამარცხა კასპაროვი, მაგრამ მატჩის შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, რომ კომპიუტერის რამდენიმე სვლა ადამიანმა გააკეთა. მომდევნო, მეოთხე პარტია კვირას გაიმართება. თეთრი ფიგურებით კომპიუტერი ითამაშებს.

Cinema CENTRE

«Цифра-Кино»
Современные кинотеатры нового поколения

Ждем вас в кинотеатре «Цифра-Кино»!
Уютный зал с удобными креслами, большой выбор фильмов для детей и взрослых, вкусный попкорн и прохладительные напитки — все это вы найдете в нашем кинотеатре. Приходите к нам всей семьей, с друзьями или одни — вас ждут незабываемые впечатления!

Наш адрес: г. Ивантеевка, ул. Школьная, д. 15, ТЦ «Радуга», 3 этаж.
Справочная служба работает ежедневно с 10:00 до 22:00.
Телефон: 822-009-888.

Сеансы:
- 10:30; 14:00; 17:30; 21:00 (пн; вт; ср; чт; пт; сб; вс)
- 15:00; 20:00 (пн; вт; ср; чт; пт; сб; вс)
- 10:00 (сб; вс)
- 12:00; 16:00; 19:00; 22:00 (пн; вт; ср; чт; пт; сб; вс)

Цены на билеты:
- Взрослый: 250 руб.
- Детский (до 12 лет): 150 руб.
- Студенческий: 200 руб.
- Пенсионный: 200 руб.
- Групповой (от 10 человек): 200 руб.

Скидки:
- Скидка 10% для студентов при предъявлении студенческого билета.
- Скидка 15% для пенсионеров при предъявлении пенсионного удостоверения.
- Скидка 20% для групп от 10 человек при предварительном заказе.
- Скидка 25% для детей до 12 лет на сеансы, начинающиеся до 12:00.

Акции:
- Каждый вторник — день скидок! Все билеты со скидкой 50%.
- Каждую среду — бесплатный попкорн при покупке двух билетов.
- Каждый четверг — счастливые часы: с 14:00 до 16:00 скидка 30% на все сеансы.
- Каждую пятницу — ночной сеанс: с 22:00 до 02:00 скидка 40% на все сеансы.
- Каждую субботу — детский день: бесплатный сеанс для детей до 5 лет при покупке билета взрослого.
- Каждое воскресенье — семейный день: скидка 20% на все сеансы для семей с детьми.

Дополнительные услуги:
- Аренда зала для проведения корпоративов, дней рождения и других мероприятий.
- Продажа подарочных сертификатов на любую сумму.
- Доставка попкорна и напитков прямо в зал.
- Бесплатная парковка для посетителей кинотеатра.
- Wi-Fi в фойе кинотеатра.

ბიძინა გუჯაბიძის დღიური

B1 გვერდიდან

15 იანვარია. დამთავრდა გაუთავებელი დღესასწაულები: ორივე ახალი წელი, შობა, შვილების დაბადების დღეები, ყოველდღე სტუმრების მიღება-გაცილება ან სტუმრად სიარული; გუშინ კიდევ ერთხელ დავლიეთ გურული ადესით მშვიდობის სადღეგრძელო და მომავალი გეგმები დავლოცეთ. აღარაა ძარღვებში სისხლი!

მოკლედ, როგორც ჩემი ცოლი ამბობს, მე უკვე დიდი ხანია, აქ აღარა ვარ. ფიქრში ყოველდღე რამდენიმეჯერ გავდივარ არჩეულ მარშრუტს. რა ამბავია ამდენი დღესასწაული!

ყველაფერი, როგორც იქნა, დამთავრდა! უფრო სწორად, ახლა დაიწყო. დღეს უკვე 15 იანვარია. ჩემს პატარა "ფოლქსვაგენში" ჯერ პროდუქტი და აღჭურვილობა მოვათავსეთ, მერე ჩვენც შევეტენეთ როგორღაც და გზას გავუდექით.

მივდივართ უშბაზე. მარშრუტი - "წითელი კუთხე". ამ მარშრუტით მიაღწიეს მწვერვალს პირველამსვლელებმა ზუსტად 100 წლის წინ - 1903 წელს 23 წლის გერმანელი მთამსვლელი ადოლფ (ადი) შულცე ორ თანამგზავრთან ერთად ავიდა უშბაზე. ამას წინ უძღოდა 12 წარუმატებელი ექსპედიცია 15 წლის მანძილზე, ხოლო მომდევნო 25 წელი უშბაზე ასვლის ოცნება არ ტოვებდა მთამსვლელთა ბევრ თაობას. ეს ოცნება რეალური სწორედ ახალგაზრდა გერმანელის გიჟურმა საქციელმა გახადა. ეს ასი წელი მთელი საუკუნით მაშორებს ადამიანს, რომელზეც ორი თვეა, განუწყვეტლივ ვფიქრობ და რომელთანაც ასე ძალიან მაახლოებს ჩემი პროფესია, არჩეული მწვერვალი და მარშრუტი. ბოლოს უკვე ვგრძნობ, რომ ეს გერმანელი, ერთი ღარიბი სტუდენტი, რომელმაც შეძლო შეძლებული თანამოაზრეების მონახვა და მათი მოხიბვლა თავისი იდეით, ჩემთვის ძალიან ახლობელი ადამიანი ხდება. ის ჩემზე ბევრად ახალგაზრდაა და გამოუცდელი, მაგრამ ძალიან შეუპოვარი. იმასაც ვხვდები, როგორ იშლება ზღვარი ჩვენს შორის. რა ვქნა, თუ ეს კაცი, მისი გადაწყვეტილება, მისი საქციელი ჩემთვის უფრო გასაგებია, ვიდრე ბევრი ჩემი თანამედროვის, მათ შორის ზოგჯერ მეგობრებისაც. ვგრძნობ, რომ მე და ეს გერმანელი ერთ ენაზე ვლაპარაკობთ.

მოკლედ, მივდივართ უშბაზე!

ალპინიზმში ასი წლის წინაც ასე იყო - ყველა იდეას ფინანსური დახმარება უნდოდა. ადოლფმაც ბევრი "იჩალიჩა" და ნახა შეძლებული ადამიანები, რომლებმაც არც ეგოისტობად ჩათვალეს მისი სურვილი და არც თავქარიან აკვიატებად. ისინი თვლიდნენ, რომ საზოგადოებასაც სჭირდება ასეთი ექსტრემალური პროექტები. 100 წლის შემდეგ ადი შულცეს კვალს სწორედ ასეთი ადამიანების წყალობით დავადექით. ჩვენს ექსპედიციას ფინანსური დახმარება "ახალმა მემარჯვენეებმა" გაუწიეს. ლევან გაჩეჩილაძე და ბიძინა გეგიძე ჩემი ძველი მეგობრები არიან. ისინიც თვლიან, რომ საქართველოს სჭირდება მთამსვლელობა და მთამსვლელები.

ასვლისთვის მზადება, დიდი ხანია, დავიწყე. ბოლო წუთამდე გრძელდება აღჭურვილობის თავმოყრა, პროდუქტისა და მედიკამენტების შეძენა, რაციების შოვნაც გაჭირდა, თითქმის გასვლის წინ ვიგებ, რომ ვიდეოკამერა მექნება, ფოტოაპარატიც, როგორც იტყვიან, "გზაში დამაწია" მეგობარმა. თითქოს ყველაფერი მზადაა. მანქანაზე და ჩაფხუტებზე ვაკრავთ "ახლების" ლოგოებს და გავდივართ.

კარგია! ისევ ერთად ვართ. მე, ლოვა და მერაბი, უკვე ოც წელზე მეტია, ერთად დავდივართ. ყველა სალაპარაკო თემა მრავალგზის გვაქვს ამოწურული. ძირითადად შოთას ვალაპარაკებთ. 25 წლისაა. ჩვენთან პირველადაა. ვცდილობთ, გავიგოთ, რითი ცხოვრობს თანამედროვე ახალგაზრდობა, თან არც ის გვინდა, ძალიან ბებრები რომ გამოვჩნდეთ.

ზუგდიდში ჩემი მეგობრის და უშბის ზამთრის ექსპედიციების ჩვეული მასპინძლის ბადრი ეხვაიას ოჯახში ვჩერდებით. უხარიათ მასპინძლებს, გვიხარია ჩვენც. მარშრუტზე ხშირად გავიხსენებთ აქ გატარებულ თბილ საღამოს.

მოულოდნელი პრობლემა - ნაახალწლევს სვანეთში წამსვლელი მანქანის შოვნა ჭირს. დიდი ხნის უშედეგო სირბილის შემდეგ სადღაც, პროფილაქტიკაში ვპოულობთ ნახევრად დაშლილ "უაზს". გვპირდებიან, ორ საათში მოგაკითხავთ ეხვაიებთანო. ვაგრძელებთ პროდუქტების შეძენას, ბარგის კომპაქტურად ჩალაგებას, გაუთავებელ სადილობას და ცოტა უკვე გვენანება მეგრელების დატოვება.

მშვიდობიანად ვმგზავრობთ. გზაში ბევრი ნაცნობი და მეგობარი გვხვდება, ზოგი გვემგზავრება კიდეც. მათგან ვიგებთ, რომ გველოდებიან, მესტიაში, ბეჩოში უკვე გაკვირვებულები არიან, ერთმანეთს ეკითხებიან, ნუთუ წელს არ ჩამოდიან ბიჭებიო.

მძღოლი არ გვიცნობს და გვეკითხება, ბეჩოში გყავთ ვინმე ახლობელი, ვინც ასე მოულოდნელ სტუმრებს მიგიღებთო?

ბეჩოში ყველა ჩვენი მასპინძელია. ჩვენ ის გვაწუხებს, მათგან ერთ-ერთ ოჯახს რომ "ავირჩევთ", დანარჩენები არ გაგვინაწყენდნენ. ძირითადი კონკურენცია წერედიანებსა და კვიციანებს შორისაა. წელს წერედიანების რიგია, ბეჩოს თემის სოფელ ლაშთგოლში. გივისთან ჯერ არ სძინავთ, ხალხმრავლობაა - მეზობელი სოფლიდან არიან გადმოსულები ჯოკერის სათამაშოდ. ჩვენი მისვლა ძალიან უხარიათ.

დილიდანვე ვიწყებთ ბარგის აწონვა-განაწილებას, ვხარშავთ ხორცს მარშრუტისთვის, ვაშრობთ ორცხობილას, ვჭრით თოკებს, ვირგებთ თხილამურებს, წრიაპებს... სერიოზულად გვაშინებს ნესტანის გამომცხვარი ხაჭაპურებისა და კუბდარების რაოდენობა, თან მაწონი, ცხელი რძე და ცივი რახი.

სოფელშიც ამზადებენ დურბინდებს, ასეთი მასიური და აქტიური გულშემატკივარი აქ, არა მგონია, ოლიმპიადას ან მსოფლიო ჩემპიონატებს ჰყავდეს.

უშბისკენ

"სწრაფად გვიახლოვდება ვერტმფრენი."

"ლოვა და შოთაც ხტებიან ვერტმფრენში."

"დაუჯერებელია, პირდაპირ მარშრუტიდან ვეხსნებით ოთხი კაცი."

დილით სოფლის ბოლომდე მიგვაცილებენ. ვაზუსტებთ კავშირის დროს. გვეხმარებიან ზურგჩანთების აკიდებაში და საბოლოოდ გზას გვილოცავენ.

ცა მუქი ლურჯია, უღრუბლო, ჰაერი კრიალა და სქელი. უშბაც ერთი ხელის გაწვდენაზეა. გაუკვალავ თოვლში ჭრიალებს ესკიმოსური თხილამურები. მძიმე ზურგჩანთები წელს გვწყვეტს. კარგად ვართ. ყველაფერი ნაცნობია - ხე, კუნძი, ქვა, ღობე, სახლის ნანგრევები, ძველი ეკლესია სოფელ გულში, ბოლოს უშხვანარის ფერმები.

1984 წლის ზამთარში აქ თითქმის მთელი თვე მაქვს გატარებული. შემდეგ წლებშიც ბევრი მიცხოვრია. ერთ-ერთ ქოხში ვეწყობით. ვმართავთ ღუმელს. მოხარშული ხორცისა და მარილის წამოღება დაგვვიწყებია. ქოხებში ვერ ვპოულობთ ვერც მარილს, ვერც შეშას. ისევ ბოდიში გვექნება მოსახდელი უშხვანარელებთან შეშისთვის დანგრეული ღობეებისთვის.

ღამე ცივა. გათენებისას ღუმელი ქრება. ცეცხლის ანთებამდე ტემპერატურა -მინუს-15 გრადუსამდე ეცემა. შემთხვევით მერაბი ფეხს აბიჯებს თერმომეტრს. ალბათ ასე სჯობია, ბევრი რომ არ ვინერვიულოთ შემდეგში.

კიდევ ერთი გრძელი დღე მარშრუტის ძირამდე. თოვლი დიდია, მაგრამ საკმაოდ მკვრივი. თხილამურების გარეშე მაინც წარმოუდგენელია სიარული. ირგვლივ კიდევ ბევრია სვანებს გადარჩენილი ნადირის კვალი. პირველი ღამისთევა პატარა კარავში.

გამთენიისას გავდივართ მარშრუტზე. მსუბუქდება ზურგჩანთები: ღამის სათევზე რჩება თხილამურები, ჯოხები, სველი წინდები, "ზემოთ ამოდის" (ზურგჩანთებიდან) რკინა (პალოები, კარაბინები, წერაყინი, წრიაპები...), თოკები.

თოვლი დიდია, თავიდან ძალიან დაცხა. ფართო კულუარის ბოლოში წყალს ვადნობთ და ასპირინს ვსვამთ. რა ცუდია, რომ ბორჯომის ტაბლეტები ჯერ არ გამოუგონებიათ.

იწყება შემდეგი, ჩვენი აზრით ყველაზე საშიში მონაკვეთი: ვიწრო, გრძელი კულუარი, დაახლოებით 15 თოკი, საკმაო დახრილობის, ზავა და ქვასაშიში. მალე დაგვაღამდა, ფანრები ოთხივეს გვაქვს. მე და მერაბი ერთმანეთს ვენაცვლებით თოვლის კვალვაში. შიგადაშიგ ვაკეთებ სიმბოლურ დაცვებს. ერთმანეთს ენაცვლება ყინული, ფირნი და თოვლი. ზოგჯერ ადგილზე ვიტკეპნები ხან წელამდე და ხანაც მკერდამდე, უკვე რამდენჯერმე გადავკვეთე საზვავეს ნაპრალები. მთვარე ამ ვიწრო კულუარში დიდხანს ვერ შემოიხედავს. ქვემოთ, შორს მოჩანს ფანრების შუქი - შოთა და ლოვა მოიკვლევენ გზას. ჩუმად, საკუთარ ფიქრებში გართულები ვმოძრაობთ ერთ მწკრივში, ერთ კვალში.

"ზაზუბრინაზე", ღამისსათევზე მძიმე ზურგჩანთით ასვლა მიჭირს. ზურგჩანთას პალოზე ვკიდებ. რამდენიმე წუთში უკვე საკარვეზე ვარ. მალე მერაბი და შოთაც ამოდიან. მერე მე ვბრუნდები და ლოვასთან ერთად მივათრევთ ჩემს ზურგჩანთას. გვიანობამდე ვმუშაობთ, კარვის დადგმა, აღჭურვილობის დალაგება. ვახშმად წიწიბურა მაიონეზით და ძალიან მარილიანი შებოლილი სულგუნით, ძეხვი, ორცხობილა, ნამცხვარი, ჩაი და ყავა.

ორი საათისთვის ვიძინებთ. შოთა გვირჩევს, თავბოლოშექცევით დავწვეთ, ასე უფრო დავეტევითო. "უკვირს" ლოვას - ორმოცი წელია მთაში დავდივარ და ეგ როგორ ვერ მოვიფიქრეო. ჩვენც "გვიხარია" ახალგაზრდის მოსაზრებულობა!

დილით მზე დიდხანს არ გვადგება, ჩალაგება გვიგრძელდება. ძლივს ვკეცავთ გაყინულ კარავს. მერაბი "გალსტუკისკენ" ეშვება, შოთა უდგას დაცვაზე. ორ თოკს ვეშვებით, მერე ისევ ზევით!

ხან ერთდროულად ვმოძრაობთ, ხან კი მერაბი მუშაობს წინ და თოკს კიდებს. მივდივართ. ერთმანეთს ენაცვლება თოვლი, მარტივი კლდეები, ყინული, ფირნი. "წითელ კუთხემდე" ძალიან ცოტა რჩება.

მთაში უცებ ბნელდება. უკვე კარგა ხანია, ფანრებით ვმოძრაობთ. საინტერესოა, გვხედავენ თუ არა ბეჩოდან. დღისით მთელი მარშრუტი ხელისგულივით გამოჩნდებოდა.

ღამისთევამდე რჩება თოკი ან თოკნახევარი. 9 საათია. წინ, დაახლოებით 15-20 მეტრში, მერაბი მუშაობს. საშუალო დახრილობის შუშისებური ყინულის კედელია, კლდის პატარა კუნძულებით. შედარებით მარტივ კლდეებამდე მართლა ერთი ხელის გაწვდენაა. ჩაბმის თოკი ნერვიულად შეტოკდა: - წრიაპი გამძვრა!

- ღმერთო!

სამწუხაროდ, ინსტრუმენტი (წერაყინი) მხოლოდ ხელის თასმით აქვს დამაგრებული.

- იქნებ მოხვიდე!

- გამაგრდი! შოთა, დროზე, თოკი მომაშველე!

თუმცა, უკვე ვიცი, შოთა ვერ მოგვისწრებს, მერაბი მოწყდება.

ადვილი ვარიანტი - ჩვენც წაგვიღებს და უკვე აღარაფერი იქნება სადარდებელი. ძნელი ვარიანტი - დაცვა გაუძლებს, მერაბი იმტვრევა, ცივი ღამისთევა, დაკიდებულები, საჭირო იქნება ზუსტი გადაწყვეტილებები, დიაგნოზი, დაფიქსირება, გაყურება და დილიდან ტრანსპორტირება და ბევრი, ბევრი მუშაობა...

- მეორე წრიაპიც გამძვრა! ვწყდები!

- ნუ გეშინია! - ვასწრებ 2-3 მეტრი თოკის აკრეფას, თვალის მარცხენა კუთხეში ვხედავ ფანრის და ნაპერწკლების გორგალს. დარტყმა და თოკი იჭიმება. დაცვა უძლებს. ვარიანტი მეორე! - მერაბი ყვირის.

- ცოცხალი ხარ, მერაბ?

- მიშველეთ! დროზე, ხალხი არა ხართ?

გრძელი წინადადებაა. ესე იგი, გავუძლებთ, ბოლომდე ვიბრძოლებთ.

- მგონი, ფეხი მოვიტეხე!

შოთა ქვედა "პერილაზე" (თოკზე) მოდის. მე კარგად ვაფიქსირებ მერაბის თოკს, ვუმატებ "ზაკლადკებს" (პალოებს). ალბათ, მთელი ღამე აქ ვიქნებით დაკიდებული. ჩავდივარ ქვემოთ. მერაბი თითქმის თავქვე კიდია. პირველ რიგში სამხრეაგლეჯილ ზურგჩანთას ვხსნით და ვაფიქსირებთ. ზურგჩანთაში კარავია. მისი დაკარგვა ძალიან მძიმე იქნება. ვსინჯავ მერაბს. კვირისთავის ამოვარდნილობაა. აქამდე ასეთი ტრავმა არ გვიხსნავს. ლოვაც გვიახლოვდება. ქვემოთ, სიბნელეში პატარა თარო მოჩანს. ვეშვები 15-20 მეტრზე. ორი კაცი შეძლებს დაჯდომას. ლოვას ვთხოვ, დაეშვას და ადგილი მოაწესრიგოს.

უკვე 12 საათია. კავშირზე გასვლის დროა. წინა ორი კავშირი, 10-ზე და 11-ზე, გამოვტოვეთ. ბეჩოში რაციასთან სოსო წერედიანია, იგივე ბაბიჩი, გივის ვაჟი. ბაბიჩს გადავეცით ტრავმის ამბავი, ვთხოვეთ ბეჩოელი ბიჭების მზადყოფნა.

მე ისევ ზევით ავდივარ "სტანციაზე" (სადგური - ადგილი, სადაც თოკია დამაგრებული). შოთას დახმარებით მერაბს დაბლა, თაროზე ვუშვებ. ღამისსათევის მოწყობა ღამის სამის ნახევრამდე გრძელდება. თოკებზე დაკიდებული მერაბი და შოთა ერთად იფარებენ კარავს. მე და ლოვა აღჭურვილობას ვამაგრებთ, ვადნობთ ყინულს, ვადუღებთ ჩაის და ბოლოს ცოტა ზემოთ პატარა, დახრილ თაროზე ვეკიდებით დასაძინებლად. ღამე ძალიან ცივა (კიდევ კარგი, თერმომეტრი არა გვაქვს). მერაბი კვნესის, არ შველის გამაყუჩებლები. მთელი ღამე ვფიქრობ ხვალინდელ დღეზე.

მიჭირს ოპტიმალური გეგმის შემუშავება. აღჭურვილობა დიდ ფართობეა გაფანტული: ერთი თოკი გაჭედილია, არ ვიცით, სად და როგორ; ორ თოკზე, ზემოთ დამაგრებულ "სტანციაზე" ვკიდივართ ჩვენც და თითქმის ყველაფერი, მერაბის ხელთათმანი და წერაყინი ზევით არის შერჩენილი, დაგლეჯილი ზურგჩანთის ტვირთიც გადასანანილებელია. სამი კაცი ცოტაა დაშავებული ადამიანის დასაშვებად. თან შოთა ჯერ ახალგაზრდა და გამოუცდელია... იმედი მაქვს, დალაგდება ყველაფერი. მთავარია, არ გავჩერდეთ, ვიმუშაოთ, ვიმუშაოთ...

მთელი ღამე ვწვალობთ, ვთვლემთ, ნახევრად მჯდომარეები, დაკიდებულები ვცდილობთ დაძინებას, ვეძებთ მოსახერხებელ პოზას. ბათინკების გახდასაც ვახერხებ, - ასე უფრო თბილა საძილეში. ბოლოს და ბოლოს თენდება.

7 საათზე ვძვრები საძილედან, ვადნობ წყალს, ვამზადებ ყავას, ბუტერბროდებს, პიურეს. ძალიან ცივა. ყოველივე ამას დიდი დრო მიაქვს. პროდუქტი, ჭურჭელი და წვრილ-წვრილი ნივთები დაკიდებულ ჩაფხუტებში ალაგია... საერთოდ აქ არავინ "დგას" და არაფერი არ "დევს" - ყველაფერი თოკებზე კიდია: ხალხი, კარავი, ზურგჩანთები, საძილეები, აღჭურვილობა, ბენზინი, პრიმუსი, ქვაბი...

ბაბიჩის საშუალებით ვუკავშირდებით თბილისს, გადავცემთ მომხდარის შესახებ და ვითხოვთ ვერტმფრენს. ვერტმფრენის გარეშე დაშვება გაძნელდება და რამდენიმე დღე გაგრძელდება.

დაშვებისას სულ ტრავერსებია. პირველი თოკი გრძელი ტრავერსია და რამდენიმე მეტრი ზემოთ არის ასასვლელი. მე ზედა "სტანციიდან" ვიცავ, ლოვა და შოთა ქვემო "სტანციაზე" ექაჩებიან. მერაბს დაშავებული ფეხი ჯანმრთელზე აქვს დაყრდნობილი, თვითონ საბაგიროზე ჰკიდია და, რაც შეუძლია, გვეხმარება; ვხედავთ, როგორ იტანჯება ტკივილით, უძლებს... თუმცა, ახლა თანაგრძნობის დრო არ არის, ჩვენ ჩვენი წილი საქმე და გასაძლები გვაქვს ჯერჯერობით.

არ ყოფნის 45 მეტრიანი თოკი, საჭიროა დაგრძელება! გვჭირდება მთელი ჩვენი სამაშველო გამოცდილებისა და ტექნიკური არსენალის გამოყენება - საბაგირო გზები, თოკების დაგრძელება, დაცვები, პოლისპასტები და, რაც მთავარია, ფიზიკური ძალა და სიფრთხილე.

ერთმანეთს ენაცვლება თოკები, ნელ-ნელა ვკარგავთ სიმაღლეს. "სტანციები" კლდის ქიმებზე, "ზაკლადკებზე", ყინულის ბურღებზე, ხან მარტო წერაყინზეც - აუცილებლად სანდო, - ერთდროულად ხომ რამდენიმე ვეკიდებით ხოლმე. მერაბი ძირითადად ზურგზე მიცურავს, თოვლზე და ყინულზე არა უშავს, კლდეებზე უფრო ჭირს. ჩვენ ვიცავთ, ვექაჩებით, მივათრევთ. ზოგჯერ რამდენჯერმე გვიწევს ასვლა-ჩამოსვლა. ყელის სიმშრალისაგან ვიკრუნჩხები, სისხლს ვახველებ. საშინელი სპაზმები მაქვს. რა თქმა უნდა, ყურადღებას არ მაქცევენ, ძალი კოჭლობით არ მოკვდება. შოთა ყოჩაღადაა. კარგად მუშაობს. მერაბიც ეხმარება რჩევებით, ბნელდება. ღამის სათევად მონიშნულ ადგილამდე ცოტაღა გვრჩება. იმედია, შევძლებთ კარვის გაშლას.

10 საათზე ვახერხებთ კარვის სანახევროდ დადგმას. ვძვრებით კარავში, მერაბს დექსამეტაზონს ვუკეთებ და ვსვამთ ბლომად სითხეს.

ბაბიჩი დილით გვპირდება ვერტმფრენს. გვანერვიულებს ის, რომ მოფრენის დროს არ გვიზუსტებენ. ჩვენ არ შეგვიძლია დილიდან გავამზადოთ მერაბი ტრანსპორტირებისათვის, აღჭურვილობა მოვხსნათ, ბარგი ჩავალაგოთ და ისე ველოდოთ. იმედია, კვლავ დაგვიკავშირდებიან და დროს შეგვატყობინებენ. ცივა. ღამე ქარი ძლიერდება. გვძინავს, ვთვლემთ, მაგრამ წუხანდელ ღამესთან რა შედარებაა. უკეთეს ხასიათზე ვართ, ამაში ცოტა თუთის არაყიც გვეხმარება.

დილით ისევ ხანგრძლივი პროცესი. გაყინული საძილედან ამოძრომა. ჩაცმა ჯერ ტანსაცმლის, მერე ფეხსაცმლის, ეს ყველაფერი რიგრიგობით - ძალიან პატარა ფართობი კარავში - 2 კვ.მ.-ზე ნაკლები, პრიმუსისთვის ადგილს ვათავისუფლებთ, მაგრამ ვერ ვანთებთ, ჰაერი არ ყოფნის. დიდხანს ვანიავებთ კარავს, ვადნობთ ყინულს, ვსაუზმობთ.

ვერტმფრენის ხმა ისმის. შემოფრინდა დაზვერვაზე და ბეჩოში დაჯდა. კავშირზე ვიგებ, რომ ვერტმფრენი საზღვრის დეპარტამენტისაა და შამილ ქორთოშიძის ეკიპაჟია. შამილი ჩვენი მეგობარია, ჩვენთანაც, როგორც მთელს მსოფლიოში, მთამსვლელები და "ვერტალიოტჩიკები" მეგობრობენ. შამილთან და მის ძმასთან, ზაურთან, დათო ებალოიძესთან და სხვებთან ერთად ბევრჯერ გვიმუშავია: ჭუბერის უღელტეხილზე ვერტმფრენის კატასტროფის შემდეგ მგზავრების ტრანსპორტირება, მყინვარწვერზე 4000 მეტრ სიმაღლეზე სამების სახელობის ეკლესიის დადგმა, უშბიდან ვანო გულედანის და ჯო ბენსენის სხეულების მოხსნა და კიდევ სხვა.

კავშირზე შამილი გვიმტკიცებს, ცალ ბორბალს დავდებო. ეგ თუ იტყვის, შეასრულებს კიდეც. შამილთან ლაპარაკი გვაბნევს. ჩვენ მერაბის თოკში ჩაბმას ვაპირებდით. ვფიქრობდით, რომ ვერტმფრენის დაჯდომა შეუძლებელი იქნებოდა. მერაბს "გავუშვებდით", ჩვენ კი ზევით გავაგრძელებდით გზას. მწვერვალამდე ხომ სულ ცოტაღა გვრჩებოდა. ახლა ყველაფერი იცვლება. თუ ვერტმფრენი მართლა დაჯდა, იძულებული ვიქნებით, ჩვენც გავფრინდეთ.

ძნელია ასეთი გადაწყვეტილების მიღება. ძალიან დიდი ხანია, ვემზადებოდი მწვერვალისთვის, ამდენი ადამიანი შევაწუხეთ, ამდენი გვგულშემატკივრობდა, თითქმის მწვერვალთან ვიყავით და ახლა შემოვბრუნდეთ და წამოვიდეთ ქვემოთ?!

სამივეს გვინდა დარჩენა, მაგრამ გადაწყვეტილება, ალბათ, მე უნდა მივიღო. სოფელი უკვე ძალიან ვანერვიულეთ. დაძაბულები არიან ოჯახებშიც. ამდენი ხალხი შეწუხდა. თუ მწვერვალისკენ წავალთ, ეს დაძაბულობა კიდევ რამდენიმე დღეს გაგრძელდება. ახლა შეიძლება მართლაც ეგოისტური იყოს ჩვენი მწვერვალზე წასვლა...

შამილს 40 წთ-ს ვთხოვთ მომზადებისთვის. ვმუშაობთ გააფთრებული. დიდი დრო მიაქვს მერაბის ჩაცმას, განსაკუთრებით ფეხსაცმელების, მომზადებას... ვკეცავთ კარავს, ვალაგებთ ზურგჩანთებს, ვაკეთებთ დაცვებს, ვერტმფრენმა რომ არ გადაგვყაროს.

ხანდახან ვახერხებ კამერით მუშაობას, სხვათა შორის, ეს ხშირად გამაღიზიანებელია სხვებისთვის, განსაკუთრებით ავარიულ სიტუაციაში, მაგრამ მე ვთვლი, რომ ის ადამიანები, რომლებიც დღეს ალპინიზმს გულშემატკივრობენ, იმსახურებენ, ნახონ ამ ასვლის ეპიზოდები, შეიგრძნონ მცირე ნაწილი იმისა, რასაც ჩვენ ვგრძნობთ და ვხედავთ.

მზადა ვართ. ადგილი შერჩეულია. ბარგი - ჩალაგებული, მერაბი - შეკრული. ყველაფერი დაცვაზეა. ორივე ვარიანტისთვის მზად ვართ - არჩევანი შამილზე და ბედზე გვაქვს მინდობილი, თუ დაჯდომა მოახერხა, სხვა გზა არ არის, მოვყვებით, თუ ვერა - მერაბს თოკით გამოვუშვებთ, ჩვენ კი - ზევით!

სწრაფად გვიახლოვდება ვერტმფრენი. ცივა. ჰაერში ყინულის კრისტალები ბრწყინავენ. ჰაერი მკვრივია. ეს ვერტმფრენის მანევრირებას აადვილებს.

კამერების ობიექტივში ვხედავ შამილის დაძაბულ სახეს. ხუთი, ოთხი, სამი, ორი მეტრი... რას ვერ დაჯდება! უკვე ვაწვდით მერაბს, ზურგჩანთებს, ლოვა და შოთაც ხტებიან ვერტმფრენში. ბოლოს ვწყვეტ გადაღებას. ხელები მებღაუჭებიან და მიმათრევენ კაბინაში. ვერტმფრენი წყდება კედელს და ჰაერში ვართ. დაუჯერებელია, პირდაპირ მარშრუტიდან ვეხსნებით მთელი ჯგუფი, 4 კაცი.

ერთ საათში უკვე თბილისში ვართ. უცნაური გრძნობაა, დაახლოებით ისეთი, მყვინთავებს რომ ემართებათ წყლის ზედაპირზე სწრაფად ამოსვლისას. მარშრუტიდან დაბრუნება თავისთავად საინტერესო და აუცილებელი პროცესია... უკანა გზაზე ხდება ასვლის გაანალიზებაც, წარმატების სიხარულის თუ მარცხის გადახარშვაც, სახლის მონატრებაც და შენინებთან დაბრუნების სიხარულის განცდაც...

ახლა ყველაფერ ამის გარეშე დავრჩით! არა უშავს! ახლა მერაბს ვუპატრონოთ და მერე სხვა გეგმებს მივხედოთ!

თქვენი რეკლამა
ჩვენს გაზეთში

20-24-24
20-00-24

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

სწავლა ლონდონში
ხელმისაწვდომ ფასად

ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლა (ლონდონი) გთავაზობთ ხარისხის მოსაპოვებლად შემდეგი პროგრამების ფარგლებში. ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლის (ლონდონი) კამპუსი მდებარეობს ლონდონ ბრიჯთან. ეს ის ადგილია, სადაც ლონდონის ღირსშესანიშნაობებია თავმოყრილი. პროგრამები ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება სანდერლენდის (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად; ხოლო პროგრამები მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება ისტ ლონდონის (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად. პროგრამები ცხადდება წელიწადში სამჯერ (ნოემბერი / აპრილი / აგვისტო). მორიგი კურსის დაწყების თარიღია 2003 წლის 3 აპრილი.

MBA მარკეტინგი / ფინანსები / IT
ინტეგრირებული კომპანია / HRM
პროექტის მენეჯმენტი

MSc საინფორმაციო ტექნოლოგიები
კომპიუტერული სისტემის ინჟინერია
ინტერნეტის ინჟინერია

სრული კურსის ფასი $5950

ბიზნესის ან ბიზნეს ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამების ფარგლებში ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად 2-წლიანი დაჩქარებული კურსის - BA (Hons) მთლიანი ღირებულებაა 10 950$ (£ 6950 ეკვივალენტი).
3-წლიანი კურსის ინჟინერიის ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად B. Eng (Hons) მთლიანი ღირებულებაა £ 10 950

ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდა შესაძლებელია ეტაპობრივად

იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ზემოაღნიშნული პროგრამებით სწავლობენ, ერთწლიანი ინტენსიური ინგლისური ენის კურსის გავლა შესაძლებელია დამატებით 600$-ის (£ 1000) გადახდის შემდეგ.
იმ სტუდენტებისთვისაც, რომელთაც მაღალი აკადემიური მოსწრება არა აქვთ, ხელმისაწვდომია მოსამზადებელი პროგრამები.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით: ნიგარ მუსაბეკოვას, ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლის მიმღებ განყოფილებაში
მისამართი: 12 Bul Bul Ave., Student Travel International (STI),
Tel/Fax: +994 12-989906, 98 99 08, +994 50 - 201 01 69
E-mail: stmgeorgia@hotmail.com; nm@sti.az
ან ადგილობრივ წარმომადგენელს: ნონა მესხიშვილს
ტელ.: 34 61 62, 8-93 35 20 67

დაბრუნებულია ბრიტანეთში
მშენებარე სახლი პეტრიაშვილის ქუჩაზე

არაყიშვილის ქ. №14 ტელ: 25 34 34 91 25 34 91 25 33

- სპეციალურ მუხლარებზე ფარდის მოხვევა-დახურვისება
- პეტრიანქანის რემონტი
- ტექნიკური მოშახურება
- ნაგვის გატანა
- ექსტერიერზე მაღალი ხარისხის მეტალო-პლასტიკის კარ-ფანჯარა ორმაგი შემინვით და ალუმინის დამცავებით
- ტიხრები ამოყვანილი აგურით თქვენს მიერ შერჩეული გეგმარების მიხედვით
- გათბობის ინდივიდუალური სისტემა
- კედლების მაღალი ხარისხის ღებვა გაჯით
- იატაკი მოჭიმული
- ჩართული კომუნიკაციები
- ავტოსადგომი, დისტანციური მართვის კარით
- დაცვის აუდიო და ვიდეო სისტემები

ვრთი წლის განმავლობაში დაცვის სამსახურის, სანიტარული და ტექნიკური მოშახურების სარჯებს უზრუნველყოფს კომპანია აქსისი

ელ.ფოსტა: axis@axisbuilding.com

აქსისი
AXIS

ფაუერლინ-ქლა

სრულიად ახალი სიტყვა ბუნებრივი საკვები დანამატების წარმოებაში!

მსოფლიოში ცნობილმა ინგლისურ-შვეიცარიულმა კომპანია "სვანჰელსმა" მრავალწლიანი მეცნიერული კვლევის საფუძველზე განაყოფიერებული ტექნოლოგიის გამოყენებით შექმნა დიეტური დანამატი, "ფაუერლინ-ქლა", რომელიც სრულიად ბუნებრივი და ჯანსაღი პროდუქტია და მას უნიკალური თერაპიული თვისებები აქვს: აწესრიგებს ცერმის, პროსტატისა და სხვა სამსერული ნარმონაქმნების განვითარებას, მაქსიმალურად აძლიერებს იმუნურ სისტემას, ამცირებს "ცუდი" ქოლესტერინის დონეს, ხელს უშლის ათეროსკლეროზისა და გულისსისხლძარღვთა დაავადებების განვითარებას, შეუძლია დიაბეტის სანყისი ეტაპის შეწერება, ცხიმოვან ქსოვილს უცხიმო ქსოვილად გარდაქმნის, არ აძლევს ცხიმის უფრთებს ზრდის საშუალებას, უმცირებს ორგანიზმში ნაცლები რაოდენობის სავლებიდან მეტი ენერგიის მიღებაში, სწრაფად ინვევს მაძღრობას, ხელს უნ-ყობს კუნთის ზრდას, ამცირებს სხეულს.

მსოფლიოს ნამყვანი სპეციალისტები მას უსაღლეს შეფასებას აძლევენ.

"ფაუერლინ-ქლა" არ არის ტოქსიკური დიდი დოზების მიღების შემთხვევაშიც.

იგი უაღრესად პოპულარულია მსოფლიოს ელიტარულ კლუბებში!

ვრცლად: "ავთარის", GPC (ვაკე-საბურთალო) აფთიაქებში. "ნანა ჯაფარიძის" ექსკლუზიური დისტრიბუტორი კომპანია "ფლორიდი". ტელ. 99-87-37.

„საქართველოს ბანკი“ აცხადებს კონკურსს რეკლამისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის ვაკანსიაზე

შესასრულებელი ფუნქციები:

საზოგადოებრივი აზრის კვლევა;
სასურველი იმიჯის განსაზღვრა და მის ფორმირებაზე მიმართული ღონისძიებების გატარება;
ბანკის იმიჯის ფორმირებაზე და და ცალკეული პროდუქტების მხარდაჭერაზე მიმართული სარეკლამო კომპანიის დაგეგმვა და ორგანიზაცია;

საკვალიფიკაციო მოთხოვნები;

უმაღლესი განათლება;
ინგლისური ენის ცოდნა მაღალ დონეზე;
შესაბამისი მიმართულებით მუშაობის მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება;

პიროვნული უნარები:

შემოქმედებითი აზროვნების უნარი;
ანალიტიკური აზროვნების უნარი;
დამოუკიდებლად მუშაობის უნარი;
ინიციატივიანობა;
რეალური და გაზომვადი შედეგების მიღწევის უნარი.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

რეზიუმე, ორი ფოტოსურათი, დიპლომის, სერთიფიკატების ასლები, 2 დახასიათება-რეკომენდაცია შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი, პუშკინის ქ. № 3, „საქართველოს ბანკი“

საკონტაქტო პირი: ელზა სოლოღაშვილი
tel:.8 220021135; 44 41 35
e-mail: kadrebi@bankofgeorgia.com.ge

განცხადების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2003 წლის 10 თებერვალი

თავისთავად, ყოველი ადამიანი შეუცვლელია...





ანკარ გასულიშვილის ფოტოები

ქეთევან სადღობელაშვილი

ბავშვობაში, თანატოლებისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ მის სამყაროში მამა არ ტრიალებდა. სულ ქალები იყვნენ: არტისტი დედა, ბებია და ორი დეიდა. მიუხედავად იმისა, რომ არაფერი აკლდა, შტაბობანასაც თამაშობდა, იპოდრომზეც დადიოდა და "მაცი ხვიტიაშიც" თამაშობდა, თანატოლების როყიო წამოძახილები თუ უპასუხოდ დარჩენილი კითხვები დიდ ტრავმას აყენებდა.

(შესაძლოა, ეს ფსიქოლოგიური შტრიხი მისი დეპრესიულობისა და ცვალებადი ხასიათის საფუძვლადაც კი მოიაზრებოდეს.)

- რა თქმა უნდა, უმამობამ რაღაც დაღი დამასვა. ვიზრდებოდი და მაწუხებდა კითხვები - დედა, მამა ვინ არის? სოფელში რომ ჩავდიოდით, იძახდნენ - დედა?! ეს ეროსის ბიჭია... დაბნეული ვიყავი, ვინ არის ეროსი? 15 წლისამ გავიცანი მამაჩემი (რომელიც ნამდვილად არ იყო ეროსი) და დავძმაკაცდით. ძმასთანაც ვმეგობრობდი.

- თქვენი ცხოვრების შემდგომი პერიოდი ძირითადად გარიცხვებით გამოირჩევა - სკოლიდან, ინსტიტუტიდან. რა იყო ეს, ხასიათის თვისება - როცა ერთ ადგილზე ვერ ჩერდებით, მეამბოხე ბუნება თუ უპასუხისმგებლობა?

- არეული ბავშვობა მქონდა, რასაც გვიკრძალავდა საბჭოთა წყობა, ყველაფერს პირიქით ვაკეთებდით. ნამდვილი ჰიპები ვიყავით, ძირითადად გრიბოედოვის ძეგლთან ვისხედით ხოლმე მე, გია ეძგვერაძე, ცხონებული თემურ ჩიხლაძე, მამუკა დუმბაძე და თამაზ მესხი, კვაშალი მოვიდა ერთხელ, შეგვხედა - აუჰ, რა მტვერია, აქ როგორ დავჯდებიო და წავიდა. ცოტა ვხულიგნობდით კიდეც, ვუსმენდით აკრძალულ მუსიკას, ვუყურებდით აკრძალულ ფილმებს, სკოლიდან გარიცხვის მიზეზი ცელქობა და სიზარმაცე იყო, ინსტიტუტიდან კი ორჯერ გამრიცხეს, რადგან გადაღებების გამო ლექციები მიცდებოდა. პირველად "წუთისოფელში" ვითამაშე გურული კომკავშირელის როლი, მეორედ კი "როცა აყვავდა ნუში".

"როცა აყვავდა ნუში" ეკრანებზე არ უნახავს და ფილმით გამოწვეული აჟიოტაჟიც არ შეხებია, რადგან ამ დროს უკვე მოსკოვში, გერასიმოვის სახელოსნოში სწავლობდა, სტანისლავსკის სისტემით. ცხოვრობდა მარტო, კითხულობდა ბევრს, დადიოდა თეატრში, კინოში, მუზეუმებში. იმდროინდელი სიმარტოვის პერიოდმა მისცა ის, რამაც მოგვიანებით დანარჩენი სიმარტოვე შეუვსო. 6 წლის შემდეგ დაბრუნდა თბილისში და შეხვდა მიხეილ თუმანიშვილს, რომელმაც შეცვალა მისი სამყარო...

- ყველაფერი გამინათა. მე მთლიანად მიშას პროდუქტი ვარ, მან გააკეთა, გამოძერწა ჩემგან არტისტი. მასწავლა ის, რაც არ ისწავლება, ან უნდა ისწავლებოდეს. ფრაზებს შორის იმის ამოკითხვა, რაც არ წერია, გამაგებინა მიზანი, რომელიც უნდა ემსახურებოდეს მთავარ აზრს და მთლიანობა, რომელიც მიაღწევია. მოკლედ, მიშას მთელი რიტუალი ჰქონდა იმისათვის, რომ შენი ადგილი და დამოკიდებულება ამოგეცნო. პიესის გარშემო უამრავ ლიტერატურულ თუ ფაქტობრივ მასალას გაკითხებდა, უნდა გცოდნოდა დეტალიც კი, გთხოვდა ცოდნას და მზადყოფნას შენი ფუნქციის გასარკვევად - რისთვის ხარ... არ ჰქონდა მნიშვნელობა დიდ და პატარა როლებს, მთავარია ფუნქცია გეგრძნო. ბოლოს, ვეღარ მოასწრო "ალუბლის ბაღი", არადა, იცით, როგორი რეპეტიციები ჰქონდა? დისკომფორტში, პატარა, 2-მეტრიან ოთახშიც კი გავითამაშებდით, მოვყვებოდით ისტორიას 5-7 კაცი, ისე ჰქონდა აწყობილი. სულ ცდილობდა, გაგეგო და მიმხვდარიყავი მის სურვილს. მაგარი იყო.

- როდის დარწმუნდით, რომ არტისტი ხართ?

- იმ 4 როლის შემდეგ, 20 წლის მანძილზე რომ გავაკეთე მიშასთან. თუმცა კეთების დროს არ ფიქრობ, არტისტი ხარ თუ არა. ყველა როლზე პირველკურსელივით უნდა იყო, ცოტა ხნითაც რომ დაუშვა კმაყოფილება, უკვე ცუდია.

- სამწუხაროა, რომ არ შედგა თქვენი და რობერტ სტურუას დუეტი. ვეცდები, ჩამოვთვალო მიზეზები: იმიტომ, რომ ბატონ მიშას კაპრიზს - არ შეიძლებოდა მის არტისტს სხვასთანაც ემუშავა, ბოლომდე უწევდით ანგარიშს; იმიტომ, რომ რობერტ სტურუა პიროვნულს თითქმის არ უტოვებს არტისტს თუ იმიტომ, რომ პირადულს აყენებდით ყველაფერზე მაღლა...

- მიხეილ ივანიჩი აკეთებდა "ზაფხულის ღამის სიზმარს", რაღაცაზე ვერ შევთანხმდით. ამ დროს რობიკომ მთხოვა, პაუზა გაქვს და თუ ჩემთან მუშაობაც გაინტერესებს, სევილიაში წავიდეთ ფესტივალზეო. კალდერონის პიესას დგამდა, "ცხოვრება სიზმარია", დღე და ღამე რეპეტიციები გვქონდა, 3 თვეში უნდა მოგვესწრო სპექტაკლი. მიშასთან 7-8 თვე ვმუშაობდით პიესაზე და უჩვეულო აღმოჩნდა ჩემთვის რობიკოს სისტემა, ამას სხვა უსიამოვნებებიც დაემთხვა მსახიობებთან. მოხდა კონფლიქტი, თუმცა პრემიერაც ვითამაშე, 5 სპექტაკლიც, ჩამოვედი აქ და დავამთავრე ურთიერთობა...

- და მიშა თუმანიშვილმა მიგიღოთ, როგორც უძღები შვილი?

- აბა, რა!

- უსიამოვნებებს ზედმეტად უტრირებულად ხომ არ აღიქვამთ?

- არა, რას ამბობთ? ის არ მეყოფა, რასაც აღვიქვამ უტრირებულად?

- სხვათა შორის , სტურუას იმ სპექტაკლის ვიდეოჩანაწერი მაქვს ნანახი და თქვენ რომ ცეკვით შემოდიხართ, ისეთი სრულყოფილი სცენა იშვიათად მინახავს.

- ეგ სცენა, რომელიც მთლიანად მე და რობიკომ მოვიგონეთ, უკვე ჩემს შემდგომ სპექტაკლებში რიტმში ჩასვეს, არადა მთელი ეპიზოდი არიტმული უნდა ყოფილიყო, სინკოპივით.

რაც შეეხება მიშას კაპრიზებს, კი არ გიკრძალავდა რამეს, უბრალოდ, სწყინდა. ვგრძნობდი ამას და ანგარიშს ვუწევდი. არ მინდოდა მეწყენინებინა, იმდენად გენიოსი იყო, თავისი ჯაჯღანითა და უცნაურობებით...

- თქვენ არაჩვეულებრივად ააწყვეთ შემოქმედებითი ურთიერთობა თემურ ჩხეიძესთან. "მამამ" და "არტმა", ფაქტობრივად, სცენაზე დაგაბრუნათ. ვთქვათ ასე, რომ XX საუკუნის 3 უდიდეს რეჟისორთან მოგიწიათ ურთიერთობა - თუმანიშვილი-სტურუა-ჩხეიძე...

- კიდევ ერთხელ ვიმეორებ: მიშამ გამიხსნა თვალები, გამაგებინა, რა პროფესიაა არტისტობა, როგორ უნდა თქვა სათქმელი და მოიპოვო ინდივიდუალობა... რობერტ სტურუამ მომიძებნა ძალიან სწორი პლასტიკური ფორმები, ფიზიკა, ბგერები. თემურმა კიდევ, გამაცოცხლა, რადგან 83 წლიდან პრემიერა არ მითამაშია,რაც დაღუპვის ტოლფასია. გულწრფელად გეტყვით, მიშამ დათვური სამსახური გამიწია, როცა სხვებთან არ მიშვებდა...

- თემურ ჩხეიძის ბოლო სპექტაკლში, "პილატე" თქვენ იეშუას როლი უნდა შეგესრულებინათ, პრემიერაზე კი სრულიად სხვა მსახიობი იხილა მაყურებელმა და გაჩნდა ვერსიები თქვენი მორიგი...

-... არანაირი ვერსიების საბაბი არ არსებობს. სამი თვე ვმუშაობდით პიესაზე, თითქოს ყველაფერი რიგზე იყო. თუმცა, თავიდანვე ვამბობდი - რადიოპიესას ვაკეთებ-თქო. გვინდა თუ არა, დრამატურგიას თავისი კანონები აქვს, კომპოზიციურად შეკრული და შინაგან ლოგიკას დაქვემდებარებული, იმიტომაც განსხვავდება ლიტერატურული ნაწარმოებისაგან. 27 დეკემბერს დამირეკა მეორე რეჟისორმა - თემური ავადაა და აპრილამდე ველარაფერს გავაკეთებთო. რომ გავიგე, სპექტაკლი გადაიდო, დავთვერი და წავედი დოღზე, ცხენამდე ველარ მივედი, ყინულზე ფეხი დამიცურდა და საშინლად დავეცი, მთვრალი. ძლივს მიმიტანეს სახლში, რის ახალი წელი, რა ახალი წელი, ნემსებით ძლივს მიყუჩებდნენ ტკივილებს. პირველში თუ ორში მირეკავენ, 6-ში სპექტაკლი უნდა ითამაშოო... როგორ ვითამაშებდი, მითხარით ერთი?

- სხვა მიზეზი მართლა არ ყოფილა?

- არა, დედას გეფიცებით. თუმცა, კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ პიესის იმ ვარიანტს არ ვეთანხმებოდი.

- თქვენ "არტზეც" ამბობდით, თავიდან ვერ გავიგე, მაგრამ თემურმა ყველაფერი ნათლად დამანახაო... თქვენი მხრიდან ეს ღალატს ხომ არ ჰგავს?

- არა, რას ამბობთ? ღალატი კი არა, ფეხი მოვიტეხე, მერე პირადი პრობლემები მქონდა.

- თავად გმირის განსახიერების ხომ არ შეგეშინდათ?

- არა, როცა პიესაზე მუშაობა დავიწყეთ, მაშინვე ნათელი გახდა, რომ ეს არ იყო იესო... ეს იყო ტიპური ჰიპი, უცნაური კაცი, რომელიც კალიებს ჭამს, არ ჰგავს დანარჩენებს და არაადეკვატური პასუხი აქვს ყველაფერზე. ასაკით პატარაა, დიდია, არავინ იცის. ბულგაკოვი ამბობს, 27-ისო, სხვები 33-ისო. მოკლედ, ბოლოს ხვდებიან, რომ ეს კაცი არ იყო მოსაკლავი - სულ ესაა პიესა. მერე ხდებოდა რადიოდადგმა.

- ე.ი. შინაგანადაც ეწინააღმდეგებოდით...

- თავიდან კი, მაგრამ მერე მივყევი თემურს და რაც უნდოდა, იმას ვაკეთებდი. ცოტა ჯაჯღანა ვარ, მძიმე ტიპი, მაგრამ თუ მივყვები და ვენდობი ვინმეს, ბოლომდე მივყვები.

- რატომ არის, რომ დიდი რეჟისორები ძირითადად მაინც კლასიკას მიმართავენ (იშვიათი გამონაკლისის გარდა), ახალგაზრდები კი თავიდანვე, რატომღაც აბსურდს ეცემიან, თითქოს, რაც უფრო გაუგებარს გააკეთებენ, მით უფრო განაცვიფრებენ მაყურებელს?

- ეგ არის კოშმარი. რაც საინტერესო არაა, არც გამახსოვრდება, ხო? თუ საინტერესო არაა, რატომღაც აკეთებენ, არ ვიცი. ერთხელ ვთქვი და რამდენიმე კაცს ეწყინა. რომელიღაც სცენაზე, სპექტაკლის რეჟისორს ვკითხე: რა სცენაა, რისთვის გააკეთე-მეთქი! რა გინდაო, მითხრა, რასაც ვერ გაიგებენ, უფრო კარგი არ არისო?

რატომ ფიქრობენ, რომ მაყურებელი ვერაფერს მიხვდება, ვერ გეტყვით.

- ეს ტენდენცია, დავარქვათ ირონიულად, "გაუგებრობის ესთეტიკა", უფრო მძლავრია თანამედროვე ქართულ კინოში, სადაც ხშირად გიწვევენ ასევე ყოვლად გაუგებარ როლებზე და თქვენც თანხმდებით...

- ვცდილობ ავირიდო, მაგრამ ზოგჯერ რა ვქნა, აბა? ისეთი პროფესიაა, გინდა თუ არა, დამოკიდებული ხარ რეჟისორზე და შეიძლება ისეთი "ხაია" მოგივიდეს, გვიან მიხვდე. ჯერჯერობით, თეატრში არ მქონია, როგორ თქვით? "გაუგებრობის ესთეტიკა".

- სოციალური ინტერესის გამო თანხმდებით ასეთ როლებზე?

- ჰო, აბა? თუმცა, მაქსიმალურად ვცდილობ, გავაკეთო ისე, როგორც საჭიროა...

- კი, მაგრამ რეჟისორი აიღებს ნაკუწებს და როგორ სამოსს (ფილმს) შეკერავს, ღმერთმა უწყის.

- ნაკუწები რომ აიღოს, კიდევ ჰო, მაგრამ... ეს მინდოდა ახლა, ცი-







მსახიობს ექვსასი ფენა აქვს და ოცდაათასი წახნაგი ...

მიშა თუმანიშვილმა მთლიანად შეცვალა ჩემი სამყარო

ნიკური "ატნაშენიები", ჩემი უბედური პროფესია არ მეყოფოდა?

-რატომ ცინიკური? სრულიად გულწრფელად ვუთანაგრძნობ ამ ქვეყანაში მცხოვრებ ნიჭიერ კაცს, რომლის შესაძლებლობებსაც, დარწმუნებული ვარ, როგორ გამოიყენებდნენ უცხოეთში; რატომ არ წახვედით აქედან?

- არ შემიძლია. ჯერ ერთი, უკვე ბებერი ვარ.კი იყო შემოთავაზებები, მაგრამ მანიაკური შეგრძნებები მაქვს... იცით, რა ხდება? უნდა ცხოვრობდე შენს სახლში, ცუდია, კარგია, არა აქვს მნიშვნელობა, უნდა იარო სტუმრად, მერე,თავად მიიღო სტუმრები და იკონტაქტო იმ ადამიანებთან, ვინც მოგწონს და გიყვარს. არ შეიძლება გაუთავებლად წუწუნი - რა ცუდები ვართ. შინაგანი ამბებიც ხომ არსებობს. გარდა ამისა, პატრიოტულ-ეთნოგრაფიული მომენტებიც მაქვს, "არ გავცვლი სალსა კლდეებსა", არადა, სადღა არის სალი კლდეები, არა?

- მახსოვს, ერთხელ ყვებოდით, შვილი წავიყვანე ერთ-ერთ პრემიერაზე და როცა ფილმი დამთავრდა, გიორგიმ საყვედურით ამომხედა და მითხრა - არ გრცხვენია, მამაო? თქვენ რა განცდა გაქვთ, როცა ეკრანზე საკუთარ თავს უყურებთ?

-ხშირად, მეც მრცხვენია. ის ფილმი კი, რომელზეც გიორგიმ დამანამუსა, გურამ პეტრიაშვილის ზღაპარი იყო... ერთხელ, თეატრის საგრიმიოროში ვართ მე, ნინელი, რუსიკო და კიდევ სხვები, შემოვარდა პეტრიაშვილი და გვეუბნება - თქვენ რა, ბავშვები არ გიყვართო? სახტად დავრჩით. როგორ თუ არ გვიყვარს... კინოზღაპარში უნდა ითამაშოთო. დავიწყეთ გადაღება. უნდა გენახათ, რა ხდებოდა: სამი მოტოციკლეტი დახერხა, შეაერთა და გამოვიდა ერთი უგრძელესი მოტოციკლეტი. მოტორიზებული ზღაპარი იყო. სწორედ ამ ფილმზე მითხრა გიორგიმ - არ გრცხვენიაო? იმის შემდეგ სულ მრცხვენია...

- მიუხედავად იმისა, როგორი დრო და ეპოქა იყო, ძველ ქართულ ფილმებში ყოველთვის იყო გმირი, პიროვნება, დღეს კი უგმირო ფილმების მთელი წყება წამოვიდა...

- გაუგებარი, დაბრედილი თუ დათრგუნული გმირები როგორ არ არსებობს...

- ხელოვნება ხომ ქუჩისა და "ტუსოვკის" ილუსტრაცია არ არის?

- მართალია, მაგრამ არიან რეჟისორები, რომლებიც ამასაც ხელოვნების დონეზე აკეთებენ, შლეზინგერის ერთი ნახევრად დოკუმენტური ფილმი ვნახე ნიუ-იორკელ ლოთებზე, სადაც ერთი მსახიობი თამაშობს, დანარჩენი ნამდვილი ლოთები არიან. ისეა ფილმი გაკეთებული, რომ გავგიჟდი, ჩემში ფასეულობის გადაფასებაც კი მოხდა.

- დეპრესიული ხართ იმის გამო, რომ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციას ვერ ახდენთ?

- დედას გეფიცებით, რაღაცებს გავაკეთებ. ჩვენს თეატრში ორ ენაზე, რუსულად და ქართულად მინდა გავაკეთო დოსტოევსკის ნაწარმოები, რომლის ერთი სცენაც გამოყენებულია ფილმში "უკანასკნელი ტანგო პარიზში". ეს არ იქნება მონოსპექტაკლი, იმიტომ, რომ იქ გოგოც უნდა იყოს...

- თავად ხომ არ გინდათ, დადგათ?

- არა, არა. რეჟისორობა სხვა პროფესიაა. როგორც ჰობოისტი განსხვავდება დირიჟორისაგან, ისე მსახიობი რეჟისორისაგან, შეიძლება იცოდე ხელობა, ფერი, რაღაცებში ერკვეოდე, მაგრამ მთლიანობაში სხვაა. ბევრი სითავხედით კისრულობს რეჟისორობას, მე ვერასოდეს გავბედავდი... არც მსახიობობაა მარტივი საქმე, ითამაშო, გაიპრანჭო, არაა ასე. შიგნით ექვსასი ფენაა, ოციათასი წახნაგი და რა ვიცი, კიდევ...

- შეიძლება თუ არა ტიპაჟი, ხასიათი, პერსონაჟი გადმოგყვეთ ცხოვრებაშიც?

- არა ვარ ის ტიპი,რომელიც როლში შედის, მაგრამ გინდა, არ გინდა, გრძნობ, რომ სხვანაირი ხდები გმირის გამო, თუმცა ეს მხოლოდ მცირე პერიოდი მიგყვება...

- სიტყვებით რომ ვითამაშოთ, არაჩვეულებრივი "მამა" ხართ სცენაზე, როგორი მამა ხართ სახლში?

- არც როგორი... არაფერს ვუკრძალავ, ვცდილობ, არ ჩავერიო, მაგრამ თუ ვხედავ, რომ ცუდადაა საქმე, მაშინ ვძმაკაცობ...

- შვილის მსახიობობას როგორ უყურებთ?

- ჩვეულებრივად. რაც ვნახე, თუნდაც მერკუციო, არ შემრცხვა, ცოტა პრეტენზიები მაქვს წრიპინა ხმასთან, ჩქარა ლაპარაკთან, ნევროტიულობასთან...

- გენეტიკურად რა გადმოყვა?

- ალბათ პლასტიკურობა, მეტყველი ტიპია.

- არის თუ არა თეატრი ეფემერული ხელოვნება?

- არის, კი. და მთელი ხიბლი ისაა, რაც იმწუთს ხდება, ერთხელ ისე თამაშობ, მეორედ სხვანაირად. სპექტაკლი ყოველ თამაშზე იცვლება შენთან ერთად, მთელი კაიფი ისაა, რომ ქრება და ველარ იბრუნებ...

- სპექტაკლების ვიდეოჩანაწერებს როგორი განცდით უყურებთ ხოლმე?

- "ჭინჭრაქას" რომ ვუყურებ, გენიალურია, არასოდეს დაძველდება. "დონ-ჟუანი" კი, ჯერ ერთი ცუდი გადაღებულია, მეც ცუდად ვთამაშობ, მსახიობმა არ უნდა იცოდეს, რომ იღებენ, რადგან ის მაყურებლისთვისაც თამაშობს და კამერისთვისაც. რასაც ვუყურებ, ნოსტალგია მაქვს - აუჰ, რა ახალგაზრდა ვიყავი...

- ფსიქოლოგიური თეატრი - რას ნიშნავს ეს ტერმინი თქვენთვის და ფიქრობთ თუ არა, რომ XXI საუკუნის მაყურებელს, რომელიც უფრო სანახაობასაა მიჩვეული, ვიდრე ფიქრსა და სიღრმეებს, დააინტერესებს ფსიქოლოგიური თეატრი.

- ყველაფერს აქვს არსებობის უფლება. ადრე ეგონათ, რომ თეატრი მოკვდებოდა, კლასიკური მუსიკაც, მაგრამ ასე არ მოხდა. ფსიქოლოგიურ თეატრში ურთიერთობების ხილვა არასოდეს მობეზრდება მაყურებელს. თეატრს აქვს თვისება - იქვე იბადება, იქვე კვდება. ჩემს ბავშვობაში უნიჭიერესი ხალხი იყო. აღარავინ იცის ისინი. მისტიკაა, აბა, რა არის?

ფსიქოლოგიური თეატრი მაგრად მიყვარს. აპრილში, თემურ ჩხეიძესთან ერთად ვაპირებ ნორვეგიელი მწერლის პიესაზე მუშაობას, შმიდტია, ასეთი. უფრო ტელესპექტაკლი იქნება - ახლო ხედებით, თვალებით, განცდებით. პიესაც ფანტასტიკურია. ერთი მწერალია, რომელიც კუნძულზე ცხოვრობს და არავის იკარებს. მიიღებს მხოლოდ ერთ კორესპონდენტს, რომელიც შეუთვლის - ამა და ამ ქალაქიდან ვარო. მათი საუბრისას ირკვევა, რომ ქალი, რომელიც ჯერ მწერლის საყვარელი იყო და შემდგომ კორესპონდენტის ცოლი გახდა, წლების მანძილზე უგზავნიდა წერილებს მწერალს, რომელიც მთელი ცხოვრება გიჟურად უყვარდა. ეს ქალი კიბოთი გარდაიცვლება და ქმარი ცოლის სახელით ისევ განაგრძობს წერილების წერას და გაგზავნას, ეუბნება კიდეც მწერალს, მე გწერდიო. უცნაური ურთიერთობაა. ბოლოს რჩება ამ მწერალთან.

- სენტიმენტალური ხართ?

- იმდენად, რომ "წუნა და წრუწუნაზე" ვტირი, "ბაში-აჩუკზე" კი ჰეროიკული ვხდები.

- "გადარბენებში" კითხვას თუ ასწრებთ?

- აბა, რა! არ შემიძლია კითხვის გარეშე. უცნაურ რამეს ვკითხულობ, თავად სირანო დე ბერჟერაკის ნაწარმოებებს, იმას, რაც თვითონ დაწერა სირანომ, ძალიან კარგია. წიგნს ვერაფერი შეცვლის, იმიტომაა გენიალური, რომ ფანტაზიის უსაზღვრო შესაძლებლობას გაძლევს, იქ რეჟისორიც ხარ, მსახიობიც და თითქმის ყველა პერსონაჟიც.

- მოკლედ, რა არის თქვენი სამყარო?

- ფსიქოლოგია, ფსიქიკა, პლასტიკა. ხორცი ბერდება, მაგრამ სიღრმეები შემოდის...

- გინდათ თქვათ, რომ ბრძენდებით?

- არა?!

- რა ვიცი... ამწუთას თამაშობთ?

- რაღაცას, კი. მინდა ისეთი სიტყვები შევარჩიო, რომ ჭკვიანი გამოვჩნდე.

- გულწრფელი ხართ?

- ვცდილობ, მაგრამ ბოლომდე ალბათ არა, რადგან ხშირად სიმართლეს უსიამოვნების მეტი არაფერი მოუტანია ჩემთვის.

- კომპლექსები გაქვთ?

- უამრავი, საიდან დავიწყო?

- სად ამუხრუჭებთ ხოლმე?

- ყველა "პავაროტში", სულ ჭრიჭინით შევდივარ. თუმცა შინაგანი სილაღეც არის, უფრო სცენაზე, როცა ვიცი, რას ვაკეთებ.

- რა განსხვავებაა თქვენსა და მშობლების თაობას შორის?

- დიდი განსხვავებაა. იქ უფრო სენტიმენტები იყო. არ ვიცი, ინფორმაციისა თუ გასართობის ნაკლებობის გამო, განათლებული ხალხი იყო. ყველაზე ძალიან მუსიკა მიყვარს, ძალით დამათრევდნენ ოპერებზე, ფირფიტებს სახლში უსმენდნენ ჩემი დეიდები, მართავდნენ კლასიკური მუსიკის საღამოებს, სალონურ შეკრებებს, მაშინ ძალიან ვლიზიანდებოდი. მაგრამ ფაქტია, რომ ამ ყველაფერმა კვალი დატოვა.

- როგორ შეინარჩუნეთ არტისტების სუსტი წერტილი - მყარი ოჯახი, სადაც ალბათ არ იყო იდეალური ურთიერთობები...

- არ ვიცი, რთულია... არეულ-დარეულობები ყველას გვქონია, გვაქვს და გვექნება...

- ფიქრობდით, რომ რადგან თავად გაიზარდეთ უმამოდ, თქვენს შვილებსაც არ ეგრძნოთ მსგავსი რამ?

- არა, არა. ყველაფერი მაინც მეუღლეზეა დამოკიდებული, ეს არაა მხოლოდ ის სიტუაცია, როცა ბავშვივით ხარ და ვიღაცა დედიკოსავით გივლის, ესაა დიდი გრძნობა, როცა არაფერს აქცევ ყურადღებას. მერე ეს გრძნობა სხვა ურთიერთობაში გადადის. რაღაც გეშლება, გბეზრდება, კარგავ და ისევ აღმოაჩენ იმას, რაც მანამდე არ ყოფილა და თქვენ წარმოიდგინეთ, ეს ყველაფერი მეორე ნახევრის "ბრალია", კარგი ვიღაცაა.

- შინაგანად ერთგული ადამიანი ხართ?

- ვთვლი, რომ ერთგული ვარ, სხვები თვლიან, რომ არა ვარ.

- ვინ არის ის არტისტი, ვისაც სრულყოფილად თვლით?

- შური, მური, შარიშური არავის მიმართ მაქვს, ისე კი ინგლისელები მომწონს: ჰოპკინსი, ტიმ როტი, გარი ოლდმენი, მერე ალ პაჩინო, ნიკოლსონი, გენიოსი ბებრები: ჩარლი ჩაპლინი, მარლონ ბრანდო. მათ რომ ვუყურებ, ვგრძნობ არა მხოლოდ მსახიობის, არამედ სრულყოფილი ადამიანის მთლიანობას.

- არის ასეთი გამოთქმა: ნიჭიერი, მაგრამ ზარმაცი. ნიჭიერი, მაგრამ საკუთარი თავის მტერი. ნიჭიერი, მაგრამ უიღბლო. თქვენ რომელი ხართ?

- ადრე ამბობდნენ, რომ ნიჭიერი ვარ, მაგრამ ზარმაცი. მერე ნიჭიერია, მაგრამ თავს იღუპავსო. რაც შეეხება იღბალს, მე არ ვთვლი, რომ უიღბლო ვარ...

- მაგრამ თქვენ ვერ ხარჯავთ საკუთარ თავს (რა საშინელი სიტყვაა ეს დახარჯვა).

- რაღაცები გამოვიდა ან არ გამოვიდა, რაღაცები ვიგრძენი ან ვერ ვიგრძენი... ყველაფერი მენანება: ჩემი გულუბრყვილობა, როცა მეგონა, რომ რაღაც სასიკეთოდ შეიცვლებოდა, მენანება ის რომანტიკა, რაც ადრე იყო. ახლა ურთიერთობები ხისტი გახდა, ყალბი. იმასაც ვგრძნობ, რომ ადამიანები ერთმანეთს დაემსგავსნენ, "ნეუდაჩნიკები" რომ მომრავლდნენ, ისიც მენანება...

- ყველანაირი მნიშვნელობით, რა შეიცვალა "დონ-ჟუანიდან" "მამამდე"?

- უნდა იყოს დაბრძენება "დონ-ჟუანიდან" "მამამდე", მაგრამ მე რა მომივიდა, ღმერთმა უწყის. ვიცი ის, რომ აღარ არის მიშა, შინაგანად, ჩემში კი პესიმიზმმა დაისადგურა. კი ამბობენ, შეუცვლელი ადამიანი არ არსებობსო, მაგრამ ტყუილია, თავისთავად, ყოველი ადამიანი შეუცვლელია.

- უცბად თუ გახსენდებათ რაიმე თქვენი მაესტროს რჩევიდან?

- არაა საჭირო ბევრის კეთება, შეიძლება ცოტა აკეთო და კარგი.



სტურუას სისტემა უჩვეულო აღმოჩნდა ჩემთვის



ხელისუფლების ერთ რომელიმე განშტოებაში სხვადასხვა ძალაუფლების თანდათანობით თავმოყრისგან ყველაზე საიმედო თავდაცვა მდგომარეობს იმაში, რომ ყოველი სახელისუფლებო განშტოების ხელმძღვანელს მიენიჭოს აუცილებელი კონსტიტუციური საშუალება და შეექმნას პიროვნული მოტივაცია, რომ მან სხვა განშტოებათა ხელმძღვანელის მხრიდან ჩარევებისა და დაპყრობის აღკვეთა შეძლოს...

ერთი პიროვნების ამბიცია მეორე პიროვნების ამბიციის წინააღმდეგ უნდა მიიმართოს. ადამიანთა ინტერესები უნდა დავამთხვიოთ მისი თანამდებობის კონსტიტუციურ უფლებებს. გამომდინარეობს რა კაცთა ხასიათიდან, ეს აუცილებელს ხდის ამგვარ მექანიზმთა შემუშავებას იმისთვის, რომ ძალაუფლების ბოროტად გამოყენება გამოვრიცხოთ. მაგრამ რა არის ძალაუფლება, თუ არა ადამიანთა ხასიათის უდიდესი ანარეკლი? ადამიანები რომ ანგელოზები ყოფილიყვნენ, მთავრობის არც გარეგანი და არც შინაგანი კონტროლი საჭირო აღარ იქნებოდა. კაცთა მიერ სხვათა მართვის მიზნით შექმნილი მთავრობის ჩამოყალიბებაში არსებული უმთავრესი სირთულე შემდეგში მდგომარეობს: ჩვენ უნდა მივცეთ უნარი მმართველთ, რომ მართულნი მართონ; შემდგომ, მას საკუთარი თავის კონტროლის ვალდებულება უნდა დავაკისროთ; ხელისუფლების ხალხზე დამოკიდებულება უეჭველად მისი უმთავრესი კონტროლია, მაგრამ გამოცდილება კარნახობს კაცობრიობას დამატებითი დამცავი მექანიზმების აუცილებლობას.

ჯეიმს მედისონი.
"ფედერალისტთა ფურცლები" N51.
ამერიკის შეერთებული შტატების მეოთხე პრეზიდენტი.
ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის
პირველი ათი ჩასწორების, უფლებათა ბილის ავტორი.



პოლიტიკური მეცნიერება

პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებებმა აუცილებელი გახადა, რომ ჩვენი საზოგადოების წევრებმა ლოკალურ მოქმედებას გლობალური კატეგორიებით აზროვნება შეუფარდონ. საერთაშორისო თუ ადგილობრივ მოვლენათა სრულყოფილი ანალიზისთვის აუცილებელია, გავერკვეთ იმ უნიფორმალურ ტერმინოლოგიასა და კონცეფციებში, რომლითაც დღეს მთელი ცივილიზებული საზოგადოება ურთიერთობს. ანუ საჭიროდ მიგვაჩნია, მივეჩვიოთ მეტყველებას იმ ენაზე, რომელზეც დასავლური კულტურა საუბრობს - კულტურა, რომელსაც ოდესღაც, უდავოდ ვეკუთვნოდით, და რომელსაც აწმყოშიც დაბეჯითებით მივაკუთვნებთ თავს. მკითხველს პერიოდულად შევთავაზებთ პოლიტიკური მეცნიერებისა და საერთაშორისო სამართლის გავრცელებულ ტერმინებს, რომელთა შესისხლხორცება უმიზნო მრავალსიტყვაობისა და გაუგებრობებისაგან თავდაცვის კარგ საშუალებად მიგვაჩნია.

დემოკრატიული ელიტიზმი - ეს არის დისკუსია დემოკრატიის შესახებ იმ კონტექსტში, სადაც გარკვეული ტიპის ელიტები არსებობენ. ამ კონცეფციის ერთ ბოლოში არიან ჟან-ჟაკ რუსოს მიმდევრები, ისინი, ვისაც სწამდათ, რომ დემოკრატია ხალხისგან რჩევის მიღების აუცილებლობაში მდგომარეობდა და ვისაც მიაჩნდა, რომ ჯგუფური ქმედებები, თავიანთი ხასიათით, დესტრუქციულ ელემენტს ატარებდნენ. მეორე ბოლოში კი იყვნენ ადამიანები, ვინც თვლიდნენ, რომ ელიტარული ჯგუფები დემოკრატიისთვის აუცილებელი ატრიბუტია, რადგან ისინი არიან ავტონომიური ერთეულები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ სახელმწიფოს ძალაუფლებას, რაც სიმართლეს შეესაბამება - გარკვეულ ელიტათა წარმატებული მტკიცებულებები ქმედებისა და თვითგამოხატვის უფლებების დასაცავად იქცა ადრეული პლურალისტული საზოგადოების ჩამოყალიბების მთავარ ფაქტორად, რომელშიც დემოკრატიის დამყარება შესაძლებელი გახდა. თუმცა, ამ უკანასკნელი შეხედულებიდან არ გამომდინარეობს დასკვნა, რომ ელიტების ავტონომია დემოკრატიისთვის ფუნდამენტური პრინციპია. ზოგიერთი სახის ელიტას, როგორიცაა, მაგალითად, სამხედრო ელიტა, აქვს ის რესურსები, რომელთაც დემოკრატიის დამხობა შეუძლიათ და ასე ხშირად მომხდარა. დემოკრატიის შესანარჩუნებლად აუცილებელია, პოლიტიკურმა ანუ "სახელმწიფო ელიტამ", რომელიც ხალხის მიერაა არჩეული, გამოარჩიოს სხვა ელიტები და მათ მოექცეს იმის შესაბამისად, რამდენად არიან ისინი დემოკრატიული რეჟიმისთვის ზიანის თუ სარგებლობის მომტანნი. ამდენად, სამხედრო ელიტა აუცილებლად უნდა იყოს განუწყვეტელი ყურადღებისა და დაკვირვების ქვეშ, მაშინ, როცა ელიტები, რომლებიც, მაგალითად, თვითგამოხატვის თავისუფლებითაა დაკავებული, არ უნდა იყვნენ შეზღუდულნი.

აგრესია - აგრესია ერთა ლიგის შეთანხმების უმთავრესი ტერმინი და სიტყვა იყო. ერთა ლიგა, რომელიც ვერსალის ზავის რეზულტატში შეიქმნა, ჩამოყალიბდა კიდევ ერთი ომის თავიდან ასაცილებლად. ამ შეთანხმების პუნქტები, დისპუტების მშვიდობიან გადაწყვეტასა და შეიარაღების შემცირებასთან ერთად, შეთანხმების წევრებს გარეგანი აგრესიის შემთხვევაში დახმარების გარკვეულ გარანტიებსაც სთავაზობდა. როდესაც ერთი სახელმწიფო ლიგის მიერ აგრესორად იქნებოდა მიჩნეული, ყველა დანარჩენი სახელმწიფო, რომელიც ერთა ლიგის წევრი იყო, ამ აგრესორის წინააღმდეგ უნდა გაერთიანებულიყო. ეს კოლექტიური უსაფრთხოების სისტემა იყო. შეთანხმება გულისხმობდა, რომ წევრი სახელმწიფოები ვალდებულნი იყვნენ, აგრესორის წინააღმდეგ გამოეყენებინათ ეკონომიკური ან სამხედრო სანქციები, რაც აგრესორს აიძულებდა, საკუთარ განზრახვაზე ხელი აეღო. სამხედრო სანქციები ითვალისწინებდა საომარ მოქმედებათა დაწყებასაც.

ამის მსგავსად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1945 წლის ქარტიის 51-ე მუხლი ითვალისწინებს სანქციებს და გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს ანიჭებს მოქმედების უფლებას, ძალისმიერი ქმედების ჩათვლით. თუმცა, უშიშროების საბჭოს ნებისმიერ წევრს ვეტოს უფლება აქვს. შესაძლებელია, აგრესორის დადგენას წინააღმდეგობები მოჰყვეს წევრ ქვეყანათა შორის. 1950 წელს, როდესაც ჩრდილოეთ კორეა სამხრეთ კორეაში შეიჭრა, საბჭოთა კავშირი არ იყო უშიშროების საბჭოში და კოლექტიური მოქმედების გადაწყვეტილება მიღებულ იქნა. სხვა დაპირისპირებების დროს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კონფლიქტი სამოქალაქო ომიდან წარმოიშვა, კონფლიქტის ორივე მხარემ შეიძლება დაიწყოს მტკიცება, რომ პირველს მას დაესხნენ თავს. ასეთი იყო სიტუაცია ვიეტკონგისა და სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფლებასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის გამართულ ომში არც ერთ მხარეს არ გამოუცხადებია ომი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ამ კონფლიქტში ჩარევა არ უცდია. ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა იუგოსლავიის დეზინტეგრაციის შემთხვევაშიც, 1989 წლის შემდეგ, როდესაც ამ ქვეყნის ყოფილი შემადგენელი ნაწილები ერთმანეთთან საომარ მოქმედებებს აწარმოებდნენ.

სოციალური კრედიტი - ეს არის ომის შედეგად წარმოქმნილი ეკონომიკური დეპრესიის დასამარცხებლად შემუშავებული კონცეფცია, რომელიც ბრიტანელ ეკონომისტს ს.ჩ. დაგლასს (1879-1951) ეკუთვნის. ის ამტკიცებდა, რომ მშვიდობიანობის დროს მომხმარებელთა განკარგულებაში არსებული თანხები არ იყო საკმარისი საბაზრო ფასების მქონე პროდუქტების შესაძენად. მისი აზრით, გამყიდველებს არ ჰქონდათ იმის საშუალება, რომ ფასები შეემცირებინათ. ამდენად, გამოსავალი, დაგლასის აზრით, მდგომარეობდა მომხმარებელთათვის დამატებითი თანხების, ე.წ. "ნაციონალური დივიდენდების" მიწოდებაში. სოციალური კრედიტი, რომელიც კეინსიანიზმის უხეში ფორმა იყო, განსაკუთრებულ მოწონებას იმსახურებდა ფერმერთა გაჭირვებული კლასის მხრიდან. კანადასა და ახალ ზელანდიაში ამ კონცეფციას სოციალური კრედიტის პარტიების ჩამოყალიბება მოჰყვა. ახალ ზელანდიაში ამ პარტიამ ხმათა ერთ მეხუთედზე მეტი ვერ მოიპოვა; თუმცა, კანადაში მან 1935 წელს საკანონმდებლო ორგანოს კონტროლი მოიპოვა და 1970 წლამდე პრემიერ-მინისტრის პოსტზე საკუთარი კანდიდატი ჰყავდა. ბრიტანულ კოლუმბიაში კი ეს პარტია 1951 და 1991 წლამდე ძალაუფლებაში დარჩა ერთი სამწლიანი პერიოდის გამოკლებით.

პოლიტიკური თეორია - ზოგჯერ ეს ტერმინი პოლიტიკური ფილოსოფიის სინონიმად იხმარება, ზოგჯერ კი მათ შორის არსებულ განსხვავებაზე მიუთითებენ. პოლიტიკურ ფილოსოფიად მიჩნეულია ის, რაც პლატონისა და ჰიუმის მაგვარმა ფილოსოფოსებმა თქვეს ზოგადად პოლიტიკის შესახებ. ამგვარ ნაშრომებს ხშირად უწოდებენ "კლასიკურ პოლიტიკურ თეორიას", რომელიც ადამიანთა ხასიათის შესახებ გამოთქმული შეხედულებით იწყება და უკავშირდება ადამიანის ძალაუფლების წინაშე არსებულ ვალდებულებებს. ეს სწავლება ხასიათდებოდა ერთი კონკრეტული ფილოსოფოსის ნაშრომებზე კონცენტრირებით, რომლის შინაგან ლოგიკასაც იგი სწავლობდა და იკვლევდა. პოლიტიკური თეორია, აგრეთვე, გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებდა ინტელექტუალურ და კულტურულ მემკვიდრეობასა და ისეთ კონცეფციათა ისტორიას, როგორიცაა, მაგალითად, "სახელმწიფო". თუმცა, ეს მხოლოდ ამ კონცეფციის გარკვეული ტენდენციები იყო. მასთან დაკავშირებულ ტერმინებს ხშირად ერთიმეორის სინონიმებადაც იყენებდნენ.

"თანამედროვე პოლიტიკური თეორია" უფრო მეტად პოლიტიკის თეორიაა, ვიდრე პოლიტიკის ფილოსოფია. მას დღეისთვის განსხვავებული ფორმები აქვს მიღებული. ამ თეორიის მკვლევართა ერთი ჯგუფი დაინტერესებულია ისეთი უძველესი კონცეფციების შესწავლით, როგორიცაა მართლმსაჯულება. მეორე ჯგუფი აანალიზებს პოლიტიკურ აქტიორთა ქცევას სხვადასხვა რაციონალურ არჩევანთა მოდელების გამოყენებით. მესამე ჯგუფი პოლიტიკურ იდეებს პოლიტიკურ ქცევას უკავშირებს. ეს მიმდინარეობა შემდგომში პოლიტიკურ სოციოლოგიად ჩამოყალიბდა. აგრეთვე, არსებობენ პოლიტიკური მეცნიერების თეორეტიკოსები, ვინც იკვლევენ თავიანთი დისციპლინის მოცემულობებსა და მეთოდოლოგიას.

ფედერალური მმართველობა - ეს არის ხელისუფლების კონსტიტუციური ნაირსახეობა, რომელიც უნიტარული ხელისუფლების ოპოზიტად გვევლინება. ფედერალური მთავრობის ქვეშ ძალაუფლება დანაწილებულია ცენტრალურ და რეგიონულ მმართველობათა შორის ისე, რომ თითოეული მათგანი სუვერენული ერთეულია საკუთარ ვალდებულებათა ფარგლებში. ეს ითვალისწინებს დაწერილი კონსტიტუციის არსებობას, რომელიც აკონკრეტებს ცენტრალური და რეგიონული ხელისუფლების ძალაუფლებებს, ასევე სფეროებს, რომელთა მიღმაც მათ ეს ძალაუფლება აქვთ. აგრეთვე, ამ რეჟიმში კონსტიტუციური სასამართლო ასრულებს ამ განსხვავებულ ხელისუფლებათა შორის არბიტრის როლსა და ფუნქციას (რა თქმა უნდა, მრავალ უნიტარულ სახელმწიფოსაც აქვს დაწერილი კონსტიტუციები და საკონსტიტუციო სასამართლოები, მაგრამ ფედერალურ სახელმწიფოებს საკუთარი ფუნქციონირებისთვის ეს ატრიბუტები უნდა ჰქონდეთ).

ერთმანეთში არ უნდა აგვერიოს ფედერაციები და კონფედერაციები. კონფედერაცია რამდენიმე სუვერენულ სახელმწიფოს შორის არსებული ალიანსია, რომელიც ითვალისწინებს ერთგვარ თანხმობას იდენტური პროცედურებისა და პოლიტიკური ორიენტაციის ათვისების თაობაზე. ამ შემთხვევაში ევროკავშირი კონფედერაციაა. თუ იგი დაიფუძნებს ცენტრალურ აღმასრულებელ მთავრობას, რომელიც გარკვეული სუვერენული უფლებებით იქნება აღჭურვილი სხვა წევრ ქვეყნებთან მიმართებაში, მაშინ იგი ფედერაციული მოწყობის ერთეული გახდება. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ქმედება ცენტრალიზაციისკენ მიმართული ქმედებაა, ევროკავშირი მაინც ხარისხობრივად დეცენტრალიზებულ ორგანიზაციად დარჩება. რამდენი ძალაუფლებაც უნდა გადასცეს უნიტარული სახელმწიფოს მთავრობამ ადგილობრივ მმართველობას, იგი მაინც ვერ იქნება ისეთი დეცენტრალიზებული, როგორც ფედერალური სახელმწიფო. ფედერალიზმი ცენტრალური დომინიზაციის საწინააღმდეგოდ მიმართული სამართლებრივ-პოლიტიკური გამოხმაურებაა და ნაგულისხმევია ლოკალური იდენტურობის გასაძლიერებლად; აგრეთვე, იგი მიზანმიმართულია პოლიტიკური აქტივობის ზრდისა და ინსტიტუციონალური ცვლილებების საქმეში ახალი ფორმების ძიებისკენ.

იმის მტკიცება, რომ ფედერალური კონსტიტუციები იძლევიან მეტად მოქნილი მმართველობის საშუალებას, გამომდინარეობს სხვადასხვა ფედერაციის ინსტიტუციონალური მრავალფეროვნებიდან. ამერიკის შეერთებული შტატები გამოირჩევა ძალთა დანაწევრებითა და საპრეზიდენტო მმართველობით, მაშინ როცა ავსტრალიასა და კანადას საკუთარი აღმასრულებელი ხელისუფლება კანონმდებლობათა შორის ჰყავთ მოთავსებული, რაც საპარლამენტო სისტემის ქვაკუთხედია. შეერთებულ შტატებსა და ავსტრალიაში საკანონმდებლო ორგანოთა ზედა პალატები ეფუძნებიან ყოველი შტატის თანაბარი წარმომადგენლობის პრინციპს, მაშინ როცა კანადასა და გერმანიაში პროვინციათა წარმომადგენლობა არათანაბარია. გერმანია, სავარაუდოდ, ყველაზე მეტად ცენტრალიზებული ფედერაციაა - პროვინციათა თავები მოქმედებენ ცენტრალური ხელისუფლების აგენტთა სტატუსით და განაგებენ ადმინისტრაციულ პოლიტიკას ყველა სფეროში (განათლებისა და მიწების გამოყენება-დაგეგმარების გარდა). შვეიცარია ყველაზე დეცენტრალიზებული ქვეყანაა. მისი კანტონები ინარჩუნებენ ძალაუფლებას და გადაწყვეტილებები მათ საზღვრებში, ისევე როგორც მთელი ქვეყნის მასშტაბით, მიიღება რეფერენდუმთა საშუალებით.

ფედერალური მმართველობა არის სისტემა, რომელშიც მრავალ პოლიტიკურ ერთეულს, რომელთაც განსხვავებული ინტერესები აქვთ, აღჭურვილია უნარით, შეთანხმდეს გარკვეულ საკითხებში შეუთანხმებლობაზე. მაგრამ თუ ეს განსხვავებები ძლიერ შეურიგებელი ხასიათისაა, მაშინ, შესაძლოა, ისინი დაშლის საშიშროების წინაშე აღმოჩნდნენ. ამის მაგალითია ის, თუ როგორ დაიშალა ბრიტანული კოლონიური ოფისი, ცენტრალური აფრიკისა და დასავლეთ ინდის შემთხვევაში, რომელმაც ფედერაციული მოწყობა მისაღებ ფორმად აირჩია მისი ყოფილი კოლონიების გასაერთიანებლად. არსებული ეთნიკური ანტიპატიები აფრიკის შემთხვევაში, და, მეორე შემთხვევაში, კუნძულებზე არსებული შუღლის გამო, ფედერაციის შემადგენელ ნაწილებს არ აღმოაჩნდათ ის აუცილებელი საერთო იდენტურობა, რომელიც ერთად ყოფნისთვის იყო აუცილებელი. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ სამოქალაქო ომმა შეაძლებინა ნიგერიას, დარჩენილიყო ფედერაციად.

დემოკრატიზაცია

დემოკრატიზაციის მესამე ტალღის დასასრული და მეოთხის დასაწყისი

დასაწყისი N1 (228)

ლარი დაიმონდი

ლარი დაიმონდი არის "დემოკრატიის ჟურნალის" თანაგამომცემელი, დემოკრატიული კვლევის საერთაშორისო ფორუმის ერთ-ერთი დირექტორი და ჰუვერის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. წინამდებარე წერილის ადრეული ვერსიები გამოქვეყნებული იყო "დემოკრატიის ჟურნალის" 1996 წლის ივლისის გამოცემაში და ასევე წარმოდგენილი იყო 1997 წლის ივლისში ლისაბონში ლექციის სახით. წერილი წარმოადგენს იმ ნაშრომის განახლებულ ვარიანტს, რომელიც შედარებით სრული სახით დაბეჭდილია ავტორის უკანასკნელ წიგნში "დემოკრატიის განვითარება: კონსოლიდაციისაკენ" (1999)

მეოთხე ტალღა

მთელ მსოფლიოში დემოკრატიის მიმდევრები სულ უფრო მეტად იზიარებენ მსოფლიო სისტემის აღქმას, რომელიც დემოკრატიულია ორი თვალსაზრისით: ერთი - რომელიც შედგება თავისუფალი საზოგადოებისა და დემოკრატიული სახელმწიფოებისაგან და მეორე - სადაც ურთიერთობა სახელმწიფოებს შორის და პიროვნებებს შორის კანონით და ღირსებისა და სამართლიანობის საყოველთაო პრინციპებით განისაზღვრება.

საერთაშორისო დონეზე ასეთი სამყაროს სტანდარტები, ნორმები და სტრუქტურები ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია. ჩვენს მომავალ თაობას მსოფლიო ისტორიაში უნიკალური შანსი ეძლევა, რომ ასეთი იდეალისტური სამყარო რეალობად აქციოს. ეს ამოცანა სამ ძირითად პრობლემას მოიცავს: პირველი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, არის დემოკრატიის გაღრმავება და კონსოლიდაცია იქ, სადაც ის ფორმალურად არსებობს და შედეგად მესამე უკუქცევითი ტალღის თავიდან აცილება; მეორე, დემოკრატიის კოოპერაციული სტრუქტურებისა და საინსტიტუციო წესების ჩამოყალიბება და განმტკიცება რეგიონალური და საერთაშორისო ორგანიზაციების დონეზე; დაბოლოს, სხვადასხვა მიმართულებით მიმდინარე მრავალრიცხოვანი რეფორმების წახალისება, რომლებსაც გარკვეულ მომენტში შესწევთ უნარი დემოკრატიზაციის მეოთხე ტალღად იქცნენ.

გარდაუვალ აუცილებლობას არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორი არ წარმოადგენს. ყველაზე სახიფათო ინტელექტუალური ცდუნება დემოკრატებისათვის თეოლოგიაა – რწმენა, რომ მსოფლიოში თავისთავად, აუცილებლად დამყარდება გარკვეულ სახის დემოკრატიული სისტემა. ბევრ საერთაშორისო დონის პოლიტიკოსს ჩაუთვლია არჩევითი დემოკრატია ასეთ საბოლოო სისტემად. ბევრი ბრმად მიიჩნევს საკუთარ ქვეყანაში ჩამოყალიბებული დემოკრატიის მდგომარეობას პოლიტიკური ევოლუციის საბოლოო ეტაპად, მიუხედავად იმისა, რომ არსებობის ამგვარი "საუკეთესო" ფორმის მიმართ თავად ისინი უკიდურესი ცინიზმითა და უნდობლობით შეიძლება იყვნენ განწყობილნი. როგორც ჩანს, ზოგიერთი დამკვირვებლის შეფასებით, დემოკრატიული კონსოლიდაცია აუცილებლად მოსდევს დემოკრატიული გარდამავლობის პროცესს თითქმის მთელს მსოფლიოში. საბოლოოდ, სტატისტიკური მიმართება ეკონომიკურ განვითარებასა და დემოკრატიას შორის დღეისათვის იმდენად საყოველთაო და უეჭველია, რომ ბევრი იმასაც ამტკიცებს, თითქოს ჩინეთი 20 წელიწადში აუცილებლად დემოკრატიული გახდება მხოლოდ იმიტომ, რომ მისი შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე სამხრეთ კორეის, ვთქვათ, 1987 წლის დონეს მიაღწევს.

ყველა ზემოაღნიშნული ვარაუდი ცრუ და სახიფათოც კია. დემოკრატიული პროგრესი ნებისმიერ მომენტში შეიძლება შემობრუნდეს, ხოლო მისი ხარისხი და სტაბილურობა მყარად გარანტირებული ვერასოდეს იქნება. არ არსებობს ისეთი – ეკონომიკური თუ რაიმე სხვა სახის ბუნების – deus ex machina, რომელიც დემოკრატიას ერთი ხელის მოსმით დაამყარებს. სამუელ ჰანთინგტონი თავის ნაშრომს, *"მესამე ტალღას"* ამ სიტყვებით ასრულებს: "ისტორია სწორხაზოვნად არ ვითარდება, მისი წინსვლა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა მას გამოცდილი და მცოდნე ლიდერები წარმართავენ". ჩნდება კითხვა, როგორ უნდა წარვმართოთ დემოკრატია მომავალ ათწლეულებში ისე, რომ შედეგად ჩვენთვის სასურველი სამყარო მივიღოთ?

ლარი დაიმონდი

განვითარებულმა დემოკრატიულმა სისტემებმა, რომლებიც ხელს უწყობენ და მხარს უჭერენ თავიანთ საზღვრებს გარეთ მიმდინარე დემოკრატიულ პროცესებს, ყურადღება უნდა გაამახვილონ, პირველ რიგში, დემოკრატიის ხარისხზე საკუთარ ქვეყანაში. დემოკრატიის გლობალური ექსპანსია ნაწილობრივ ყოველთვის ლოზუნგებისა და იდეალისტური მოდელების ხარჯზე ხდებოდა. შეცდომა იქნება იმის მტკიცება, რომ დემოკრატია მმართველობის ერთადერთი ფორმაა, რომელსაც რეალური ძალაუფლება და ლეგიტიმურობა აქვს დღევანდელ სამყაროში. შესაძლოა, კომუნიზმი დამარცხდა, მაგრამ ლენინიზმის იდეა ცოცხალია. და მას შემდეგაც კი, რაც აღმოსავლეთ აზიის ეკონომიკურმა კრიზისმა მას მნიშვნელოვნად შეურყია საფუძველი, აზიაში და ზოგიერთ სხვა რეგიონში (განსაკუთრებით, ჩინეთის კომუნისტურ ელიტაში) საკმაოდ პოპულარულია ე.წ. "სინგაპურული" მოდელი - ფსევდოდემოკრატიის ფორმა, რომელიც რეალურ ეკონომიკურ თავისუფლებასა და ძალზე შეზღუდულ საარჩევნო კონკურენციას თუ კონსტიტუციონალიზმს გულისხმობს, როდესაც ჰეგემონური სახელმწიფო ხელისუფლება და მმართველი პარტია აკონტროლებს და მკაცრ ჩარჩოებს უწესებს პოლიტიკურ ცხოვრებას. ისლამის ფუნდამენტალისტური მოდელი, მიუხედავად იმისა, რომ მისი გავლენა ირანში სულ უფრო მცირდება, მსოფლიოს საკმაოდ დიდ ნაწილში სერიოზულ ძალას წარმოადგენს. გასათვალისწინებელია ასევე ფანატიზმისა და შეუწყნარებლობის პერმანენტული საფრთხე. სოციალური და ეკონომიკური სტრესის ფონზე, დემოკრატიას გამუდმებით მოუწევს ბრძოლა ეთნიკური და ნაციონალისტური შოვინიზმის ამა თუ იმ ფორმასთან, რომელიც მკაცრად განსაზღვრულ დაჯგუფებებს აერთიანებს "ჩვენ" ნიშნით და გამიჯნავს მათ "სხვებისაგან", ამ უკანასკნელთა დამცირებისა და დევნის გზით.

თუ დემოკრატიული პროგრესი მომავალ საუკუნეშიც გაგრძელდება, იგი, არსებითად, ეკონომიკური აღმავლობის ქვეყნებში განვითარდება. ფილიპ შმიტერის აზრით, ასეთი ქვეყნების უნარი - "გამოიყენონ საკუთარი, კარგად ჩამოყალიბებული კანონები და სისტემები თავიანთი მოქალაქეების მზარდი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, მთელს მსოფლიოში დემოკრატიის წარმატებას განსაზღვრავს". თავის ერთ-ერთ სტატიაში მარიო სოარესი აღნიშნავს, რომ დემოკრატია, თუნდაც კონსოლიდირებული სახით, არ შეიძლება აუცილებელ მოცემულობად მივიჩნიოთ. საჭიროა მისი მუდმივი განახლება, გარდაქმნა და რეფორმირება ყოველ მომდევნო თაობაში ახალი პრობლემებისა და ამოცანების შესაბამისად. ბევრი პოლიტიკოსი ეთანხმება სოარესის შეფასებას: აუცილებელია, რომ ჩვეულებრივმა მოქალაქეებმა უფრო აქტიურად და ენერგიულად მიიღონ მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. საჭიროა ასოციაციური სტრუქტურების ჩამოყალიბება და განახლება, რომელთა მეშვეობითაც მოქალაქეები თანაბარი პოლიტიკური უფლებებით ჩაერთვებიან სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირების პროცესში და რომლებიც ნდობის, შემწყნარებლობის, ეფექტიანობას, ურთიერთშეთანხმების, პატიოსნებისა და კანონის უზენაესობის პრინციპებზე დაყრდნობით ჯანსაღ დემოკრატიას კულტურულ საძირკველს ჩაუყრის. შეერთებულ შტატებში კი – სახელმწიფოში, სადაც დემოკრატია, არსებულ სისტემებთან შედარებით, ყველაზე მეტად ინდივიდუალისტური ბუნებით გამოირჩევა – განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ადამიანის უფლებების კულტურის ჩამოყალიბება მოხდეს საზოგადოების წინაშე მოქალაქეობრივი მოვალეობის თვითშეგნების განმტკიცების ხარჯზე.

განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებში რეფორმების პროცესი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული. ხელისუფლება მეტად ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ქალებისა და უმცირესობებისათვის. პოლიტიკურმა პარტიებმა ახალი გზები უნდა ეძიონ მოქალაქეობრივი მოვალეობისა და პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის გასაძლიერებლად. პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო კამპანიების დაფინანსება მათი სამოღვაწეო ასპარეზისა და პოლიტიკური გავლენის შეფასებით უნდა მოხდეს, ხოლო საზოგადოებაში უნდა გაიზარდოს სახელმწიფოში მიმდინარე პროცესების მიმართ პოლიტიკური მიკუთვნებულობისა და მათზე პასუხისმგებლობის შეგრძნება. მზარდი ეკონომიკური დინამიზმი აუცილებელი რეფორმებით უნდა იყოს გარანტირებული, მათ შორის ფინანსური თვალსაზრისით საკმაოდ მერყევი კეთილდღეობისა და სოციალური უსაფრთხოების სისტემების რესტრუქტურიზაციით. ამავე დროს, დემოკრატიულ სისტემებს მთელ მსოფლიოში მართებთ დაფიქრება იმ უფსკრულის თაობაზე, რომელიც მოსახლეობის შეძლებულ და ღარიბ ფენებს შორის სულ უფრო ღრმავდება და სწორი საინვესტიციო პოლიტიკის გატარება ადამიანური კაპიტალის სფეროში, რომელსაც ამ უფსკრულის შევსება შეუძლია.

მეორე აუცილებელი პირობა არის ისეთი ეკონომიკური სიტუაციის შექმნა, რომელიც არა მარტო მესამე ტალღის კონსოლიდაციას, არამედ მეოთხე ტალღის წარმოქმნასაც შეუწყობს ხელს. ახალმა დემოკრატიულმა სისტემებმა მესამე ტალღის დროს ისეთ ეკონომიკურ გაჭირვებას გაუძლო, რომელთა გადატანასაც, ბევრის აზრით, ვერც მოახერხებდა. ახლა, მტკივნეული მძიმე ეკონომიკური რეფორმების შემდეგ, მთელი რიგი პოსტკომუნისტური, ლათინოამერიკული და აფრიკული სახელმწიფოები რეალურ, მძლავრ აღმავლობას განიცდიან. საერთაშორისო საზოგადოების დახმარებით შესაძლებელია საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებული რეფორმების წარმატებით განხორციელება, რომლებიც ამ აღმავლობას უწყობს ხელს და რომლებიც აუცილებელია მისი დაჩქარებისა და სტაბილური მდგომარეობის მისაღწევად. თუმცა, საბოლოოდ, განვითარებადი დემოკრატიის ქვეყნებში აღმავლობის ყველაზე მძლავრი სტიმული არის თანამედროვე, ქვეყნის შიდა ბაზრების შექმნა იმ პროდუქციისათვის, რომელიც ქვეყანაში იწარმოება და რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება ქვეყნების შიგნით თუ გარეთ, პარალელურად ვაჭრობისა და შრომის უფლებების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მათზე დაკვირვების წარმოება. ღია ეკონომიკური სისტემები ღია საზოგადოებისა და თავისუფალი პოლიტიკური სისტემების ინსტიტუციურ კომპანიონებად მოიაზრება. ეროვნული საზოგადოებების ლიბერალიზაციისა და ვაჭრობის ბარიერების გაუქმებასთან ერთად ისინი პოლიტიკური და კულტურული თვალსაზრისითაც ერთმანეთთან საკმაოდ ახლოსაა. ევროგაერთიანება მსოფლიოს ისტორიაში დემოკრატიული სისტემების ერთადერთი უდიდესი და ძლევამოსილი ერთიანობაა. მსოფლიოში დემოკრატიის განვითარების ორ უმაღლეს სტრატეგიულ პრიო-

რიტეტს წარმოადგენს ევროგაერთიანების გაფართოება ისე, რომ მან პოსტკომუნისტური სახელმწიფოებიც მოიცვას და პარალელურად ამერიკის კონტინენტზე საერთო ბაზარიც შექმნას.

ეს უკანასკნელი მომავალი ათწლეულის რეალურ და ძირითად მიზანს წარმოადგენს. ამერიკის კონტინენტის ქვეყნებში თავისუფალი სავაჭრო ქსელი დღითიდღე ფართოვდება, რომელსაც სათავეში უდგას NAFTA (ჩრდილო ამერიკის თავისუფალი სავაჭრო კავშირი) ჩრდილოეთში და Mercosur-ი სამხრეთში. დემოკრატიული დასავლური ჰემისფეროს მიზანი თავისუფალი სავაჭრო საზოგადოების ჩამოყალიბების დაჩქარება უნდა იყოს, რომელიც გააერთიანებს ჩრდილო, ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკას და იმავე პრინციპით, რომელიც ევროგაერთიანებაშია მიღებული, გაწევრიანების პირობად დემოკრატიისა და ადამიანის ძირითადი უფლებების აღიარებას დააწესებს. დღეისათვის სახეზეა ამგვარი პოლიტიკური სტრუქტურის ჩანასახი ამერიკის სახელმწიფოების ორგანიზაციის სახით, რომელიც აშკარა მზადყოფნას გამოხატავს, ერთობლივი ზომები შეიმუშაოს დემოკრატიის დასაცავად გვატემალაში, პერუში, ჰაიტიზე და პარაგვაიში.

აზიისა და აფრიკის საზღვრები

თუ დემოკრატიზაციის მეოთხე ტალღა გარდაუვალია, იგი ავტორიტარული აზიისაკენ უნდა იყოს მიმართული და დემოკრატიული რეფორმების პროცესში ჩააბას მსოფლიოს კიდევ ერთი ძლევამოსილი სახელმწიფო, ჩინეთი. ჩინეთთან ურთიერთობა, როგორც ჩანს, მომავალი ათწლეულების განმავლობაში განვითარებული დემოკრატიული ქვეყნებისათვის (განსაკუთრებით კი, აშშ-სათვის) ყველაზე მნიშვნელოვანი და რთული ამოცანა იქნება საერთაშორისო პოლიტიკის სფეროში. ამ შემთხვევაში სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება ჩინეთის ეკონომიკურ აღმავლობას, თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ დემოკრატიული საზოგადოების მხრიდან დაუშვებელია სავაჭრო ურთიერთობების თუ სხვა ეკონომიკური ფაქტორების გამოყენება დამსჯელი სანქციების სახით ჩინეთის მიმართ, თუნდაც ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაუშვებელი და აღმაშფოთებელი დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში. აუცილებელია ვაღიაროთ, რომ ჩინეთთან ურთიერთობა ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებებით განხორციელდება და, ამდენად, მრავალი განსხვავებული გზის მონახვა იქნება საჭირო. ერთი მხრივ, ჩინეთის მატერიალური კეთილდღეობა სწრაფად უმჯობესდება მეტ-ნაკლებად სრული საბაზრო რეფორმების შედეგად; შედარებით დაბალი ტემპით ქვეყანა გარკვეულ პოლიტიკურ რეფორმებსაც ახორციელებს. ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე სოფლებში კონკურენტული არჩევნების ჩატარების მცდელობასაც კი ჰქონდა ადგილი, რასაც შეიძლება "დემოკრატიზაციის ემბრიონული ფორმის საფუძველი" ვუწოდოთ. საკანონმდებლო ორგანოები ყველა დონეზე, მათ შორის - ეროვნული სახალხო კონგრესი, იწყებენ დამკვიდრებას როგორც ხელისუფლების დამოუკიდებელი ცენტრები. თანდათანობით ყალიბდება საკანონმდებლო სისტემაც, რომელიც სახელმწიფოს ადმინისტრაციული ფუნქციონირების გარკვეულ ასპექტებსაც შეიცავს. მეტიც, იგი საშუალებას აძლევს მოქალაქეებს უკმაყოფილება გამოთქვან და პრეტენზიები წაუყენონ მთავრობას ძალაუფლების ბოროტად გამოყენების კონკრეტულ შემთხვევებში. გარდა ამისა, ეკონომიკური აღმავლობა და ტოტალიტარული სისტემიდან გადასვლა ასოციაციებისა და ორგანიზაციების რაოდენობის სწრაფ ზრდასაც იწვევს, რომელთაგან უმეტესობა სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელია და სამოქალაქო, თუ წმინდად პოლიტიკურ არა, სფეროში მოღვაწეობს. დაბოლოს, "1990 წელს ჩინეთის ელიტარული ფენის პოლიტიკურმა კულტურამ შეცვლა დაიწყო. დემოკრატია თანდათანობით ქვეყნის საბოლოო მიზნად მოაზრება".

ამ სიახლეების მნიშვნელობა ზუსტად უნდა განისაზღვროს, გადაჭარბების თუ შემცირების გარეშე. დაუშვებელია, ასევე, მათ გამო პარალელურად არსებული რეალობის მახინჯი მხარეების იგნორირება: პოლიტიკური ოპოზიციის სასტიკი ჩაგვრა; არატრადიციული რელიგიური რწმენისა და მსახურების დევნა; დამოუკიდებელი პროფკავშირული ორგანიზაციების სისტემატური რეპრესირება; პატიმრებისა და პოლიტიკური აქტივისტების წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები; ინფორმაციული ნაკადის გამუდმებული კონტროლისა და შეზღუდვის მცდელობები; და გენოციდური კამპანია, ტერორის, ბატონობის და ქვეყნის შიგნით მიგრაციის სახით მიმართული ტიბეტელი ხალხის ეთნიკური და ეროვნული იდენტურობისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. საჭიროა ადამიანის უფლებების ამ მძიმე დარღვევებზე სათანადო რეაგირება და მათი აღმოფხვრა. საერთაშორისო საზოგადოებამ მორალური და დიპლომატიური ზეწოლით უნდა აიძულოს ჩინეთის მთავრობა, დაუყოვნებლივ გამოასწოროს არსებული აღმაშფოთებელი ვითარება.

საერთაშორისო საზოგადოების აღშფოთების მიუხედავად, მხოლოდ ეს არ არის საკმარისი ჩინეთში არსებული სიტუაციის შესაცვლელად. მეტიც, თუ იგი არ არის თანამონაწილეობისა და დიალოგის პრინციპით განონასწორებული, მას შეიძლება ნაციონალისტური რეაქცია მოჰყვეს, რაც ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური რეფორმების განხორციელებას შეაფერხებს. აღნიშნული დარღვევების წინააღმდეგ გამოსვლის პარალელურად, საერთაშორისო საზოგადოებაში მოქმედმა დემოკრატიულმა ძალებმა მხარი უნდა დაუჭირონ ჩინეთში სოციალური და პოლიტიკური ცვლილებების ხანგრძლივ პროცესებს. ეს გულისხმობს სხვადასხვა სახელმწიფო და ნახევრადოფიციალური ინსტიტუტების დონეზე რეფორმისტულ ელემენტებთან მუშაობას ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფითა და ზემოაღნიშნული პოლიტიკური რეფორმების ხელშეწყობით; ფართო კონტაქტების დამყარებას სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციებსა და პროფესიონალებს შორის ჩინეთსა და დასავლურ დემოკრატიულ ქვეყნებში; თავად ჩინეთში არსებული ორგანიზაციების მხარდაჭერას და საზღვარგარეთიდან ინტელექტუალურ დახმარებას იდეების, სტრატეგიის, ინფორმაციის მიწოდებისა და დემოკრატიული ცვლილებების საშუალებით უზრუნველყოფის თვალსაზრისით; გარდა ამისა, ინვესტირებასა და სავაჭრო ურთიერთობებს, რაც, ჩინეთში მიმდინარე მძლავრი ეკონომიკური აღმავლობის ფონზე უფრო დახვეწილი, პლურალისტური, ინფორმირებული და ორგანიზებული საზოგადოების ჩამოყალიბებას უყრის საფუძველს – ისეთი საზოგადოებისა, რომლის მართვაც სულ უფრო და უფრო რთული იქნება ავტორიტარული მეთოდებით.

დემოკრატიული ზეწოლის, თანამონაწილეობისა და მხარდაჭერის იგივე პრინციპები გამოიყენება ავტორიტარული აზიის სხვა ქვეყნებშიც, მაგალითად, ვიეტნამში. თუმცა ინდონეზიაში, სადაც დღეისათვის საზოგადოება ჭეშმარიტად არჩევითი დემოკრატიის დამყარებისაკენ მიისწრაფვის, დემოკრატიული სტრუქტურებისა და ნორმების ჩამოყალიბებისათვის პოლიტიკურ პარტიებში, წარმომადგენლობით ინსტიტუტებში, და სამოქალაქო-საზოგადოებრივ ორგანიზაციებში თუ მასმედიაში, საერთაშორისო საზოგადოების გაცილებით აქტიური მონაწილეობაა საჭირო, პარალელურად კი აუცილებელია ზეწოლის შენარჩუნება ინდონეზიის სამხედრო და პოლიტიკურ ისთებლიშმენტზე, რათა შესაძლებელი გახდეს დემოკრატიზაციის პროცესის, რომელიც, ფართო გაგებით, თავისუფლებისა და ანგარიშვალდებული მმართველობისაკენ საერთო სახალხო მისწრაფებას გამოხატავს.

მიუხედავად სახელმწიფო სტრუქტურების შედარებითი სიმწირისა, მომავალი თაობებისათვის აფრიკა კიდევ ერთ ძირითად დაბრკოლებას წარმოადგენს დემოკრატიის ექსპანსიისათვის. 1990 წელს დაწყებული "მეორე განმათავისუფლებელი მოძრაობის" შემდეგ რამდენიმე აფრიკულ ქვეყანაში არჩევითი დემოკრატიის რეჟიმი დამყარდა. მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1999 წელს ნიგერიაში დემოკრატიულ წყობაზე გადასვლის პროცესის წარმატებული დასრულება (აშკარა ცინიკური მანიპულაციის ათწლეულისა და არასწორი დასაწყისის მიუხედავად), რადგანაც ნიგერიის მრავალრიცხოვანი მოსახლეობა, კულტურული დინამიზმი, პოლიტიკური წონა და რესურსები მას უდიდეს პოტენციალს აძლევს, სათავეში ჩაუდგეს არა მარტო დასავლეთ აფრიკის სახელმწიფოებს, არამედ მთელს კონტინენტს. პოლიტიკურ ლიბერალიზაციას, გარკვეულწილად, სხვა აფრიკულმა ქვეყნებმაც მიაღწიეს. დღეისათვის აფრიკის კონტინენტის უდიდესი ნაწილი პოლიტიკური თვალსაზრისით არასტაბილურ, განვითარებად მდგომარეობაში იმყოფება. დემოკრატიული პროცესებისათვის საუკეთესო სტრატეგიას წარმოადგენს სიღრმისეული დისკრედიტაცია ყველა იმ წარმონაქმნისა, რაც ავტორიტარული რეჟიმის საყრდენია – სამხედრო, ერთპიროვნული თუ ერთპარტიული ფორმირებებისა. თანდათანობით აფრიკის მოსახლეობა დამოუკიდებლობის შემდგომი პერიოდის ყველა უარყოფით მოვლენას – ეკონომიკურ გაჭირვებას, ჰუმანიტარულ კრიზისს, ეთნიკურ ძალადობას, სამოქალაქო ომს და სახელმწიფოებრივ დაკნინებას –კონსტიტუციონალიზმის არარსებობას და ანგარიშვალდებულების ნაკლებობას მიაწერს, რასაც დემოკრატიული სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს. ელიტარული ფენისა და ორგანიზაციების დიდი ნაწილი თვლის, რომ ეკონომიკური განვითარება და პოლიტიკური სტაბილურობა მმართველობის სწორ ფორმას მოითხოვს, რაც, თავის მხრივ, პოლიტიკურ არჩევანს, გამოხატვისა და ორგანიზაციების შექმნის თავისუფლებას და კანონის უზენაესობას გულისხმობს – გარკვეული თვალსაზრისით სწორედ იმას, რაც დემოკრატიის არსს წარმოადგენს.

აფრიკული სახელმწიფოების დამოკიდებული მდგომარეობა საერთაშორისო დახმარებაზე, დაფინანსებასა და ინვესტიციებზე რეფორმების ლიბერალიზაციისა და კორუმპირებულ სტრუქტურებზე საგრძნობი ზეწოლის საშუალებას იძლევა. მიზანმიმართულ საერთაშორისო გავლენას ავტორიტარულ ელიტარულ ფენებზე ადგილობრივი ძალების გაძლიერება შეუძლია და ავტორიტარული ელიტის დარწმუნება იმაში, რომ დემოკრატიული პროცესების წინააღმდეგ მიმართული ყოველი ძალისხმევა გაცილებით მეტ ხარჯს მოითხოვს, ვიდრე ის სარგებელი იქნება, რომლის მიღების იმედიც მათ აქვთ. სულ მცირე, საერთაშორისო გავლენას შეუძლია შეამციროს ავტორიტარული რეჟიმის მხარდაჭერის საფუძველი და მინიმუმამდე დაიყვანოს რეალური დახმარება, რითაც აიძულებს მას, მოლაპარაკებებზე წავიდეს ოპოზიციასთან ახალი დემოკრატიული სისტემის შესაქმნელად, როგორც ეს მოხდა სამხრეთ აფრიკაში, ზამბიასა და მალავიში. მაგრამ საერთაშორისო სანქციები ეფექტური იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი თანმიმდევრულად ხორციელდება და მისაღებია ძირითადი ადგილობრივი პოლიტიკური ძალებისათვის.

ასეთ ვითარებაში აუცილებელია აფრიკასა და დასავლეთს შორის ახალი შეთანხმების მიღწევა და ბარტერული გაცვლა ერთი მხრივ დემოკრატიისა და განვითარების, მეორეს მხრივ კი სწორი მმართველობის ფორმისა. დასავლეთის მხრიდან დახმარება განპირობებული უნდა იყოს ეკონომიკური ლიბერალიზაციით, პოლიტიკური თავისუფლებითა და ანგარიშვალდებულებით, ასევე საბიუჯეტო პრიორიტეტების შეცვლით და რეორგანიზებით სამხედრო და სხვა არაპროდუქტიული მიმართულებებიდან ადამიანურ და ფიზიკურ კაპიტალზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონკრეტული საინსტიტუციო ნაბიჯების გადადგმა კანონის უზენაესობის განსამტკიცებლად, კორუფციაზე კონტროლის განსახორციელებლად, რაც ლაკმუსის ტესტად უნდა იქცეს ისეთი კორუმპირებული სახელმწიფოების დახმარებისათვის, როგორიცაა ნიგერია. ის მთავრობები, რომლებიც არ იშურებენ ძალისხმევას განვითარებისა და მმართველობის მისაღები ფორმების დასამკვიდრებლად, მეტ დახმარებას იმსახურებს, როგორც საერთაშორისო ვალის გაუქმების, ასევე მდგრადი განვითარების დაჩქარების თვალსაზრისით. ის ქვეყნები კი, რომლებიც არ არიან ამით დაინტერესებულნი, არ უნდა იღებდნენ საერთაშორისო დახმარებას ან სესხს. თუმცა ყველაზე უფრო ავტორიტარულ სიტუაციებშიც კი საერთაშორისო საზოგადოებამ უნდა მოიძიოს და მხარი დაუჭიროს სამოქალაქო საზოგადოების ისეთ ელემენტებს, რომლებიც განვითარებისათვის, დემოკრატიისათვის და ანგარიშვალდებულებისათვის იღწვიან. თუ საერთაშორისო ძალებს დემოკრატიზაციის პროცესის ხელშეწყობა სურთ, მათ პირველ რიგში გავლენა შინაური პოლიტიკურ კონტექსტზე უნდა მოახდინონ; ეს კი გულისხმობს პროდემოკრატიული ძალების მხარდაჭერას და ელიტარული ფენებისათვის ისეთი სიტუაციის შექმნას, რომელიც მათ დემოკრატიული რეფორმების გატარებას აიძულებს.

პოლიტიკური ხელმძღვანელობა და ხედვა

დემოკრატიული გარდაქმნების შესაძლებლობას მრავალი ძირეული ისტორიული და სოციალური ფაქტორი განაპირობებს: იმპერიების დაცემა, მოდელების აღრევა, ხალხთა მოძრაობა, თაობების ცვლა და ღირებულებებისა და კლასობრივი სტრუქტურების ტრანსფორმაცია, რომელიც ეკონომიკურ აღმავლობას ახლავს თან. მაგრამ საბოლოო ჯამში დემოკრატიის გამარჯვება თუ მარცხი, განვითარება თუ სტაგნაცია დამოკიდებულია ინდივიდებზე ან ჯგუფებზე, მათ არჩევანსა და ქმედებებზე. თუ გლობალურად დემოკრატიზაციის პროცესი განვითარებას განაგრძობს – თუ მესამე უკუქცევითი ტალღა თავიდან იქნება აცილებული უახლოეს მომავალში და დემოკრატიზაციის მეოთხე ტალღას საფუძველი ჩაეყრება დროის გარკვეული (თუმცა, ჯერჯერობით განუსაზღვრელი) მომენტისათვის – იგივე პოლიტიკური სითამამე, ხელმძღვანელობა და ხედვა, რამაც პორტუგალიაში დემოკრატიის დამყარებას შეუწყო ხელი საერთაშორისო სცენაზეც უნდა ამოქმედდეს.

მთელ მსოფლიოში განვითარებული დემოკრატიული ქვეყნები სულ უფრო და უფრო აქტიურ მონაწილეობას იღებენ განვითარებადი დემოკრატიული სისტემების მხარდაჭერის პროცესში. ოფიციალური განვითარების დახმარების სააგენტოებს დემოკრატიის განვითარება დღის წესრიგში შეაქვთ არა როგორც უბრალო ამოცანა, არამედ როგორც ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი თავიანთი საინვესტიციო პოლიტიკისა და უცხოეთში განსახორციელებელი პროგრამებისათვის. სულ უფრო მეტ ქვეყანაში საზოგადოებრივ დაფინანსებას არასამთავრობო ორგანიზაციები ეწევიან – მაგალითად, გერმანიის ფონდი, დემოკრატიის დახმარების ეროვნული ფონდი და ვესტმინსტერის ფონდი - რომლებსაც აშკარად შესწევთ ძალა, კონკრეტული ღონისძიებები გაატარონ პოლიტიკური და სამოქალაქო დახმარების გაწევის მიზნით და დროული და სათანადო რეაგირება მოახდინონ დემოკრატიის ახალ ამოცანებსა და მიზნებზე. როგორც ყველაზე ძლიერმა დემოკრატიულმა ქვეყანამ მსოფლიოში, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშოს საკუთარ საზღვრებს გარეთ დემოკრატიის მხარდაჭერის საქმეში. მაგრამ ეს ძალისხმევა შეიძლება წარუმატებლობით დასრულდეს, თუ მისი როლი ცალმხრივი ან ცალსახად დომინანტური იქნება. რაც უფრო მეტი განვითარებული დემოკრატიული ქვეყანა ჩაებმება, თავიანთი სახელმწიფო სააგენტოებისა და საკუთარი უამრავი სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მეშვეობით, საზღვარგარეთ დემოკრატიის მხარდაჭერისა და გაძლიერების პროცესში, დემოკრატიის საერთაშორისო ლეგიტიმურობა და დემოკრატიის მიმდევართა გლობალური სოლიდარობა სულ უფრო მტკიცე გახდება. მეტიც, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ დემოკრატიის მხარდამჭერი ღონისძიებები თუ მიდგომები მრავალგვარი და ერთმანეთისაგან ხშირად მკვეთრად განსხვავებულია. განვითარებადი დემოკრატიის ქვეყნებისათვის ნათელი უნდა იყოს, რომ საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან პოლიტიკური დახმარების მცდელობები იმავე პლურალიზმის პრინციპს ემყარება, რომლის დამკვიდრებასაც ისინი საკუთარ პოლიტიკურ სისტემაში ცდილობენ.

თუ მსოფლიოს განვითარებული დემოკრატიის სახელმწიფოებს ეყოფათ სათანადო მოთმინება და სწორ ხედვას გამოიმუშავებენ საერთაშორისო დემოკრატიული ერთობლიობის თანამშრომლობის კურსის შესანარჩუნებლად, დემოკრატია მთელს მსოფლიოში გაიდგამს ფესვებს და საბოლოოდ ისტორიული ექსპანსიის სახეს მიიღებს. დემოკრატიზაციის მესამე ტალღის ყველაზე აშკარა დამახასიათებელი თვისება, მისი ჩასახვიდან თუნდაც მეოთხედი საუკუნის გასვლის შემდეგ, არის ის, რომ გლობალურ დონეზე არ გაჩენილა არავითარი იდეოლოგია ან რეჟიმი, რომელიც დემოკრატიის ალტერნატივა იქნებოდა და მის დამარცხებას შეძლებდა. მძლავრი დიპლომატიური ზეწოლა და საერთაშორისო სტანდარტებისა და კონვენციების მკაცრი დაცვა ავტორიტარულ ელიტარულ ფენებს მანევრირების სულ უფრო მცირე არეალს უტოვებს. საერთაშორისო დახმარებისა და თანამშრომლობის განსხვავებულმა ფორმებმა დემოკრატიის პოლიტიკურ ლიდერებს, პარტიებს, სამოქალაქო საზოგადოებასა და ორგანიზაციებს, და მასმედიას არსებული რეჟიმების პირობებში ნდობა, აუცილებელი უნარ-ჩვევები, იდეები და რესურსები შესძინა. მეტიც, ეროვნულ საზღვრებში კაპიტალის, ტექნოლოგიებისა და ინფორმაციის ინტეგრირების პარალელურად, რაც სუნთქვაშემკვრელი სისწრაფითა და მეყსეული შედეგიანობით ხორციელდება, გლობალიზაციაში დაინტერესებული მიუკერძოებელი ძალები მმართველობის ავტორიტარულ ფორმებს სულ მეტად უთხრიან ძირს. სანაცვლოდ ისინი მოითხოვენ და ამკვიდრებენ ღიაობას, კანონის უზენაესობას, სისტემის მოქნილობასა და ლეგიტიმურობას, რაც ლიბერალური დემოკრატიის მახასიათებლებს წარმოადგენს. თუ განვითარებული და აყვავებული დემოკრატიული სახელმწიფოები სწორედ ამ ძალებზე გააკეთებენ გათვლას, არსებულ დიქტატორულ რეჟიმებზე ზეწოლა უფრო და უფრო გაიზრდება და ამავე დროს მრავალი ახალი დემოკრატიული სისტემა გაღრმავებასა და კონსოლიდაციას განაგრძობს. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ დემოკრატიული ძალების ნებისმიერი მცდელობა წარმატებით ვერ დასრულდება, განსაკუთრებით საწყის ეტაპებზე. მაგრამ მდგრადი საერთაშორისო თანამონაწილეობის დახმარებით, დემოკრატიული გავლენა და პროგრესი ერთ მშვენიერ დღეს დემოკრატიზაციის მეოთხე ტალღის წარმოშობას დაუდებს საფუძველს და მთელ მსოფლიოში გაავრცელებს პოლიტიკური და სამოქალაქო თავისუფლების პრინციპებს ისეთი ძალით, რომლის წინასწარ განსაზღვრა მეოთხედი საუკუნის წინ, მესამე ტალღის დასაწყისში, არავის შეეძლო.

ინგლისურიდან თარგმნა ნინო დოლიძემ

სიტყვის თავისუფლება

ტეხასი ჯონსონის წინააღმდეგ - 1989

სტივენ კრისტიანსონი

აპელატორი: ტეხასის შტატი.

განსასჯელი: გრეგორი ლი ჯონსონი.

აპელატორის სარჩელის შინაარსი: ტეხასის შტატს, რომელმაც გრეგორი ლი ჯონსონს ბრალი დასდო "თაყვანისცემის ობიექტების შეურაცხყოფისთვის", არ დაურღვევია ჯონსონის კონსტიტუციური უფლებები.

მთავარი დამცველი: უილიამ კანსტლერი.

აპელატორის მთავარი ადვოკატი: ქესი ელის დრუ.

მოსამართლენი: ჰარი ბლექმანი, უილიამ ბრენანი, ენტონი კენედი, სორგუდ მარშალი, სანდრა დეი ო'კონორი, უილიამ რენკვისტი, ანტონინ სკალია, ჯონ პოლ სტივენსი და ბაირონ უაიტი.

სასამართლო პროცესის ადგილი: ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი.

გადაწყვეტილების თარიღი: 1989 წლის 21 ივნისი.

განაჩენი: ტეხასის შტატის კანონი არაკონსტიტუციურად იყო ცნობილი.

მნიშვნელობა: როგორი არაპოპულარული ქმედებაც უნდა იყოს ამერიკის დროშის დაწვა, კონსტიტუციის პირველი ჩასწორება იცავს ასეთ და პოლიტიკური თვითგამოხატვის სხვა ფორმებს.

გრეგორი ლი ჯონსონი, მეტსახელად "ჯოი", იმ ამერიკული კომუნისტური მოძრაობის აქტიური მხარდამჭერი გახლდათ, რომელიც კომუნისტური რევოლუციური ახალგაზრდული ბრიგადის სახელით იყო ცნობილი. როდესაც 1984 წელს დალასში რესპუბლიკური ნაციონალური კონვენციის ჩატარება გადაწყდა, ჯონსონმა მიიღო მტკიცე გადაწყვეტილება, მონაწილეობა მიეღო ე.წ. "რესპუბლიკური ომის ვეტერანთა სვლაში". ამ დემონსტრაციის მიზანი იყო, პროტესტი გამოეხატათ პრეზიდენტ რეიგანის ადმინისტრაციის პოლიტიკის მიმართ.

1984 წლის 22 აგვისტოს ჯონსონმა, ასამდე სხვა დემონსტრანტის თანდასწრებით, ამერიკის შეერთებული შტატების დროშა ააფრიალა. შემდეგ ამ დროშას ბენზინი გადაასხა და ცეცხლი წაუკიდა, რასაც დემონსტრანტთა აღფრთოვანებული შეძახილები მოჰყვა. "ამერიკავ, წითელო, თეთრო და ლურჯო, ჩვენ შენ გაფურთხებთ!" - ხმამაღლა აცხადებდა ჯონსონი. დროშის დაფერფვლის შემდეგ დემონსტრანტები დაიშალნენ. ერთმა განცვიფრებულმა მოწმემ დროშის ნარჩენები შეაგროვა, რომ მოგვიანებით საკუთარ ეზოში დაეკრძალა. აქციის შედეგად არავინ დაშავებულა. არ დაზიანებულა კერძო საკუთრება, დროშის გარდა. ამ სცენას შეესწრნენ პრესის წარმომადგენლები და პოლიცია. როდესაც პოლიციის დამხმარე ბრიგადა ინციდენტის ადგილას გამოცხადდა, ჯონსონი დააპატიმრეს.

ჯონსონს ნაუყენეს ბრალდება ტეხასის შტატის იმ კანონის საფუძველზე, რომელიც "წინასწარ განზრახვითა თუ შეცნობით შტატისა თუ ნაციონალური დროშის შეურაცხყოფას" უკანონო ქმედებად თვლიდა.

აშშ-ს უზენაესი სასამართლოს შემადგენლობა, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება საქმეში „ტეხასი ჯონსონის წინააღმდეგ".

ჯონსონი გასამართლდა დალასის საგრაფოს №8 კრიმინალურ სასამართლოში თაყვანისცემის ობიექტის შეურაცხყოფისთვის, რისთვისაც მას ერთწლიანი პატიმრობა და ორი ათასი დოლარის ოდენობის ჯარიმა მიესაჯა. პროცესის განმავლობაში ბრალმდებელმა მსაჯულთაგან მოითხოვა, ჯონსონი დამნაშავედ ეცნოთ პოლიტიკური სიმბოლიზმისთვის, რაც დროშის დაწვის ინციდენტში გამოიხატა: "თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ეს პიროვნება, საკუთარი ქმედებითა და აზრებით, სერიოზულ საფრთხეს უქმნის მრავალ ადამიანს".

1986 წლის 23 იანვარს დალასის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა ჯონსონისთვის გამოტანილი განაჩენი. 1988 წლის 20 აპრილს კი ტეხასის შტატის კრიმინალურმა სააპელაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო და პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები. კრიმინალურმა სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ ცნო შტატის ხელისუფლების არგუმენტები, რომ დროშის დაწვის საწინააღმდეგო კანონი წარმოადგენდა ეროვნული ერთობის სიმბოლოს დასაცავ კანონიერ საშუალებას:

"ვაცნობიერებთ და ვაღიარებთ რა განსხვავებული აზრის ქონის უფლებას, რომელიც ჩვენი კონსტიტუციის პირველი ჩასწორების მიერ გარანტირებული თავისუფლებების სული და გულია, მიგვაჩნია, რომ ხელისუფლებას უფლება არა აქვს, დააკანონოს საკუთარ მოქალაქეთა ერთობის იდეის მხარდასაჭერად არსებული საკუთარი სურვილი".

ტეხასის შტატმა ეს გადაწყვეტილება ამერიკის შეერთებული შტატების უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა. ჯონსონის ადვოკატი გახდა სამოქალაქო უფლებათა და თავისუფლებათა ცნობილი დამცველი უილიამ კანსტლერი. ტეხასის შტატის ინტერესებს იცავდა ქესი ელის დრუ. მხარეებმა საკუთარი არგუმენტები უზენაეს სასამართლოს 1989 წლის 21 მარტს წარუდგინეს.

უზენაესი სასამართლოს უმრავლესობის გადაწყვეტილების ავტორი გახლდათ მოსამართლე უილიამ ბრენანი. საზოგადოებას გადაწყვეტილების შესახებ 1989 წლის 21 ივნისს ემცნო. ექვსი ხმით სამის წინააღმდეგ უზენაესმა სასამართლომ ტეხასის კრიმინალური სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა: "ამერიკის დროშისთვის განსაკუთრებული როლის შენარჩუნების მართებული გზა არ მდგომარეობს იმ პიროვნებათა დასჯაში, რომელთაც მასზე განსხვავებული შეხედულებები აქვთ. ამის ნაცვლად, ისინი უნდა დავარწმუნოთ იმაში, რომ ცდებიან... ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია უკეთესი რეაგირება დროშის დაწვის ფაქტზე, გარდა იმისა, რომ მეორე დროშა ავაფრიალოთ; არ ვიცით იმაზე უკეთესი პასუხი დროშის დამწველის მესეჯზე, რომ მისგან ცეცხლმოკიდებულ დროშას მხედრულად მივესალმოთ; უფრო მტკიცე საშუალება იმ დამწვარი დროშის ღირსების შენარჩუნებისა, როგორც მისი ნარჩენების პატივით დაკრძალვაა, როგორც ეს ამ ქმედების ერთ-ერთმა თვითმხილველმა გააკეთა. ჩვენ ვერ აღვადგენთ დროშის ღირსებას მისი შეურაცხყოფის აკრძალვით, რადგან ასეთი საქციელით ჩვენ დავაბეჩავებთ სწორედ იმ თავისუფლებას, რომელსაც ეს სანუკვარი ემბლემა წარმოადგენს".

უზენაესი სასამართლოს ასეთმა გადაწყვეტილებამ გამოიწვია მძლავრი, მაგრამ ხანმოკლე პოლიტიკური ვნებათაღელვა, რომლის კულმინაციადაც პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის დროშის დაწვის საწინააღმდეგო საკონსტიტუციო ჩასწორების ინიციატივა იქცა. თუმცა, ეს წინადადება მალე მიივიწყეს. ჯონსონის საქმის, როგორც პრეცედენტის მემკვიდრეობა, იმის დემონსტრირებაში მდგომარეობს, რომ შეერთებული შტატების კონსტიტუციის პირველი ჩასწორების მიერ გარანტირებული პოლიტიკური თვითგამოხატვის უფლება ისეთ არაპოპულარულ და პროვოკაციულ ქმედებებსაც კი იცავს, როგორიცაა ნაციონალური დროშის დაწვა.

ინგლისურიდან თარგმნა ნიკოლოზ რურუამ

პრეზიდენტი

საბრალდებო სიტყვა ილია ჭავჭავაძის მკვლელის გ. ბერბიჭაშვილის საქმეზე - 1942

მოსამართლეთა კოლეგიის თავმჯდომარე: ი.ს. ოდიშვილი
ბრალმდებელი: სსრ პროკურორის მოადგილე კ. ჩიქვანაია
დამცველი: ა. ჯაფარიძე

ამხანაგო მოსამართლენო!

ვიწყებ რა საბრალდებო სიტყვას საქმეზე, რომელსაც აქვს დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა, მე მინდა პირველ ყოვლისა შევაჩერო თქვენი ყურადღება ამ ბოროტმოქმედების ერთ განსაკუთრებულ თვისებაზე, სხვა საქმეებთან მის განმასხვავებელ თვისებაზე.

ცნობილია, რომ მეფის მთავრობას, მის დამქაშებსა და ჟანდარმერიას არა ერთი და ასი ათასი საუკეთესო ადამიანი ჩაულპია ციხეებსა და კატორღებში, არა ერთი და ათასი რევოლუციონერი, ხალხის მეგობარი და მოსარჩლე, ხალხის იდეებისათვის და მისი საუკეთესო მომავლისათვის მებრძოლი დაუხვრეტია, ჩამოუღრჩვია როგორც აშკარად, ისე ფარულადაც. მაგრამ, რომ ცარიზმს მისთვის საშიშ ატმოსფეროში ასე მოხერხებულად ესარგებლოს, თავიდან ადვილად მოეცილებიოს, მზის სინათლეზედ მოეკლას თავისი მტერი და ეს ბოროტმოქმედება მოეწყოს ისე, რომ ხალხის პარტიასა და თვით ხალხს დაბრალებოდეს მკვლელობა, ამის გამო პარტიები და მასები ერთმანეთისათვის გადაეკიდებიოს, დაექსაქსოს და თავისი ბნელი საქმეების გაჩარხვისათვის ხელი მნიშვნელოვნად შეეწყოს, ჩვენს პრაქტიკაში პირველი შემთხვევაა.

1907 წლის 30 აგვისტოს სოფ. საგურამოს მახლობლად წიწამურის ხეობაში ვერაგულად მოჰკლეს დიდი ქართველი მწერალი ილია ჭავჭავაძე, ხალხის უანგარო ჭირისუფალი და კაცობრიობის უკეთესი მომავლისათვის დაუღალავი მებრძოლი. იგი შეუბრალებლად გამოსტაცეს ქვეყანას იმ დროს, როცა რუსეთის ცარიზმის ბნელი ძალები სულს უხუთავდა მშრომელ ხალხს და უმკაცრესი რეაქციის ბრჭყალებში აქცევდა დამონებულ ერებს.

გაბოროტებულმა ავაზაკებმა ტყვიით განგმირეს მოხუცი მწერლის შუბლი და მკერდი, თოფის კონდახით დაალურჯეს იგი, გრძნობის დაკარგვამდე სცემეს მის ცოლს და იქვე მოჰკლეს ერთგული მისი მსახური. ნაძირალებმა გაძარცვეს მათი მსხვერპლი: წაართვეს ოქროს საათი, სამკაულები და სხვა.

და აი, დღეს ერთი საზიზღარი ავაზაკთაგანი, რომლებმაც მოჰკლეს ილია ჭავჭავაძე, ჩვენს წინაშე იმყოფება. საბჭოთა სასამართლოს წინაშე ურცხვად დგას იგი, სასტიკ პასუხს აგებს დღეს გამარჯვებული, თავისუფალი და ბედნიერი ხალხის წინაშე იმ შავ-ბნელი საქმისათვის, რომელიც მან ჩაიდინა 34 წლის წინათ. იგი მიიღებს საკადრის სასჯელს იმ ხალხისგან, ვისაც წაართვა მან მისი უკეთესი წარმომადგენელი, დაუვიწყარი და ერთგული შვილი.

რატომ გამოასალმეს წუთისოფელს ეს დიდი გამოჩენილი პოეტი და მოაზროვნე. ამის მიზეზები ადვილი გასაგები გახდება, თუ გავითვალისწინებთ ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის ხასიათს, ილია ჭავჭავაძის, როგორც უდიდესი კლასიკოსის ავტორიტეტს და როგორც ხელმძღვანელს საქართველოს ეროვნულ-ნაციონალურ მოძრაობისას მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში.

ილია ჭავჭავაძე სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის გასული საუკუნის 60-იან წლებში და სათავეში უდგება მოწინავე ქართველ ინტელიგენციას. იგი გვევლინება ქართველი ხალხის იდეური ცხოვრების უდიდეს ორგანიზატორად. ის ხდება მეთაური ახალი ქართული მწერლობისა და აზროვნების, მეთაური ქართული თერგდალეულების, მესამოცე წლების მოღვაწეებისა, რომელთა შორის აღსანიშნავია: აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე, სერგი მესხი და სხვები.

ილია ჭავჭავაძის ძვირფასი გული განგმირა იმავე რეაქციულმა ძალამ, რომელმაც დიდ რუს ხალხს მოუკლა გენიალური პუშკინი, ლერმონტოვი და სხვა მრავალი სასიქადულო შვილი.

ჟანდარმერია მუდამ თვალყურს ადევნებდა ილია ჭავჭავაძეს, რომელიც თვითმპყრობელობას მეტად საშიშ პიროვნებად მიაჩნდა...

დღეს აქ ერთმა მოწმეთაგანმა, 83 წლის მოხუცმა, დუშეთის მაზრის ყოფილმა უფროსმა, ყარამან ფაღავამ სასამართლოს მოახსენა:

"როდესაც მე მაზრა ჩავიბარე და შიფრის გასაღები მომცეს, საიდუმლო საქმეებში ვნახე საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს მომართვა მაზრის უფროსისადმი, რომ მაზრის უფროსმა პირადი საიდუმლო ზედამხედველობის ქვეშ იყოლიოს თავადი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე"-ო.

ამ ცნობას, ე.ი. იმას, რომ ილია ჭავჭავაძე მეფისთვის არა საიმედო კაცი ყოფილა, ადასტურებს აგრეთვე თბილისის ჟანდარმთა სამმართველოს რიგი დოკუმენტები... ყველა პირუთვნელი ადამიანი, რომელიც ღრმად გაეცნობა ილიას ცხოვრებას, მოღვაწეობას და შემოქმედებას, გაეცნობა აგრეთვე ილიას მკვლელობის ირგვლივ დაგროვილ და სასამართლოს განკარგულებაში არსებულ უამრავ მასალას და ილიას ფიზიკურ მკვლელობის ბიოგრაფიას, აშკარად დარწმუნდება იმაში, რომ ქართველი ხალხის ეს დიდი მოაზროვნე და მოღვაწე, კლასიკოსი და დიდბუნოვანი ადამიანი მოკლა მეფის მთავრობამ; ნიკოლოზის ჟანდარმერიამ ეს ბინძური საქმე უშუალოდ გააკეთებია, ე.ი. ილია ფიზიკურად მოაკვლევინა ოხრანკის დაქირავებულ აგენტებს და აგრეთვე ილიას მკვლელობაში მიაღებინა მონაწილეობა, ე.ი. ბრმა იარაღად გამოიყენა აგენტები. მკვლელები ორ ჯგუფად გაიყოფებიან: - დიმიტრი ჯაში, ივანე ინაშვილი და გიგლა ბერბიჭაშვილი მეფის ოხრანკის დაქირავებული აგენტები იყვნენ, ხოლო ხიზანიშვილი, ფშავლიშვილი (იგივე აფციაური), ლაბაური, ფეიქრიშვილი და სხვები, ბრმა იარაღები იყვნენ. მოკლედ დავახასიათებ თითოეულ მათგანს:

მიუხედავად იმისა, რომ დ. ჯაშს დიდი კლასიკური ცოდნა არ ჰქონდა, მას მხოლოდ ჩოხატაურის სამკლასიანი სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული და ვერც გარეგნული შეხედულებით შეატყობდით მას, რომ ეს კაცი, თუ რამეს წარმოადგენდა, ან მოახერხებდა, იმდენად მჭერმეტყველი და გამჭრიახი იყო, რომ თავისი მოქნილი ენით დაწერილ ქება-დიდებას განცვიფრებაში მოყავდა როგორც კავკასიის მეფის მოადგილე, აგრეთვე მისი თანამოაზროვნენი.

ლიტერატურის მატიანეში (წიგნი - 1-2) დაბეჭდილია ლუარსაბ ხელაძის მოგონება, რომელიც წერს: "ერთ გაზაფხულის საღამოს მოვიდა ჩემთან უბნის ზედამხედველი და მითხრა, რომ პოლიცმეისტერი გიბარებს და ამ საათშივე უნდა გამოცხადდეო. მაშინ პოლიცმეისტერად იყო ზასიპკინი, მან მითხრა: "თქვენ, როგორც ციხეში მოსამსახურე, დ. ჯაშს უნდა იცნობდეთ, როგორმე უნდა იპოვნოთ და გამომიგზავნოთ საჩქაროთ". მეორე დღეს ვნახე ჯაში და გაუგზავნე. გავიდა დრო, რამოდენიმე დღის შემდეგ შემხვდა ჯაში და, როგორც დაინტერესებულმა, ვკითხე, რაზე დაგიბარა პოლიცმეისტერმა მეთქი, ცოტათი შეყოყმანდა, თითქოს არ უნდოდა ეთქვა, მაგრამ განმეორების შემდეგ მითხრა: "პოლიცმეისტერმა მითხრა, რომ მეორე დღეს, 12 საათზე, გამოვცხადდე აუცილებლად ნამესტნიკთან, ვორონცოვ-დაშკოვთან, მე ძალიან შევფიქრიანდი, - სთქვა მან, - მაგრამ რა უნდა მექნა, წაუსვლელობა არ შეიძლებოდა, მაგრამ ტანისამოსი არაფერი მქონდა შესაფერისი და ძალიან მაწუხებდა. ბოლოს გადავწყვიტე ქირით ამეღო მაღაზიიდან. იმ ხანებში ამნაირი მაღაზიები არსებობდა. მეორე დღეს გამოვეწყვე და მივედი სასახლეში, მაგრამ შესვლა არ გინდა! ავედი კიბეზე, შევიხედე მისაღებ ზალაში და თვალები ამიჭრელდა სხვადასხვა სანახაობებით. კანცელარიის დირექტორმა ალბად იცოდა, ვინც ვიყავი, რა ვიყავი და მომცა ადგილი, სადაც უნდა ვმდგარიყავ. მე გაოცებული ვიყავი ამ სანახაობით. ჩემ დღეში არ ვყოფილვარ დიდრონ პირებთან და არც ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავ. ზალაში იდგნენ გაყოფილი ორ რიგად: ერთ მხარეს სამხედრო პირები იყვნენ ჩამწკრივებული და მეორე მხარეს სამოქალაქო ჩინის პირნი, მე ვიდექი ზალის შუა ადგილას, მაგრამ ვღელავდი და სულ ვკანკალებდი. ამ დროს გამოდის ზალაში მეფის მოადგილე ვორონცოვ-დაშკოვი, თავის ამალით და ყველას ესალმება იქეთ-აქეთ. ამ დროს კითხულობს "სად არის ჯიგიტი" (ფსევდონიმი ჯაშის), რომ უჩვენეს ჩემზე, წამოვიდა მეფის ნაცვალი ჩემსკენ მოსასალმებლად და მე, როგორც გამოუცდელმა, არ ვიცოდი დიდრონ პირებთან შეყრის წესრიგი, დაუჩოქე და თაყვანი ვეცი, თუმცა ასე არ უნდა მოვქცეულიყავი. მეფის მოადგილე მომიახლოვდა, მხარზედ ხელი დამადო და მითხრა: "ჯიგიტი თქვენა ხართ, მოსკოვის და პეტერბურგის უწყებებში რომ სწერთ ჩემზე". მე დაუდასტურე და შემაქო: "ყოჩაღ, სამშობლოს ერთგული კაცი ყოფილხარ" და სხვა, მთხოვა განმეგრძო მუშაობა დიდი რუსეთის საკეთილდღეოდ. მომაგონა აგრეთვე გაზეთ "მოსკოვის უწყებებში" დაბეჭდილი ფელეტონი "ჯიგიტის" ფსევდონიმით, რომელიც შეეხებოდა, სხვათა შორის, თათრების მიერ ჩვენი სახელმწიფო საზღვრების შერყევას"...

ეს უნებლიეთი ჩემი "ვიზიტი" დამთავრდა. წამოსვლისას მოვიდა ჩემთან კანცელარიის დირექტორი და მითხრა: "დღეს ჩვენი სტუმარი ხართ და გთხოვთ მობრძანდეთ რესტორან "ანონაში" საღამოს 5 საათზე". მე სირცხვილით უარი ვერ ვუთხარი, მივეცი სიტყვა.

წავედი სახლში, გამოვიცვალე ფრაკი და პატრონს ჩავაბარე. საღამოს ჩამოველი "ანონაში", დავიარე ყველა კუთხე რესტორანისა, მაგრამ იქ ვერავინ აღმოჩნდა, მხოლოდ ერთი ცალკე ოთახი იყო, სადაც ლაქიებმა არ შემიშვეს, მითხრეს: აქ დიდი პიროვნებები არიან, შენი აქ შესვლა არ შეიძლებაო. რა მექნა, დავბრუნდი უკან წასვლა, რადგან უკვე დაგვიანებული იყო. ამ დროს მეფის მოადგილეს კანცელარიის მოსამსახურეთა ერთ-ერთმა მოსადილეთაგანმა კარი გააღო და ოფიციანტს დაუძახა, აქ ერთი სტუმარი უნდა მოსულიყო ჩვენთან და სად არისო. მაშინვე დამიძახეს და საყვედური მითხრეს, რომ დავიგვიანე, თუმცაღა ჩემი ბრალი არ იყო. ოფიციანტებმა ჩემი სტუმრობა მათთან სირცხვილად მიიჩნიეს. ასე თუ ისე შევუდექით პურის ჭამას. ჩამოვარდა ლაპარაკი სწავლა-განათლების შესახებ. მე მომიბრუნდა მეფის მოადგილეს კანცელარიის დირექტორი და მეკითხება - რელი უნივერსიტეტი დასრულე. ჩოხატაურის უნივერსიტეტი მეთქი, ვუპასუხე მე. დირექტორი ცოტა არ იყოს გაშტერდა, როგორც უმაღლეს კურს დამთავრებულს ჯერ ამ სახელწოდების უნივერსიტეტი მას არ გაუგონია და ხელმეორედ მეკითხება: უკაცრავად, ვერ გავიგონე რომელი უნივერსიტეტი დაასრულეთ. მე ვეღარ მოვითმინე, გამეცინა და ვუთხარი: ჩოხატაურში არავითარი უნივერსიტეტი არ არის, მხოლოდ სამკლასიანი სოფლის სკოლაა, რომელიც ჩემთვის უნივერსიტეტიც იყო და სკოლაც. ამაზედ ბევრი იცინეს, მაგრამ მაინც არ სჯეროდათ, თუ მე მხოლოდ სამკლასიანი ვიყავი. ბევრი ხუმრობის და სიცილის შემდეგ გავათავეთ პურის ჭამა და დავიშალენით. იმ ხანებში მუდმივი მეთვალყურეობა იყო დაწესებული გერმანელთა კალონიებისა (ეკატერინოფელდი, ლიუქსემბურგი, ელენენდორფი) და მქონდა მოცემული წინადადება ფხიზელი ყურადღება მიმექცია მათთვისო".

გარდა ზემოაღნიშნულ ხელაძის მოგონებისა, დიმიტრი ჯაშის მოღვაწეობის დასახასიათებლად ჩვენ გვაქვს ბევრი მასალა, როგორც სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი, აგრეთვე დღეს აქ გამოძახებულ მოწმეების ჩვენებანი... მაგალითად, დუშეთის მაზრის ყოფ. უფროსმა ფაღავამ, როგორც წინასწარ გამოძიების დროს, ისე სასამართლოს პროცესზე აჩვენა:

"1907 წელს ქალაქში ჩამოვედი, მივდიოდი ანტონ ფურცელაძესთან. დავინახე, რომ ჟანდარმერიიდან გამოვიდა დიმიტრი ჯაში. მივდივარ და ვფიქრობ, ეს მთავრობა ილია ჭავჭავაძეს უყურებს, როგორც მტერს და მისი მოურავი კი ჟანდარმერიიდან გამოვიდა, როცა ამას ვფიქრობდი და მცხეთის ჟანდარმერიის უფროსიც მოვიდა, მე ვკითხე ამ ჟანდარმს "მითხარი, გეთაყვა, იმ კაცს თქვენი კანცელარიიდან რომ გამოვიდა, თქვენ იცნობთ", ამაზე მან მიპასუხა, "როგორ არა, იგი ილია ჭავჭავაძის მამულის მოურავია, გვარად ჯაში". ცოტა ხანს შეჩერდა და მერე დაბალი ხმით დაუმატა, "იგი ჩვენთან აგენტად ითვლება" (იხ. ს.ფ. 84, 86, 128).

"შემდეგ, როცა დამჭირდა, - განაგრძობს ფაღავა, - მქონდა ხელთ დ. ჯაშის ოხრანკის აგენტობის დამამტკიცებელი ოფიციალური საბუთი. ვახმისტრ დომშენკოს მეშვეობით მივიღე ოხრანკის საიდუმლო თანამშრომელთა სია, რომელშიაც ჯამაგირის მიღებაზე ხელს აწერდა დიმ. ჯაში".

დიმ. ჯაშის ძმამ უშანგი ჯაშმა სასამართლოს აჩვენა, რომ დიმიტრი ჯაში ადრე გაასამართლეს და მაშინ იქ გამოაქვეყნეს მეფის ოხრანკის ჯაშუშების სია, რომელშიდაც იყვნენ დიმიტრი ჯაში, პესტრულინი, ანდღულაძე და სხვები.

მენშევიკების დროს მოწყობილ სასამართლოს სხდომაზე გამორკვეული იქნა, რომ თვითონ დიმ. ჯაშმა ვერ უარყო მეფის აგენტობა, რადგან მას უჩვენეს საბუთი ოხრანკიდან 600 მანეთის მიღების შესახებ, რომელზედაც ხელს აწერდა.

გარდა ამისა დიმ. ჯაშის ყოფ. მეუღლემ დარია ჯაშმა, როგორც წინასწარ გამოძიებას, ისე სასამართლოს უჩვენა:

"დიმიტრი ჯაში ძალიან მიღებული იყო მაშინდელ მთავრობაში, დანამდვილებით ვიცი, რომ იყო და მუშაობდა "ოხრანკაში". გარდა ამისა, 1917 წელს თებერვლის რევოლუციის შემდეგ დიმიტრი ჯაში მენშევიკებმა დააპატიმრეს, როგორც ჯაშუში (იგი ჯაშუშთა სიაში აღმოჩნდა), რამდენიმე ხანს იჯდა და შემდეგ გაანთავისუფლეს. 1921 წელს კვლავ იქნა დაპატიმრებული ბაქოში და მიესაჯა დახვრეტა, მაგრამ აქიდანაც პროტექციით იქნა განთავისუფლებული (იხ. ს.ფ. 3, 121, 122).

საგულისხმიეროა ის გარემოებაც, რომ დიმიტრი ჯაშის საბრალმდებლო სკამზე დასმის წინააღმდეგ მოწმე ფაღავას ჩვენებით გაილაშქრა ჟანდარმერიამ, რის გამოც დ. ჯაში იმდენად გათავხედდა, რომ სასამართლოში ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმეზედ უბრალო მოწმეთაც არ გამოცხადდა, ხოლო როცა სხვა ბრალდებულთა დამცველმა განაცხადა, რომ მე აქ მთავარ ბრალდებულს საბრალდებო სკამზე ვერ ვხედავო, მეფის სასამართლოს თავმჯდომარემ თითის დაქნევით მიიხმო დამცველი და რაღაც წასჩურჩულა ყურში, რის შემდეგ ჯაშზედ ერთი სიტყვაც არ თქმულა.

ამრიგად, დოკუმენტურად სავსებით დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს, რომ დიმიტრი ჯაში იყო "ოხრანკის" მნიშვნელოვანი და დაფასებული აგენტი.

დიმიტრი ჯაშის დასახასიათებლად საჭიროა გავიხსენოთ ისიც, რომ მას სისხლის სამართლის ბევრი ქმედობანი აქვს ჩადენილი. მაგალითად, საქმე არსებულ მასალებით და თანამედროვეების ჩვენებით სასამართლოს პროცესზედ დიმიტრი ჯაშმა სხვა ამხანაგებთან ერთად გაიტაცა ფული სამეურნეო ბანკიდან; გატაცებული ფულიდან მას ერგო 5.000 მანეთი, რითაც ინახავდა, როგორც თვითონ მისმა ყოფ. ცოლმა დარია ჯაშმა განაცხადა, ოჯახს. დიმიტრი ჯაშმა გააკეთა რკინიგზის ყალბი ბილეთები, რისთვისაც ის დაიჭირეს, მაგრამ შემდეგ მეფის მთავრობამ აპატია მას დანაშაული, როგორც "ოხრანკის" ძვირფას და საჭირო აგენტს. დიმიტრი ჯაშს ვხედავთ ჩვენ ყალბი ფულების მომჭრელის და გამსაღებლის ნიჭიერ როლში. დიმიტრი ჯაშმა, როგორც პროვოკატორმა და აგენტმა, შეცდომაში შეიყვანა ბევრი გამოუცდელი მებრძოლი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, მონაწილეობა მიაღებინა ბომბების გაკეთებაში, დააჭერინა მონაწილენი, გააციმბირა და თვითონ ამით კიდევ მეტი კაპიტალი შეიძინა ოხრანკის თვალში. ამ გაიძვერა და ბოროტი ნიჭით დაჯილდოებულმა ადამიანმა თითქმის მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე მოახერხა "ოხრანკის" საიდუმლო აგენტობასთან ერთად შეეთავსებია პროგრესიულ ადამიანებთან კარგი ურთიერთობა, სანამ ამ ვეებერთელა ზღვაში, ისე თავისუფლად მონავარდე ადამიანი პატარა ღელემ არ დაღრჩო და მისმა ცოლის ძმის ტყვიამ რაღაც კაპიკებისათვის არ განგმირა...

დიმ. ჯაშთან შედარებით, ვანო ინაშვილი პატარა მასშტაბის პროვოკატორია, მაგრამ თავისი ქცევით ის გავს ჯაშს იმდენად, რამდენად ესეც ახერხებს ერთის მხრით, აქა იქ გასწიოს კიდეც პროპაგანდა ფეოდალების წინააღმდეგ და მეორეს მხრივ, იყოს მთავრობის ერთგული მამასახლისი, რომელიც უბრალო ცნობების გაცემაში ტყვავს აძრობს გლეხებს და ლაქიობს მეფის მოხელეებთან. მოწმე ტატიშვილმა დღეს სასამართლოს უჩვენა, რომ ინაშვილი სტრაჟნიკებს ყავდა გადაცემული და მათ ეხმარებოდაო.

ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში ჟანდარმერიისათვის ძვირფას აგენტების: ჯაშის, ინაშვილისა და ბერბიჭაშვილის მონაწილეობა იმდენად ნათელი იყო, რომ ყველასი დაუსჯელობა ადვილად გამოააშკარავებდა "ოხრანკის" საქციელს. ამიტომ ყველაზე ძვირფასი აგენტი ჯაში გაანთავისუფლა. ჯაშზედ ბევრად არა ნაკლებად ძვირფას ბერბიჭაშვილს შეუქმნა პირობები ხალხის რისხვისაგან თავის არიდებისათვის და დამალვისათვის, ხოლო ინაშვილს უთხრა გაიქეცით, გააქცია და მოკლა.

გიგლა ბერბიჭაშვილი, რომელსაც დღეს ვასამართლებთ, უპატრონოდ აღიზარდა. მას ადრე მოუკვდა მშობლები, ბიძებთან იზრდებოდა, ისინი გიგლას გაზრდას დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ და გიგლა თვითნება კაცი დადგა. მაგარი მკლავისა და კარგი ჯანის მქონე გიგლა ხან ტყეშია, ხან ქალაქს ჩადის, ნახშირს ყიდის, ხან ქურდობს, ყაჩაღობს და თავს იოლად ირჩენს. 1901 წელს ის სალდათად მიჰყავთ. სამი წლისა და რვა თვის განმავლობაში იწრთვნება თოფის კარგად გასროლაში და 1905 წლისათვის ბრუნდება ის თავის სოფელში, სადაც ყვინჩილაობითა და ავკაცობით თავზარს სცემს მთელი მაზრის მშრომელ მოსახლეობას. მან იმდენად შეაწუხა გლეხობა, რომ სოფლის კრებამ განაჩენი გამოუტანა და გაუგზავნა კიდეც მაზრის უფროსს. ჟანდარმერიამ გაციმბირების მიზნით, დაიჭირა კიდეც ბერბიჭაშვილი, მაგრამ ხანმოკლე ტყვეობის შემდეგ ის თავის აგენტად გაიხადა და გამოუშვა. ბერბიჭაშვილი ცდილობს დაამტკიცოს აქ, რომ ის იყო წითელი პარტიზანი და რომ ის მთავრობამ დაიჭირა, მაგრამ გატეხა ციხე და გაიქცა. აქ ბერბიჭაშვილს პატარა "ლიაპსუსი" მოსდის და როგორც სპარსეთის რევოლუციის წლები არ იცოდა და ამიტომ მოტყუვდა, რომ განაცხადა ეშვინის, რეშტის და თეგერანის აღებაში მონაწილეობა მივიღეო და შემდეგ გადათქვა მხოლოდ იმისათვის, რომ იმ ქალაქების აღება არ დაემთხვა სპარსეთში მისი განცხადებითვე "ყოფნის" ხანას, ის ასევე შეცდა, როცა რევოლუციის სუსხისა და პოლიციელების დაფრთხობის ხანაში 1905 წლის ბოლოსა და 1906 წლის დასაწყისში მისი დაპატიმრება ახსნა ვითომ და მისი პარტიზანელობით, როცა ნამდვილი რევოლუციონერები და რევოლუციის ლიდერებიც კი თავისუფლად დასეირნობდნენ, რევოლუციით დამფრთხალ მეფის მთავრობის თვალწინ. ხსენებული ხანა იყო ხალხის "პრიგოვორობით" ხალხის შემწუხებელთა და ქურდ-ბაცაცების დაჭერის ხანა და აკი ამ "პრიგოვორში", როგორც საქმეში არსებულ მასალებიდან ჩანს, ჩავარდა კიდეც ავაზაკი ბერბიჭაშვილი, რომელმაც მთავრობისათვის სამსახურის გაწევის შეპირებით და აგენტობით იხსნა თავი.

ბერბიჭაშვილი ცდილობს დაგვარწმუნოს აქ, რომ მას პარტიზანელების წიგნაკი ჰქონდა, რომ ამ წიგნაკს ის სულ ინახავდა 15 წლის განმავლობაში მთელ შავბნელ პერიოდის მანძილზე. რეაქციის ხანაში შენახული, ეს ისტორიული წიგნაკი არ შეინახა მან ეხლა, რევოლუციის დროს, როგორც ძვირფასი განძი და სატრაბახებელი დოკუმენტი. ყველაფერი ეს კარგადაა მოგონებული, მაგრამ აქაც ერთი ეშლება.

სასამართლოს თავმჯდომარის შეკითხვაზე: - წითელ რაზმელობის თქვენს მანდატს ვინ აწერდა ხელსო. მან უპასუხა, ხელს აწერდა ნაცვლიშვილი და კობახიძეო... ამით მან დაამტკიცა, რომ მას არა თუ არ ჰქონია პარტიზანობის მანდატი და ისიც უბით არ უტარებია 15 წლის განმავლობაში, არამედ არ უნახავს არასოდეს სხვის ხელშიაც კი, თორემ ეცოდინებოდა, რომ პარტიზანელების მანდატს საერთოდ არასოდეს არავინ არ აწერდა ხელს და არც შეეძლო ვინმეს მოეწერა ხელი, არამედ დასმული ჰქონდა სათანადო ბეჭედი. გ. ბერბიჭაშვილი სტყუის აგრეთვე იმაში, რომ ის თითქმის 1907 წლიდან 1919 წლამდე 13 წლის განმავლობაში სპარსეთში იმალებოდა. ეს ტყუილი მტკიცება, ერთის მხრივ, ექსპერტ-პროფესორ ი. აბულაძის გამორკვევით, რომ ბერბიჭაშვილმა სპარსული ენა არ იცის. მეორეს მხრივ, მოწმე ხიჩინაშვილის ჩვენებიდან, საიდანაც სჩანს, რომ 1910 წელს ბრალდებული ბერბიჭაშვილი მის ნიშნობაში ყოფილა სოფ. მეჯვრისხევში. მესამეს მხრივ, მოწმე ნამალაშვილის ჩვენებიდან დასტურდება, რომ ის 1918 წელს ალექსანდროვის ბაღში ყოფილა. ფაღავას ცნობით, ბერბიჭაშვილი შირაქში იმალებოდა და სხვა ..... ბერბიჭაშვილს ეს ტყუილი დასჭირდა იმისათვის, რომ დაეფარა მეფის მთავრობის მიერ მისთვის შექმნილი პირობები: - "აქ დაიმალე, ხალხის რისხვას მოერიდე და ჩვენ არ გდევნითო".

გ. ბერბიჭაშვილი იმდენად უტიფარია, რომ მან ისიც კი უარყო, რომ ილია ჭავჭავაძის მსახურის ტყვია მოხვდა ფეხში ილიას მკვლელობის დღეს. საჭირო შეიქმნა სპეციალური ექსპერტიზა, რომ მისი სიცრუისათვის ფარდა აგვეხადა, თუმცა ამას წინათ წინასწარ ჩვენებებში და თავის განცხადებებში არ უარყოფდა. ყველაფერ ამის შემდეგ აბა რა გასაკვირველია ბერბიჭაშვილის ყოვლად წარმოუდგენელი მტკიცება იმის შესახებ, რომ მას ილიას შესახებ სრულიად არაფერი გაეგონა, არასოდეს ენახა ილია, მაშინ, როდესაც ილია წლების განმავლობაში მისი სოფლიდან სამ კილომეტრზედ ცხოვრობდა და არა თუ მეზობელი გლეხები იცნობდნენ ილიას, არამედ შორეული კუთხეების და, კერძოდ დუშეთის მაზრის თემ-სოფლების წარმომადგენელი გლეხები ესწრებოდნენ ყოველ წლიურად მოწყობილ ილიაობას. დაუჯერებელია, აგრეთვე ისიც, რომ არც მკვლელობის შემდეგ გაუგია ბერბიჭაშვილს რა კაცი იყო ილია, რომელიც მან მოკლა, არც ის გაუგია მას, რომ 1937 წელს მადლიერმა ქართველმა ხალხმა და მთელმა საბჭოთა კავშირმა ილიას დაბადებიდან 100 წლისთავი იზეიმა. არ გაუგია არაფერი ეს მიუხედავად იმისა, რომ მთელი ამ უკანასკნელ 20 წლის განმავლობაში არც თუ უბრალო ადგილი ეჭირა მას და ერთმა მისმა შვილმა დაამთავრა თბილისში პირველი საშუალო სკოლა, რომელიც მოთავსებულია იმ შენობაში, რომელშიდაც ილია სწავლობდა, ხოლო მეორე მისმა შვილმა დაამთავრა ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის მესამე სკოლა...

ვინ მოკლა ილია და როგორ?!

ჩვენ ზევით მოვიყვანეთ ზოგიერთი საბუთი იმის ნათელსაყოფად, თუ რა საშიშ პიროვნებად თვლიდა მეფის ჟანდარმერია საქართველოს "უგვირგვინო მეფეს" ილია ჭავჭავაძეს. "ოხრანკამ" ილიას ფიზიკურად მოსპობის ადგილობრივ ორგანიზაცია დაავალა ჯაშს, ინაშვილსა და ბერბიჭაშვილს. მკვლელობის აქტის მოხდენის შემდეგ არც ერთი ამათგანი საბრალმდებო სკამზე არ დასვა, არ გაასამართლა. ნამდვილ დამნაშავეების და, უმთავრესად თავისი თავის, ე.ი. ჟანდარმერიის მონაწილეობის დასაფარავად, კვალის ასაბნევად მკვლელობის ძებნის ობიექტად გურია გახადა. ძიება თვალის ასახვევად ჩოხატაურში გადაიტანა. ილიას მოკვლის შემდეგ ერთი დღეც არ გასულა, გამოძიება ჯერ არც დაწყებულა და არც არავინაა დაჭერილი. როცა თბილისის გუბერნატორი დეპეშით ატყობინებს კანცელარიას პეტერბურგში შემდეგს:

"30 აგვისტოს, დაახლოებით დღის 12 საათზე, საგურამოდან ოთხ ვერსზე დუშეთის მაზრაში ოთხ ბოროტმოქმედმა თოფიდან გასროლით მოკლეს სახელმწიფო საბჭოს წევრი, თავადი ილია ჭავჭავაძე და მისი ლაქია. დაჭრილია კონდახით თავში თავადის მეუღლე. ყველანი გაძარცული არიან. მიღებულია სასწრაფო ზომები, ნაგულისხმევია, რომ თავადი მოკლულია ადგილობრივი გლეხების მიერ სოციალ-დემოკრატების წაქეზებით, ძარცვა სიმულირებულია".

კომენტარები ზედმეტია, გუბერნატორმა წინასწარ იცოდა ვის უნდა მოეკლა ილია და ვისთვის უნდა დაებრალებია ეს საზიზღარი საქმე. მეფის მთავრობას უნდოდა ერთი გასროლით ორი კურდღელი მოეკლა, ერთის მხრივ, საშიში პიროვნება ილია ჭავჭავაძე მოეკლა და, მეორეს მხრივ, ამ მკვლელობით ხელიც მოეთბო და პარტიები და ცალკეული პირები ერთმანეთისათვის გადაეკიდებია. მაგრამ, მიუხედავად დროებითი და მოჩვენებითი მიღწევებისა, ჩვენ ზევით ვთქვით, რომ ვერც ერთ მიზანს მიაღწია და ვერც მეორეს - ილია არასოდეს მოკვდება და ფიზიკურად ილიას მოსპობის ნამდვილი სახე გამოაშკარავებულია, საზიზღარი ქმედობა ნიღაბახდილია. ცარიზმის საზიზღარ ინსტიტუტიდან დარჩენილი ერთი აგენტთაგანი, რომელიც იმდენად მოხერხებული და გაქნილი აღმოჩნდა, რომ 1922 წელს შესძლო პარტიის მოტყუებაც კი და პარტ-ბილეთი მიიღო. იგი დღეს საბრალმდებლო სკამზე ზის. ამ საზიზღარ ადამიანს კარგად ესმის, თუ რა დანაშაულია პარტიის მოტყუება, თავის წარსულის დამალვა და ამიტომ იყო, რომ დაპატიმრების პირველ ხანებში ასე უტიფრად უარყოფდა თავის რაიმე მონაწილეობას ილიას მკვლელობის საქმეში, მაგრამ შემდეგ, როცა ეს მეორე ტყუილი არ გაუვიდა, ეხლა იძახის: - მე მარტო თავს იმაში ვგრძნობ დამნაშავედ, რომ 1922 წელში, როცა მანდატის მიღება მინდოდა, პარტიას დავუმალე ჩემი წარსული, მხოლოდ მეორე თავის საზიზღარ საქმეს, დიდი ილიას მოკვლას, ეხლაც არ ნანობს, ეგ შუბლგარეცხილი ჯიუტი, უტიფარი კაცუნა, მეფის ოხრანკის საზიზღარი აგენტი აგენტათვე რჩება და სინდისის ქეჯნას ოდნავადაც არ განიცდის. ხელსაყრელ პირობებში, როგორც აქ ბევრმა დაადასტურა, ტრაბახობდა კიდეც: "აი, ამ მარჯვენამ ჩააძაღლა ილია ჭავჭავაძე"-ო.

ბრალდებულ ხიზანიშვილმა, ინაშვილმა და ლაბაურმა 1908 წელს სასამართლოს უჩვენეს: პირველად ილიას ტყვია ბერბიჭაშვილმა ესროლა და სასიკვდილოდ დასჭრაო, ეხლა ეს ავაზაკი, რომელიც მუდამ დროის შესაფერისად მოქმედებს და ლაპარაკობს, სტყუის და უტიფრად აცხადებს: - მე ძალით წამიყვანეს ჭავჭავაძის მოსაკლავად, მაგრამ ტყვია მისთვის პირდაპირ არ მისვრია, ჰაერში ვისროლეო... ილიას მოკვლის შემდეგ მისი სათვალეები და კოლოფი, რომელშიდაც ბეჭდები და ღილები იყო, ავიღე და ინაშვილს მივაწოდე ჯაშისათვის გადასაცემადო, განა ეს ვისმეს რამეს მიანოდებდა...

ფაქტიურად ამ ყველაზედ უკეთესი მსროლელის ბანდიტ ბერბიჭაშვილის ტყვია მოხვდა ილიას გულში, ამავე ბანდიტმა ჩამოგლიჯა საყურეები ყურებიდან ილიას მეუღლეს ოლღას და კონდახით გაუტეხა თავი მას და ცხრა ჭრილობა მიაყენა თავის არეში. აქ კი აცხადებს: - თავი ვინ გაუტეხა, არ დამინახავსო-ო, სათვალები დაინახა და აიღო,

ეტლიდან, იმავე დროს ბუჩქებიდან გამოცვივდნენ ინაშვილი, ფშავლიშვილი, ბერბიჭაშვილი. მათში ბერბიჭაშვილი მივარდა თავადის მეუღლეს, გაარტყა მას თოფის კონდახი თავში, რის გამო ქალი დაეცა. თავადის თანამგზავრმა, მისმა ლაქიამ, ისროლა ერთხელ და გაიქცა ბუჩქებისაკენ, ყველა ისინი გამოეკიდნენ ლაქიას და ბუჩქებში რამოდენიმეჯერ მოხდა გასროლა. შემდეგ, როცა ისინი ბუჩქებიდან გამოცვივდნენ, ბერბიჭაშვილი მივარდა თავადის ცოლს და ყურიდან მოჰგლიჯა მას საყურე, ხოლო ინაშვილმა წაიღო თავადის საათი, შემდეგ ისინი გაიქცნენ ბუჩქებისაკენ და როცა მათთან მივიდნენ, მათ ხელში ეჭირათ ჩემოდანი, მაგრამ ვის ეჭირა ეს, ხიზანიშვილს არ ახსოვს. შემდეგ გაეგმართნენ ზედაზნის გზით, ფშავლიშვილი შეიარაღებული იყო სახაზინო ნიშნების რევოლვერით ე.ი. იმ რევოლვერით, რომელიც მოტაცებული იქნა თავად ჭავჭავაძის მოურავის მოკვლისას. ინაშვილს და ბერბიჭაშვილს ჰქონდათ ბერდანის თოფები.

ხიზანიშვილის ჩვენება მე შევიტანე მოკვლევის ოქმში, ხოლო ფშაველიშვილის ჩვენება ოქმში არ შემიტანია, ვინაიდან იგი მე დავკითხე გზაზე კერძო წესით. ფშავლიშვილისა, ინაშვილისა და ბერბიჭაშვილის ძებნას მე ვაწარმოებდი დუშეთის მაზრის უფროსის წინადადებით, რომელიც ემყარებოდა ბ-ნ თბილისის გუბერნატორის მოწერილობას. მოწერილობაში მე წინადადება მქონდა მემოქმედა არა მარტო მაზრის, არამედ გუბერნიის ფარგლებში. გარდა ამისა, მე ვაწარმოებდი ხიზანიშვილისა და ფეიქრიშვილის ძებნას, რომლებიც მონაწილენი იყვნენ ებრაელ თავადაშვილის ძარცვაში სოფ. ზაქარაში და სოფ. ნავდარიანკარში მცხ. ანტონ ნავდარაშვილის სახელზე ყაჩაღურ თავდასხმაში. თბილისში ჩასვლისას ჩემთან მყოფ კერძო აგენტების მითითებით, ჩემს მიერ დაპატიმრებულ იქნა მაზმანაშვილი, რომელიც გამოტყდა რა ზემოდხსენებულ დანაშაულთა ჩადენაში, თავადი ჭავჭავაძის მკვლელობის საქმეზე მიამბო შემდეგი: კარსის ციხიდან იგი ჩამოვიდა ქ. თბილისში, სადაც შეხვდა ფშავლიშვილს, რომელმაც უთხრა მას, რომ თავად ჭავჭავაძის მკვლელობა ჩაიდინა მან ინაშვილთან და ბერბიჭაშვილთან ერთად, თანაც მან პორტმანიდან ამოიღო და აჩვენა მას გატეხილი ოქროს სათვალეები, ხოლო იქვე მყოფმა ფეიქრიშვილმა წინადადება მისცა ფშავლიშვილს გადაეცა ეს სათვალეები თავის დისთვის, უკანასკნელი კი სათვალეებს გადასცემს ხელოსანს, ხელოსანი კი გააკეთებს ბეჭედს...

მისივე მითითებით დავაპატიმრე ფშავლიშვილი და ფეიქრიშვილი. როცა პატიმრები მიმყავდა მცხეთაში, ფეიქრიშვილმა მითხრა მე, რომ ფშავლიშვილმა მას უთხრა, რომ თავადი ჭავჭავაძის მკვლელობა ჩადენილია მის მიერ ინაშვილთან და ბერბიჭაშვილთან. ფეიქრიშვილი ჩავაბარე დუშეთის მაზრის უფროსს.

დაკითხული იქნა აგრეთვე სტრიჟევი, 1908 წლის 28 მარტს, რომელმაც ძიებას უჩვენა:

მე, ივანე მაქსიმეს ძე სტრიჟევი, 44 წლის, სანაპირო დაცვის ზაამურის ოლქის ცალკე კორპუსის პოდპოლკოვნიკი მოვლინებული მისი საიმპერატორო უდიდებულესობის კავკასიაში მოადგილეს განკარგულებაში, დუშეთის მაზრის უფროსი მოვ. აღმსრ. მართლმადიდებელი, სასამართლოს და გამოძიების ქვეშ ვყოფილვარ, თქვენს მიერ დასმულ კითხვებზე გიპასუხებთ შემდეგს:

1908 წ. 10 თებერვალს დაპატიმრებულ ლადო ჩირიკაშვილმა (იგივე ფეიქრიშვილმა) აჩვენა, რომ იგი ცხოვრობს თბილისში, ნაძალადევში, ნადიროვას მამულში. როცა მოვიდა ჩემთან ფშავლიშვილი, იმ დღეს მე ვიყავი დუქანში, სადაც ვსაუზმობდი. მე მას ვკითხე, - საიდან მოდი მეთქი, მითხრა, რომ განჯიდანო. მე ის მაშინ ჩემთან ვავიყვანე დასაძინებლად. როცა ღამე სტრაჟნიკები მოვიდნენ მის დასაპატიმრებლად, მე ვკითხე მას, - რა საქმე ირიცხება შენზე მეთქი, რათ დამლუპე მეთქი, მან მიპასუხა: "ალბათ მე დამიჭირეს ჭავჭავაძის მკვლელობის საქმეზეო". მაშინ მე ვკითხე, მაშ, შენ მონაწილეობა მიგიღია; მან მითხრა - "კი". მე ვკითხე, - სხვები ვინ იყვნენ. მან მიპასუხა, ჩემთან იყვნენ გიგლა ბერბიჭაშვილი, ვანო ინაშვილი.

პავლე ფშავლიშვილმა (იგივე აფციაურმა) აჩვენა: ბერბიჭაშვილი, ინაშვილი და ერთი იმერელი შემხვდნენ და წინადადება მომცეს წავყოლოდი მათ საგურამოში ჭავჭავაძის მოსაკლავად. "წავიდეთ ერთად, თუ არ წამოხვალ - შენ მოგკლავთო" და მეც წავედი. მცხეთაში ჩავედით საბარგო მატარებლით, შემდეგ ფეხით წავედით, როცა მათ ჩაიდინეს მკვლელობა. მე რომ მესროლა ვაღიარებდი, ვინაიდან, რომ რაკი მკვლელებთან ვიყავი ვისროლე, თუ არ ვისროლე, სულერთია სასჯელი მაინც ერთი და იგივეა, როცა მე მითხრეს ილია ჭავჭავაძე მოკალიო.

გარდა აღნიშნული პირებისა თავად ჭავჭავაძის მკვლელობაზე ჩემს მიერ დაკითხული იქნა 18 თებერვალს ფილიპე მაძმანაშვილი, რომელიც ადასტურებს 17 თებერვალს მისი ბოქაულ მარკოვიჩისათვის მიცემულ ჩვენებას, რომელი ჩვენება ამ ბოქაულმა ჩაწერა განცხადების ოქმში. მაძმანაშვილის სიტყვით, იგი ნოემბრის თვეს გამოიქცა ვიატსკის გუბერნიიდან, ჩამოვიდა თბილისს, ის შეხვდა თავის ნაცნობებს: პავლე ფშავლიშვილს და ლადო ფეიქრიშვილს, რომლებმაც მას უთხრეს, რომ მათ ვანო ინაშვილთან, გიგლა ბერბიჭაშვილთან და თომა ხიზანიშვილთან, იცოდნენ რა, რომ თავად ჭავჭავაძეს უნდა ჩამოევლო თავის მამულისაკენ, მოაწყეს ჩასაფრება სოფელ წინამურთან ახლოს, სადაც ელოდებოდნენ რამოდენიმე დღეს, როცა თავადი თავისი ცოლით და ლაქიით მოემგზავრებოდნენ, მათ აუტეხეს სროლა, მოჰკლეს თავადი და ლაქია. ბერბიჭაშვილი ლაქიის მიერ დაჭრილი იყო ფეხში, თან სთქვა ფშავლიშვილმა თავადის ოქროს სათვალეები აჩვენა მაძმანაშვილსაო. ფეიქრიშვილმა უთხრა პავლე ფშავლიშვილს მომეცი მე სათვალეები, მათ გადავსცემ ჩემს ცოლს, უკანასკნელი ამ სათვალეებიდან ბეჭედს გააკეთებსო. როცა მაძმანაშვილმა ჰკითხა მას, თუ რატომ მოჰკლეს თავადი, უპასუხებს, რომ მან გლეხებს ჩამოართვა სახნავი მიწა, გარდა ამისა მაძმანაშვილმა განაცხადა, რომ თავადისაგან წამოღებული "მაუზერის" სისტემის რევოლვერი ინაშვილმა წაიღო. შემდეგ მაძმანაშვილმა მე პირადად მელაპარაკა, რომ თუ მას გამოუშვებენ, შეუძლიან მოსძებნოს ინაშვილი და ბერბიჭაშვილი, რომ ბერბიჭაშვილი იმალება თბილისში, ხოლო ინაშვილი განჯაში გაემგზავრაო.

აგრეთვე იგივე ფაღავა 1908 წელს თავის მოხსენებაში მიწერილ წერილში თბილისის გენერალ გუბერნატორის სახელზე სწერდა, რომ საიდუმლო ცნობები აქვს, რომ მწერალი ილია ჭავჭავაძის მკვლელობის მთავარი ორგანიზატორი არიან დიმიტრი ჯაში, ბერბიჭაშვილი და სხვები.

ბერბიჭაშვილი წინათ ილია ჭავჭავაძის მკვლელობით ტრაბახობდა და ამ საზიზღარ საქმეს თავის რევოლუციონურ წარსულად თვლიდა. მაგრამ მის შემდეგ, რაც ილიას შესახებ იწყება გარდატეხა მის შეფასებაში, ბერბიჭაშვილი სდუმს.

თუმცა საკმაოდ და დიდი რაოდენობის ადამიანები კიდევ დაადასტურებენ, რომ ბერბიჭაშვილი ხშირად ლაპარაკობდა და ტრაბახობდა, რომ ამ მარჯვენამ ჩააძაღლა ილია ჭავჭავაძეო. სამართლოზე შეკრებილი მასალები და ამ მიმართულებით ჩვენებანი სავსებით საკმარისია.

ტატიშვილი გიორგი (ვანო) ალექსის ძე თავის მოგონებაში 1937 წ. სასამართლოს პროცესზე მოგვითხრობს:

"თუ ვინ მოკლა ილია და ვინ შეახო თავისი მურტალი ხელები, მე მის კვლევა-ძიებას შეუდექი, შევქენი ხუთი კაცისაგან კვლევა-ძიების კომისია.

შეკრებილი მასალებიდან სინამდვილეში დადასტურდა შემდეგი:

ილია ჭავჭავაძის მოკვლის მთავარი ხელმძღვანელი და ორგანიზატორი იყო ილიას ახლად მოყვანილი მოურავი დიმიტრი ჯაში. მკვლელობაში მონაწილეობა მიეღოთ ოთხ კაცს: ვანო ინაშვილს, როგორც ჯაშის მოსყიდულს, მეორე პავლე ფშავლიშვილს, მესამე გიგლა ბერბიჭაშვილს, მეოთხე გიორგი ხიზანიშვილს, მეტი სახელით ლომა...

მოკვლის დროს წაეღოთ ილიას ოქროს საათი, ქაღალდის ფული 600 მანეთი, ვერცხლის ფული 100 მანეთი, ფეხსაცმელები და ჩემოდანი ქაღალდების; ილიას ლაქია იაკობ თარაშვილის, რომელიც იქ მოკლეს, ვერცხლის ქამარხანჯალი, ვერცხლის საათი და რევოლვერი ჟანდარმის სისტემისა. მოურავი ჯაში თურმე გზაში ელოდა. როცა გაეგო ილია მოკლეს, ცხენით გაქანებულიყო, მკვდარი ილიას ჯიბეებიდან ოთახის გასაღები ამოეღო, საგურამოში ცხენით გაქცეულიყო, ყველა ოთახების კარებები გაეღო და ძვირფასი ნივთები და საიდუმლო ქაღალდები გამოეტანა, შეუხვევია და სოფელ ჯიღაურში ნათესავ მახარაშვილებთან ცხენით გადაუტანია.

არც თვით ბერბიჭაშვილი უარყოფს მკვლელობის ფაქტს და გამოძიებას უჩვენებს, რომ:

"1907 წ. თვე და რიცხვი არ მახსოვს. ზაფხულში მე ქალაქში მივდიოდი ჩემი სოფლის ახატნის ტყიდან, სადაც საერთოდ ვიმალებოდი, ქალაქში უნდა მეყიდა ტანსაცმელი და ჩუსტები. როდესაც კამარის ხევთან მივედი, გზის პირიდან ვიღაცეებმა გადმომძახეს "მობრუნდიო". მეც მივბრუნდი და ვნახე, რომ ორი მათგანი პავლე ფშავლიშვილი და სანდრო ხიზანიშვილი იყვნენ ჩემი ნაცნობები, მესამე კი უცნობი პიროვნება იყო და, როგორც შემდგომ გავიგე, იყო ლადო ფეიქრიშვილი... მე მათ წამიყვანეს ტყე და ტყე და ამიყვანეს საგურამოს ტყეში ილია ჭავჭავაძის სახლის მახლობლად, იქიდან ხიზანიშვილი დაეშვა გურამიაანთ კარში და რამოდენიმე ხნის შემდეგ ამოიყვანეს დიმიტრი ჯაში, ვანო ინაშვილი, თედო ლაბაური და თან ამოიყვანეს თერთმეტი გლეხი. დაიწყეს აგიტაცია ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ. ჯაში და ინაშვილი მოგვიწოდებდნენ, რომ უნდა მოისპოს თავადი ილია ჭავჭავაძე, თორემ გლეხებს არ გაახარებს.

ამ ტყეში გადავწყვიტეთ ი. ჭავჭავაძის მოკვლა, რაზედაც შევეკითხეთ მეტლე ლაბაურს, თუ როდის ამოიყვანდა იგი თბილისიდან ილია ჭავჭავაძეს. ლაბაურმა მისცა დასტური, რომ ილიას ამოიყვანდა ხვალ ე.ი. მეორე დღეს, ამის შემდეგ გლეხები წავიდნენ, ხოლო ჩვენ კი: მე, ფშავლიშვილი, ხიზანიშვილი და ფეიქრიშვილი დავრჩით იმ ღამეს ტყეში. ინაშვილი, ჯაში და ლაბაური კი წავიდნენ სოფელში. მეორე დღეს ამოვიდნენ ჯაში და ინაშვილი. ინაშვილმა მე ამომიტანა რევოლვერი №12, ნაშუადღევს დაახლოებით სამ საათზე გაგვიძღვა წინ ინაშვილი და ჩამოგვიყვანა წიწამურის გზის პირზე, სადაც ჩავსაფრდით დაბურულ ტყეში. ცოტა ხნის შემდეგ მოისმა ეტლის ხმა და როდესაც მოატანა ჩვენს მახლობლად, ლაბაურმა შეანელა ცხენების სიარული. როდესაც ჩვენთან ეტლი მოახლოვდა, პირველად "ბერდენკიდან" ხიზანიშვილმა ესროლა ილია ჭავჭავაძეს, რომელიც გადმოვარდა ეტლიდან, შემდეგ ესროლა ფეიქრიშვილმა და როდესაც ლაქია იაკოფამ ამოიღო რევოლვერი, მაშინ - მე ბერბიჭაშვილმა, ფშავლიშვილმა და ინაშვილმა ვესროლეთ იაკოფას, რომელიც იქვე, ჯაგებში გადავარდა და მოკვდა.

მკვლელობის შემდეგ მე ავიღე ოქროს სათვალეები და კარობკა, რაშიდაც იყო 5 ოქროს ბეჭედი, ფეიქრიშვილმა ამოიღო ჩემოდნიდან ოქროს საათი, ხიზანიშვილმა წაიღო ბოხჩა, სადაც იყო ტანსაცმელები. ყველაფერი ეს ავიტანეთ იმ ტყეში, საიდანაც წამოვედით და იქ ჩაიბარა ინაშვილმა".

არც სასამართლო პროცესზე უარყო ბერბიჭაშვილმა ჩადენილი დანაშაული, დაადასტურა თავისი მონაწილეობა დიდი ქართველი მწერლის, პუბლიცისტის და სახალხო მოღვაწის მკვლელობაში...

სასამართლოს პროცესზე ბრალდებული ბერბიჭაშვილი აცხადებს, "თავი გადამერჩინა და თუგინდ ხუთ კაცს მოვკლავდიო".

ამგვარად, 30 აგვისტოს ნაშუადღევის დაახლოებით 1 საათზე, წიწამურში საგურამოდან ოთხ კილომეტრის მანძილზე მეფის "ოხრანკი"-ს აგენტებმა მოკლეს ილია. ამ დიდბუნოვან ადამიანს ტყვიით განუგმირეს თავის სამშობლოსმოყვარული გული და მაღალი სპეტაკი შუბლი, კონდახით გაუტეხეს თავი ილიას მეუღლეს ოლღას, მოკლეს ილიას მოყვარული მსახური იაკობი, ავაზაკებმა გაძარცვეს მოკლულები და მიიმალნენ.

მე ვამთავრებ, დასასრულს მინდა დავსვა რამდენიმე საკითხი. როგორც პროცესმა დაამტკიცა, ილიას მკვლელობაში ყველა ბრალდებულს ერთნაირი ხარისხისა და სიმძიმის დანაშაული არ აქვს ჩადენილი.

დამტკიცებულია, რომ ბოროტმოქმედთა ერთ ჯგუფს, სახელდობრ ჯაშს, ინაშვილს და ბერბიჭაშვილს, როგორც მეფის "ოხრანკის" საიდუმლო აგენტებს, შეგნებულად და შედეგის გათვალისწინებით ჩადენილი აქვთ მეტად მძიმე დანაშაული. ხოლო ხიზანიშვილს, ლაბაურს, ფშავლიშვილს, ფეიქრიშვილს და სხვებს დანაშაული ჩადენილი აქვთ, როგორც ბრმა დაქირავებულ ბანდიტთა ხროვას. დამტკიცებულია ბრალდება გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლის მე-13 ნიშნით ბრალდებულ ბერბიჭაშვილის მიმართ. დანარჩენ ბოროტმოქმედთა ქმედობაც დამტკიცებულია და ნათელია, მაგრამ ვინაიდან ისინი ცოცხლები არ არიან, ამიტომ მათთვის სასჯელის განსაზღვრისათვის არაფერს ვამბობ.

ბრალდებულ ბერბიჭაშვილის მიმართ ბრალდება დამტკიცებულია თვით ბრალდებულის და მოწმეთა ჩვენებებით, როგორც წინასწარი გამოძიებით, ისე სასამართლოს პროცესზე.

დამტკიცებულია ბრალდება, აგრეთვე სამედიცინო და სხვა ხასიათის ექსპერტიზებით, დამტკიცებულია ბრალდება სასამართლოზე წარმოდგენილ ნივთმტკიცებებით და 1907-1908, 1909 და სხვა წლების საარქივო მასალებიდან ცნობებისა და დამამტკიცებელი დოკუმენტების ამოკრეფით.

დადასტურებულია, აგრეთვე, რომ ბერბიჭაშვილი მოტყუებით შევიდა 1922 წელს პარტიაში, წინასწარი განზრახვით დაუმალა პარტიას თავისი ბინძური წარსული. დადასტურებულია, აგრეთვე ისიც, რომ ბერბიჭაშვილს დღესაც არ უნდა შეიგნოს, ილიას მოკვლის ბრალდების სიმძიმე და არც გულახდილია პარტიისა და საბჭოთა სასამართლოს წინაშე.

ბრალდებულ ბერბიჭაშვილის ბრალდება დამტკიცებულია 1907 წლის, 1908 წლის და 1909 წლის ამ საქმეზე პასუხისგებაში მიცემულ და გასამართლებულ პირთა ჩვენებებით.

ამრიგად, ბრალდებული გიორგი (გიგლა) პეტრეს ძე ბერბიჭაშვილის მიმართ, ბრალდება გათვალისწინებული ზემო დასახელებულ მუხლით სავსებით და მთლიანად დამტკიცებულია.

სასამართლოს აქვს ყველა მასალა და სრული შესაძლებლობა თავის განაჩენში ჩაწეროს, რომ ბრალდება ბრალდებულ ბერბიჭაშვილის მიმართ გათვალისწინებული ს. ს. კ. 58-13 მუხლით დამტკიცებულია.

ზემოაღნიშნულისა გამო ისმება კითხვა: - რა სასჯელის ღირსია ბრალდებული ბერბიჭაშვილი, ამ კითხვაზე საბჭოთა სასამართლოს უეჭველია ერთი პასუხი ექნება, ეს პასუხი იქნება სოციალური დაცვის უმაღლესი ღონისძიება დახვრეტა...

მე, როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი, ვთხოვ სასამართლოს გიორგი (გიგლა) პეტრეს ძე ბერბიჭაშვილს მიუსაჯოს სოციალური დაცვის უმაღლესი ზომა - დახვრეტა...

სამართლის ფილოსოფია

კანონის დანიშნულება

როსკო პაუნდი

ერთ-ერთი, რაც ყველაზე აშკარად იკვეთებოდა წარსულში, არის ზოგადი უსაფრთხოება. იგი მოიცავს მშვიდობისა და წესრიგის მტკიცებულებას, პირველ სოციალურ ინტერესს, რომელმაც სამართლებრივი აღიარება მოიპოვა, ზოგად უშიშროებას, რომელიც დიდი ხანია აღიარებულია პრინციპით, რომელიც საზოგადოებრივ უშიშროებას უმაღლეს კანონად მიიჩნევს, ზოგად ჯანმრთელობას და შესყიდვებისა და საქმიანი გარიგებების უსაფრთხოებას. ამ შემთხვევაში აღიარებულ ინტერესთა კონფლიქტის ან თანხვედრის ერთი მაგალითის მოყვანაც საკმარისი იქნება. შესყიდვების უსაფრთხოების თვალსაზრისით, მას, ვინც უკანონოდ იგდებს ხელში და ფლობს სხვის საკუთრებას, არ უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა გადასცეს მესამე პირს საკუთრების უფლება უკეთესი პირობებით. ხოლო რაც შეეხება გარიგებების უსაფრთხოებას, საჭიროა იმ ადამიანების დაცვის უზრუნველყოფა, ვისაც არ მიუღია შეტყობინება მფლობელი მტკიცებულების შესახებ და საკუთარი ნებით მონაწილეობს რაიმე ღირებულებით საქმიან გარიგებაში საკუთრების მფლობელთან. დამტკიცებულია, რომ საკუთრებამ, თუნდაც უკანონომ, შეიძლება პირს საქმიან გარიგებაში მონაწილეობის უფლებამოსილება მიანიჭოს მის საკუთრებაში და ნაწილობრივ მფლობელობაში მყოფ ქონებასთან დაკავშირებით. ეს საკითხი, იმ ფარგლებში, რასაც "მოლაპარაკების საშუალება" ეწოდება, მსოფლიო მასშტაბით წამოიჭრა და არსებული კანონმდებლობა უპირატესობას გარიგების უსაფრთხოებას ანიჭებს შესყიდვის უსაფრთხოებასთან შედარებით.

ამავე საკითხს უკავშირდება, და თავის მნიშვნელობით ალბათ უტოლდება კიდეც, სოციალური ინსტიტუტების, როგორებიცაა ოჯახის, რელიგიური, პოლიტიკური და ეკონომიკური ინსტიტუტების, უსაფრთხოებაც. საკამათოა საკითხი, განქორწინების შემთხვევაში რას უნდა მიანიჭოს კანონმა უფრო მეტი მნიშვნელობა, ქმრის ან ცოლის ინდივიდუალურ მტკიცებულებას, თუ ქორწინების, როგორც სოციალური ინსტიტუტის შენარჩუნების სოციალურ ინტერესს. ასევე კამათს იწვევს საკითხი, ისეთ შემთხვევაში, როგორიცაა შეპირისპირება წაქეზების წინააღმდეგ კანონმდებლობისა და სიტყვის თავისუფლების სამართლებრივი გარანტიების დაცვას შორის, რომელს მიენიჭოს მეტი ფარდობითი ღირებულება - თავისუფალი რწმენისა და შეხედულების ინდივიდუალურ ინტერესებს, რომლებიც ზოგადი პროგრესისა და ცალკეული ინდივიდის ცხოვრების სოციალური ინტერესს განეკუთვნება, თუ საზოგადოებრივი ინსტიტუტის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სოციალურ ინტერესს. არსებული კანონმდებლობა სავსეა მაგალითებით, რომლებიც ადასტურებს, რამდენად მნიშვნელოვანი და აუცილებელია ეკონომიკური ინსტიტუტების უსაფრთხოების შესაბამისობა ცალკეული ინდივიდის ცხოვრებასთან.

ზოგიერთ სხვა მნიშვნელოვან სოციალურ ინტერესს, კერძოდ, ზოგადი მორალის თვალსაზრისით, სოციალური რესურსების გამოყენებისა და კონსერვაციის, საზოგადოებრივი, სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული, პროგრესის თვალსაზრისით, მხოლოდ გაკვრით შევეხებით. მაგრამ აუცილებელი და მნიშვნელოვანია განვიხილოთ სოციალური ინტერესი, რომელიც ცალკეული ინდივიდის ცხოვრებაშიც არსებობს – მტკიცებულება ან მოთხოვნა, რომელიც სოციალური ცხოვრების არსს წარმოადგენს და ცივილიზებული საზოგადოების სოციალური ცხოვრების საფუძველში ძევს - რომ დაცულია ყოველი ინდივიდის თავისუფლება, უზრუნველყოფილია მისთვის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური არჩევანის საშუალება და გარანტირებულია მისი უფლება იცხოვროს საზოგადოებაში, სულ მცირე, მინიმალურად მისაღებ ადამიანურ პირობებში. ამ შემთხვევაშიც გამუდმებით წარმოიქმნება სხვადასხვა სახის თანხვედრები და კონფლიქტები და ამდენად საჭირო ხდება მათი ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა. მტკიცებულებებისა და მოთხოვნების ამგვარი ერთობლიობა შეიძლება შევადაროთ კატალოგს, სადაც თითოეული დასახელების საგანი უნდა შეფასდეს როგორც სხვა საგნებთან, ასევე მთელს კატალოგთან მიმართებით და სადაც დაუშვებელია თუნდაც ერთი, უმნიშვნელო საგნის უგულებელყოფა.

ნებისმიერი მტკიცებულების ან მოთხოვნის შემთხვევაში კანონის მიზანს საბოლოოდ მიღწეულად ვერ ჩავთვლით მხოლოდ იმ საფუძველზე, თუ ამ მტკიცებულების აღიარება უარყოფილი იქნება, ან თუ მტკიცებულება იქნება აღიარებული, მაგრამ ამავე დროს ცალსახად განსაზღვრული. მტკიცებულებები, რომლებიც დაუშვებლად არის მიჩნეული, გამუდმებით მიისწრაფვის აღიარებისაკენ. ის მტკიცებულებები კი, რომელთა აღიარებაც უკვე მოხდა, გამუდმებით მიისწრაფვიან, რათა უფრო მაღალი ღირებულება მოიპოვონ. მაგალითად მოვიყვანთ მუშათა პროფესიული კავშირების საქმეს. მოთხოვნა, რომელსაც ისინი სამართლებრივ რეჟიმს უყენებდნენ, მდგომარეობდა არა იმაში, რომ ამ ორგანიზაციის წევრს ან მთლიანად პროფესიული კავშირების ორგანიზაციას სასამართლო ორგანოები არ ეპყრობოდნენ სხვა მოსარჩელე მხარეთა თანასწორად, არამედ იმაში, რომ სასამართლო პროფკავშირებს სწორედ რომ სხვა, ჩვეულებრივი მოსარჩელის მსგავსად ეპყრობოდა. ისინი მიიჩნევდნენ, რომ მათ მტკიცებულებებს უფრო მეტი მნიშვნელობა უნდა მინიჭებოდათ, ვიდრე ეს დადგენილი იყო სამართლებრივი ნორმებით, რომელთა მიხედვითაც ისინი დანარჩენ ინდივიდებთან ერთ სიბრტყეზე ითვლებოდნენ, ხოლო მათი სარჩელები განიხილებოდა როგორც ჩვეულებრივი საქმე, აღძრული სამართალდარღვევების, კონტრაქტის ან საქმიანი გარიგების დარღვევის გამო. მეტიც, არსებობს მტკიცებულებები და მტკიცებულებათა კონფლიქტები, რომლებიც სამართლებრივ სფეროში მარადიული პრობლემის სახით ჩამოყალიბდა. მხედველობაში გვაქვს ზოგიერთი პრობლემა, რომელთა გარშემოც კანონმდებლები და იურისტები კამათობდნენ და კამათობენ ციცერონის დროიდან მოყოლებული, თუმცა ეს საკითხები დღეს ისევე შორსაა გადაწყვეტასთან, როგორც მათი წამოჭრის მომენტში.

ცხადია, რომ მას შემდეგ, რაც დადგინდება იმ მტკიცებულებისა და მოთხოვნების ჩამონათვალი, რომელთაც აღიარების თვალსაზრისით უპირატესობა ენიჭებათ, შემდეგი ეტაპი მათი აღიარება, ნაწილობრივი აღიარება ან მათი აღიარების უარყოფა და უკვე აღიარებული მტკიცებულებებისა და მოთხოვნებისათვის საზღვრების დადგენა იქნება. სავარაუდოდ ამის გაკეთება პირობითადაც შეიძლება. მაგრამ ინტერესების პირობითად შესაბამისობაში მოყვანა მათ განმტკიცებას არ გულისხმობს. ადამიანები ორმაგ უკმაყოფილებას განიცდიან, როდესაც მათი მტკიცებულებები და მოთხოვნები არა მარტო უარყოფილია, არამედ უარყოფილია ყოველგვარი საფუძვლის გარეშე. ინტერესების საბოლოო აღიარება ან აღიარების უარყოფა და უკვე აღიარებულთათვის საზღვრების დაწესება სრულდება ფასეულობების ჩამოყალიბებული ნორმების შესაბამისად - ამ საკითხს მოგვიანებით, ბოლო თავში მივუბრუნდები. შემდეგი ეტაპი ეხება აღიარებული და განსაზღვრული ინტერესების დაცვას, რასაც გაცილებით უფრო პრობლემურ – უფლებების საკითხამდე - მივყავართ. ჩვენ უფლებებს ვიცავთ ძირითადად იმ გზით, რომელიც პიროვნების უფლებებს სამართლებრივი უფლებების სახეს ანიჭებს.

რა არის უფლება? ირლანდიის სასამართლო პრაქტიკაში ცნობილია შემთხვევა, როდესაც მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს მოსამართლემ დასვა კითხვა, ჰქონდა თუ არა უფლება ადამიანს, რომელსაც კვერცხის ნაჭუჭის სითხეის თავის ქალა ჰქონდა, ყოფილიყო მოკლული, თუკი ის წავიდა ღორების ბაზრობაზე. ამ შემთხვევაში "უფლება" საფუძვლიან ვარაუდს ნიშნავს. ფილოსოფიური ან მეტაფიზიკური ეთიკური მოსაზრებისაგან განსხვავებით, პიროვნებას შეიძლება ჰქონდეს საფუძვლიანი ვარაუდი, რომელიც ემყარება გამოცდილებას ან ცივილიზებულ საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ წარმოდგენას, ან ამავე საზოგადოების მორალურ ღირებულებებს. შესაძლებელია ზოგიერთი მათგანი ან ყველაც კი აღიარებული და განმტკიცებული იყოს კანონის მიერ, რის წყალობითაც ისინი მისაღები ხდება. ასეთ შემთხვევაში ვამბობთ, რომ ბუნებრივი ან მორალური უფლება ასევე სამართლებრივ უფლებად იქცა. მაგრამ ვარაუდი შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ და მხოლოდ კანონიდანაც. ამ შემთხვევაში ვიტყვით, რომ საქმე გვაქვს წმინდად სამართლებრივ უფლებასთან. იშვიათია შემთხვევა, როდესაც სამართლებრივი უფლება ენიჭება ცნობიერად და გამიზნულად, საფუძვლიანი ვარაუდის აღიარების ან იმის აღიარების გარეშე, რაც ასეთ ვარაუდად მიიჩნევა და რაც ცივილიზებული საზოგადოების ჩამოყალიბებულ დაშვებას წარმოადგენს.

განვიხილოთ ზოგიერთი ასეთი დაშვება თუ პოსტულატი. ყველაზე უნივერსალური და ფუნდამენტური შემდეგი სახით შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: ცივილიზებულ საზოგადოებაში ადამიანებს უნდა ჰქონდეთ იმის იმედი, რომ სხვები მათ მიმართ გამიზნულ აგრესიას არ გამოავლენენ. არ ვიცი, რა გაკვეთილი მიიღო ირლანდიურმა ნაფიც მსაჯულმა სასამართლომ საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე ღორების ბაზრობასთან დაკავშირებით, მაგრამ ჩვენ, მსოფლიოს ამ ნაწილში, ჩვენი გამოცდილებით ვიცით, რომ შეგვიძლია წავიდეთ სოფელში გამართულ ბაზრობაზე იმის საფუძვლიანი იმედით, რომ არავინ ჩაგვარტყამს თავში ხელკეტს. მარკ ტვენი ამბობდა, რომ მოთხრობებს ინდიელთა ცხოვრებიდან "დამტვრეული ჯოხის" ამბები უნდა ეწოდოს, რადგანაც სიუჟეტის ყველაზე კრიტიკულ მომენტში ვიღაც აუცილებლად აბიჯებს ფეხს დამტვრეულ ჯოხს, ისე, რომ ინდიელები მის ხმას იგებენ და თავს ესხმიან. დღევანდელ ცივილიზებულ საზოგადოებაში არავის არ სჭირდება ზრუნვა იმაზე, რომ დამტვრეულ ჯოხზე არ მოუხვდეს ფეხი. არც იმის შიში აქვს ვინმეს, რომ ქალაქში ქუჩის ცენტრალურ ნაწილში იაროს და მოერიდოს კედლის გასწვრივ სიარულს, რათა ჩასაფრებულმა ბანდიტებმა სიცოცხლეს არ გამოასალმონ, როგორც ეს მე-15 საუკუნის იტალიაში ხდებოდა. ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ნებისმიერი გამიზნული თავდასხმისაგან დაცულნი და თავისუფალნი ვართ.

და ისევ, კიდევ ერთი დაშვება, ცივილიზებული საზოგადოების სამართლებრივი პოსტულატი: ის, ვინც გარკვეული სახის ქმედებებს ახორციელებს, მაქსიმალურად უნდა ეცადოს თავისი ქმედებებით არ გამოიწვიოს სხვების უსაფუძვლოდ დაშავების რისკი. ამდენად, ჩვენ ვკვეთთ ქუჩას იმის საფუძვლიანი დაშვებით, რომ არც ერთი მძღოლი არ დაარღვევს მოძრაობის წესებს და არ დაგვეჯახება.

საზოგადოების მორალური ფასეულობები, ისევე, როგორც ეკონომიკური წესრიგის აუცილებლობა, ადამიანებს აიძულებთ, შეასრულონ თავიანთი დანაპირები. სამართლებრივი პოსტულატია ის, რომ ადამიანები ამართლებენ იმ საფუძვლიან ვარაუდებს, რომლებიც მათი შეპირებების ან სხვა ქმედებების შედეგად წარმოიშობა. ამდენად, თუ დილას მეზობელს ათი ცენტი ასესხეთ, რათა მას ქუჩაში მანქანის დაყენების საფასური გადაეხადა, სრულიად საფუძვლიანი იქნება ვარაუდი, რომ იგი შემდეგი შეხვედრის დროს აუცილებლად დაგიბრუნებთ ვალს. ყველა ეს საფუძვლიანი ვარაუდი აღიარებულია და განმტკიცებულია კანონით. ამდენად, თქვენს უფლებასთან ერთად, დაიბრუნოთ გასესხებული ათი ცენტი, თქვენ გენიჭებათ თქვენი ფიზიკური არსების პიროვნული ღირსების სამართლებრივი უფლებაც. მაგრამ ეს საქმის მხოლოდ ერთი მხარეა. კანონმა ცხოვრებისეული გამოცდილებიდან აიღო რამდენიმე კონკრეტული იდეა, მისცა მათ ცივილიზებული ცხოვრების პოსტულატების სახე და სამართლებრივ უფლებებად აქცია. ამ კუთხით პრობლემა განხილვის საგნად რჩება დაწყებული ძველი ბერძენი ფილოსოფოსებიდან, რომლებმაც პირველად წამოაყენეს სოციალური კონტროლის საკითხი, დღევანდელობამდე.

სრული ჭეშმარიტებაა, რომ ბერძენი ფილოსოფოსების მსჯელობის საგანს თავად უფლებები არ წარმოადგენდა. ისინი მსჯელობდნენ იმაზე, რა იყო სწორი ან სამართლიანი. მოგვიანებით რომაელებმა სწორისა და სამართლ

თანამედროვეთა გასაგონად



გურამ ასათიანი

მანანა კვაჭანტირაძე

ლადო ასათიანისადმი მიძღვნილ წერილს, რომელიც 1971 წლითაა დათარიღებული, გურამ ასათიანი შემდეგი სტრიქონებით ამთავრებს: "რა ქართველი ხარ და რა ჭაბუკი, / თუ მამულს თავი არ ანაცვალე? / ეს აწვალებდა ცოტნე დადიანს, / მეც ქართველი ვარ და ეს მაწვალებს". ამას მოსდევს მძიმედ და მოჭრილად დასმული ფრაზა - შეკითხვა, რომლითაც გურამ ასათიანი, ორმოცდასამი წლის ცნობილი მწერალი და კრიტიკოსი, თავისი დროის ახალგაზრდებს მიმართავს: "საინტერესოა, რას ფიქრობენ ამ სტრიქონებზე დღევანდელი ოცდაექვსი წლის ბიჭები?"

ჩემთვის, როგორც გურამ ასათიანის უმცროსი თანამედროვისათვის, დღევანდელი გადასახედიდან უფრო გასაგები და ახლობელია ის მუხტი, რომელიც ამ ფრაზას თუ შეკითხვას აწერინებდა: ხიდის გადება და დიალოგი თაობებს შორის; კითხვის დასმისა და პასუხის მიღების მარადიული წრებრუნვა ისტორიულ ცვალებადობათა ფონზე, ანუ, საბოლოო ჯამში - "პრომეთეს პათოსი", რომელიც პოეზიის ცეცხლის (სიტყვის ენერგიის) გა-ნაწილებას და გა-ვრცელებას ახლავს. ალბათ, ლადო ასათიანსაც იგივე მუხტი კარნახობდა თავის უახლოეს წინაპართან შეხმიანებას ("და აწვალებდა მას სიკვდილამდე / ქართული მზე და ქართული მიწა" - ტიციან ტაბიძე), რადგან თაობათა შორის ყოველი გადაძახილი, მით უფრო ლიტერატურაში, მხოლოდ კანონია და არა გამონაკლისი. გურამ ასათიანიც ყველა დროის შემოქმედთა ხსოვნისა და ერთგულების ამ დიდ კანონს იცავდა. მასთან ერთად კი მწერლისა და კრიტიკოსის პასუხისმგებლობას იმ "ახალი ზრახვების" მიმართ, რომელსაც, მისივე ფაქიზი ინტუიციით, ყველაზე მეტად სწორედ "დროის მოთხოვნილება განსაზღვრავს" და არა სხვა რამ.

წარსულისა და მომავლის მიმართ პასუხისმგებლობაზე მწერლობის კარგად ნაცნობი კატეგორიული განაცხადი ბუნებრივად აჩენს სურვილს, ეს კატეგორიულობა დროის ახალ კონტექსტში შევამოწმოთ და გავიაზროთ. აქ კი, როგორიც არ უნდა იყოს ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა, გურამ ასათიანის ხელმეორედ წაკითხვისას სასიამოვნოდ გაკვირვებულები და გახარებულებიც აღმოვაჩენთ, რომ დიდად არაფერი შეცვლილა და დროისაგან დაბნეული და "ახალი ზრახვებით"გაბრუებული საზოგადოება ისევე თხოულობს მწერლობის "ფხიზელ მეურვეობას" და "თბილ ხელებს", როგორც 70-იან წლებში. ისევე, არანაკლებ და იქნებ, მეტადაც...

"წვალების" ცნება "წამების", ანუ სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, "მარტვილად შექმნის" სინონიმია. თუ ისტორიულ კონტექსტებს შორის განსხვავებასაც გავითვალისწინებთ, "გაწვალება" ჩვენს სინამდვილეშიც მოუსვენრობას, მუდმივი საფრთხის, ტკივილის შიშისა და პასუხისმგებლობის გრძნობას გულისხმობს, ანუ იმ ყველაფერს ერთად, რაც მარტო მარტვილს კი არა, ნებისმიერი დროის ყველა ჭეშმარიტ შემოქმედსა და პოეტს განუმზადა ბედისწერამ. ე.ი. მუდმივ თანა-ზიარობას, სხვისი ტკივილის გა-ზიარებას და გა-თავისებას. გურამ ასათიანიც ბევრს საუბრობს ადამიანურობაზე, ტკივილზე, ცეცხლზე, დაჭიმულ სიმზე, მაღალ ძაბვაზე, სიფხიზლეზე, გადარჩენასა და გაფრთხილებაზე. არც ის მეჩვენება შემთხვევითობად, რომ სწორედ მის კალამს ეკუთვნის ბრწყინვალე ესსე "ასე უყვარდათ საქართველოში".

გურამ ასათიანი ქართული კულტურისა და სულიერების საზღვრებს იცავდა, მისი ჰუმანისტური და ესთეტიკური იდეალების სივრცეს ედგა დარაჯად. გადაუჭარბებლად შეიძლება იმის თქმა, რომ როგორც პიროვნება და შემოქმედი, თვითონვე წარმოადგენდა ხასიათის იმ თვისებათა განსახიერებას, რომლის ნიშნებსაც ეძებდა მწერლობასა და ხალხურ შემოქმედებაში და რომელთაც "ქართული სულიერების ესთეტიკურ სუბსტრაქტად" თვლიდა.

გაგრძელება E2 გვერდზე

მანანა კვაჭანტირაძე 1
ჰაროლდ პინტერი 3
სოფიკო კირვალიძე 4
ლაშა ბუღაძე 6
დავით ჯავახიშვილი 8
ჰოლ ბეილი 9
კიმ ჰანი 11
მარიო ვარგას ლიოსა 12
ორჰან ფამუკი 13
ჯორჯ ჰერბერტ უელსი 14
ვიკი მეჰეფი 15

ეს გვერდიდან

თანამედროვეთა გასაგონად

გურამ დოჩანაშვილი, გურამ ასათიანი, ნუგზარ შატაიძე, რენე კალანდია. ვილნიუსი, 1978 წ.

გურამ ასათიანის მოღვაწეობის პერიოდი უკავშირდება მწერლობის მიერ საკუთარი ფუნქციის გააზრების კიდევ ერთ აღმავალ ეტაპს. მოგეხსენებათ, კომუნისტური იდეოლოგიური წნეხის ხანგრძლივმა ზემოქმედებამ წარმოშვა კულტურული და ზნეობრივი იდენტურობის პრობლემა, რომლის სახიფათო სამომავლო მასშტაბები უკვე მკაფიოდ იკვეთებოდა საზოგადოების სოციალური და მორალური ცხოვრების ფონზე. მის მიმართ დაპირისპირების ტენდენცია 60-70-იანი წლების ლიტერატურული პროცესის ძირითად მახასიათებლად იქცა. 50-იანი წლების ცნობილ მოვლენებს - იმპერიის იდეოლოგიური ცენტრის შესუსტებას 60-70-იანი წლების ლიტერატურამ თანდათან გააზრებულად და მიზანმიმართულად დაუპირისპირა ეროვნული იდეოლოგიის გაძლიერება, მისი დაბრუნება მარგინალურიდან ცენტრალურ პოზიციაზე. კულტურის ამ საერთო ტენდენციას, რომელიც, ფაქტობრივად, სოციუმის მორალურ-ნორმატიული სისტემის, ანუ ტრადიციული კულტურული სივრცის მსხვრევის პარალელურად და მის საპირისპიროდ მიმდინარეობდა, სწორედ მწერლობა ედგა სათავეში - ეროვნული და ზნეობრივი თემატიკის გაძლიერებით, მითოსური და არქეტიპული ფესვების ძიებით, კულტურულ ფასეულობათა იერარქიის მოწესრიგებით და ქართული ხასიათის ტრადიციულ მოდელთან დაბრუნების მცდელობით. იმ ათწლეულებში მწერლობა ბრძოლის წინა ხაზზე იდგა (სხვა საქმეა, ვინ როგორ ხედავდა საკუთარ ფუნქციას ამ ბრძოლაში) და გურამ ასათიანიც მთელი თავისი შემოქმედებით ძალიან ჰგავდა იმ დაჭიმულ სიმს თუ ნერვს, გადამწყვეტი შეჯახების წინ საკუთარ თავს მოდუნებას რომ უკრძალავს.

მწერლობის ამ ფუნქციამ განუსაზღვრა მას საკუთარი შემოქმედების მიმართულებაც და სიღრმეც. მანვე შეაძლებინა, შეექმნა ლიტერატურაზე ცოდნის მრავალტომიანი კორპუსი, რომლის ხელმეორედ წაკითხვასა და შეფასებასაც გვავალდებულებს დრო, არა ჩვენი საშინლად აჩქარებული და დაძაბული, გამომფიტავი ყოველდღიურობა, რომელიც საკუთარ თავს მხოლოდ ფულის ექვივალენტად აღიქვამს - არამედ კულტურის, ხსოვნის, წარმოსახვის დრო, სადაც წიგნის კითხვა ან სამყაროზე ცოდნის ამო-კითხვაა, ან შე-კითხვაზე მიღებული პასუხი, ან თუნდაც მივიწყებულ ეგზოტიკურ ნაკრძალში გასეირნება (ცხადია, მხოლოდ იმათთვის, ვინაც ასეთი გასეირნების გემო იცის).

დღეს თითქოს უფრო საგრძნობია ის დანაკლისი, რაც გურამ ასათიანის წასვლას მოჰყვა ქართულ კრიტიკაში. მისი ცხოვრება და შემოქმედება მართლაც პრომეთეს ნიშნით იყო აღბეჭდილი. გურამ ასათიანი ქართველ მკითხველს სულიერი სიმხნევის გამომუშავებაში, გაძლებაში ეხმარებოდა. პოეტური სიტყვის სითბო და სინათლე მიჰქონდა მასთან, მისი ხიბლისა და საიდუმლოს ამოცნობას ასწავლიდა.

იგი უარყოფდა ლიტერატურის "განპირობებულობის" იდეას, ლიტერატურის არსებობის აზრს სწორედ მის თავისუფლებაში ხედავდა. კრიტიკული აზროვნება კი მტკივნეულ ძიებად, თანაშემოქმედებად, "ახალი ფასეულობის შექმნად" ესახებოდა: "კრიტიკული აზროვნება... იწყება სწორედ იქ, სადაც თავდება მიმოხილვა და შეფასება, როდესაც კრიტიკოსი თვითონ დგება შემოქმედის, მაძიებლის როლში, ნათლად გრძნობს თავისი საქმის სიმძიმეს - ჭეშმარიტებისაკენ მოძრაობის ყველა მტკივნეულ სიმპტომს და სწორედ ამ ტკივილით რწმუნდება, რომ მისი ხელობა უფასო დამატება კი არაა "მხატვრული" ლიტერატურისა, არამედ რეალური საჭიროებით გაპირობებული ახალი ფასეულობის შექმნის ცდა". აქვეა ერთი საგულისხმო შენიშვნაც, რომელიც საქმეში ჩახედულ მკითხველს უთუოდ გაახსენებს თანამედროვე მეტაკრიტიკის ყველაზე სიცოცხლისუნარიან მოთხოვნებს: "თუ ყველაფერი "განპირობებულია" (ანუ აღმნიშვნელი მკაცრადაა დეტერმინირებული აღსანიშნის მიერ - მ.კ.), მაშინ ლიტერატურის არსებობას საერთოდ არა აქვს აზრი! ლიტერატურის ამქვეყნად არსებობა ხომ სწორედ იმითაა გამართლებული, რომ ის არის ადამიანის სულის ღაღი მოძრაობის, აღმაფრენის თავისუფალი სარბიელი". შემოქმედის გამახვილებული ინტუიციის წყალობით გურამ ასათიანი სიტყვიერი შემოქმედების არსებით ბუნებას ჭვრეტდა ყველა დროისა და ტიპის შემოქმედებაში. ზემოთ მოტანილ სიტყვებშიც იმ ადამიანებთან ფარული პოლემიკა იგრძნობა, ვინც კრიტიკას "მხატვრული" ლიტერატურის დამატებად თვლიდა და ამ აზრის დაკანონებას ცდილობდა. "მხატვრულის" ბრჭყალებში ჩასმაც წერილობითი სფეროების მკვეთრი გამიჯვნისა და ერთ-ერთი მათგანისათვის გარედან მინიჭებული უპირატესობის წინააღმდეგ მიმართულ ირონიულ ჟესტადაც შეიძლება აღვიქვათ. ამიტომაც წერდა იგი პოეტურ სიტყვაში სიცოცხლის მშვენიერების მჭვრეტელი კაცის დახვეწილი, მომხიბლავი ფრაზით, ანალიტიკური აზრის ცხად და ცივ კონტურებს შემოქმედის შინაგანი ცეცხლით ათბობდა და არბილებდა.

მწერლობას იგი განიხილავდა, როგორც "ერის სულიერი რაობის უპირველეს ემანაციას". ეროვნული თვითდამკვიდრების ისტორიულად ყველაზე მიზანშეწონილი მოდელის ძიებაში მთავარ როლს მწერლობას აკუთვნებდა. დაუღელად ეძებდა ერის ცენტრალურ ბგერას სხვადასხვა საუკუნის პოეტთა შემოქმედებაში. ამ ბგერის ობერტონების ამოცნობას ცდილობდა ყველგან და ყოველთვის - სათავეებიდან დაწყებული თანამედროვეობით გათავებული.

მოგეხსენებათ, პიროვნების სუბსტიტუციურ ხერხემალს ისტორიზმის განცდა ქმნის. გურამ ასათიანი ერთგან წერდა, ჩვენი ლიტერატურის ისტორია "ახლადაა დასაწერი, მისი ეროვნული და ტიპოლოგიური თავისებურებების გამოკვლევა ის ამოცანაა, რომლის ამოხსნა და ამოხსნილის გათვალისწინება გასულმა საუკუნემ გვიანდერძაო". ამ ანდერძის შემსრულებლის პასუხისმგებლობით წერდა და იღვწოდა. პასუხს (ანუ სიტყვას) მიაგებდა თავის დიდ წინაპრებს იმ განსაკუთრებული და განუმეორებელი შეგნებით, რომ ამით პატივის მიგების მხოლოდ თავის, საკუთრივ თავის რიტუალს ასრულებდა და სხვა ვერავინ გააკეთებდა მის საქმეს. წერდა როგორც მებრძოლი და მცველი - რეაგირებდა ლიტერატურის სულისა და სხეულის ყოველ რხევაზე, თვალს ადევნებდა პროცესებს, გზას ულოცავდა სიახლეებს, ძვრებს. მასშტაბურად, ფართო სამზერიდან წვდებოდა ლიტერატურის ისტორიის ვრცელ მონაკვეთებს რუსთაველიდან თავის უშუალო თანამედროვეობამდე. იგი ხიდს დებდა კულტურულ სივრცეებს, ლიტერატურის ისტორიის ცალკეულ მონაკვეთებს შორის, რათა ქართველ მკითხველს ისტორიზმის განცდის სიმძაფრე არ შენელებოდა, რათა უკეთ გვეგრძნო, რომ მთლიანობის მო-ნაწილენი ანუ მთელის შემადგენელი ნაწილ-ები ვართ, დიდი სულიერების დროსა და სივრცეში გაბნეული, მაგრამ მაინც ერთ-იანობის მატარებელი ფრაგმენტები.

გურამ ასათიანი ჩვენს ხსოვნას იცავდა, რადგან მტკიცედ სწამდა: იმ ერს, რომლის მომავალსაც საფრთხე ემუქრება, წარსულის ხსოვნამ უნდა შეუნარჩუნოს ღირსება და გააძლებინოს უკეთეს დრომდე. აქედან მოდიოდა მისი სიფხიზლე და მომთხოვნელობა თანამედროვე მწერლებისა და მწერლობის შეფასებაში, მოწიწება და თაყვანისცემა ძველების მიმართ.

"სათავეებში" ის ღირსეულად ასრულებს თავის ზეამოცანას: მთლიანობად კრავს დარღვეულ ეროვნულ ცნობიერებას და მომავლისაკენ მიმართავს მას. ფაქტობრივად, ეს ქართული მწერლობის ზოგადი მისიის პირდაპირი გაცხადება იყო, იმედისა და რწმენის ჩანერგვა, სტრუქტურირება მკითხველის ცნობიერებაში. მაგრამ არა მარტო ეს. ყური მივუგდოთ სიტყვის ვაჟკაცურ ბრძოლას ეჭვთან, უიმედობასთან, რომელიც ინტონაციათა ფაქიზ რხევაში ირეკლება: "დრო მიდის და ჩვენ ვიცვლებით, თანდათან ვკარგავთ თვისებათა ნაწილს, ვსხვაფერდებით. გავა დრო და მეტს წაგვართმევს": მას ტკივილს გვრის შეუქცევადი პროცესები, მაგრამ თავს იმხნევებს და ჩვენც გვამხნევებს, რომ "სიბერე ჯერ კიდევ შორსაა", რომ "განახლება მუდმივი წყურვილია ქართული სულისა", რომ "თვით ჩვენი ხასიათია განსაკუთრებით გამძლე, რაღაც ურევია შიგ, სამარადჟამო დუღაბივით" და ეს "რაღაც უსათუოდ უნდა გადარჩეს".

უპირატესად იგი ქართული ხასიათის სიმაღლეებზე წერდა, რადგან იცოდა, რომ სამყაროზე ქართული წარმოდგენა და იმედის ქართული განცდა მაღალზე, უკეთესზე, რომანტიკულ მწვერვალებზეა ორიენტირებული, მაღლივ კონსტრუქციებს ეფუძნება. ამ სიმაღლეების მაგალითით იმხნევებს და ილამაზებს ცხოვრებას უკიდურესი უიმედობის წუთებშიც კი ("ცაც მაღალია, მთაც მაღალია და კაციც უნდა იყოს მაღალი"). თუმცა არასოდეს უღალატია ზომიერების გრძნობას, ესოდენ აუცილებელს ჭეშმარიტად კულტურული და ესთეტური ცნობიერებისათვის; არც არასრულფასოვნების კომპლექსი გასჩენია პატარა ერის შვილობის გამო, არც "ჩაკეტილობაში" და "უნიკალურობაში" უძებნია გამართლება, რადგან იცოდა: ღვთის თვალისათვის, რომლის ანალოგსაც ამქვეყნიურ არსებობაში ესთეტისა და შემოქმედის თვალი წარმოადგენს, არ არსებობს დიდი და პატარა; რომ სამყაროს მრავალხმიანობას მცირე ტალღის ჩქაფუნიც ისევე ერწყმის, როგორც დიდის გუგუნი.

მარტივში, სადაში ჭეშმარიტებისა და მშვენიერების აღმოჩენის უტყუარი გუმანი ჰქონდა. ირონიით წერდა იმათზე, ვისთვისაც ესთეტურის საზომი მხოლოდ მასშტაბებით განიზომება. ამიტომაც გაბედულად სთავაზობდა საზოგადოებას "ზოგისთვის მეტისმეტად მარტივ", თავისთავად კი ძალზე მნიშვნელოვან დაკვირვებას, რომ "ქართული ხასიათის არსისმიერი თვისება ადამიანურობაა". "ადამიანურობის" შეზღუდვას უკავშირებდა "კაცობრიობის ხანგრძლივ სულიერ დრამას", ამავე თვისებაში ჭვრეტდა ქართული კულტურის გადარჩენის ონტოლოგიურ მიზეზს. ქართული ხასიათის ამ დომინანტურ ბგერას ეძებდა ჩვენი სულიერი ევოლუციის ათასწლოვან გზაზე და სწორედ მისი შენარჩუნება მიაჩნდა ქართული სულიერების ყველაზე გამორჩეულ ღვაწლად.

ვინც 70-იანი წლების მწერლობას კარგად იცნობს, დამეთანხმება: ინდივიდუალური მარტოობის ეგზისტენციალური მსოფლშეგრძნებისა და ერის ისტორიული მარტოსულობის მხატვრული სინთეზი სწორედ ამ პერიოდში განხორციელდა. პრომეთე-ამირანის სიმბოლური სახის გააზრებისას გურამ ასათიანი წერდა: "მარტოობა მისი უმძიმესი ხვედრია და არა თვითგანაჩენი. ეს არისო ყველაზე დიდი სასჯელი, რომელიც მას უზენაესმა ძალამ გადმოუვლინა".

მაგრამ სასჯელთან ერთად იგი პრომეთეს "მზის წილობაზე", "სინათლის მოციქულობაზეც" ლაპარაკობდა. ცასა და მიწას შორის გადებული ხიდის სიმბოლოდ აღიქვამდა მას. საგულისხმოა: ამირანის სახეს მთელი კავკასიური რეგიონის ხალხთა ხატად მიიჩნევდა და ქართულ კულტურაში ხედავდა "კავკასიური ჯვარცმის" ყველა ადგილობრივი მოტივის აკუმულაციას.

ქართულ კოსმოგონიაში ბუნების კეთილზნეობის, მისი ჰუმანური საწყისის რწმენა სჭარბობსო - ბრძანებდა ბატონი გურამი. იგი უსასრულო სამყაროში ქართველი კაცის თანდაყოლილი შინაურულობის განცდაზეც საუბრობს და ჩვენი კულტურის დასაბამიერ თვისებად სიკეთისა და მშვენიერების დანახვის ნიჭს მიიჩნევს.

ქართველი ერის ისტორიაში, მის მწერლობასა და კულტურაში, ქართულ ხასიათში ამირანის საბედისწერო განაჩენის გადალახვის განუწყვეტელ მცდელობებს ჭვრეტდა.

"სათავეებთან" რაღაცით სამადლობელსაც ჰგავს...

უცნაური დამთხვევაა: სიკვდილის წინა დღეებში თურმე წიგნის სასიგნალო ეგზემპლარი ედო საწოლთან. ახლა ვფიქრობ, რომ "სათავეებთან" უფრო მომავალი თაობებისთვის დაიწერა, ვიდრე თანამედროვეებისთვის. ამას მაფიქრებინებს ის დიდი გადასახედი, საიდანაც გურამ ასათიანი თავისი ხალხის წარსულსა და მომავალს გასცქეროდა, მხმობის თან დაძაბული, თანაც მოიმედე ინტონაცია. მთავარია, მისი საუბარი "დიდ, მთავარ ბრძოლაზე", რომელიც წინ გველოდა. ბრძოლაზე, რომელშიც ქართველმა ხალხმა "შეუძლებელი უნდა შეძლოს", "ძალთა განუზომელ უთანაბრობას" უნდა გაუძლოს.

იქნებ, ვაჭარბებ კიდეც, მაგრამ იმ დროისათვის სავსებით მოსალოდნელ და სასურველ გაშიფვრაზე მეტად - თვითმპყრობელ იმპერიასთან დაპირისპირე-

ბას ვგულისხმობ - ვფიქრობ, გურამ ასათიანი კაცობრიობის მომავლის უფრო ვრცელ პერსპექტივას ხედავდა, მსოფლიო პოლიტიკური რუკის სამომავლო ცვლილებებს გულისხმობდა. ამ კონტექსტში მოიაზრებდა ქართველების "მთავარ ბრძოლასაც" - მოძრაობის, მოქმედების, წინააღმდეგობის უნართა მობილიზებად საკუთარი, ღირსეული ადგილის დასამკვიდრებლად უკვე შეცვლილ მსოფლიო მთლიანობაში.

"ერი ერად ყოფნის ძალისხმევაა" - ამბობდა მერაბ მამარდაშვილი. ძალზე მაცდუნებელია სურვილი, ეს აზრი ადამიანზე, მით უფრო კულტურაზეც გავავრცელოთ. კულტურა სახედ ყოფნაა, სწორედ სახის შენარჩუნების ძალისხმევაა და არა ნიღბების მორგებისა. გურამ ასათიანის და სხვათა მიერაც არაერთგზის შენიშნულ, ჩვენ ხასიათის არტისტიზმს ამ მხრივ სიკეთესთან ერთად არასწორი არჩევანის გაკეთების საფრთხეც ახლავს - "გამოგონილი ბედნიერებით, ბედნიერების ხელოვნური სუროგატებით ტკბობა".

წინამავალის უტყუარი გუმანით გრძნობდა ყოვლისშთანმთქმელი გლობალურობის საფრთხეს, მაგრამ ისევ თავისი სიბრძნის წყალობით, პოლიტიკოსთა ნებას არ ანდობდა კაცობრიობის მომავალს და დროისმიერ ნიშნად მიიჩნევდა იმ დადებითს, რაც "ახლადაღმოცენებად მთლიანობას" ახლავს: "თუ მას არსებობა უწერია (!!! - მ.კ.), იგი საფუძველშივე უნდა განერიდოს შინაგან უსახურებას, მისი მატერია არნახული მრავალსახოვანებისაგან უნდა შედგესო" - ბრძანებდა ბატონი გურამი. ამ დროისმიერ ნიშანთან იმედისმომცემ რეზონანსულ ჟღერადობას იძენს მის მიერ შენიშნული, ქართული ხასიათის კიდევ ერთი ფუძემდებლური თვისებაც: "მიმღეობის უფართოესი, შეუზღუდავი მასშტაბი, წადიერებათა სიდიადე, სამყაროს უშორესი სივრცეებისაკენ მიმართული სწრაფვა".

თანამედროვე მსოფლიოს ქაოსსა და ეიფორიაში, რომელსაც სწორედ განსხვავებათა წაშლა ქმნის და ყველა ტიპის იდენტურობისადმი ეჭვი ხრავს - სქესის იდენტურობიდან დაწყებული, ეროვნულით დამთავრებული - თითქოს ძნელია გაიზიარო გურამ ასათიანის რწმენა. მით უფრო, რომ ძალზე ძნელი სახილველი გახდა ქართული ხასიათის ის თვისებები, რომელზედაც იგი წერდა. მაგრამ რიგი ობიექტური ფაქტორების გამო (თვით ობიექტურობის საყოველთაო კრიზისის პირობებშიც კი!) მის სიტყვას ვენდობი, რადგან: გაქრობისა და გადარჩენის დიალექტიკა გურამ ასათიანისათვის სამყაროს ამოუცნობი საიდუმლო იყო, ბუნების ეთიკური სამართლიანობისა და წესრიგის გამოხატულება. ამ სამართლიანობისა და წესრიგის ერთგულება მიაჩნდა სწორედ ქართული სულის განუყრელ თვისებად, ხოლო მისი უსასრულო სიცოცხლის გარანტიად კი - დაუმცხრალი "ეროვნული ენერგია - სიცოცხლისუნარიანობა და შემოქმედებითი პოტენცია".

დამეთანხმებით, შთამბეჭდავი არგუმენტებია.

ძალიან მინდა, თანამედროვე ახალგაზრდობამაც გაიზიაროს ეს არგუმენტები.

პრობლემა

"ჩვენი მოვალეობა სრულიად ნათელია - ჩვენ ამ ომს უნდა დავუპირისპირდეთ"

მიმართვა ბრიტანეთის თემთა პალატას, 21 იანვარი 2003

ჰაროლდ პინტერი

2002 წლის ერთ-ერთი ყველაზე გულისამრევი სურათი – შობა დღეს ჩვენი პრემიერ-მინისტრი მუხლებზე დაჩოქილი დგას ეკლესიაში, ლოცულობს მშვიდობისათვის დედამიწაზე, ღმერთს შესთხოვს, რომ სიკეთე მოუტანოს მთელ კაცობრიობას და ამავდროულად, ერაყში დიდი სისხლისღვრისათვის ემზადება, სისხლისღვრისათვის, რომელიც ათასობით სრულიად უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლეს შეიწირავს.

ამასწინათ ამერიკის ელჩმა ბრიტანეთში ბრალი დამდო - მე ხომ აშშ-ის ადმინისტრაციას სისხლს მოწყურებული მხეცი ვუწოდე. მხოლოდ ამის თქმა შემიძლია: შეხედეთ დონალდ რამსფელდის სახეს და თქვენ თვითონ დარწმუნდებით.

ეჭვი არ მეპარება, რომ ეს არ არის მხოლოდ წინასწარ გამიზნული კრიმინალური და ბარბაროსული შურისძიების აქტი, ის ნგრევის სიხარულითაა გაჟღენთილი. ძალა დიდ ვნებებს აღძრავს – ეს არაერთხელ აღუნიშნავთ და როგორც ჩანს, ასეთივე ვნებიანი სიხარულითაა აღსავსე სხვათა მოკვდინებაც.

ამერიკელები "საერთაშორისო საზოგადოების" მოჩვენებითი მხარდაჭერით სარგებლობენ. ეს მხარდაჭერა მუქარის სხვადასხვა საიმედო მეთოდებით გამოიხატება: ძალის გამოყენება, ქრთამი, შანტაჟი, აბ-

ჰაროლდ პინტერი

ღმერთმა დალოცოს ამერიკა

აი, იანკების მწკრივები
აღლუმზე დაძრულან ხელდახელ.
იარაღასხმულნი ყელამდე
მღერიან მხიარულ ბალადებს.
მსოფლიო შემოიჯირითეს,
ღმერთი ამერიკის ადიდეს,
და ვინც იანკებს არ შეეკრა,
ვინც ბანი არ მისცა წყობილად,
ვინც მათთან ერთად არ იმღერა,
ვინც ხმა დაკარგა და დადუმდა,
აღგავეს პირისგან მიწისა.
გვამებით გაავსეს თხრილები -
გვამებით, გვამებით, გვამებით.
ვინც ბანი არ მისცა მეომრებს
მოსრეს და აქციეს არარად.
მოჰქრიან შუბებით მხედრები,
ეს შენი თავია - მიწაზე,
ეს შენი თავია - ქვიშაში,
ეს შენი თავია - გუბეში,
ეს შენი თვალები - დათხრილი...
გვამების ოხშივარს იყნოსავ,
ჰაერი სავსეა სიკვდილით
და ეს ამერიკის ღმერთია
სიმყრალეს და გვამთა ხრწნილებას
თავის წიაღში რომ ინახავს.

სურდი. "საერთაშორისო საზოგადოება" დეგრადირებულ ერთეულად გადაიქცა, რომელიც ულმობელმა მილიტარისტულმა ძალამ თავის სამსახურში ჩაითრია, ძალამ, რომლის მოქმედება უკვე ყველა ზღვარს სცილდება. ყველაზე უბადრუკ მდგომარეობაში, რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყანაა, რომელიც თითქოსდა თავისი დიდი მოკავშირის მხარდამხარ დგას, სინამდვილეში კი გამათრახებულ ძაღლს უფრო ემსგავსება. ჩვენ დამცირებულნი ვართ, შეურაცხყოფილნი და პატივაყრილნი იმის გამო, რომ ჩვენი მთავრობა აშშ-ს ურცხვად ელაქუცება.

დაგეგმილი ომი მხოლოდდამხოლოდ ერაყის დარჩენილი ინფრასტრუქტურის კოლაფსს, დიდ სისხლისღვრას, სიმახინჯესა და სნეულებას თუ მოიტანს, დაგეგმილი ომი – ეს ნიშნავს მილიონ ლტოლვილს და ძალადობის აღზევებას მთელ მსოფლიოში; ამავე დროს, ეს ერთგვარ მასკარადს დაემსგავსება – "წმინდა ომის", ან "უბრალოდ ომის" ნიღბით, რომელსაც აწარმოებენ "თავისუფლების-მოყვარე დემოკრატები" ერაყში "დემოკრატიის" დასამკვიდრებლად.

მლიქვნელობის სუნი გვახრჩობს.

სინამდვილეში ეს ერთი ჩვეულებრივი ამბავია და უბრალო რამეს გულისხმობს - სუვერენული ტერიტორიის დაპყრობას, სამხედრო ოკუპაციასა და ნავთობის ხელში ჩაგდებას.

ჩვენი მოვალეობა სრულიად ნათელია - ჩვენ ამ ომს უნდა დავუპირისპირდეთ.

Harold Pinter

God Bless America

Here they go again,
The Yanks in their armoured parade
Chanting their ballads of joy
As they gallop across the big world
Praising America' s God.
The gutters are clogged with the dead
The ones who couldn't join in
The others refusing to sing
The ones who are losing their voice
The ones who've forgotten the tune.
The riders have whips which cut.
Your head rolls onto the sand
Your head is a pool in the dirt
Your head is a stain in the dust
Your eyes have gone out and your nose
Sniffs only the pong of the dead
And all the dead air is alive
With the smell of America's God.

January 2003

ნინა

სოფიო კირვალიძე

ნინას დიდი მეგობარი არასოდეს ვყოფილვარ. მე ამდენს ვერ ვუძლებ. აუტანელი დედაკაცი ბრძანდებოდა, ღმერთო მაპატიე. სანამ ნიკო გამაცნობდა, მის შესახებ სულ ერთი-ორი რამ ვიცოდი. ძალიან კი მიკვირდა: თურმე ოჯახში გაიზარდა და არა ტყეში, ფრანგი გადია ჰყავდა და რამდენიმე ენა იცოდა, რაც ნამდვილად არ ეტყობოდა. ის კი უცებ დავიჯერე, რომ საბჭოთა კავშირის ლამის ყველა კუთხეში უცხოვრია, ისე კარგად ეწყობოდა ყველგან და ყველგან ისე ტკბილად იძინებდა, აშკარად დიდი სკოლა ჰქონდა გავლილი. ისიც ვიცოდი, რომ ჰქონდა ჯერ რესტორანი, მერე სამაკლერო ფირმა, მერე ტურისტული სააგენტო, და როგორც კი ფული ჩნდებოდა, ვინმე კაცს გადაეყრებოდა, ფულს გაფლანგავდა და მერე თავიდან იწყებდა ხოლმე ფულის და, შესაბამისად, ახალი კაცის ძებნას.

ნიკომ გუდაურში გამაცნო. ნინა ვესტიბიულში იჯდა ჭიქით ხელში და უწყვეტლივ ლაპარაკობდა. მაშინ არ ვიცოდი, რომ სულ ასეთ მდგომარეობაში იყო, და გამიკვირდა, ამას რაღა ჭირსმეთქი:

– მე ეგრე იოლად არ მოვკვდები, ნუ გეშინია. მიმკითხავეს. ოთხმოცი წელი მინიმუმ. თან ლოგინში, ბედნიერი ბაბო, ბლომად შვილიშვილები დაისვენებენ, როცა გადავგორდები... ოღონდ ის შვილიშვილები საიდან გაჩნდებიან, ჰა? ეგ ხომ ჰაერწვეთოვანი ინფექცია არაა. რაღაცეები შამანა ბაბოებსაც ეშლებათ ხოლმე.

არადა, როგორც მერე გავიგე, ძალიან მშიშარა იყო, კონფლიქტების ეშინოდა, დახურული სივრცის და ღამე მარტო დარჩენის.

– ღამე რა, მგლის და ქურდის კი არ მეშინია. მეშინია, რომ რაღაცა შემაშინებს. ეგაა და ეგ. მიხაელთან როცა ვიყავი, იმ გენიოსმა ჯერ სახლი კარგად დამათვალიერებინა, თავის სარდაფებიან-საიდუმლო გასასვლელებიანად. მართლა, კედელში საიდუმლო გასასვლელი ჰქონდა, ეგ ხომ მე-16 საუკუნის სახლია. სარდაფები კიდევ ბოლომდე არ ჰქონდა ამოთხრილი, სულ ქვედას გაწმენდის ფული არ ეყო, თვითონ გაწმენდის კი ეშინოდა. შენ რა გგონია, იმიტომ კი არა, რომ ბნელა ან შეიძლება ჩამარხული ლუთერი მოფეთებოდა. იმის ეშინოდა, სახლი არ დაინგრესო. ავადმყოფი. ამას ტყუილად ვამბობ, ვენაცვალე, იცი, როგორ მიყვარს? ჰოდა, მანსარდაში ამიყვანა, უზარმაზარში, ლოგინი მანახა, თან ორკაციანი, სადაც მარტო უნდა ჩავგდებულიყავი. ის წელი სულ შეყვარებულებთან ერთად ვცხოვრობდი და სულ მარტო ვეგდე. არა, კარგი ხალხი იყო, უბრალოდ, მე მარტო ვიყავი და ცოტა მომწყინდა. კაი, ჰა, სულ მარტო არ ვიყავი, მაგრამ ძილით სულ მარტოს მეძინა. მიხაელი გახარებული მომიყვა, სახლში სრული ხმის იზოლაცია გვაქვს, ჩვენი ხმა არ შეგაწუხებსო. შესაბამისად, მეც რომ კივილით გავმსკდარიყავი, ვერ გაიგებდა. კარგია, არა? სანამ დავწვებოდი, მთელი სხვენი ავითვისე, რომ ღამე კარადა ვინმე ურჯულოს წამწყდარი სული არ მგონებოდა. სარკეც იდგა კუთხეში, აზრზე ხარ, ის რომ ღამე ალაპლაპებულიყო? ჩავეგდე მერე ლოგინში, ვიკითხე "რომაელთა ყოფა" და მერე შუქი ჩავაქრე. თხუთმეტ წუთში ერთხელ, იმ ქუჩაზე ეკლესია დგას, იმის ზარი რეკავდა და კინაღამ ავაფრინე. მე შენ გეტყვი, ვინმე დებოშს ატეხავს და გეშველება და მიხვდები, სადა ხარ?! კოშმარია. ვერ ვიტან კუდრაჭა ქალაქებს. მეორე დღესვე მოვკურცხლე იქიდან. მიხაელს ვუთხარი, რომანტიკული პაემანი მაქვს-მეთქი. იმდენი მომხვდა. თორემ ისე სულ არ მეშინია. რისი უნდა მეშინოდეს? რა, ხომ არ მოვკვდები?!

– არ მოკვდები, მოგკლავენ. – ნიკო ჩაერია. ნინას არ უყურებდა, ან რა საყურებელი იყო.

– არა, არ მომკლავენ. პონტია. იმდენჯერ უნდა მოვმკვდარიყავი, და მაშინ არ მოვკვდი, კუჭიც არ ამშლია. ხომ გეუბნები, მიმკითხავეს-მეთქი.

■ ■ ■

ისევე, როგორც ყველა ფსევდოინტელექტუალი, ნინაც ათასგვარ გაუგებარ წიგნს კითხულობდა: ეგოისტის ბიბლიას, ოშოს, რაღაც ფემინისტურ ნაგავს. ამიტომ ყოფითის გარდა ათასგვარი სხვა სისულელითაც ჰქონდა თავი გამოტენილი, და მისი არცთუ გრძელი ცხოვრების ერთ-ერთი, სამკვირიანი სიყვარულის დასრულების შემდეგ, როცა უკვე ნიკოს გარეშეც ვხვდებოდი ხოლმე, სოსოსთან, კლუბში, ყველაფერს ისეთი ახსნა მოუნახა, თავში მხოლოდ ნინას რომ შეიძლება მოსვლოდა, იმიტომ, რომ დებილი იყო:

– რა იყო, იცი? მე ხომ სინამდვილეში არაფერი მიჭირს, და მაშინ, საერთოდ, ძალიან მაგრად ვიყავი: ფული იმდენი მქონდა, ჩემი გვარისას რომ არავის ღირსებია, თან საქმეც მევასებოდა, სახლიც მაქვს, თან მეგონა, რომ ლამაზი ვიყავი, ზაფხული, ზაგარი, რა ვიცი... არც უკაცობა მტანჯავდა, რა ვიცი... ჰოდა, მე ხომ დებილი ვარ და ზღვაზე რომ ვიწექი, მაგარი გოგო, გამახსენდა - ეგ ხომ ეგრეა: მზე რომ ჩადის, უნდა ინატრო, ოღონდ გულით, და აგიხდება. იმიტომ გიყვები, რომ იცოდე, რომ ნორმალურად უნდა ითხოვო, თორემ ჩემსავით მოგივა. მე კიდე ეგ ვერ გავთვალე და ჩემს ღმერთს ვთხოვე, ღმერთო, სიყვარული მომეცი, თუნდაც ერთი-ორი კვირით, და მერე ყველაფერს ავიტან-მეთქი. ჰოდა, მომცა და თან ერთი-ორი კვირით, და მერე, რომ მორჩა, ვეკითხებოდი, იმ კაცს კი არა, ჩემს ღმერთს, რატომ იჟმოტე, რა იყო ეს ერთი-ორი კვირით-მეთქი. რაც მთხოვე, ის მოგეციო. აზრზე ხარ?

ამ კლუბში, როგორც ჩანს, ხშირად ტირიან. ნინა ტიროდა და ზედაც არავის შეუხედავს. ღია ფანჯარაში ბავშვი იყურებოდა და დედას ეჯღანებოდა. უამრავ

ფოტო ხელოვნების ისტორიის

ქოთანში უამრავი ყვავილი იდგა. ცხელოდა. ნინა მწვანე ხელსახოცით იხოცავდა ცხვირს.

ხალხში არასოდეს ვიტირებ, ატირებული ქალი მაიმუნს ჰგავს. თან ნინა, თავგადახოტრილი, გაძვალტყავებული, ოდესღაც გარუჯული, ახლა კი აქერცლილი მკლავებით. მაშინ ჯერ კიდევ მიაჩნდა, რომ მოკლე კაბის ტარება შეიძლებოდა, ეს მერე გაახსენდა ლურჯი კაპილარები, მერე მომახსენა: მოკლე კაბაში ვიტრინაში საკუთარ თავს რომ ვხედავ, სულ მინდა, ვინმემ იბღავლოს, "პელე, გოლ, გოლ!"-ო. სანამ ამ კაცს შეხვდებოდა, ყველაზე ნაკლებად იმას დარდობდა, ლამაზი მუხლები ჰქონდა თუ არა. მოგცლია ერთი, ნინა.

– მოგცლია ერთი. რა მნიშვნელობა აქვს. რა, ფეხების გამო კი არ მითხრა, აახვიეო... კარგია ზემფირა, არა? კარგი გოგოა... ხომ იცი, კრიშნა თავის ერთგულებს ყველაფერს ართმევს. ეტყობა, მაგრად ვუყვარვარ, იეჭვიანა. მოცეკვავე ღმერთი, ავდრის ღრუბლისფერი კრიშნა, ყოვლისმიმზიდველი, блядь... ესენი გვაღირსებენ ლუდს, თუ მილიციას დავუძახო?

– მოკლედ, რას გეტყვი იცი? აჰა, მოაქვს. ჰოდა, კაცი რომ შემოგეყრება, უთავბოლოდ ნიჭიერი, უგზო-უკვლოდ განათლებული, მძიმე და დედამოტყნული, ეგრევე უნდა გაიქცე სადმე, ვთქვათ, ტრაბზონში. თუ მიჰქარე და არ გაიქეცი, ის მაინც უნდა იცოდე, რომ სულ ტყუილია ყველაფერი. უბრალოდ, ლოგიკა ვერ გავიგე, блядь, მაინც მაგასთან ვიყავი და მაინც ვაძლევდი, აბა, რას ვიზამდი, ვაფრენდი, და რა ჯანდაბად მინდოდა, блядь, მაგის ჰაი და ჰუი. დიდი მადლობა, - გაბრწყინებული მიუბრუნდა ოფიციანტს, - ნუ დარდობთ, გეთაყვა, ალერგია მაქვს და იმიტომ ვგავარ კოღოს ნაკბენს. არაჩვეულებრივ ვიდზეა ეს თქვენი ლუდი.

ეს ბრიყვული და ნერვების მოშლის გარდა არაფრის მომცემი სასიყვარულო ისტორია, ასევე ბრიყვულად დაიწყო. ნიკომ ნინა, რაღაც უცხოურ წარმომადგენლობაში მიიყვანა და ერთ კვირაში სამი ბინა გაასაღებინა ცენტრალურ ვაკეში. გოგოს ფული გაუჩნდა. იმ ფულით სანდლები იყიდა, სამი ზომით დიდი – "პატარა მუკის ბაჩიები, ботиночки на высоченном каблуке", და ინდური ჭრელი თავსაფარი, ხან წელზე იხვევდა, ხან ყელზე, ხან პირსახოცად იყენებდა და ხან სუფრად. დანარჩენი ფულით კი ოლიმპოსში აპირებდა წასვლას, გასარუჯად, ლურჯ ზღვაში საჭყუმპალაოდ და ვარდისფერ კლდეებზე პლანის მოსაწევად. სწორედ ამ დიადი გეგმის შესახებ გვიყვებოდა კაფეში ქალებს, როცა კაცი გაიცნო.

რატომ მოეწონა, ვერ გეტყვით. ნინასეული მამაკაცების შეფასების კრიტერიუმები აქ აშკარად არაფერშუაში იყო. ერთი კი უნდა ვთქვა – ერთმანეთს გავდნენ, გარეგნულადაც და, როგორც მაშინ მეჩვენა, კიდევ რაღაცით. იქნებ იმით, რომ ორივე ბევრს მოგზაურობდა, ორივე აღმოსავლური მისტიციზმის ნიადაგზე იყო შექანებული, ან იქნებ ორივე, კაცმა არ იცის, რატომ, თან გოიმურადაც ჟღერს – საშინლად მარტოხელად გრძნობდა თავს, და ორივეს ეგონა, არის, ასრულდა ოცნებაო. კაცისა რა გითხრათ, ნინას კი ეს ჭირდა. იდიოტი.

ფაქტი ისაა, რომ იმ საღამოს, კაფეში, ნინასთან საუბრის დროს, კაცს ფუმფულა, ძუძუბიანმა და ტუჩებდაბერილმა გოგომ მოაკითხა, ნინაზე ბევრად ახალგაზრდამ და სექსუალურმა. კაცმა უთხრა, მე და ნინა თურქეთში მივდივართო. გოგო გაიბუტა. მეორე დღეს, იმავე კაფეში, კაცმა ნინას უთხრა, რა ვქნა, სოფო პატარაა, შენ კი ყოჩაღი ქალი ხარ და უჩემოდაც კარგად იქნებიო. ნინამ უთხრა, ნამდვილადო. იმ საღამოს პეროვსკაიაზე არყით დათვრა და მეორე დღეს, როგორც ყოველთვის, მარტო გაუდგა გზას. დიდად არ უდარდია, ეტყობა, ასეთებს მიჩვეული იყო. მე, მაგალითად, თავს მოვიკლავდი.

ცხადია, თავში ჭკუა რომ ჰქონოდა, ამ ფონზე ნამდვილად აღარ მივიდოდა იმ კაფეში, მაგრამ ნინას ჭკუა ვინ თქვა. ზღვიდან ჩამოსულს ეგონა, კარგად გამოვიყურებიო, და კვლავ იმ მაგიდასთან გამოცხადდა, იმავე კაცის ნახვის იმედით.

ატყდა აფრიკული ვნებები და ტამტამების ბაგუნი. გაგიჟდა ნინა. დილით რვა საათზე დგებოდა ხოლმე, რომ აუზზეც მიესწრო – აბა, ზაგარი? თორემ წყალში ვინ შეაგდებდა, - და სამსახურშიც არ დაეგვიანა. იმდენს მუშაობდა, რამდენსაც არც არავინ სთხოვდა. ფული უნდოდა. მოკლედ, გადაირია. მერე ასევე გიჟად გარბოდა იმ კაცთან, გორავდნენ ტახტზე და ოცნებობდნენ, როგორ მოივლიდნენ ნახევარ მსოფლიოს, როგორ ეყვარებოდათ ერთმანეთი და როგორ ცხონდებოდა მათი სულები.

– პირველი ფახი მაშინ დამემართა, უცებ "ჩვენ" კი არა, "მე" რომ თქვა. "მე წავალ". მაგრამ ვიფიქრე, მკიდია-მეთქი. არ მეკიდა. მერე დაიწყო джентельменский набор-ი: ბოლოს კაცთან როდის იყავი? ფეხებს იპარსავ? არა, იცი, არ ვიპარსავ, блядь, ვიკრეჭ. დაუნი. ჰო, კიდევ, კლასიკა: გაათავე? გადასარევი, თუ გინდა...

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ოლიმპოსში აღარა – ამდენი ფუ-

ლი ნინას აღარ გამოუვიდა, - მაგრამ ბათუმში კი ერთად წავიდნენ. იქ ერთი კვირა იყვნენ, იბოდიალეს, იცურავეს – იმან, ნინამ ცურვა არ იცოდა – და როცა ჩამოვიდნენ, კაცმა უთხრა, ჩემო დაო, შენ შენთვის, მე ჩემთვისო. არ მიკვირს – სად ჰქონდა იმ უბედურს ნინას ნერვები, ერთი კვირა სულ ნინა, თან შეყვარებული ნინა როგორი გადასატანია?

– შენ რა უთხარი?

– ეს რეპი იცი? – წამოდგა და გამოთქმით შეასრულა. კუთხის მაგიდასთან მჯდომებმა თავი წამოწიეს და ნინას ბრიყვად მიაჩერდნენ.

– რას ნიშნავს?

– ყველაფერს ერთი ბოლო აქვს, მხოლოდ ძეხვსა აქვს ორი. ასეა, ჩემო განძო, ასეა, ჩემო განძო!

იმ ღამეს ჰომოსექსუალისტებით გამოტენილ დისკოთეკაზე წავყევი, მეორე დღეს კი ნინა კვლავ ზღვაზე წავიდა და როცა დაბრუნდა, აღარც კაცი ჰყავდა, აღარც ფირმა ჰქონდა და აღარც მათი დარდი. ყოველ შემთხვევაში, თვითონ ასე თქვა. იმის მერე კი აი, ახლა შემხვდა, ზამთარში. არადა, მინდოდა მე ნინა?!

როგორც მოგახსენეთ, საძაგელი დრო იყო, ზამთარი, უჟმური საღამო. აღმართს მივუყვებოდი და მაღაზიასთან, რომელთან გაჩერებაც სულ არ მაწყობდა, იმიტომ რომ ვალი მაქვს, ნინა შემხვდა.

რას დამსგავსებია. იასამნისფერი პალტო ისევე უხდებოდა, ცირკში რომ უხდებათ ხოლმე დათვებს თეთრი წინსაფრები. ეტყობა, ისევ სვამდა, თვალები ჩავარდნილი ჰქონდა და ცხვირი - აქერცლილი.

მაღაზიაში შევიდა, ჩემი ვალი გადაიხადა და თავისი კლასიკური ასორტიმენტი შეიძინა, ვეგეტარიანელი იყო; ოღონდ ლუდი კი არა, არაყი იყიდა, თან ბევრი, ცივაო. ჩემთან წავედით, გაზი დავანთე, ნინას ჩითები მივეცი. წინდა სამარცხვინოდ ჰქონდა დახეული და შემომჩივლა, თითებს შორის მჭრისო. მერე, რატომ არ ყიდულობ, ფული ხომ გაქვს-მეთქი. კარგი, რაო.

კარგი. ჩამოვასხით. ნინა ფეხს დააჯდა. თავის დროზე გამიკვირდა, ამას რას შვრება-მეთქი, მერე გავარკვიე, ოდესღაც ბალერინა ყოფილა, მერე ჰატჰაიოგას აწვებოდა და იქიდან ჩარჩა, რომ წელში გამართული უნდა ყოფილიყო: "დაბერება აქედან იწყება," კისერზე ისვამდა ხოლმე ხელს, ფრთხილად, იმიტომ რომ ხალი აქვს და მელანომის ეშინია. გამართული კია, მაგრამ მაგრად დაბერდა.

იდაყვი გაასწორა, ნეკი გაბზიკა და დაიწყო სადღეგრძელო:

– შენ გაიხარე, ჩემო ლამაზო. ყველაფერს გისურვებ, რასაც ჩემს თავს ვუსურვებ ხოლმე, კარგ გუნებაზე როცა ვარ. ჯანმრთელობას, - აბა, კბილები თუ გტკივა, რისი თავი გექნება? დიდხანს სიცოცხლეს, მოგზაურობას, ყველაზე მაგარ კაცს – ჯანმრთელს, ნიჭიერს, ლამაზს, კეთილს, ფულიანს, გულუხვს, მშიშარა და ჟმოტი რად გინდა! თან შენზე იყოს შეყვარებული და შენც აფრენდე, ოღონდ ის უფრო აფრენდეს; მოკლედ, მაგრად იყავი. მე ძალიან მიყვარხარ და მომავალ ცხოვრებაში კაცად დავიბადები და შენ კი თავიდან არ გეყვარები, მაგრამ მე ვიბრძოლებ შენთვის და ცოლად მოგიყვან და ყველაზე ბედნიერი ქალი იქნები...

თურმე, ნინა ბედნიერი ბავშვი ყოფილა. თურმე, ყველას უყვარდა: უაღრესად ერუდირებულ დედას, არაჩვეულებრივ მამას, დეგენერატ, ამჟამად ფინეთში გახიზნულ ძმას, ბაბუას. როგორც ამბობდნენ, ბებიასაც უყვარდა, ოღონდ ნინას არ ახსოვდა, ის როცა მოკვდა, სამი წლის ყოფილა. ბებო მანქანამ გაიტანა და ჩანთიდან ნინასთვის ნაყიდი საჩუქრები გადმოუცვივდაო. იმ ქალსაც ნინა ერქვა და ნინა ყვებოდა, ლამაზი იყო, ოღონდ მე არ ვგავარო.

– გარეგნულად არ ვგავარ, თორემ ისე ალბათ რაღაც-რაღაცეებით კი. ეტყობა, დიდი ნასტირნი ქალბატონი ბრძანდებოდა ეს ბებიაჩემი... საერთოდ, დედის მხრიდან ყველა ქალი ცოტა ნაგიჟარი კი იყო. იყო რა, არის.

– რა გინდა, რას გადაეკიდე...

– მოიცა, რა, შენ რა იცი. მეც მაკლია. თან ახლა მეხსიერება მიმენავლა, ლექსიკოლოგიაში კი მაგარი ვარ, მაგრამ სხვა რა გითხრა. ეე.. ჯერ მარგარიტა იყო, კრასავიცა, ეგ ამბავი რომ იცოდე, მიხვდები, რაც მჭირს.

ნინა არასოდეს კითხულობდა, გაინტერესებდა თუ არა.

– მოკლედ, ეს მარგო იქაა დამარხული, სოფელში, მთელი ბალღობა რომ გადასახლებული ვიყავი, მთელი ზაფხულები, და რომ მძულს. არა, ახლა, თუ გინდა, წავიდეთ. პრინციპში, მაგარი ადგილია. აი, - ძვლიანი ხელი გაიშვირა, - ჩემი მაჯის სიმსხო წყარო მოდის, წიწვნარიცაა, ისეთი ტყეც, სოკოებიც, რა ვიცი. თან მოწყენილობისგან შეიძლება გაგიჟდე. "ჰაუ ჰაუს" მეტი ხმა არ ისმის, და ის კიდე – წია, წია, წია: ფაცო მამიდა ქათმებს უყრის სიმინდს, დაჩეჩქვილს, რომ ყელში არ გაეჭედოთ, ყელზე არაფერი დაადგეს ჯუჯულებს, блядь. ქათმები მაგრად მიყვარს. ოღონდ ცოცხალი. მამლები უფრო. არა, მართლა, წავიდეთ ერთი-ორი დღით, რა უნდა, მშვენიერი სახლია, სადგურიდან ნახევარი საათი უნდა, ჰა, კაი, ერთი საათი. მაგრად მეჯავრება, მაგრამ შენ თუ იქნები, წავიდეთ. ძველი ჟურნალებია, "Я в замке король" წაკითხული გაქვს? წავიდეთ, წავიდეთ...

დალია. ნიკოს ნათქვამი ჰქონდა, იმ სოფელში მას შემდეგ მივდივართ, რაც ნინა გავიცანი, ანუ ასი წელიო.

– ჰოდა, მარგარიტა ლამაზი ქალი ყოფილა და აფრენდა საკუთარ თავზე. მეფის ნაცვლის სასახლეში სეფექალი თუ სტასდამა თუ რაღაც ეგეთი ყოფილა, ეტყობა, მაგიტომ მაქვს მელკა-პამესტნი ამბიციები. ოღონდ არ გათხოვდა, ეტყობა იმიტომ, რომ გიჟი იყო, თუ შიგ ჰქონდა, თუ венец безбрачья, რა ვიცი, გაიგებ?! ამ არაყს ბაბო ქნარო აკეთებს ტელაგრეიკისგან, ნამდვილად. მე მოვკვდე. დამაბრმავებს? ჰოდა, ოცდაათი წლის რომ გახდა, სარკეში ჩაიხედა, ნაოჭი დაინახა – აზრზე ხარ, მე ოცი წლიდან ნაოჭები მაქვს, - და წავიდა იმ სოფელ ჭირიანთკარში. მანამდე ვენეციური მარმარილოს საფლავის ქვა შეუკვეთა, სხვანაირი ხომ არ ეკადრებოდა, ახლა გულზე ადევს, ანგელოზებიან-ვარდებიანი, ის ქვა ლოგინქვეშ ამოიდო და იცხოვრა ასე ასი წელი. ვენეციური რომაა, ის მარმარილო, ოჯახმა მომახსენა, თორემ მე რას მივხვდებოდი. გაახურეს, ვენეციურიაო და ძალიან ლამაზი იყო მარგარიტაო, გაატრაკეს საქმე რწყილიანმა ტახტის აზნაურებმა. ყოველ მისვლაზე ამას მიყვებიან... წლები აღარ მახსოვს, ბლომად კი უცხოვრია. ჩემი ბაბო რანაირადაა, ვერ გავიგე, მაგრამ არის, დედულების საგვარეულო სასაფლაოზე წევს. აზრზე ხარ, რა შიგ ჰქონდა? ახლა რა არის ის სოფელი და მაშინ, აზრზე ხარ, რა იქნებოდა?

– რა ვიცი...

– რა რა იცი? ეგ ნორმალურია? ჩვენ ვიყოთ კარგად. – ჩამოასხა, მაგრამ არ დალია. – თქვი რამე.

– შენ თქვი.

მე რა მეთქმოდა.

– კაი. ნათელ მომავალს. რა კარგია, არა, 35 წლის პერსპექტიული გოგო როცა ხარ, პერსპექტივა – შავი მიწა.

დალია. მერე ტუალეტში გავიდა და იქიდან მესმოდა მისი მოძახილი:

– Наверно милый мой идет... რა მითხარი?

– არაფერი.

– ჰო. ნიკო სადაა?

– მალე ჩამოვალო.

– რაო?

– მალე ჩამოვალო.

– აჰა.

ნინა და ნიკო ოდესღაც, დიდი ხნის წინათ დამეგობრდნენ. ნინას ნიკოზე მეტად არავინ უყვარდა ამქვეყნად – მგონი სხვა არც არავინ უყვარდა – და ძალიან როცა თვრებოდა ხოლმე, ამბობდა, ღმერთს რომ ვყვარებოდი, მე და ნიკოს ერთმანეთი გვეყვარებოდა, ისიც ბედნიერი იქნებოდა და მეცო. მაგრამ ეს მართალი არაა, ნამდვილად ვიცი, იმიტომ რომ ნინამ თუ თავი რამე ნეხვში არ წაყო, ცუდად ხდება, ნიკოს კი ახალგაზრდა ქალები მოსწონს. ნინას ყველა კაცი ცოტას ეჭვიანობდა ნიკოზე, მაგრამ სულ ტყუილად, იმიტომ რომ ნინა უმალ მონასტერში წავიდოდა, ვიდრე ნიკოსთან დაიჭერდა საქმეს. Жизнь дорога как память-ო, იტყოდა ხოლმე. სხვა რამეებში ასე საღად ვერ მსჯელობდა.

ნიკოს ხსენებას აუცილებლად გრძელი ტირადა მოჰყვებოდა. ნინამ კარგად იცოდა, რომ აღარ მინდოდა ამის მოსმენა, ამიტომ სრულიად იდიოტურად იბოდიშებდა ხოლმე, სულ სხვადასხვა ისტორიებით - ძალიან მიკვირს, რომ წლების განმავლობაში ლიტრობით ჩასხმულმა ალკოჰოლმაც ვერ დააკარგინა დამახსოვრების და მეტყველების უნარი.

– მაშინ მე და ატმანანდამ მთელი ღამე ქუჩაში რომ ვიარეთ, ლენინგრადში, აუ, რამხელა კოღოები იყო, იცი? ატმანანდამ მითხრა, საგიჟეთში როცა ვიჯექი, ექიმმა თქვა, склонность к монологам первый признак шизофрении-ო. ჰოდა, ეტყობა, მეც ეგ მჭირს. არა? – პასუხს არ დაელოდა და ჩამოასხა. ჯერ ცოტ-ცოტა, მერე დაამატა. – დალიე. მერე сбегали-добавили-ს ვიზამთ. საწყალი ატმანანდა, ბოტულიზმით მოკვდა, თუ რა ჰქვია, ბუტულიზმი? ნიკოს გაუმარჯოს. ეგ არის ქართველი მამაკაცების არსებობის გამართლება, ჩემი ნიკოლოზა. მე როცა გავმდიდრდები, არ ვიცი, რას გავუკეთებ, რა ვიცი, ყველაფერს, სტიპენდიას დავუნიშნავ, მაგარს, და ვეტყვი, ჰუმბოლტისაათქო. ისე, ფანტაზიაში, აშკარად, ღობე მაქვს, არა? გაუმარჯოს. ყველაზე კარგი ნიკო. ძალიან ბედნიერი იყოს, ჰქონდეს წარმატება, ფული, დიდი სიყვარული, მოკლედ, რაც მოუნდება. გაუმარჯოს.

დავლიეთ. მანდარინს გადაწვდა, არადა, არ უყვარს. ეტყობა, დათვრა.

– ნინა, დავწვეთ? ხვალ წასასვლელი ვარ.

– ჰო, დაწექი. მე ვიბანავებ, კარგი? და მერე მოვალ. ბაკსაც გამოვრთავ და შუქსაც, არ იდარდო.

დილით აღმოვაჩინე, რომ არ დაწოლილა, ისე წასულა. ალბათ სახლში ამჯობინა გამოძინება. ჭურჭელი გაურეცხავს, ყვავილებისთვის ხმელი ფოთლები მოუძვრია. დავურეკე, მაგრამ არ მპასუხობდა. მერე დედამისმა მითხრა, პუნაში წავიდა, სამედიტაციოდო. ბინა გააქირავა და წავიდა და ერთ-ორ თვეში ჩამოვაო. არადა, ხომ გახსოვს, სულ ამბობდა, ოშო აღარაა, პუნაში რაღა მინდაო. ეტყობა, შესცივდა, გამოიზამთრებს და ჩამოვაო.

■ ■ ■

ამ ხიდის გვერდით რომ მდინარისკენ ჩასასვლელი იყო, მაშინ შენიშნა, რამდენიმე წლის წინათ, მანქანის ტარებას როცა სწავლობდა – კვირაში სამჯერ, ცხრა საათზე, ხიდის კუთხეში ელოდა ხოლმე ინსტრუქტორის ცისფერ მანქანას. უნდოდა, მანქანის ტარება ესწავლა და თურქეთში წასულიყო სამოგზაუროდ.

მაშინ ფეხები ეყინებოდა. თბილი ბათინკა კი ჰქონდა, მაგრამ არ იცვამდა, განიერი ცხვირები აქვს და პედლებზე ნორმალურად ვერ ვაბიჯებო. იმ ფეხსაცმელს კი, ქუსლიანს, შარვალი სულ არ უხდებოდა. ისე, ვის ეპრანჭებოდა, კაცმა არ იცის. ინსტრუქტორს? არა მგონია. მოკლედ, იდგა ხოლმე, იყინებოდა და მიდამოს ათვალიერებდა. მაშინ აღმოაჩინა ეს ჩასასვლელი.

ოდესღაც მთიდან ჩამოზიდული, ახლა კი სახლიდან წამოღებული ბროლებიანი ქვებით სავსე ზურგჩანთა, შეძლებისდაგვარად, კარგად მოირგო და დაიძრა.

– აზრზე ხარ, რაც მე მდინარის წყლები მისვია, ხან დუნაი ვხვრიპე და ხან არღუნი, ვინ იცის, რამდენი ნინა იყო შიგ... რას გადავრჩი трупный яд-ს?!

ალბათ ამას ფიქრობდა. ზუსტად არ ვიცი.

სულელი იყო ნინა. ეგონა, აქაოდა, ქვებიანი ზურგჩანთა მკიდია და არ ამოვტივტივდები და ყველა იფიქრებს, რომ პუნაში წავედიო.

მარი გელოვანის ნახატი

ადამი და...

ლაშა ბუღაძე

1. თავდაპირველად ღმერთმა შექმნა ცა და მიწა.

2. მიწა იყო უსახო და უდაბური, ბნელი იდო უფსკრულზე და სული ღვთისა იძვროდა წყლებს ზემოთ.

3. თქვა ღმერთმა: იყოს ნათელი! და იქმნა ნათელი.

4. დაინახა ღმერთმა, რომ ნათელი კარგი იყო, და გაჰყარა ღმერთმა ნათელი და ბნელი.

5. ნათელს ღმერთმა უწოდა დღე და ბნელს უწოდა ღამე. იყო საღამო, იყო დილა - პირველი დღე.

/დანარჩენი იხ. ბიბლიაში/

როგორც იცით, ღმერთმა სამყაროს შექმნას ექვსი დღე მოანდომა, ხოლო მეშვიდე დღე "აკურთხა, წმინდაჰყო და დაისვენა ყოველი საქმისაგან, რასაც ქმნიდა და აკეთებდა."

გამოხდა ხანი და ღმერთმა შექმნა ადამიანი - უფრო კონკრეტულად - მამაკაცი. სახელად - ადამი. "გამოსახა უფალმა ღმერთმა კაცი მიწის მტვერისაგან და შთაბერა მის ნესტოებს სიცოცხლის სუნთქვა და კაცი იქცა ცოცხალ არსებად". მოგვიანებით ღმერთმა ადამიანს გაუჩინა მეგობარი შეუქმნა, რომელსაც ეწოდა - ცოლი. სახელად - ევა */იხ. ნეკნის ამბავი, ან ახლავე მოისინჯეთ/.*

მაგრამ საქმე რაშია: ევა ადამის მეორე ცოლი გახლდათ. ეს ამბავი კი ადამის პირველი ცოლის შესახებ დაიწერა */იხ. ბიბლიური აპოკრიფები, ვლადიმირ ნაბოკოვის ლექსი "ლილიტი" /და არა "ლოლიტა"/, იოჰან ვოლფგანგ ფონ გოეთეს ამავე სახელწოდების პოეტური ქმნილება, ან გაიკითხეთ, ბოლოს და ბოლოს/. ჭკვიანური წიგნებიდან ვიგებთ, რომ ეს ქალი ერთი უსაშინლესი და უბოროტესი არსება ყოფილა /პირველი ასოციალური სუბიექტი სამოთხის ბაღში/, რომელსაც ისე გაუწვალებია ჩვენი წინაპარი, რომ მას ღმერთთანაც კი დაუჩივლია: ან ეს ქალი მომაშორე, ან როგორც შთამბერე, ისე ამომაცალე სიცოცხლის სუნთქვა ნესტოებიდანო. ერთი სიტყვით, ადამი პირველ ცოლს გაშორდა და საღათას ძილით დაიძინა, რათა შემოქმედს მისი ნეკნისაგან მეორე ცოლი შეექმნა /არის ეჭვი, რომ ადამს აღარ გაუღვიძია და რაც მერე მოხდა - სამოთხის ბაღიდან გამოძევებით დაწყებული და დღევანდელი დღით დამთავრებული - მისი სიზმარი იყო მხოლოდ/. მაგრამ რაკი ჩვენ ჭკვიანური წიგნების მაგივრად სულელურ მოთხრობებსა ვსწერთ, თამამ ვარაუდს არ მოვერიდებით და ვიტყვით, რომ მთლად ასეთი საშინელიც არ იყო ის ქალი, როგორც ჭკვიანურ წიგნებში წერია. ცუდი ადამიანები ხომ არ არსებობენ! ყოველ შემთხვევაში, მაშინ მაინც არ არსებობდნენ. თუმცა, მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ. ტექსტი - ჩვენი, დასკვნა - თქვენი */ხალხური სიბრძნე/.*

დასაწყისი

დღე შემდეგნაირად დაიყო: თორმეტი - თორმეტზე. სულ ოცდაოთხი.

ღმერთმა ადამიანზე მუშაობა სამყაროს შექმნიდან მეხუთე დღეს დაასრულა, მაგრამ ე.წ. ღინღლის პროექტი, რომელიც მას სამას სამოცდახუთმა ელოჰიმ წარუდგინა, არადამაკმაყოფილებლად მოეჩვენა და იფიქრა - დღე-ღამის ხანგრძლივობას ოცდაშვიდ საათამდე გავზრდი და ე.წ. ღინღლის პროექტის დახვეწასაც მოვასწრებო, მაგრამ ელოჰიმებმა თავისი გაიტანეს და დიდი კოსმიური დისკუსიის მეორე ეტაპიც წამოიწყეს /დიდი კოსმიური დისკუსიის პირველი ეტაპი, როგორც იცით, სავალალოდ დასრულდა რამდენიმე ამპარტავანი ანგელოზისათვის - ისინი სამუდამოდ დაკოჭლდნენ/.

ამჟამად იხილებოდა საკითხი: ეზრდებოდეს თუ არა ადამიანს იღლიაში თმა? ხმათა უმრავლესობით, ეს საკითხი დადებითად გადაწყდა. ანალოგიური სჯა-ბაასი გამოიწვია ოფლიანობის საკითხმა: იყოს თუ არა ეს სითხე არომატიზირებული? ღმერთმა ამ შეკითხვას შემდეგნაირად უპასუხა: ადამიანს გააჩნია.

კიდევ ერთი შეკითხვა:

როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი, თუკი მას თმა დასცვივდება?

პასუხი: ხილაბანდი წაიკრას თავზე.

შეკითხვა: და იმ შემთხვევაში როგორღა მოიქცეს, თუკი ის ვერ შეაჩერებს თმის ზრდის პროცესს?

პასუხი: მე შევქმნი სპეციალურ დაწესებულებას, რომელსაც პირობითად ერქმევა - სადალაქო. რაც შეეხება ამ დაწესებულებაში მომსახურე პერსონალის ეთნიკურ ჯგუფს - მათი წარმოების პროცესი სადღაც არარატის მთის მახლობლად დაიწყება.

დისკუსიის შემდეგ ადამმა ხმა ამოიღო. მისი პირველი სიტყვა იყო: დეცენტრალიზაცია.

და ღმერთი მიხვდა, რომ ადამი მხოლოდ საერთაშორისო სიტყვებით, როგორც იტყვიან, ფონს ვერ გავიდოდა. და შექმნა ღმერთმა თოთხმეტი დამწერლობა - თოთხმეტი ანბანი. და რაკი სიტყვათა წარმოებას მთელი ერთი დღე მოანდომა, მეთხუთმეტე ანბანის შექმნა შემდეგი დღისთვის გადადო, მაგრამ დილით სხვა /არანაკლებ მნიშვნელოვანი/ საქმით დაკავდა და მსოფლიოც თოთხმეტიოდე ანბანის ამარა დარჩა.

თავდაპირველად ადამმა ღმერთის ენაზე დაიწყო ლაპარაკი */ჭკვიანურ წიგნებში წერია, რომ ეს ენა არამეული იყო/*, მაგრამ მერე, როდესაც უფალმა მას ცოლი შეუქმნა, ჩვენს წინაპარში ჭეშმარიტმა პოლიგლოტმა გაიღვიძა და ადამიც თოთხმეტივე ენაზე ერთდროულად ალაპარაკდა.

ღმერთის სურვილი იყო, რომ ადამის ცოლს ეროვნება ჰქონოდა. და ჩაარჭო ღმერთმა ეს-ესაა შექმნილ მიწაში თოთხმეტი პალო და კენჭი ჰყარა /უფრო სწორად, კოჭი გააგორა - ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით/, რადგან თითო პალო - თითო ანბანი გახლდათ და რომელსაც კოჭი მოხვდებოდა, ადამის ცოლიც იმ ენაზე დაიწყებდა ლაპარაკს /და ფიქრსაც, ბუნებრივია/.



ერთი სიტყვით, ღმერთმა კენჭი ყარა და ჩვენი მოთხრობის მთავარ გმირს დედა-ენა /იგივე მშობლიური ენა/ შეურჩია. წესით, მომდევნო თავს ასეთი სათაური უნდა ჰქონდეს: "უცხოელი ცოლი". საინტერესოა, მართლაც ზემოთ დაწერილი სათაურით გაგვაკვირვებს ავტორი, თუ რაიმე უკეთესს შემოგვთავაზებს.

ომი და მშვიდობა

და აი, კვლავ ღვთაებრივი ნუმერაცია:

0-1. და ღმერთმა შექმნა ქათამი.

0-2. და მიიყვანა ღმერთმა ადამი ქათამთან და უთხრა: დაარქვი სახელი.

0-3. ადამმა თქვა: ერქვას მას სელაპი.

0-4. არა, - მიუგო მას ღმერთმა, - ეს სახელი მას არ უხდება. სხვა რამე მოუფიქრე.

0-5. და ადამმა მოუფიქრა: ერქვას მას ქათამი.

0-6. იფ. - თქვა ღმერთმა. და ეწოდა ამ ფრინველს ქათამი.

/ჩემი მეზობელი ზვიადის შენიშვნა ამ ეპიზოდთან დაკავშირებით: "კაცმა არ იცის, სინამდვილეში რა ჰქვიათ ფრინველებსა და ცხოველებს, ანუ თვითონ რას ეძახიან საკუთარ თავს. შესაძლოა, ლომს სულაც არ ერქვას ლომი, ანდა კატას - კატა. საინტერესო სწორედ ისაა,თავად კატა რას ეძახის თავის თავს."/

0-7. და გააცნო ღმერთმა ადამს სათითაოდ ყველა ცხოველი და სთხოვა, სახელები მოეფიქრა მათთვის.

0-8. ამას ჯეკა დავარქვათ, - თქვა ადამმა, - იმ მეორეს ბომბორა.

0-9. არა, - კვლავ მიუგო მას ღმერთმა, - ეს საკუთარი სახელებია, ანუ შემდეგი ეტაპი. პირველ ეტაპზე კი ჯიშის განსაზღვრაა საჭირო.

0-10. და განუსაზღვრა ადამმა ჯიში ფრინველებსა და ცხოველებს.

0-11. და აი, ხედავს ღმერთი, რომ ცხოველები მისი ჩარევის გარეშე წყვილდებიან - სპილო ეტრფის ლომს და მელია ეტრფის ჰიპოპოტამს.

0-12. და ღმერთმა თქვა: სქესები. საჭიროა სქესები განვასხვავოთ.

0-13. და მან განასხვავა სქესები.

0-14. მერე კი მიუბრუნდა თავის ყველაზე საყვარელ შვილს და უთხრა: შენც ორად გაგყოფ. ძილი ნებისა.

0-15. ერთ-ერთმა ელოჰიმმა კი ღმერთს ადამის ცოლის შემდეგნაირი პროექტი შესთავაზა: ეგება და მისი ცოლიც მამაკაცი იყოსო.

0-16. ეს უკვე პერვერსიაა, - თქვა ღმერთმა და ახირებული ელოჰიმი ჯოჯოხეთში ჩაახედა, სადაც ამ სენს /თუ ჭირს/ მოეკიდა ფეხი.

0-17. ღმერთმა ძილი მოჰგვარა ადამს და პირიდან ოცდამეცამეტე კბილი ამოუღო, რომლიდანაც ქალი უნდა შეექმნა /შეგახსენებთ: ღმერთს ნეკნი ადამის მეორე ცოლისთვის დასჭირდა/.

0-18. და შექმნა ღმერთმა ქალი.

0-19. და წარადგინეს ელოჰიმებმა განსახილველად მენსტრუალური ციკლის პროექტი.

0-20. და კენჭი ყარა ღმერთმა, რათა გაერკვია ადამის ცოლის ეროვნება, - ღვთაებრივი კოჭიც რიგით მეთოთხმეტე პალოს მოხვდა, რომელიც სიმბოლო იყო ერთ-ერთი ძველისძველი /იმხანად ახალი/ ენისა.

0-21. და ჩაჰბერა ღმერთმა სიცოცხლის სუნთქვა პირველი ქალის ნესტოებს.

0-22. და გაიღვიძა ადამმაც. მერე კი იკითხა: ეს რა ცხოველია?

0-23. და ეთქვა მას პასუხად: ეს შენი ცოლია.

0-24. და ჰკითხა ღმერთმა ქალს სახელი.

0-25. მან კი უპასუხა: ნათელა.

0-26. და თქვა ღმერთმა: ქართველი აღმოჩნდა.

სამი მუშკეტერი

და დაიწყეს ერთად ცხოვრება ნათელამ და ადამმა. ნათელამ თავზე შავი თავშალი წაიკრა და მარჯვენა ხელით თვალებთან მზე მოიჩრდილა:

- ე ბიჭო, უთხარი მამაშენს, შემოღობოს ეს ბაღი, თორე გადავლენ იქით ღორები და მერე სდიე მაგათ.

ნათელა მშრომელი ქალი გამოდგა. პირველივე დღეს ფქვილში მოითხვარა და სამოთხის ბაღში კარი რომ ყოფილიყო - სახელურს იდაყვითაც კი ჩამოსწევდა, როგორც ქართველ დიასახლისებს სჩვევიათ ხოლმე.

მიუხედავად იმისა, რომ დასალაგებელი არაფერი იყო, სამოთხის მყუდრო სავანე მაინც მიალაგ-მოალაგა და მერე გაბრაზდა: ჩემს მეტი კაციშვილი არაა აქ ხელისგამნძრევიო.

საღამოს მოშივდა, თუმცა ივახშმა თუ არა, მაშინვე აეშალა ნერვები - რატომ ვჭამეო. მერე კი ასეთი რამე თქვა: ზალა ანტრესოლით ხომ არ გადავღობოთო.

ამნაირ უცნაურ წინადადებებს ხშირად ამბობდა,თუმცა აზრი არც თვითონ ესმოდა და არც სხვას.

დილის შვიდ საათზე იღვიძებდა და სამოთხის ბაღის დახვეტა-დალაგებას იწყებდა /ცოცხი ღმერთმა მეათე დღეს შექმნა/, მაგრამ, სამწუხაროდ, ბაღი უფრო ირეოდა. საღამოობით ნათელა ხის სკამს მუხასთან ჩამოდგამდა, ფეხისგულებს ფლოსტებიდან ამოაწყობდა და ღმერთს მზესუმზირის გამოგონებას ევედრებოდა.

- ბიჭო, უთხარი მამაშენს, გვიყიდოს ტელევიზორი, სერიალებს მაინც ვუყურებთ, - იტყოდა ხოლმე ხანდახან და თვითონაც ვერ ხვდებოდა, რას გულისხმობდა ამ სიტყვებით.

პირველ ეტაპზე ნათელასა და ადამის ურთიერთობა, თუკი გადასარევი არა, დამაკმაყოფილებელი მაინც იყო, - ნათელა ქათმებს დასდევდა უაზრო წივილით: წიიიპა-წიპა-წიპა... ხოლო ადამს მთელი დღეები ეძინა.

ერთხელ, ნათელა მდინარესთან ჩავიდა და ულამაზეს შავ ლოდზე ჩამოჯდა.

- დედა, - თქვა მან, - რა სილამაზეა! ბორჯომში გეგონება თავი.

ერთი სიტყვით, ნათელა და მძინარე ადამი სამოთხის ბაღში ბედნიერად ცხოვრობდნენ. თუმცა, ეს ბედნიერება ხანმოკლე აღმოჩნდა - ნათელას ჰალუცინაციები დაეწყო.

კაცია-ადამიანი?!

ნათელა ღმერთს ისე ეპყრობოდა, როგორც რძალი დედამთილს /და არა მამამთილს!/.

ნათელას შექმნამდე საოცრად აქტიური და ცნობისმოყვარე ადამი - დილიდან საღამომდე ბალახზე კოტრიალობდა და უაზრო ძილისაგან გათანგული, არანაკლებ უაზრო სიზმრებს ხედავდა /ადამის სიზმრებზე ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი/.

ადამი იღვიძებდა მხოლოდ მაშინ, როდესაც საუზმის, სადილის, ან ვახშმის დრო მოდიოდა.

ადამთან სტუმრად მოსულ ღმერთს ნათელა ღიმილით ეგებებოდა, თუმცა მისი დანახვა სულაც არ ახარებდა.

- საწყალი დედაჩემი და მამაჩემი ახლა საფლავში უნდა იწვნენ და ეს ცოცხალი უნდა იყოს!? - ერთგვარი ნიცშეანური სულისკვეთებით ჩაილაპარაკებდა ხოლმე და მერე, როგორც ყოველთვის, თვითონაც უკვირდა, რომელ დედაჩემზე და მამაჩემზე ვლაპარაკობ, მყოლია კი ოდესმე მშობლებიო?

- დაღლილი იქნებით, რამეს მოგართმევთ, - ეტყოდა ხოლმე ნათელა ღმერთს. ღმერთიც /ისევე, როგორც ყველა ქართველი დედამთილი/ ქვას ააგდებდა და თავს შეუშვერდა /გამოთქმაა ასეთი!/ - დიდი მადლობა, ჩემო ნათელა, მაგრამ ძალიან მეჩქარება, უნდა წავიდეო.

ერთხელ, ღმერთმა თავისივე შექმნილი ჩითის კაბა აჩუქა ნათელას. ნათელას ისეც არ გახარებია, რამდენადაც სიხარული გამოხატა. ღმერთის წასვლის შემდეგ კი მძინარე ადამთან დაიჩივლა: ვიღაცის გამონაცვალი მაჩუქა, აბა კარგს ჩემთვის რას გაიმეტებდაო!

ნათელასა და ადამს სექსუალური კონტაქტი, როგორც ასეთი, არა ჰქონიათ. ანკი, როგორ ექნებოდათ - ღმერთმა ხომ სულ რამდენიმე დღის წინ დარგო ის საბედისწერო ვაშლის ხე! ასე რომ, დაღამება და ნათელას ალაპარაკება ერთი იყო, - მისი უსასრულო მონოლოგი კი დილამდე გრძელდებოდა ხოლმე:

- ქვეყანა აშენდა, შე კაცო! მუქთახორა შენა, - ეუბნებოდა ნათელა ადამს, - მიდექი-მოდექი... ნუგზართან მიდი, ეგება დაურეკოს ცინციბაძეს... რუსთავში გადაიყვანესო, ლალიკომ მითხრა, მეტალურგიულს ეგ ააყვავებსო.

ნათელას მონოლოგები სრული ქაოსიდან იბადებოდა. ნათელა ხედავდა ადამიანებს, რომელთა შექმნაც ღმერთს მხოლოდ რამდენიმე მილიარდი წლის შემდეგ განეზრახა. ნათელა ბუნდოვან მომავალში ცხოვრობდა. ამიტომაც, ელოჰიმებმა მას ნათელა-ნათელმხილველი შეარქვეს, მერე კი დიაგნოზიც დაუსვეს: *ინტუიტიური ჰალუცინაციები.*

- ნანიკომ ბავშვები წყნეთში აიყვანა, აგვისტოში სარფში მივდივართო... ჩვენ კიდე ვლპებით ამ თბილისში!

ახალგამოღვიძებული ადამი გაოგნებული უსმენდა ნათელას, რომელსაც მომავლიდან მოსული მძლავრი ქარიშხალი ალაპარაკებდა:

- გაყიდოს თავისი სამოთახიანი და გადავიდეს თვითონ საბურთალოზე! - აკრიტიკებდა ღმერთს ნათელა, - ჩვენ ოროთახიანში გადავიდოდით პეკინზე და ისიც იქვე იქნებოდა, ბაზართან... არა! როგორ იზამს! როგორ დაუტოვებს საზიზღარ ნათელას თავის ძვირფას ვაჟს!

ნათელას საყვარელი სასაუბრო თემა - ცინციბაძის მეტალურგიული და ქმრის უნიათობა იყო:

- შენ ხო კაცი არა ხარ! - დაუყვირებდა ხოლმე ადამს ნათელა, – ლალიკოს ნუგზარისთვის დაურეკავს, ორშაბათს გამოგივლისო... ისიც თურმე მთელი დღე *ოფისში* იჯდა და გელოდა... ცინციბაძეც გაუფრთხილებია. რატო შემარცხვინე იმ კაცთან!

ნათელას საკუთარი სიტყვები აბრაზებდა - ჯერ მიზეზს მოიგონებდა, მერე კი აკივლდებოდა:

- რატო დამარეკინე ლალისთან!

ნათელას კიდევ ერთი საყვარელი საქმიანობა პანაშვიდებზე სიარული გახლდათ. მიუხედავად იმისა, რომ სამოთხის ბაღში არავინ კვდებოდა, ის მაინც არარსებულ პანაშვიდზე მიდიოდა /მიდიოდა, რასაკვირველია, ბრჭყალებში - ""/ და სიმწრისაგან ლოყებს იხოკავდა, როდესაც ვინმეს სიკვდილის ამბავს აცნობებდნენ /ასევე ბრჭყალებში - ""/:

- ვაიმე, ჩემი სიკვდილი! - უეცრად წამოიყვირებდა ხოლმე ნათელა, - კოლია მომკვდარა, რიგვავა! - და თმის პუტვას იწყებდა.

მერე შავებში გამოეწყობოდა, მაღალქუსლიან ფეხსაცმელს ჩაიცვამდა, პატარა ხელჩანთას იღლიაში ამოიჩრიდა და მის წარმოსახვაში არსებულ პანაშვიდზე მიდიოდა, - ხოლო არარსებულ სადარბაზოში, კიბეზე ასვლისას, ფეხსაცმელი მოუჭერდა და უკვე პანაშვიდზე მჯდომი - არარსებულ ჭირისუფალთა შორის - ტყავის ფეხსაცმლიდან დაწითლებულ ქუსლებს ამოჰყოფდა.

- დიდი მადლობა... დიდი მადლობა... - კოცნიდა ნათელა სამძიმარზე მოსულთ, მერე კი გარდაცვლილ კოლიას მიმართავდა ჩახლეჩილი ხმით:

- ხედავ კოლია, შენი ჯონდოც მოვიდა, ბიჭო!

მიუხედავად იმისა, რომ ტირილსა და მოთქმას არ წყვეტდა, მაინც ახერხებდა და ცხოველი ინტერესით აკვირდებოდა არარსებულ ახალგაზრდებს - გოგონებსა და ბიჭუნებს - და მათ დაწყვილებაზე ფიქრობდა.

- დედა, რა კარგი გოგო ყოლია მანანას! - გადაულაპარაკებდა ხოლმე ნათელა არარსებულ ნათესავს, რომელიც მისი არ იყოს, ისიც კოლია რიგვავას არარსებულ კუბოს უჯდა.

ერთხელ, ნათელამ ლალიკოსაგან ფული ისესხა და მოსკოვში გადაფრინდა, რათა პიანინო ჩამოეტანა იქიდან.

- ოჯახში კი უნდა იდგეს ერთი კარგი პიანინო!

ადამი გაოგნებული შესცქეროდა *ინტუიტიური ჰალუცინაციებით* დაავადებულ ნათელას, რომლის წარმოსახვასაც უკვე საზღვარი აღარ ჰქონდა.

ნათელა ათ დღეში დაუბრუნდა ძველისძველ სამშობლოს და, დაპირებისამებრ, კუპრივით შავი პიანინო ჩამოიტანა, სახელად *ჩაიკა.*

- კბილებიც გავიკეთე! - ახარა მან ღმერთს და პირი დააღო, რათა ყველას დაენახა მისი ახალი ოქროს კბილი, რომელიც, რა თქმა უნდა, მხოლოდ ნათელას წარმოსახვაში არსებობდა.

გუმსა და *ცუმში* სიარულით დაღლილი /თუმცა, განა რაიმე სჯობია ასეთ დაღლას?/ - ისეთი ბედნიერი იყო, რომ მთელი დღეები არარსებულ ლალიკოს ექაქანებოდა ტელეფონზე და უახლოეს მომავალში ვალის გასტუმრებასაც ჰპირდებოდა:

- დედას გეფიცები, ლალიკო!.. ისეთ უხერხულ მდგომარეობაში ვარ, რომ არ ვიცი პირდაპირ.

ერთ მშვენიერ დღეს, ნათელამ ღმერთს ბინის ქირის ქვითარი წარუდგინა, რომელიც თავისი ხელით შეექმნა.

- სულ გადაირიენ ეს საზიზღრები! - წყევლიდა ნათელა ცენტრალური კომიტეტის პირველ და მეორე მდივანს, - ჯანდაბა მაგათ თავს!

ღმერთი ნათელას თამაშში აჰყვა და ბინის ქირა გადაიხადა.

ზუსტად ამ დროს, ნათელამ წარმოიდგინა, რომ მის ქმარს საყვარელი ჰყავდა - რომ ადამმა მას, ანუ საყვარელს /ნათელამ ქმრის რჩეულს სახელიცა და გვარიც მოუფიქრა: ლეილა სარჩიმელიძე/ ბინაც კი უყიდა, ხოლო კვირაობით კოჯორში აყავდა დასასვენებლად.

ნათელამ მაშინვე წარმოიდგინა, რომ მას და ადამს უკვე ორი ზრდასრული შვილი ჰყავდა - თინიკო და შოთო.

"ოჯახს ანგრევს ეს არაკაცი?"

სამოთხის ბაღში ანონიმურმა ტელეფონის ზარმაც გაიწკრიალა:

- ქალბატონო, დასაცინად ნუ გაიხდით თავს, - ამბობდა იდუმალი და მზრუნველი ხმა ყურმილიდან, - თქვენი ქმარი კვირაობით კოჯორში ადის, ვიღაც ქერათმიან ქალთან ერთად...

ნათელამ სასწრაფოდ დაკიდა არარსებული ყურმილი და არარსებულ მძინარე შვილებს /თინიკოსა და შოთოს/ გადახედა:

- თქვენ მოგიკვდათ დედა!

პირველ ეტაპზე ნათელა ხმას არ იღებდა - რაც უნდა ის უქნია, მთავარია ბავშვებს არ მოაკლოს ზრუნვაო, მაგრამ მერე, როდესაც ლალიკომ უთხრა - არიქა, ნათელა, უკვე მთელი ქალაქი ლაპარაკობს შენი ქმრისა და ლეილა სარჩიმელიძის რომანის შესახებო, ნათელამ გადაწყვიტა, რომ სიბრაზისათვის სოციალური სახე მიეცა, - ანუ მოკიდა არარსებულ თინიკოსა და შოთოს ხელი და სარჩიმელიძებს პირდაპირ ბინაზე დაადგა, ტაშკენტის ოთხში. სახლში, ბედად, ლეილას დედა - ქალბატონი ეთერი დაუხვდა, რომელიც საბრალო ბავშვებს ვაშლიანი ნამცხვრით გაუმასპინძლდა. ნათელამაც არ დააყოვნა: ქალბატონო ეთერი, თქვენი ქალიშვილი ამ საწყალ ბავშვებს მამას ართმევსო!

კინაღამ გული შეუღონდა ქალბატონ ეთერს, რომელიც მხოლოდ ნათელას წარმოსახვაში არსებობდა, - ჩემი ლეილა ამას როგორ იზამდაო - და იქვე დაიწყევლა კიდეც თავი, თუკი ეს სიმართლეა, ჩემს სიცოცხლეს აზრი აღარ ჰქონიაო.

ამ დროს, მძინარე და ძილშიც კი განცვიფრებული ადამი ვაშლის ხის ძირში იწვა და უხეიროდ თვლემდა.

თუმცა ნათელამ უცნაურად სწრაფად დაივიწყა ქმრის ღალატი, - ის ცხოვრების ჩვეულ რიტმს დაუბრუნდა და სამოთხის ბაღი საბჭოური წარმოების ნივთებით მორთო: პიანინო *ჩაიკა, ჭრელყდიანი მსოფლიო ლიტერატურის ორასტომეული* /იმხანად წიგნიც ნივთი იყო/, *ლუდოვიკოს სპალნა* /ანუ იგივე საძინებელი/, ფერადი ტელევიზორი *ივერია* და ა.შ.

დრო გადიოდა. თითქმის ერთი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ღმერთმა ადამს ცოლი შეუქმნა, მაგრამ ნათელასათვის ათწლეულებმა განვლეს - არარსებული შვილები დაიზარდნენ და ინსტიტუტებს მიაშურეს, - ნათელამაც მთელი ზაფხული ლექტორების მოქრთამვაში გაატარა. მერე ეროვნული მოძრაობის ჯერი დადგა და ნათელას არარსებულმა ვაჟმა შოთომ - არარსებული მთავრობის სახლის წინ შიმშილობა დაიწყო. ნერვიულობისაგან დაღლილი ნათელა ამაოდ ცდილობდა მომიტინგეთა რიგების გარღვევას, რათა შვილი ფარულად მაინც დაენაყრებინა ხორციანი ღვეზელით. ხოლო საღამოობით ცისფერ ეკრანს უჯდა და ბოროტი მამაკაცის სამკურნალო ბრძანებებს ისმენდა:

- ათამდე დავითვლი და თქვენ დაგეძინებათ.

ერთხელაც აიჩემა ნათელამ - გინდა თუ არა, ბრაზილიურ *ტელესერიალს* უნდა ვუყუროო. და სამოთხის ბინადართ ბანალური სიუჟეტის გათამაშება მოსთხოვა.

ტელესერიალს ერქვა: *სიყვარულისგან გაშმაგებულნი.*

მონაწილეობდნენ: ფორმის სული /ესმერალდა, დონ დიეგოს მოახლე/, დროის სული /დონ დიეგო/, ძრაობის სული /ხოსე ალბერტო ვილერიალი/, რიგითი ანგელოზი /რამონიტა/ და სხვ.

ნათელა ცრემლად იღვრებოდა, სამოთხის ბაღში კი პირველი ბრაზილიური ტელესერიალი თამაშდებოდა:

ხოსე ალბერტო ვილერიალი: ესმერალდა, შენ ჩემი ხარ...

ესმერალდა: ხოსე, ნუთუ ეს ცხადია და არა სიზმარი! ნუთუ დონია ხიმენამ სიმართლე გვითხრა?

ხოსე ალბერტო ვილერიალი: ჩვენი სიყვარულის ნაყოფს თავად მზის უკვდავი სული დალოცავს, ხოლო სერაფიმი ნანინას უმღერებს...

ესმერალდა: დიდება უფალს! მისი სამყარო - სრულყოფილია.

ხოსე ალბერტო ვილერიალი: თქვი, რომ გიყვარვარ...

ესმერალდა: მიყვარხარ...

ხოსე ალბერტო ვილერიალი: გაიმეორე...

ესმერალდა: მიყვარხარ-მეთქი...

მუსიკა. ხანგრძლივი ამბორი. შემდეგ - ტიტრები.

სერია, როგორც ყოველთვის, უდროო დროს წყდებოდა ხოლმე.

უაზრო თამაშით დაქანცული სამოთხის ბინადარნი თავთავიანთ მყუდრო სავანეებს უბრუნდებოდნენ, ხოლო ნათელა ტელევიზორთან იჯდა და ფიქრობდა. ზოგჯერ გონება გაუნათდებოდა და ხვდებოდა, რომ სინამდვილეში არც არაფერი არსებობდა ადამის, სამოთხის და ღმერთის გარდა, თუმცა, რეალობის განცდას კვლავ წამებში კარგავდა ხოლმე. ნათელა არარსებულ მომავალში ცხოვრობდა - აღნიშნავდა ახალ წელს, რვა მარტს, დაბადების დღეებს... ერთხელ, ეკლესიაშიც მოინდომა წასვლა. დაჯდა რვა ნომერ ტროლეიბუსზე, ჩამოვიდა მაშინდელ ლენინის მოედანზე და ლესელიძის ქუჩით სიონის ტაძრისკენ დაეშვა, სინამდვილეში კი სამჯერ დაარტყა წრე არც ისე დიდ სამოთხის ბაღს. მაგრამ უკვე მესამე წრეზე, ანუ სადღაც ამჟამინდელი ერეკლეს ქუჩის კუთხეში - გონება გაუნათდა და

გაგრძელება E14 გვერდზე

გამოქვეყნებული ნახატები

ამბავი ხუთლარიანისა

რამდენიმე ეპიზოდი ანუ სურათი ქართული ფულის უახლესი ისტორიიდან და ზოგიც სხვა რამ

დავით ჯავახიშვილი

ყოველგვარ ციფრებთან, რიცხვებთან, თარიღებთან და ე.ი. მათემატიკასთან და ისტორიასთანაც თავიდანვე ცუდი დამოკიდებულება მქონდა, დროთა განმავლობაში კი სულ უფრო და უფრო მიუარესდებოდა. თვით "დროთა განმავლობას" თუმც მძაფრად, მაგრამ მაინც უფრო ინტუიტიურად ვგრძნობდი და მხოლოდ ცალკეულ ხელოვნურ თუ ბუნებრივ მოვლენათა საშუალებით ვზომავდი და ვადევნებდი თვალს, თორემ საათი, დღე, თვე თუ წელიწადი რიცხობრივად ჩემთვის არც კი არსებობდა, თითქოს ერთიან და ერთადერთ დროში ვცხოვრობდი. ამ ლოგიკით გამოდიოდა, რომ კაცის სიცოცხლე, თუნდაც ასწლიანი, ერთი მთლიანი დღეა და სხვა არაფერი (აქ უნებურად ჩინგიზ აიტმატოვის ცნობილი რომანი გამახსენდა). ამ ლოგიკით ვიცხოვრე დღემდე და აი, ჩემი დაპატარავებული ქვეყნის არასახარბიელო აწმყოსაც მოვესწარი. უზომოდ გაწელილ ამ ე.წ. გარდამავალ პერიოდში პირობითად მაინც ისახება სამომავლოდ დამაიმედებელი რაღაც ნიშნები, როგორიცაა ვითომ-დამოუკიდებლობა, ვითომ-დემოკრატია, ვითომ-საკუთარი ჯარი და სხვა, მათ შორის არის ერთი ისეთიც, რომელსაც წინსართი "ვითომ" არ სჭირდება, ვინაიდან ის მართლაც ნიშანია, პირდაპირი და არა მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობით; ეს გახლავთ ქართული ფულის ნიშანი - ეროვნული ვალუტა, ან, უბრალო ენით რომ ვთქვათ, ქართული ფული. აქ არ შევუდგები იმის რკვევას, თუ რა უმაგრებს ზურგს ამ ქართულ ფულს ან რამდენად ფართეა მისი ბრუნვის არეალი; მხოლოდ ზერელედ, საჭიროების შემთხვევაში თუ შევეხები ამათუიმ სპეციფიკურ ფინანსურ საკითხს; ალბათ შევეხები, რადგან ვაპირებ გავიხსენო რამდენიმე კურიოზი, დაკავშირებული, თუ შეიძლება ასე ითქვას, ქართულ ფულთან ჩემს ცხოვრებაში.

იდეოლოგიური სიყალბით გაჟღენთილ-გაჯერებულ საბჭოთა სინამდვილეში მე, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხის ძირითად მასას, წარმოდგენაც არ მქონდა, თუ რას ნიშნავდა პრაქტიკულად ინფლაცია, ემისია, გრძელ და მოკლევადიანი კრედიტი და სხვ., მაგრამ შემდგომმა ცხოვრებამ, ანუ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ, გარკვეულ დონეზე, თეორიულად მაინც გამანათლა ამ საკითხებში, ხოლო ზოგი მათგანი, კერძოდ - ემისია და ინფლაცია პრაქტიკულადაც მაწვნევინა საკუთარ ტყავზე და ისე გადამატანინა. ვის არ ახსოვს კუპონების პერიოდი, როცა ჩვენშიც ბლომად გავჩნდით "მილიონერები", ჯერ ჩვენ, ლეგალურნი, ასე ვთქვათ, ბრჭყალებში ჩასმული ვითომ-მილიონერები, მერე კი - უკვე ნამდვილნი, ბასრბრჭყალებიანები - ათასგვარი ფინანსური მაქინაციებით ხალხის ხარჯზე გამდიდრებული ვიგინდარები. როგორც იქნა, გავიარეთ ეს კუპონების პერიოდი. მე მაინცდამაინც იმხანად მომიწია მთავარი როლის შესრულება ნოდარ მანაგაძის ფილმში "ნათლიღება", რომლის ეპიზოდთა უმეტესობა ჩემს ბინაში იქნა გადაღებული (რას არ ჩაადენინებს კაცს გაჭირვება!). უზარმაზარი თანხა მერგო ჰონორარისა და ბინის ქირის სახით; ზუსტად, ცხადია, აღარ მახსოვს; თუ არ ვცდები, რამდენიმე ათეული მილიონი იყო და მეგონა ავშენდი-მეთქი; დიდი ნაწილი შემნახველ სალაროში შევიტანე და ისე კარგად შემინახეს, რომ აღარც გამომიტანია; ან რა გამოსატანი იყო: ვიდრე მე და ჩემისთანები რამეში გავერკვეოდით, მთელი ის თანხა ერთი თავი კომბოსტოს ფასად იქცა და ახლაღა ვხუმრობ ხოლმე გახსენებისას, ალბათ ის კომბოსტოც დაამწნილა და ისე შესანსლა "ხალხზე ზრუნვით გათეთრებულმა" ჩვენმა დაღოცვილმა მთავრობამ-მეთქი.

ბოლოს ჩვენამდეც მოაღწია მწვანე ფულმა - დოლარმა და, ბოლოს და ბოლოს, მშობლიურ ქართულ ფულსაც მოვესწარით. ალბათ სჯობდა ამით დამეწყო თხრობა, რად უნდოდა ამსიგრძე შესავალი, მაგრამ, დე მეპატიოს, არ იყო, მგონია, მთლად ზედმეტი და ინტერესმოკლებული.

ჩიჩილაკებით შემოდიოდა ჩვენში კალანდაო, ანა კალანდაძე გამახსენდა აქ რატომღაც და გამთბარ გულში უმალ გამიმთელდა სამშობლოს სიყვარულის გრძნობაში ბოლო დროს გაჩენილი, არც ისე წვრილი ბზარი. შემოდიოდა, შემოდიოდა და, როგორც იქნა, შემოვიდა უცხოეთში დაბეჭდილი ქართული ფული ჩვენში; უჩიჩილაკოდ, ვაი-ვაგლახით, მაგრამ მაინც შემოვიდა; და მიუხედავად იმისა, რომ ეს იყო ფული ანუ ხელის ჭუჭყი და მეტი არაფერი, მაინც სუფთა და ამაღლებული გრძნობები შვა ამ მოვლენამ ჩვენს გულებში - რაღაც სიხარული და, თქვენ წარმოიდგინეთ, რაღაცის იმედიც კი. საკვირველი ამაში არაფერი იყო; ჩემს მეხსიერებაში, აქამდე, თუ არ ვცდები, ორჯერ შეიცვალა საბჭოთა ფული; წლები, რა თქმა უნდა, არ მახსოვს, მაგრამ მახსოვს თვით ფულის ზოგიერთი ნიშანი: ჯერ იყო წითელი სამთუმნიანები ლენინის პროფილით; მერე იყო მოიასამნისფრო ოცდახუთმანეთიანები ისევ ლენინის პროფილით; და მაშინაც კი, ვერ ვიტყვი ძალიან გვიხაროდაო, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ძალიან გვახალისებდა ეს ცვლილებები; და რაღა საკვირველია, თუკი ქართულმა ფულის ნიშნებმა, ულენინოდ და უნამგალ-ჩაქუჩოდ, გაგვახარა და დაგვაიმედა. რატომაც არა?! ბერლინის კედლისა და ბოროტების იმპერიის ნგრევას თუ მოვესწარით, რატომ არ შეიძლება ჩვენი ქვეყნის აშენებასაც რომ მოვესწროთ?! ყველაფერი გარემოებათა თანხვედრაზეა დამოკიდებული. ზოგს რომ ჰგონია, კედელიც და იმპერიაც პიროვნებებმა დაანგრიესო, თანაც ქართველებმაო, ვერ ვეთანხმები; მე მჯერა, რომ აქ ისევ უბრალო დამთხვევებთან გვაქვს საქმე; მოკლედ, როგორც არი და რაც არიო, ასე იტყოდა ჩემი მეგობარი გია შერვაშიძე და მოვეშვათ ამ საკითხს; პიროვნების როლი ისტორიაში სულ სხვა თემაა და ცალკე უნდა ამას გარჩევა-ლაპარაკი. ერთი სიტყვით, შემოვიდა და დატრიალდა ქართული ფული, ლარი და თეთრი, ტკიცინა და ჟღარუნა, და ორივე - მზის ბორჯღალიანი (ზოგს არ მოსწონს, მაგრამ, ნუთუ ლენინს არ სჯობს ან ნამგალსა და უროს?!). ერთ და ორთეთრიანი მონეტები სულ ტყუილად მოჭრეს, ვერ ივარგეს საბაზრო ეკონომიკის ულმობელ პირობებში და წყალში გადაიყარა ალბათ დიდძალი ფული. ვინ იხეირა ამით, ვინ არა, არ ვიცი, ჩვენ კი დავზარალდით; თუმც, მთავრობის სხვა გრანდიოზულ უთაურობათა თუ უსინდისობათა გვერდით ეს წვრილმანი უთაურობა რა სალაპარაკოა?!

დატრიალდა ქართული ფული და ერთხანს გაგვახალისა და თავბრუც კი დაგვახვია თავისი სიახლით, ბრჭყვიალითა და ტრიალით. ხანმოკლე აღმოჩნა გაბრუება და დამთავრდა მწარე გამოფხიზლებით, მაგრამ ამაზე სხვა დროს.

უცხოელთა მიბაძვითა თუ ისტორიული წესის დაცვით, ქართული ფულის ნიშნებზე, მოგეხსენებათ, დიდ მამულიშვილთა პორტრეტები იქნა გამოსახული. მოსაწონია ეს თუ არა, დაბეჯითებით ვერაფერს ვიტყვი; ზოგს მოსწონს, ზოგს არა, და ეს ასეც უნდა იყოს, წავიდა ის დრო, როცა ყველას ერთნაირად "მოგვწონდა" ყველაფერი. მაგალითად, უკრაინულ თუ ბელორუსიულ ფულებზე კურდღლები და ზღარბები, თუ რაღაც სხვა ცხოველებიაო, ამბობენ, დახატული; არ ვიცი, არ მინახავს. ასევე არ მინახავს ქართული ასლარიანი (ან კი სად ვნახავდი ჩემი პენსიის პატრონი), ამბობენ, დავით აღმაშენებელიაო გამოსახული. ზღაპარივით ვიცი ისიც, რომ, თითქოს, ათასლარიანიცაა გამოშვებული და ზედ ვახტანგ გორგასალი ხატიაო; რამდენად სიმართლეა, ვერ ვიტყვი. ორმოცდაათლარიანი, თამარ მეფის გამოსახულებით, სხვის ხელში მინახავს, დანარჩენი კუპიურები კი თავადაც მრგებია და როგორც ყველას, მეც შემიძლია უშეცდომოდ ჩამოვთვალო მათზე გამოსახულ მამულიშვილთა სახელები: ოცლარიანზე - ილია ჭავჭავაძე; ათლარიანზე - აკაკი წერეთელი; ხუთლარიანზე - ივანე ჯავახიშვილი; ორლარიანზე - ზაქარია ფალიაშვილი; ერთლარიანზე - ნიკო ფიროსმანაშვილი, იგივე ნიკალა, იგივე ფიროსმანი, ცხოვრებაშიც ერთ-ერთი ყველაზე დაჩაგრული გენიოსი. ყველაზე სათითაოდ ვერაფერს ვიტყვი ისეთს, რომ სხვამ არ იცოდეს, აი, ხუთლარიანზე კი მცირე ხნით შევჩერდები. საქმე იმაში გახლავთ, რომ ფულის ამ ნიშანზე გამოსახული პიროვნება პაპაჩემია, დედაჩემის მამა, ვის გვარსაც მეტად საპატიო, მაგრამ მძიმე ტვირთად ვატარებ მე, თითქმის, უკვე სამოცდაათი წელი, უფროსიც კი გავხდი ასაკით ამასობაში მასზე.

სიტყვამ მოიტანა და, ერთი უცნაური რამ ხდებოდა და ხდება დღესაც ამ ერთიბეწო საქართველოში: საკმაოდ განათლებულ ხალხსაც კი ერეოდათ და ერევათ ხოლმე ერთმანეთში ივანე და მიხეილ ჯავახიშვილები. დღეს რომ ასე ხდება, ეს სულაც არ მიკვირს, რადგან ინტელექტსა და ერუდიციას რაც ეხება, დღეს საერთოდ აღარაფერი მიკვირს (აი, თამაშობს ვიღაც "ვის უნდა ოციათასში", ოციათასი უნდა, მაგრამ არც ადამ და ევა გაუგია და არც კაკო-ყაჩაღის სახელი იცის, სამაგიეროდ კი, ჟურნალ "სარკეს" წყალობით, ნამდვილად იცის, რომ ვიღაც უცხოელი მომღერალი თურმე უტრუსოდ დადის. ვაი ჩვენს უბედურ საქართველოს "სარკისა" და მისთანების ხელში!). ყოველივე ამის გამო აღარც ის გამკვირვებია, რომ ამ ცოტა ხნის წინ ეს შეცდომა, უკვე სახელმწიფო დონეზეც იქნა დაშვებული და ხუთლარიანზე გამოსახულ პორტრეტს მიეწერა "მიხეილ ჯავახიშვილი". ეს წარწერა იმდენად წვრილი შრიფტითაა შესრულებული, ხმაური რომ არ ამტყდარიყო, ნუმიზმატებისა და კოლექციონერების გარდა, ვერც ვერავინ ვერაფერს გაიგებდა. ფულის ნიშნების ეს პარტია თურმე ჰოლანდიაში დაბეჭდილა, რაც ალბათ, საკმაოდ ძვირი დაჯდებოდა. როგორ გგონიათ, ვის უნდა ეზღო ეს თანხა ამ შეცდომის გამოსასწორებლად? ცხადია, იმას, ვინც ეს შეცდომა დაუშვა, არა? მაგრამ, როგორც პრესიდან შევიტყვეთ, ეს თანხა, ჯარიმის სახით, თურმე ჰოლანდიას დაეკისრა. რას არ გაიგებს კაცი?! ახია ჰოლანდიელებზე: ივანე და მიხეილი ვერ გაურჩევიათ ერთმანეთისაგან და აბა რა ეგონათ!?... აქ, არცთუ უადგილოდ მახსენდება ანეკდოტად ქცეული ფრაზა ერთი საბჭოთა ქართველი ჟურნალისტისა, რომელიც რეიგანს ედგა კრიჭაში და გამუდმებით უმოწყალოდ აკრიტიკებდა: ამერიკის პრეზიდენტს, ეტყობა, დაავიწყდაო ძველი ქართული ანდაზა - "რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო". იგივე ითქმის ალბათ ჰოლანდიელთა გასაოცარ გულუბრყვილობაზეც.

ეს გახლდათ ყველაზე გახმაურებული ეპიზოდი ხუთლარიანის "ბიოგრაფიიდან", სხვა შემთხვევები ნაკლებ მნიშვნელოვანია, მაგრამ სახალისო საკითხავის მასალად, მგონია, მაინც გამოდგება.

ჩემს ნაცნობთა შორის რამდენიმე ადამიანზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ხუთლარიანზე ივანე ჯავახიშვილის პორტრეტის ნახვამ. ჩემი და ხუთლარიანის ურთიერთდამოკიდებულების

ავტორის ფოტო

პოპულარიზაციაში არნახული მონდომება გამოიჩინა ჩემმა ერთმა პლეხანოველმა მეგობარმა, ოპერის სოლისტმა და კომპოზიტორმა შოთა ჩაკვეტაძემ, რომლის შიშითაც, ლამის ქუჩაში ვეღარ გამევლო: შემხვდებოდა თუ არა თავის მომღერალ ძმაკაცებთან ერთად, უეჭველად სათითაოდ გამაცნობდა მათ და ჩემს "ქება-დიდებას" მოყვებოდა, პაპამისი ხუთლარიანზე ხატია და ნახეთ როგორა ჰგავსო. დააძრობდა მერე ხუთლარიანს ყველა, ვისაც კი ჯიბეში აღმოაჩნდებოდა და იწყებოდა ჩემი გარეგნობისა და მსგავსება-არმსგავსების შეფასება. იქამდე არ მომეშვა შოთა, იმდენი "მაქო და მადიდა", ვიდრე ჩემგან მადლობის ნიშნად "ჩემი ნდობით აღჭურვილი ცხვირის" წოდება არ დაიმსახურა; ჩემი არ იყოს, მასაც კარგა დიდი ცხვირი აქვს და ძალიანაც მოუხდა ეს წოდება. შოთას ერთი ქუთაისელი მეგობარი ხუთლარიანის ამბავმა და ჩემმა ვინაობამ მაინცდამაინც არ აღაფრთოვანა, რაც შოთამ პირად შეურაცხყოფად მიიღო და მეგობარს აღშფოთებულმა შეუტია ნახევრად პლეხანოვურად და ნახევრად ქუთაისურად: ბიჯო, შე გოიმო, ამ კაცის ბაბუაა ესე, ამ ფულზე რომ ხატია, ვერ გეიგეო? რა მოხდა მერე, ბაბუაჩემი ქვაზე ხატიაო, მიიღო პასუხად. ეჰ, ჩვენი სევა იყოს ახლა ცოცხალი, ამ ხუთლარიანზე რამდენს იღადავებდაო, სევა ელიავა გაიხსენა შოთამ სინანულით, ჩვენი საერთო მეგობარი, ერთ-ერთი უოხუნჯესი კაცი პლეხანოვზეც და ალბათ მთელ საქართველოშიც (შოთამ და მე მისი ნაკვესებიც კი გამოვეცით პატარა წიგნად). სევას ხსენებამ მხიარული მოგონებების საღერღელი ამიშალა, მაგრამ თავს ვიკავებ, თორემ თუ ავყევი, ძალიან შორს გამიტაცებს და ვეღარ მოვბრუნდები. მარტო ერთ ამბავს გავიხსენებ მაინც და ვეცდები ლაკონიური ვიყო.

ჩემი ბინის ქვემოთ მდებარე ნახევარსარდაფი, რომელშიც ერთ დროს რჩეულიშვილების ოჯახი ცხოვრობდა, ბოლოს მე დამრჩა და როცა შევსახლდი, იმავე დღეს ქუჩიდან სევას ხმამაღალი ძახილი მომესმა, ნიკალა, ნიკალაო. რა ნიკალა - რი ნიკალა-მეთქი, უცბად ვერც მივხვდი; თურმე ფიროსმანს მადარებდა, კიბის ქვეშ შეყუჟულს; მერე გააგრძელა ხუმრობა და დაიქადნა, მემორიალური დაფა უნდა მივაკრაო. ენამ უყივლა სევას: ნიკალასი არა და, გურამ რჩეულიშვილის მემორიალური დაფა კი მალე დაემატა ჩემი სახლის კედლებზე იქამდე უკვე განლაგებულ სამ დაფას (მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის, ივანე ჯავახიშვილის და კიტა აბაშიძის); მერე კი... ოთხივე ერთდროულად გაქრა, მოიპარეს, შეეწირა ე.წ. ეკონომიკურ კრიზისს (რატომ ჰქვია ასე კრიზისს, რომელსაც ეკონომიკასთან ცოტა რამ საერთო აქვს, არ მესმის; უწინარეს ყოვლისა, ეს ხომ სინდისის, ნამუსის, პატიოსნების, ზომიერების, ადამიანურობის ზოგადი კრიზისია და მერეღა უკვე კონკრეტულად ეკონომიკის?!).

დაფებმა გამახსენა: შევდივარ ერთხელ ივანე ჯავახიშვილის ქუჩაზე, ჩემი სახლის ახლოს მდებარე პურის მაღაზიაში; ეს ის დროა, როცა ჯერ კიდევ რუსული ფული ტრიალებს (თუ სულაც კუპონი, აღარ მახსოვს) და თანაც პურის ტალონებია შემოღებული. ვდგები რიგში, რათა საგანგებო ჟურნალში ხელმეორე რეგისტრაცია გავიარო; ჩემს შემდეგ უცნაურად ჩაცმული, გამხდარი ქალბატონი დგას, მეოცნებე ნაღვლიანი ღიმილით სახეზე; ძალიან ჰგავს გიორგი ლეონიძის ფუფალას, სოფიკო ჭიაურელის შესანიშნავი განსახიერებით, თენგიზ აბულაძის ფილმში "ნატვრის ხე"; თვალს მოკრავს ჟურნალში ჩემს გვარს და მთრთოლვარე ხმით ნაზად მეკითხება:

- ბოდიში, თქვენ ჩვენი ქუჩის რელიკვიის მემკვიდრე ხართ?

რა გინდა უპასუხო? დიახ-მეთქი და რიგს ვუთმობ თავაზიანად, მაგრამ თავს იკლავს, როგორ გეკადრებათო, მე თქვენზე წინ როგორ წავალ, არავითარ შემთხვევაშიო.

წამსვე გული ამიჩუყდა, შემეცოდა საბრალო, მაგრამ კიდევ უფრო მეტად შემეცოდა საქართველო, სადაც ქვეყნისა და მისი "რელიკვიების" გულწრფელი სიყვარული და ერთგულება ლამისაა მხოლოდ ფუფალასნაირთღა შერჩენიათ...

შემდეგი ეპიზოდი ამავე პურის მაღაზიაში "გათამაშდა". პურს აქ ორი გამყიდველი ყიდის მორიგეობით: ერთ დღეს - ონიკა - შავგვრემანი, დიდცხვირა, სათვალიანი კაცი, ალბათ სამოც წელს მიღწეული; მეორე დღეს - ომარი - ახალგაზრდა, მუდამ ხალისიანი და მხიარული. ამ ონიკამ კარგა ხანია რატომღაც ამითვალწუნა, თვალში არ მოუვედი თუ რა იყო, არ ვიცი, ჰოდა, სულ მეჩხუბება: ხან ხურდას დამაკლებს და თუ მოვთხოვ - ამაზე; ხან პურს უდიერად დამიგდებს ხოლმე დახლზე - ეს პროვოკაციაა, იცის არ შევარჩენ და აუცილებლად ვეტყვი: პურს ეცი პატივი-მეთქი, თორემ მე შენი პატივისცემა ისე მჭირდება, როგორც კატას აჯიკა-მეთქი... მოკლედ, მტრები ვართ, რა.

ერთხელაც, შევდივარ და ვხედავ, ონიკა ვიღაც თავის ნაცნობს ესაუბრება. წინასწარ ვიცი, დიდხანს არ მომაქცევს განგებ ყურადღებას, ვიდრე მოთმინება არ გამომელევა... მაგრამ არა, ონიკა წამსვე წყვეტს საუბარს ნაცნობთან და მზადაა ჩემი მომსახურებისთვის... ჰოი, საოცრებავ! რა ხდება? დაეჭვებული ვუწვდი ხუთლარიანს, სხვა ფული არა მაქვს; წესით, ამაზეც უნდა მეჩხუბოს, ხურდა სადა მაქვსო, მაგრამ არ მეჩხუბება, ორი თითით სათუთად მართმევს ხუთლარიანს, სწრაფად მიბრუნებს ხურდას და მთხოვს დავითვალო, ხომ არ დაგაკელიო უცაბედად. ვახ! ეს რას მოვესწარი? ახლა, არ იკითხავთ პურს როგორ მაწვდის? მოწიწებით, ფრთხილად, როგორც ჩინური ფაიფურის უძვირფასეს ლარნაკს; უცებ, უკანვე მიაქვს, მაიცა, ეს არ ვარგა, გამოგიცვლი, უკეთესს მოგცემო... კიდევ ერთხელ ვახ! გულში ვფიქრობ, ხალხნო, რა ხდება-მეთქი და ვერაფერი გამიგია. დაბნეული ვუხდი მადლობას ონიკას, სპასიბა-მეთქი, ნე ზა ჩტოო, მიპასუხებს და ისევ თავის ნაცნობს მიუბრუნდება; და ვიდრე მაღაზიიდან გავალ, მესმის, ეუბნება:

- ეტა ეგო დედ, ელი! კაკ პახოჟ, პრავდა?!

აი, თურმე რაში ყოფილა საქმე: ხუთლარიანის ამბავს უკვე ონიკას ყურამდეც მოუღწევია და აი, გაჭრა, მაგრამ რა გაჭრა! ონიკა სულ თაფლად იქცა, მეც სიამოვნებით ავყევი და ლამის, მართლაც ჰაოს-ქართლოსივით დავძმაკაცდით, მას შემდეგ ერთხელაც კი არ გვიჩხუბია.

ხუთლარიანის ამბავი ამ მაღაზიაში ამით არ დამთავრებულა. ერთ დღესაც, მეორე გამყიდველის - ომარის მორიგეობისას, შევდივარ და ვხედავ, ისიც ვიღაც თავის ნაცნობს ესაუბრება; ჩემს დანახვაზე ეუბნება, აი, ეს არისო; მერე მე მომმართავს, ერთლარიანს მაჩვენებს და თავისი ნაცნობის გასაგონად მეკითხება:

- ეს ხომ თქვენი ბაბუაა? აი, ამას არა სჯერა! - და თავის ნაცნობზე მითითებს.

რა ვუპასუხო, ტყუილს ხომ არ ვეტყვი?! არა-მეთქი, ეს ფიროსმანია; მერე დავაყოლე, ფიროსმანს შვილები არა ჰყოლია-მეთქი. ვერაფერს მიხვდა, საქციელწამხდარი იდგა და ალბათ გულში ონიკას აგინებდა, რად მომატყუეო.

ამ ეპიზოდით ხუთლარიანის ამბავი დამთავრდა, მაგრამ მოსაყოლი დამრჩა კიდევ ერთი პატარა შემთხვევა, ოღონდ ამჯერად ჩემი ქუჩის ისტორიიდან. უფრო ადრე არ ვიცი, მაგრამ ცარიზმის დროს თურმე "ნიკოლავსკაია" რქმევია; გასაბჭოების მერე წვერცანცარა კალინინის სახელი უწოდებიათ, ბოლოს კი, ჯერ კიდევ 9 აპრილამდე, ივანე ჯავახიშვილის ქუჩა დაერქვა და ჯერჯერობით დღესაც ასე ჰქვია. ადრე ამ ქუჩაზე ტრამვაი დადიოდა, მერე ეს ხაზი გაუქმდა და რელსებიღა დარჩა; ქუჩა გაპარტახდა, დაინგრა, დაითხარა და თუ ტრანსპორტისთვის სრულიად გაუვალი გახდა, ფეხით მოსიარულეთათვის საერთოდ კისრისსატეხ პოლიგონად იქცა. კარგა ხანს იყო ასე ღვთისანაბარა მიტოვებული და, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქუჩაზე ორი ეკლესია დგას - ერთი რუსული, ალექსანდრე ნეველისა, და მეორეც, ჩემი სახლის პირდაპირ, კათოლიკური, - ქუჩის საშველი მაინც არსაიდან ჩანდა, არც ციდან და არც მერიიდან. ერთ მშვენიერ დღეს ხმა გავარდა, რომის პაპი ჩამოდის საქართველოშიო, იოანე-პავლე მეორე. იცოცხლეთ, დაფაცურდა ქალაქის მთავრობა მთელი თავისი ნაკოწუნისტარი შემადგენლობით; უმოკლეს ხანში ჩემს ქუჩას ვეღარ იცნობდით. პაპმა მართლაც მოინახულა საქართველოც, თბილისიც და ჩემი სახლის პირდაპირ მდგარი კათოლიკური ეკლესიაც, და ძალიან კმაყოფილი დაბრუნდა თავის ვატიკანში; და როცა ამის მერე ვინმე მეტყვის ხოლმე (და ეს ხშირად ხდება), რა კარგად გაუკეთებიათ შენი ქუჩა პაპაშენის ხათრითო, გუნებაში მეღიმება ხოლმე და ვუპასუხებ: პაპაჩემის კი არა და პაპიჩემის-მეთქი. ცოტა ვინმე თუ ხვდება, სადაა მარილი ამ ჩემს კალამბურში.

საბოლოოდ, კი ის შეიძლება ითქვას, რომ ჩემს ქუჩას მერიამ კი არა, მაინც ღმერთმა უშველა თავისი ერთ-ერთი ემისარის ვიზიტის სახით.

თარგმანი

მესაიდუმლენი

პოლ ბეილი - დაიბადა 1937 წელს. რვა წლის განმავლობაში მუშაობდა პროფესიონალ მსახიობად, ასევე ჟურნალისტად, კითხულობდა ლექციებს უნივერსიტეტში. მიღებული აქვს ფორსტერისა და სომერსეტ მოემის ჯილდოები. მისი პირველი რომანი "იერუსალიმში" 1967 წელს გამოქვეყნდა. პოლ ბეილის კალამს ეკუთვნის აგრეთვე "ჭკუისკოლოფა პიტერის აღსარება" (1977) და "გაბრიელის წუხილი" (1986).

ჰოლ ბეილი

როცა ბენჯის თვითმკვლელობის ამბავი შემატყობინეს, პირველი სიტყვა, რაც თავში მომივიდა, "ხმაურიანი" გახლდათ. უცნაურია, არა? ხმაურიანი თვითმკვლელობა კარგად არ ჟღერს. იმას ვგულისხმობ, რომ ვერ იტყვით, ვიღაცამ ეს ხმაურით ჩაიდინაო, მაგრამ ბენჯის შემთხვევაში ეს ნამდვილად ასე იყო. ის ამქვეყნად ყველაზე წყნარი კაცი იყო და ვერც კი წარმოიდგენდით, ასეთი პიროვნება სიცოცხლეს ამგვარი თეატრალურობითა და, როგორც აღვნიშნე, ხმაურით თუ დაასრულებდა. ახლა ეს ამბავი უკვე ისტორიას ჩაბარდა, ისეთ ისტორიას, მხოლოდ რამდენიმე კაცს რომ ააღელვებს. თუმცა უნდა ვაღიარო, ბენჯის ამგვარი აღსასრულით დღემდე გაოცებული ვარ. თვრამეტი წლის უკან, ივნისის ერთ ცხელ დილით, რომელიც ძალიან გავდა დღევანდელ დილას, ბენჯის ქალიშვილმა - ვაილმა მამამისი სამზარეულოში იპოვა ჩამომხრჩვალი. თოკი ჭერში დაჭედებულ იმ კაუჭზე დაემაგრებინა, თავისი საყვარელი სპილენძის მათლაფა რომ ეკიდა ხოლმე. მარილისა და ლიმონის წვენის წყალობით ამ მათლაფას მუდამ კრიალი გაჰქონდა. ბენჯი ბუნებით კოპწია გახლდათ.

ვაილს წარმოდგენაც არ ჰქონდა, თუ სად იყო იმ დილით დედამისი, ამიტომ მის ნაცვლად მე გადმომირეკა - მამის საუკეთესო მეგობარს.

"ძია ჯო, მამიკო წავიდა და უცნაური რამ ჩაიდინა" - დაიწყო გოგონამ.

"რას ჰქვია უცნაური, ვაილ? აბა, ყურადღებით გისმენ!"

"თავი ჩამოიხრჩო."

"არა, რაღაც გეშლება. თავი ჩამოიხრჩო? ბენჯიმ?"

"ჰო, ძია ჯო, ასეა."

მახსოვს არ დავუჯერე და გამეცინა.

"ეს სიმართლეა, ძია ჯო."

"კი, მაგრამ ბენჯის არ შეეძლო, ვერ ჩაიდენდა ამას ასეთი ხმაურით!"

უამრავი სიტყვა არსებობს, მაგრამ რატომღაც გადავწყვიტე - "ხმაურიანი" უფრო შესაბამისი იყო. ვფიქრობ ზუსტად გავართყი.

"უნდა ჩამოვხსნათ" - განაგრძო ვაილმა, "შეგიძლიათ მოსვლა, ძია ჯო? მე და სები ამას ვერ შევძლებთ."

სახელის მიუხედავად, ვაილი სულაც არ არის საძაგელი. ის ისეთია, როგორიც არის - ჩემი აზრით, მომხიბვლელი. თუ მას ნამდვილ სახელს - ვიოლას დაუძახებთ, ალბათ არც კი გიპასუხებთ. სები ანუ სებასტიანი მისი ტყუპი ძმაა. ვიოლასა და სებასტიანის დარქმევა კლაუდიას პატარა ახირება გახლდათ, ბენჯი აქ არაფერ შუაშია. ვაილი გოგონას სკოლაში შეარქვეს და არ ვიცი რატომ, მაგრამ დღემდე ასე მიმართავენ.

ბენჯისა და კლაუდიას სახლისკენ გავემართე, თან წინასწარ ვჭვრეტდი რა სიტუაციაც დამხვდებოდა: ოხვრა და ვაი-ვაში, ცრემლების ღვრა და ერთი ამბავი. თავის ხელში აყვანა გადავწყვიტე, რადგან აქეთ უნდა მენუგეშებინა ჭირისუფალი. არც კი ვიცოდი რა მეფიქრა, იქნებ ტყუპებმა გამაშაყირეს და ეს საზიზღარი ტყუილი მოიგონეს? თხუთმეტი წლის ბავშვისგან გამორიცხული არ იყო - ვაილი და სები ზუსტად ამ ხნისანი იყვნენ. მაგრამ არა, ამას არ ჩაიდენდნენ. გიჟდებიან თავიანთ წყნარ, მოსიყვარულე მამაზე და იმედია ძია ჯოც უყვართ, პატივს სცემენ. ამის ჩადენა არ შეეძლოთ, ამგვარ სიგიჟეზე არ წავიდოდნენ.

როცა კარის ზღურბლთან შევჩერდი და დაკაკუნება დავაპირე, ერთხანს გავიფიქრე, ნეტავ ეს ყველაფერი მართლა ხუმრობა იყოს-მეთქი, თუნდაც ასეთი სასტიკი. "კარგად მოვცხებ ორივეს და ამ სისულელესაც ბოლოს მოვუღებ" - ჩემთვის ჩავიბურტყუნე.

კარი სებმა გამიღო. "მამიკო სამზარეულოშია, ძია ჯო!" - პირდაპირ მომახალა.

"საჭმელს ამზადებს?" -

გაგრძელება E10 გვერდზე

ეშ გვერდიდან

ვკითხე ბიჭს, რომელსაც აუღელვებლობა ეტყობოდა და მეც თითქოს დავრწმუნდი, რომ ეს მართლა ხუმრობა იყო.

"არა, რას ამბობ! ჩემს გამხიარულებას ცდილობ თუ რა?"

"არა, სებ. უბრალოდ ვერ ვიჯერებ" - დავაპირე მეთქვა, რომ უცებ ჭერზე ჩამოკიდული ბენჯი შევნიშნე.

"ახლა რაღას იტყვი, ძია ჯო, ხომ გჯერა უკვე?"

ჩემი თვალით ვნახე და ვირწმუნე. მერე მოვიბოდიშე და საბაზანოში შევქანდი - გული ამერია.

ტყუპებს ჯერ პოლიციაში დარეკვა სდომებიათ, მაგრამ შემდეგ გადაუწყვეტიათ, ეს "ბინძური საქმე" ჩემთვის მოენდოთ.

"მამიკოს არ ჩამოხსნი, ძია ჯო?"

"არა, ვაილ. ეს მათი საქმეა. მოდი წავიდეთ და სანამ მოვლენ, სხვა ოთახში დავიცადოთ."

გოგონამ მიპასუხა, რომ ერჩივნა ისევ იქ დარჩენილიყო და სებთან ერთად მამისთვის ეყარაულა. "შეიძლება თოკი ჩამოწყდეს" - ამიხსნა მან.

ასე რომ, სამზარეულოში დავრჩით. მე ზურგით დავდექი, რათა გარდაცვლილი მეგობრის ცხედარი არ დამენახა. ტყუპებიც იქვე ატუზულიყვნენ: "სეირს" უცრემლო თვალებით, წყნარად უყურებდნენ.

მოგვიანებით, როცა ბენჯი მორგში გადაიყვანეს და ბავშვებმაც მამის გონებრივი მდგომარეობის შესახებ რამდენიმე სულელურ კითხვას უპასუხეს, მათ სადმე გასეირნება და გართობა შევთავაზე.

"სად წაგვიყვან, ძია ჯო?"

"სადაც მოისურვებ, ვაილ!"

"მოდი სიურპრიზი მოგვიწყვე!"

ეს გამოწვევა მივიღე. ვუთხარი გამოსასვლელი ტანსაცმელი ჩაეცვათ და შევპირდი, რომ მთელ ღამეს მხიარულად გავატარებინებდი.

რა სიგიჟე ჩავიფიქრე? დარწმუნებით ვერ გეტყოდით, მაგრამ ეს თითქოს ხუმრობის ნაწილი იყო. გიჟური ხასიათით ისედაც ცნობილი ვარ: ამაღელვებელი განწყობიდან შეიძლება საშინელ გუნებაზე დავდგე და პირიქით, მაგრამ ვაილთან და სებთან ივნისის იმ საღამოს რომ გავიგიჟე თავი, ასეთი რამ ცხოვრებაში არ დამმართვია. სანამ რამეს მოვიმოქმედებდი, ვგრძნობდი რა საშინელებასაც ჩავდიოდი.

მახსოვს, ყველაფერი პიმლიკოში მდებარე ჩემი უბრალო სახლიდან დაიწყო, სადაც მხოლოდ საჭირო ავეჯი მედგა - საწოლი, მაგიდა და ორი სკამი, ერთი გარდერობი და მაცივარი, რომელშიც ყოველთვის ვინახავდი შამპანურის ბოთლს.

გიორგი ჩუბინიშვილის ნახატი

"ჩვენი დათრობა ხომ არ გინდა, ძია ჯო?"

"მგონი კი, ვაილ. ნელ-ნელა დაგათრობთ."

"რატომ?"

"რატომაც არა?"

"მამიკოს გამო ვზეიმობთ?"

"დიახ, მამიკოს გამო ვზეიმობთ!"

(სწორედ მაშინ შევუყვარდი თურმე ვაილს. ამაში მერე გამომიტყდა. რომ მეპასუხა - "არა ვაილ, მამიკოს გამო არ ვზეიმობთ", ალბათ ტუტუცად ჩამთვლიდა. ამ გულწრფელი პასუხისთვის კი, ძია ჯოდ უკვე აღარ მთვლიდა. შვიდი წლის შემდეგ აღიარა, რომ იმ დღიდან მისი "ოცნების მამაკაცად" ვიქეცი. ამ კლიშეს გამო მოგვიანებით ბევრს იცინოდა. ასე რომ, ჩემს ამჟამინდელ ბედნიერებას ოთხ სპონტანურად წამოცდენილ სიტყვას უნდა ვუმადლოდე: "დიახ, მამიკოს გამო ვზეიმობთ!").

"კარგი მიზეზია, არა სებ?"

სებმა თავი დამიკრა და ჭიქა გამოსცალა, რომელიც ისევ შესავსებად გამომიწოდა. "ახლა კი ჩემს საყვარელ რესტორანში წაგიყვანთ" - ვუთხარი და აღარ დავამატე, რომ ეს ბენჯის საყვარელი რესტორანიც იყო.

რესტორანს, რომელსაც "პანდორას ყუთი" ერქვა, უკანა მხარეს ბაღი ჰქონდა გაშენებული. იქ ისეთი იშვიათი ჯიშის ხეები ჩაერგოთ, რომ მათ მსგავსს ლონდონში ვერსად იპოვიდით. ამ მხრივ პატრონებს ნამდვილად შეეძლოთ ტრაბახი. ბენჯის სიკვდილის დღეს სწორედ ამ რესტორანში ვისადილეთ.

ოფიციანტმა მშვენივრად იცოდა "ბატონი ჯოზეფი" რასაც სვამს ხოლმე და ამიტომ, ჩვენი დაჯდომა და სასმელის დასხმა ერთი იყო.

ვაილი ხითხითებდა. "სასაცილოა, მართლა ძალიან სასაცილოა!"

"გეთანხმები" - თქვა სებმაც.

"ნეტავ როდემდე გაგრძელდება ასე? როდის მოხდება ის, რასაც ამდენი ხანი ველოდი და წინდაწინ ვვარაუდობდი? კიდევ რამდენ ხანს მომიწევს სიმართლის დამალვა?" - ჩემთვის ვფიქრობდი.

"ძია ჯო, იცი, ამ დილით მოგატყუეთ!"

"მომატყუეთ, სებ?"

"ჰო, როცა ჩვენ, უფრო სწორად ვილმა გითხრათ, რომ არ ვიცოდით დედა სად იმყოფებოდა. ძალიან კარგადაც ვიცოდით. შეგვეძლო მისთვის დაგვერეკა, მაგრამ არ დავურეკეთ."

"გამოდის, რომ მესაიდუმლენი ვართ. მეც ვიცოდი სად იყო და არ დავურეკე. სასტიკად მოვიქეცით, არა?"

"ჰო, საშინლად, უფრო სწორედ ბოროტად. სებ, რატომ ახსენე დედა? მოდი უბრალოდ სასაცილოები ვიყოთ."

"მაპატიე ვაილ. ბოდიშს გიხდი."

"და მოდით ექსტრავაგანტულებიც ვიყოთ" - დავამატე. "ახლა კი ჩვენთვის პურ-მარილს შევუკვეთავ."

ვიქეიფეთ. ექსტრავაგანტულად ვიქეიფეთ. ჩვენი მენიუ ასეთი გახლდათ: ბაყაყის ბარკლები, ბატის ღვიძლი, თევზის წვნიანი, მწყერი, საქონლის ხორცის ფილე და როქფორის ყველი. სასმელებიდან კი: ატმის კომპოტი, სანსერი, მარგო და ბოლოს შამპანური. მთელი ამ ხანგრძლივი სადილობისას სულ ჩემი ცხოვრების უაზრობასა და მოწყენილობაზე ვლაპარაკობდი. ბავშვებს ვუამბობდი, თუ როგორი წყნარი და კეთილი იყო ბენჯი, როგორი ზომიერი ხასიათი ჰქონდა ჩემთან შედარებით, რომ მხოლოდ ორმოცდაორი წლისაა, უკვე მსოფლიოში ცნობილი მუსიკათმცოდნე იყო, ასევე როგორი შესანიშნავი მზარეული და რა ფაქიზი, დახვეწილი გემოვნების პატრონი გახლდათ. ვიყბედე ჩემს რომანტიკულ, თუ შეიძლება ასე ეწოდოს, საგმირო საქმეებზეც. რა უცებ შემეძლო გოგონას შეყვარება და გადაყვარება. როგორ უცებ მატყვევებდნენ მათი მბრწყინავი თვალები და მომაჯადოვებელი ღიმილი. სერიოზულ გოგოებს კი ვერ ვიტანდი, რადგან ბავშვობაში ფიცი დავდე, სერიოზულობას თანაბარ პირობებში არასდროს დავპირისპირებოდი. ასე ვლაქლაქებდი, სანამ დღე არ ამოიწურა. მერე კი მახსოვს, მთლად გადავირიე, რაც ბენჯის ხმაურიანი სიკვდილით იყო გამოწვეული. ამ სიგიჟეს მანამ ვერ ვაცნობიერებდი, სანამ ჩვენში სიჩუმემ არ დაისადგურა. როგორც უკვე ვახსენე, გიჟური საქციელით ცნობილი ვარ, მაგრამ სახელი უფრო მაშინ გამიტყდა, როცა ჩემი ძვირფასი (ამაში უკვე ეჭვი მეპარება) მეგობრის შვილები იმ საღამოს "პანდორას ყუთში" წავიყვანე. მეგობრისა, რომელიც ცოლმა მიატოვა ვიღაც ჩემნაირი უვარგისის გამო (რა უცნაური სიტყვაა!). ისიც უნდა დავამატო, რომ ის ბიჭი ჩემზე გაცილებით ახალგაზრდა და ტყუპებზე ოდნავ უფროსი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ გადარეულივით ვიქცეოდი, კლაუდიასა და მის საყვარელ ჰენრიზე სიტყვაც არ დამცდენია. ეს ტაბუდადებული თემა გახლავთ.

გვარიანად შეზარხოშებულებმა ტემზის სანაპიროზე ცეკვა-სიმღერაც არ დავიკელით. უკვე თენდებოდა, ერთმანეთს პირზე კოცნით "ძილი ნებისა" რომ ვუსურვეთ.

კლაუდიამ ბენჯის სიკვდილის ამბავი მეორე დღეს შეიტყო, როცა გაზეთ "ტაიმს"-ში მის ნეკროლოგს წააწყდა.

"რატომ არაფერი მითხრეს ბავშვებმა, ჯო? ან შენ რატომ არ დამირეკე?"

"მაინც დაკავებული იყავი და..." - ვუპასუხე. ამას ის კაცი ამბობდა, რომელიც სხვის ცოლებთან კოტრიალის მეტს არაფერს აკეთებდა.

"რით გარდაიცვალა? "ტაიმს"-ში არ იყო მინიშნებული."

"გულის შეტევით, კლაუდია."

ქალმა ყურმილი დაკიდა.

მე კი ისევ მესაიდუმლე აღმოვჩნდი.

ბენჯის სურვილის თანახმად, სამოქალაქო დასაფლავება ლონდონის დასავლეთ ნაწილში, კრემატორიუმში ჩატარდა. მე მარკუს ავრელიუსის თხზულებიდან ციტატები წავიკითხე. ცერემონიალზე არავითარი ჰიმნი არ გაჟღერებულა, უბრალოდ, ელენ გერჰარტის სიმღერა დაუკრეს, რომელსაც "სამგლოვიარო მუსიკა" ერქვა და ერთ დანჯღრეულ ფირფიტაზე იყო ჩაწერილი.

ტყუპები დედისგან მოშორებით, ერთად ისხდნენ. როცა კუბო გაიტანეს, კლაუდია წამოდგა და სამრეკლო სწრაფად დატოვა. მისი ამგვარი უცაბედი გაუჩინარებისთვის კომენტარი არავის გაუკეთებია.

მალე საზღვარგარეთ, იტალიაში გავემგზავრე, სადაც ბოლო ქარაფშუტული გატაცება მქონდა. გატაცების ობიექტი კი, არც მეტი, არც ნაკლები, თავად ღმერთი გახლდათ, რომელსაც ახსნა-განმარტება შევთხოვე ბენჯის ხმაურიანი თვითმკვლელობის გამო. ამ პატარა საკითხში ერთმანეთს ვერ შევუთანხმდით და ფლორენცია, კაპელა ბრანკაჩი მაშინვე დავტოვე. ასეთი რამ ხომ, არც ისე იშვიათად ხდება ხოლმე.

ლონდონში ჩემი დაბრუნება ვაილისგან მიღებულმა მოულოდნელმა წერილმა განაპირობა. მატყობინებდა, რომ ჩემი ნახვა კვლავ სიგიჟემდე ეწადა, რათა თავისი ოცნებების სისწორეში დარწმუნებულიყო. მისმა შეტყობინებამ ჩემზე არ იმოქმედა, თუმცა გამოძახებას დავმორჩილდი.

"მე შენი ჭაღარა თმა მიყვარს" - ამ სიტყვებით მომეგება.

იმ დღეს, რომელიც სამუდამოდ ნათელ დღედ აღიბეჭდა ჩემს ცხოვრებაში, შევიტყვე, რომ ბენჯის სიკვდილის შემდეგ ვაილი და მისი ძმა დღეებს სიჩუმესა და მოწყენილობაში ატარებდნენ. ამით კლაუდიასთვის გულის მოკვლას ცდილობდნენ - მისი არსებობა ბავშვებისთვის უკვე აუტანელი გამხდარიყო. "იცი ჯო, ის უფრო მკვდარია, ვიდრე მამა" - გამომიტყდა ვაილი.

თერთმეტი წლის შემდეგ დაქორწინება გადავწყვიტეთ, რათა ჩვენი ნეტარება ოფიციალურად დაგვემოწმებინა.

ქორწილი წყნარ ატმოსფეროში შედგა - სარეგისტრაციო ოფისში. ამის გამო სები აფრიკიდან ჩამოფრინდა. წვეულება რესტორანში გადავიხადეთ, რომელიც "პანდორას ყუთის" ნაცვლად გაეხსნათ. ამჯერად მას ეგზოტიკური ხეები აღარ ამშვენებდა და არც საჭმელი აღმოჩნდა გემრიელი, თუმცა ამის საკომპენსაციოდ ბევრი შამპანური დავლიეთ. ბენჯის შესანდობარიც ვთქვით, ვინც ჯერ მწუხარება, შემდეგ კი სიხარული მოგვიტანა. ბოლოს სებმა დასძინა: "აქ თავს უცხოდ ვგრძნობ, ვერ ვიტან ასეთ კმაყოფილ ხალხს"-ო. წამოდგა, გვაკოცა და დააყოლა - "შენგან განსხვავებით, მამას სხვა რამით ვგავარ ვაილ. ისევ შიმშილსა და სიკვდილს უნდა დავუბრუნდე. შევცდი, ტელეგრამა უნდა გამომეგზავნა და იქ დავრჩენილიყავი, სადაც ვიყავი. გაგიკვირდება, მაგრამ იქ უფრო ბედნიერი ვარ."

და დედამისივით სწრაფი ნაბიჯებით გაემართა.

მის ამბავს ხშირად ვგებულობთ ხოლმე. ჩვენც ყველაფერს ვუყვებით, თან ვცდილობთ ბედით კმაყოფილი და ნასიამოვნები არ ვჩანდეთ.

ინგლისურიდან თარგმნა
ნანა პირველმა

ედგარ პოს უდიდესი საიდუმლო

კიმ ჰანი





დენის გაბუელის ნახატი

ჩვეულებრივი მკითხველისთვის ეს მხოლოდ ასოების დომხალია და სხვა არაფერი - უთავბოლო მწკრივები მთავრული და ნუსხური ასოებისა, რომელთაგან ზოგი სარკისებურადაა გადმოტრიალებული, ზოგი კი სულაც თავდაყირა არის დაყენებული. მაგრამ თავსატეხთა ენთუზიასტებისთვის და იდუმალ შიფრთა ამომცნობებისთვის ნიშანთა ეს უაზრო მწკრივი სხვა არაფერია, თუ არა უდიდესი გამოცანა, რომლის პასუხი 159 წლის განმავლობაში ვერ იქნა ნაპოვნი.

1841 წელს ედგარ ალან პომ ჟურნალ Graham's Magazine შესთავაზა ორი კრიპტოგრამა, რომელთა გაშიფვრა კრიპტოგრაფიული ხელოვნების ფანატიკოსთათვის წმიდა გრაალის ძიებას დაემსგავსა. მეორე მხრივ, პოს ხელოვნების თაყვანისმცემლებს სულ უფრო უძლიერდებოდათ რწმენა, რომ შიფრის ცხრაკლიტულს მიღმა დაფარული იყო იდუმალებით მოცული ანდერძი, რომელსაც მათ "ყორნის" ავტორი სამარიდან უგზავნიდა.

და აი, ერთმა ტორონტოელმა პროგრამისტმა, როგორც იქნა, გასაღები მოარგო საბედისწერო გამოცანას, რითაც, სხვათა შორის, დიდად გაუცრუა იმედი დეტექტივების მოყვარულებს, რომლებმაც უკვე მრავალი წელია თავი დაირწმუნეს - მინიშნება არარსებულ შიფრზე მხოლოდ დახვეწილი მისტიფიკაციააო.

თავდაპირველად საჭიროა აღინიშნოს, რომ როდესაც პომ ჟურნალის რედაქციას კრიპტოგრამები გაუგზავნა, მათი ავტორობა მიაწერა ვინმე უ.ბ. ტაილერს - "ჯენტლმენს, ვისი ტალანტები უღრმეს პატივისცემას იმსახურებს". 1985 წელს დარტმუნტის უნივერსიტეტის ინგლისური სიტყვიერების პროფესორმა ლუის რენზამ გამოთქვა ვარაუდი: უ.ბ. ტაილერი სხვა არავინ არის, თუ არა თავად ედგარ პო და კრიპტოგრამების გაშიფვრით ჩვენ ამერიკული ლიტერატურის კლასიკოსის ანდერძს წავიკითხავთო.

თუმცა პროფესორის მტკიცებულებებს არაპირდაპირი ხასიათი ჰქონდა, ისინი მაინც სავსებით დამაჯერებლად გამოიყურებოდა, რამდენადაც ანაგრამებს და სხვადასხვაგვარ კოდებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პოს შემოქმედებაში. მწერალმა რამდენიმე სტატია მიუძღვნა კრიპტოგრაფიას, ხოლო მისი ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული მოთხრობა "ოქროს ხოჭო" თავიდან ბოლომდე შიფრის ამოცნობის სიუჟეტურ ღერძზეა აგებული. გარდა ამისა, იმ ქალაქების ძველ სარეგისტრაციო წიგნებში, სადაც სხვადასხვა დროს ცხოვრობდა ან იმყოფებოდა მწერალი (ბოსტონი, ნიუ-იორკი, ვაშინგტონი, რიჩმონდი, ფილადელფია და ბალტიმორი), უ.ბ. ტაილერის კვალი არ მოიძებნა.

დაახლოებით ამავე პერიოდში დიდი მწერლის ანდერძის გაშიფვრის პატივმოყვარე ოცნებამ შეიპყრო იელის უნივერსიტეტის სტუდენტი-ლიტერატურათმცოდნე შონ როზენჰაიმი, ოღონდ პირველ პასუხს მან კი არა, სხვა ამერიკელმა ფილოლოგმა, ტერენც უოლენმა მიაგნო: ორი იდუმალებით მოცული კრიპტოგრამიდან მან ერთ-ერთი ამოიკითხა. ეს აღმოჩნდა საპუნქტუაციო ნიშნების მეშვეობით დაშიფრული ლექსური ფრაგმენტი, რომელშიც საუბარი იყო რაღაც "უკვდავ სიჭაბუკეზე, სტიქიონთა ომის, მატერიის განადგურებისა და სამყაროთა ნგრევის ჟამს რომ არ იმუსრება". უოლენი ფიქრობდა, პო უსათუოდ საკუთარ ლექსს დაშიფრავდაო, მაგრამ მალე გაირკვა, რომ ეს ყოფილა ნაწყვეტი ინგლისელი დრამატურგის, ჯოზეფ ედისონის 1713 წელს დაწერილი პიესისა. ოღონდ როზენჰაიმს (შემდგომში მან დაწერა წიგნი "კრიპტოგრაფიული წარმოსახვა: საიდუმლო დამწერლობის ისტორია ედგარ პოდან ჩვენს დღეებამდე" და სადოქტორო დისერტაციაც დაიცვა ამ თემაზე) ვერაფერმა შეურყია ჯიუტი რწმენა, რომ შიფრის ავტორი თავად პო იყო.

"ედგარ პო კრიპტოგრაფიისა და დაშიფრული წერილების შედგენის ჟინით იყო ატანილი, - მოგვითხრობს ამჟამად უკვე გაპროფესორებული როზენჰაიმი, - ჩემს შრომაში ასამდე გვერდი მივუძღვენი იმის მტკიცებას, რომ სწორედ ის არის შიფრის ავტორი. თავიდან ვცდილობდი, კრიპტოგრამა თვითონ გამეშიფრა, მაგრამ სულ მალე მივხვდი, რომ ვერაფერს გავხდებოდი - იგი ჩემთვის მეტისმეტად კერკეტი კაკალი აღმოჩნდა". მაშინ როზენჰაიმმა დახმარება "კრიპტოგრაფიული ჟურნალის" რედაქციას და ერთ-ერთი კომპანიის პროფესიონალ კრიპტოგრაფებს სთხოვა, მაგრამ ამ თავსატეხზე ყველამ უშედეგოდ წაიმტვრია კბილი - კრიპტოგრამის ცხრაკლიტულს გასაღები ვერავინ მოარგო.

მიუხედავად ამისა, როზენჰაიმი ფარ-ხმალს არ ყრიდა. 1998 წლის 25 თებერვალს თავისი უნივერსიტეტის მხარდაჭერით მან კონკურსი გამოაცხადა. ინტერნეტში გახსნეს სპეციალური საიტი, სადაც კონკურსის პირობები იყო მოცემული - გამშიფრავს 2500 დოლარს ჰპირდებოდნენ.

წლევანდელ გაზაფხულზე, ე.ი. კონკურსის გამოცხადებიდან თითქმის ორი წლის შემდეგ, საიტს წააწყდა თავსატეხების მოყვარული პროფესიონალი პროგრამისტი ჯილ ბროზა. იგი 1973 წელს დაიბადა ისრაელში. ბროზა თავისუფლად საუბრობს ხუთ ენაზე და კიდევ სამსა თუ ოთხ ენაზე შეუძლია იკითხოს. ასეთი შთამბეჭდავი ენობრივი ერუდიციის გარდა, ბროზას შესატყვისი განათლებაც აქვს: რამდენიმე წლის წინ იერუსალიმის უნივერსიტეტში მან მიიღო მაგისტრის ხარისხი სპეციალობით "კომპიუტერული ლინგვისტიკა".

პროგრამის გაშიფვრას მან დაახლოებით ორი თვე მოანდომა. ბროზა ამბობს, რომ მისთვის არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, თუ სახელდობრ, რა იყო დაშიფრული: "კრიპტოგრაფიის მოყვარულს ის კი არ აინტერესებს, რა შინაარსის ტექსტია დაშიფრული; მისთვის მთავარია, გაიგოს, როგორ არის შიფრი მოწყობილი".

შიფრისადმი მიდგომის შესამუშავებლად ბროზამ თავდაპირველად გადაწყვიტა, რომ ამოხსნა ინგლისურ ენაზე ეძებნა - ედგარ პო ხომ ამერიკელი მწერალი იყო, თანაც პირველ კრიპტოგრამაშიც ხომ სწორედ ინგლისურენოვანი ფრაგმენტი აღმოჩნდა დაშიფრული. შემდეგი ნაბიჯი იყო ვარაუდი, რომ, რაც უფრო ხშირად გვხვდება ინგლისურში ესა თუ ის სიტყვა, მით უფრო ხშირი უნდა იყოს კრიპტოგრამაში მისი შესატყვისი. ბროზამ დაიწყო ტექსტიდან შედარებით ხშირი სამნიშნიანი კომბინაციების გამოყოფა, რაც, ალბათ, ინგლისური "the", "and" და "not" უნდა ყოფილიყო. მაგრამ, "ფონს გავედიო", როცა იფიქრა, "ვერ მოგართვესო", უპასუხა შიფრმა. მოგვიანებით გაირკვა, რომ იმ მიზნით, რათა გამშიფრავებისთვის ნიშნების სიხშირის მიხედვით ასოების ამოცნობა გაერთულებინა, კრიპტოგრამის ავტორს (ესე იგი, ალბათ, მაინც პოს) ერთი და იმავე ბგერის აღსანიშნავად რამდენიმე სხვადასხვა ნიშანი გამოუყენებია; ამასთან, რაც უფრო ხშირად იხმარება ასო, მით მეტი ნიშნით არის გადმოცემული იგი. მაგალითად, ასო "e"-ს შიფრში 14 სხვადასხვა ნიშანი შეესატყვისება, ხოლო "z"-ს - მხოლოდ ორი.

მაშინ ბროზამ შეადგინა სპეციალური კომპიუტერული პროგრამა, რომელიც რეალურ სიტყვებს სვამდა შიფრის "სიტყვების" ადგილას. აქედანაც არაფერი გამოვიდა. ბროზამ ინტერნეტში დაიწყო სიტყვათა ისეთი თანმიმდევრობების ძებნა, რომლებიც კრიპტოგრამაში მოცემული ასოთა რაოდენობის შესატყვისი აღმოჩნდებოდა. ძიება უშედეგოდ დამთავრდა.

შვიდი კვირის შემდეგ ჯილ ბროზა პრაქტიკულად მზად იყო დამარცხებას შეგუებოდა, მაგრამ გადაწყვიტა ალალბედზე ბოლო შესაძლებლობაც მოესინჯა. მან შიფრის ყველა განმეორებადი სამნიშნიანი კომბინაციის ადგილას ინგლისური "the", "and" და "not" ჩასვა და ამის შემდეგ, მისივე სიტყვით რომ ვთქვათ, "გასაქანი მისცა ფანტაზიას". პარადოქსია, რომ ამოხსნის ამდენი ლოგიკაზე დამყარებული და მეცნიერული საფუძვლის მქონე მცდელობის შემდეგ, სწორედ ამ ინტუიციურმა ხერხმა დააყენა პროგრამისტი სწორ კვალზე.

23 ივნისს ტექსტი უკვე გაშიფრული იყო. ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაში როზენჰაიმიც შედიოდა, რამდენიმე თვე შეალია შემოწმებას. ფაქტობრივად, ამოხსნის სისწორე მაშინ ირწმუნეს, როდესაც ბროზას წერილიდან სამი თვის შემდეგ კონკურსის ავტორებმა კიდევ ერთი ანალოგიური ამოხსნა მიიღეს.

სამწუხაროდ, ფრაგმენტის გაშიფვრას არანაირი სულისშემძვრელი აღმოჩენა არ მოჰყოლია. ეს იყო დაუფარავად გრაფომანული პროზაული ტექსტი. როზენჰაიმს, მართალია, საშინლად გაუცრუა იმედი გაშიფვრის შედეგმა, მაგრამ იგი დღემდე დარწმუნებულია, რომ შიფრი თვით დიდი მისტიფიკატორის, ედგარ ალან პოს მიერ არის შექმნილი. "ჩემი აზრით პო რაღაც თამაშს გვეთამაშება, - ამბობს პროფესორი, - ეს არის, ვერაფრით ვერ მივხვდი, რისი თქმა სურდა, როცა ამ უაზრო აბდაუბდას გვიგზავნიდა მზეში მჯდომ ვიღაც გოგოზე". ოღონდ, ამ ახალი საიდუმლოს ამოხსნა, როგორც ჩანს, მომავალ თაობებს მოუხდებათ.

ამოცანის ამოხსნა

(როზენჰაიმის მიერ შემოთავაზებული გაშიფვრით ივარაუდება, რომ ტექსტი შეიცავს, დაახლოებით, ორ ათეულ ავტორისეულ ან ტიპოგრაფიულ შენიშვნას, თუმცაღა იგი შეცდომების ჩასწორების შემდეგაც ერთობ ბუნდოვანია).

"ადრე გაზაფხული იყო. შუადღის ხვატი იდგა და თითქოს ნიავის ნელ ქროლვასაც მოჰქონდა თან ბუნების ტკბილი სატანჯველი. სიო სავსე იყო ერთმანეთში არეული ვარდის, [...?] და უსურვაზის ველური ყვავილების სურნელით. ეს ნელსურნელება ღია ფანჯრიდან იჭრებოდა ოთახში, სადაც შეყვარებულები ისხდნენ. მზის მცხუნვარე სხივი ეცემოდა ქალწულის ვარდისფრად შეფაკლულ სახეს, რომელიც რომანტიკული წარმოსახვით შეთხზულს ან შთაგონებული სიზმრის ნაყოფს უფრო ჰგავდა, ვიდრე მიწიერ რეალობას. სატრფო სინაზით აღსავსე მზერით შეჰყურებდა ქალწულს, რომლის კულულებს მაცოცხლებელი ზეფირი ეალერსებოდა და როცა მზის შუქის უხეში შემოჭრა იგრძნო, კაცი ფანჯრისკენ გაემართა, რათა ფარდა გაეფარებინა. "არა, არა, ძვირფასო ჩარლზ, - რბილად შეაჩერა ქალმა, - უმჯობესია ცოტა მეტმა მზემ შეგვაწუხოს, ვიდრე სრულმა უჰაერობამ".

The Globe and Mail

იმედის უფლება

გრემ გრინის "ძალა და დიდება"


REUTERS

მარიო ვარგას ლიოსა

გრემ გრინმა 1938 წელს რამდენიმე თვე დაჰყო მექსიკაში, ტაბასკოს და ჩიაპასის შტატებში ცხოვრობდა. მწერალი აგროვებდა მასალებს რელიგიურ დევნათა შესახებ. ეს დევნა პრეზიდენტ კალიესის დროს დაიწყო და გაგრძელდა ლასარო კარდენასის მმართველობის პერიოდში. ამ მოგზაურობის შედეგად შეიქმნა ჩანაწერების წიგნი: "იქ, სადაც კანონი არ კანონობს" და რომანი "ძალა და დიდება". ეს რომანი "საქმის არსთან" ერთად გრინის საუკეთესო ნაწარმოებად იქცა.

დღესაც კი (ნახევარი საუკუნის შემდეგ მას აქეთ, რაც ეს რომანი გამოქვეყნდა და ისტორიული ვითარება შეიცვალა) ნაწარმოები წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებს.

შესანიშნავად მოთხრობილი უბრალო ამბის დრამატულ საყრდენად გრინმა გონებისა და რწმენის უძველესი კონფლიქტი აქცია. უფრო ფართო აზრით, ეს იყო კონფლიქტი ორი შეურიგებელი უტოპიისა - სპირიტუალიზმისა და მატერიალიზმისა. დევნილი, უსახელო მღვდელი და ასევე უსახელო კაცი, მისი მადევარი პოლიციის ლეიტენანტი, - ეს ორი პერსონაჟი შემთხვევით როდი დატოვა ავტორმა სახელის გარეშე, ისინი კონკრეტულ ადამიანებზე მეტად ზოგადი იდეები არიან, აბსტრაქციები, ურთიერთსაწინააღმდეგო საწყისებს განასახიერებენ, როგორც დღე და ღამე, მანკიერება და სათნოება. ამ პერსონაჟებში გამომჟღავნდა დაპირისპირება, რომელიც სხვადასხვა დოქტრინის და იდეოლოგიის ფორმით თავისებურ ლაბირინთს ქმნის. ეს ლაბირინთი ადამიანთა მთელ მოდგმას მოიცავს. ამასთანავე, მთხრობელის პოზიცია მეტად რთულია: ის თითქოსდა ცდილობს გაამართლოს ბოროტი ლეიტენანტი და გახელებული ესხმის თავს პატარა, კეთილი საწყისის განმასახიერებელ მღვდელს, მის სისუსტეებს წარმოაჩენს. გრემ გრინამდე ეს ხერხი ზოგიერთმა კათოლიკე მწერალმა გამოიყენა: ფრანსუა მორიაკთან და ბერნანოსთან მკითხველები შეეჩვივნენ ადამიანური სიბინძურიდან და სიბილწიდან გამონათებული სიკეთის ნაპერწკლების ხილვას. ისეთ ავტორთან, ვთქვათ, როგორიცაა კლოდელი, უკვე ნახსენები ხერხი ძალზე თვალსაჩინო გახლდათ, ზნეთადამრიგებლური ფინალი კი ნებისმიერ თხრობას ცვლიდა, ნებისმიერ პიესას იგავად აქცევდა. ისინი კარგი მწერლები იყვნენ, მაგრამ მხოლოდ მორწმუნეთათვის წერდნენ, იმათთვის, ვინც ეჭვების ტყვეობაში არ არიან. "ძალა და დიდება" კი პირიქით, სწორედ დაეჭვებულთათვის არის დაწერილი. და თუმცა გრინის სტილური შესაძლებლობები არცთუ ისე დიდია, - როგორც, ვთქვათ, კლოდელისა, და ინტელექტუალური დახვეწილობითაც ის ბევრად ჩამოუვარდება მორიაკის ტიპის მწერლებს, - მისი წიგნი უაღრესად თანამედროვეა და დღევანდელი მკითხველისთვის არის განკუთვნილი, მაშინ, როცა კლოდელის და მორიაკის წიგნები დღითი დღე ძველდება.

ლეიტენანტი - მკაცრი და სწორხაზოვანი ადამიანია, მისი იდეები აბსოლუტურ თანხმობაშია მისსავე ქმედებებთან. მოვალეობის გრძნობა მისი ცხოვრების საზრისს წარმოადგენს. ის არ სვამს და, ახალგაზრდობის მიუხედავად, არ არის გატაცებული ქალებით. მისთვის აშკარაა სოციალური უსამართლობის ფესვები და იგი ვერ იტანს ეკლესიას და მღვდლებს, რადგან მათ უბრალო ადამიანების მჩაგვრელებად მიიჩნევს. ამასვე ეუბნება მღვდელს მისი დაპატიმრების დღეს: როგორ შეიძლება შეურიგდე იმ რელიგიას, რომელიც თავის მსახურებს აძლევს იმის უფლებას, სააღმსარებლოში მოისმინონ აღიარებანი მონების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისა, მიუტევონ აღმსარებლებს და შემდეგ მშვიდად მიუსხდნენ სადილის სუფრას. ლეიტენანტის ღარიბებისადმი გამოცხადებული სოლიდარობა აბსტრაქტულია, თუმცა ზოგჯერ კონკრეტულ კეთილქმედებაშიც ვლინდება: მაგალითად, იგი ჩუქნის მცირე ფულს იმ საწყალ ადამიანებს, რომელთაც მერე თვითონვე აგზავნის ციხეში აკრძალული სასმელის მიღების გამო. ლეიტენანტს სწამს კანონისა და სიცოცხლისა დედამიწაზე, სწამს, რომ შეიძლება კანონის მეშვეობით ცხოვრების შეცვლა. მაგრამ სააქაოდან სამუდამოდ რომ გაქრეს უსამართლობა და სიღატაკე, საჭიროა ჯერ ის სამყარო გაქრეს, რომლის წარმოგზავნილადაც პატარა მღვდელი ითვლება. სხვა სამყაროს არსებობა, ამ სამყაროზე ოცნება წარმოადგენს გადაულახავ წინააღმდეგობას დედამიწაზე სამოთხის გაშენებაში. ვიდრე ცრუმორწმუნე ღატაკნი იმის იმედად იქნებიან, რომ ამქვეყნიურ ტანჯვათა გამო იმქვეყნად მიეზღვებათ, არაფერს არ ეშველება. უნდა ყველაფერი შეიცვალოს და სააქაო ქვეყნიერება იქცეს სამართლიანობის სამეფოდ, სადაც გონების კანონები მოქმედებს და არა შიში ან ილუზიები. ამას ფიქრობს ლეიტენანტი და შესაბამისად მოქმედებს კიდეც: დაეხეტება თავის შტატში და ეძებს მღვდლებს, მუსრს ავლებს მძევლებს, ხოლო სოფლებს კი ატერორებს. მისი პრინციპი ასეთია: მიზანი ამართლებს საშუალებას. იმისათვის, რომ დედამიწაზე ზეციური კანონები დამყარდეს, უნდა მოისპოს ზეციური მტაცებელი არსებანი.

ლეიტენანტის მოწინააღმდეგე მოკლებულია ყოველგვარ მიზანსწრაფულობას და საკუთარ თავში დარწმუნებულობას. მღვდელს უყვარს დალევა, მან უმანკოების აღთქმაც დაარღვია - ჰყავს გოგონა გლეხის ქალისაგან, რომელთანაც შესცოდა სიმთვრალეში. მთავარი კი ის გახლავთ, რომ მღვდელი მშიშარა და დაბნეული ადამიანია. მან თვითონვე შესანიშნავად იცის ყოველივე ეს (მთხრობელიც არ ცდილობს ჩვენს მოტყუებას და არ უძებნის მორალურ და ფსიქოლოგიურ გამართლებას თავის გმირს). როდესაც შტატში ეკლესიის დევნა დაიწყო, მღვდელი არ გაქცეულა სხვა სასულიერო მსახურთა მსგავსად. რამ ითამაშა აქ გადამწყვეტი როლი - პრინციპების ერთგულებამ, მაღალმა ზნეობრივმა თვითშეგნებამ? როდესაც იგი დახვრეტის მოლოდინში განვლილ ცხოვრებას აჯამებდა, აღმოჩნდა, რომ განსაკუთრებული გმირობა სახიფათო ადგილზე დარჩენისას მას არ გამოუჩენია. აქ თავისი სიტყვა პატივმოყვარეობამ და, როგორც საბოლოოდ გაირკვა, არასწორმა გათვლამ თქვა. ის კიდევ იმიტომ არ გაიქცა, რომ ფიქრობდა, მარტოდ დარჩენილი თავის ნებაზე მოიქცეოდა, ვერავინ შეუქმნიდა დაბრკოლებებს. და კიდევ: ამ საქციელით ის სამაგიეროს უხდიდა გაქცეულ მღვდლებს, რომლებიც მუდამ ექიშპებოდნენ მას. მოგვიანებით, როცა გუბერნატორმა გამოსცა ბრძანება იმის შესახებ, რომ ყველა სასულიერო პირს ქორწინების უფლება ეძლეოდა, ყველაფერი ისე აეწყო, რომ აქაც ხელი მოეცარა თითქოს სხვა მღვდლების გამო, რომლებმაც ამ მღვდელს წამებულის როლი დააკისრეს. თუმცა სხვაც უნდა ითქვას: ეს კაცი მღვდლადაც არ ვარგოდა, ხელისცეცებით იკვლევდა გზას ცხოვრებაში, არ შეეძლო საკუთარ ბედზე ღმერთისმიერი ანაბეჭდების ამოცნობა და მისი ყოველი საქციელი ავადმყოფი სინდისის ნიშნით იყო აღბეჭდილი. მორწმუნეთათვის ამგვარი მღვდლისგან შეწევნა ნაკლები გახლდათ. მას არ ჰყოფნიდა მოთმინება, მძიმე ხასიათს ავლენდა მათდამი დამოკიდებულებაში, ვინც ნუგეშის სიტყვისთვის მიდიოდა მასთან. ამიტომ ერთხანს ამპარტავანი კაცის სახელიც გაუვარდა, ის რვა წელი ემალებოდა ხელისუფლებას და არაერთხელ დააპირა შტატებიდან გაქცევა. შიში მოსვენებას უკარგავდა.

არ არის ძნელი იმის განჭვრეტა, თუ რა შთაბეჭდილება შეექმნება მკითხველს უკანასკნელი ფურცლის წაკითხვისას. გონების და კანონის უანგარო დაცვისაგან საკმაოდ შორს მდგომი კაცი რომანში ნამდვილ ადამიანურობას განასახიერებს. ის არ იწვევს აღფრთოვანებას და თანაგრძნობას, ყოველივე ამას მისი მსხვერპლი იწვევს - ადამიანი, რომელიც თავის თავში უამრავ წინააღმდეგობას და ნაკლოვანებას ატარებს და რომლის სხეულიც, დაცხრილული ტყვიებით ქალაქის პატარა მოედანზე აგდია. იმ ორ უტოპიათაგან, რომანში რომ ერთმანეთს უპირისპირდება, უფრო საშიშია და ვერაგი სახრჩობელების და დამწვარი ეკლესიების ფასად დედამიწაზე სამოთხის დამამკვიდრებელი უტოპია. კიდევ რამდენი ადამიანის დახვრეტა მოუწევს ლეიტენანტს, რათა თავისი ნაოცნებარი ახალი საზოგადოება რეალობად აქციოს? მღვდლების განადგურების შემდეგ თანამებრძოლთა კედელთან მიყენების ჯერი დადგება. ამ თანამებრძოლთა შორის ლეიტენანტის უფროსიც იქნება, რომლისთვისაც რევოლუცია როგორც ლეიტენანტისათვის იდეალი კი არ არის, არამედ ძალაუფლების მიღწევის და იატაკქვეშა კომერციის მეშვეობით გამდიდრების საშუალება.

სოციალური თვალსაზრისით ლეიტენანტი ნებისმიერ ფანატიკოსზე სახიფათოა: ის პოლიტიკოსი-მეოცნებეა. ის დაჰიპნოზებულია რაღაც გამჭვირვალე ხილვებით და რეალობას ვერ ხედავს. მას ვითომდა სიკეთე სურს, სინამდვილეში კი


გრემ გრინი

უკეთურებას სჩადის. შესაძლებელია თავისი ქადაგებებით საიქიო ცხოვრებაზე მღვდლები, მართლაც უჩლუნგებდნენ პროტესტის გრძნობას გაჭირვებულებს, მაგრამ ლეიტენანტს არ ესმის სხვა რამ: გამათავისუფლებელი (მისი რწმენით) რევოლუცია უსამართლობის ერთ ფორმას ცვლის მეორეთი და აღაზევებს ჩაგვრის ახალ ფორმებს, ახლებურ ობსკურანტიზმს და კორუფციას.

შეიძლება ვინმემ საკამათო გახადოს ის დასკვნები, რომელსაც პატარა მღვდელი რწმენის დასაცავად მოიხმობს. ამ დასკვნების გაგონებისას ნებისმიერ თანამედროვე თეოლოგს, თავისუფლების მქადაგებელს თმა ყალყზე დაუდგებოდა. სიტყვა ეხება შემრიგებლურად განწყობილ მღვდელს: დაპატიმრების დღეს ლეიტენანტთან საუბრისას ის ამტკიცებს, რომ რადგან "ყველანი სამყაროში უბედურები არიან, განურჩევლად ღარიბებისა და მდიდრებისა, ღირს კი ეშინოდეს ადამიანს ტკივილის?" რა შეიძლება იყოს სულის ხსნაზე მნიშვნელოვანი? მღვდლის არგუმენტების მოსმენის შემდეგ ჩვენ ვრწმუნდებით, რომ სოციალური უსამართლობა არის გარკვეულწილად ასატანი ბოროტება. ამ ბოროტებაში ხომ სამომავლოდ მარადიული ხსნის გარანტია იმალება.

პატარა მღვდელი რომანიდან "ძალა და დიდება" სიმპათიას იმსახურებს არა თავისი განსჯებით, არამედ თავისი ბედით. ეს ადამიანი მარტოსულია და დაუცველი. სწორედ ამ ნიშნებით ჰგავს იგი საზოგადოების მსხვერპლთ - გლეხებს და ინდიელებს, რევოლუციის ქარიშხალში მძევლებად ქცეულებს... ჩვენს დროში, როცა ალერგიაც კი არის გაჩენილი ჭკუისდამრიგებლური თხრობის მიმართ, რომანი "ძალა და დიდება" კვლავაც ინარჩუნებს სიცოცხლეს, რადგან მორწმუნეთ და არამორწმუნეთ ერთ რამეს სთავაზობს: იმედის შენარჩუნების უფლებას. და განა იმედი წარმოსახვის და სულიერების ნაწილი არ არის?

და კიდევ ერთი მიზეზი იმისა, რომ ამ რომანმა დროს გაუძლო: აქ წამოჭრილი პოლიტიკური და ზნეობრივი პრობლემები ძალიან ოსტატურად არის ჩაწნული მიმზიდველ სიუჟეტში და ამ სიუჟეტის მიღმა ილანდება. სულ სხვაგვარადაა საქმე უამრავ იდეურ რომანებში, სადაც სიუჟეტი მხოლოდ საშუალებაა გარკვეულ შეხედულებათა სისტემისა. მსგავს შემთხვევებში მკითხველი ხედავს, რომ რომანის გმირებს აკლიათ თავისუფლება, მაშასადამე, დამაჯერებლობაც, ისინი უფრო მარიონეტებს ჰგვანან, ვიდრე ცოცხალ ადამიანებს. ასეთ დროს რა მნიშვნელოვან თემაზეც არ უნდა საუბრობდეს ავტორი და რა იდეებსაც არ უნდა სთავაზობდეს მკითხველს, დამარცხება გარდუვალია. რომანის უპირველესი დანიშნულებაა არა მკითხველის დამოძღვრა, არამედ მისი მოჯადოება. მწერალმა უნდა დაამარცხოს მკითხველის სკეპტიციზმი, დაიპყროს მისი ყურადღება, განაგოს მისი გრძნობები, რეალურ სამყაროს მოაშოროს და აიძულოს ილუზიის სამყაროში გადასახლდეს. ავტორს არ ძალუძს პირდაპირი გზით მიაწვდინოს მკითხველს თავისი სათქმელი, თავდაპირველად მან უნდა დაასნეულოს მკითხველი გამოგონილი სამყაროს სიცოცხლისუნარიანობით და აიძულოს იგი (კითხვის მაგიურ სივრცეში) განიცადოს ტყუილი, როგორც მართალი და მართალი, როგორც ტყუილი.

გრემ გრინი ოსტატურად მოგვითხრობს ისტორიას. ის ქმნის ეფექტებს და აღვივებს ცნობისმოყვარეობას მოულოდნელი აღიარებებით, აგრეთვე დრამატულ სცენებში აქსოვს იუმორს, შეუძლია რამდენიმე შტრიხით დახატოს გმირის ხასიათი ან პეიზაჟი. რომანში "ძალა და სახელი" განსაკუთრებით თვალშისაცემია გრინის სახეების ვიზუალური, კინემატოგრაფიული ბუნება...

გრემ გრინის შემოქმედება კრავს გარკვეულ ციკლს. ის აღწერს დასავლური სამყაროს გარეუბნებს, სადაც ჯერ კიდევ მეფობს პრიმიტიულობა და ველურობა.

თარგმნა ანდრო ბუაჩიძემ

პირადი ისტორია

ორჰან ფამუკი

გამუდმებით მეკითხებიან, რატომ ვწერ ისტორიულ რომანებს. გულწრფელად ვაღიარებ: მაწვალებს წარსულთან შერწყმის ჟინი, თუმცა ამის მიზეზს ლოგიკურად ვერ განვმარტავ. მსურს, აღმოვჩნდე სხვა საუკუნეში, სხვაგვარ გარემოში, ერთიანად გავიმსჭვალო გარდასულ დღეთა სურნელით, ჩავწვდე უკვე არარსებული წარმოდგენების არსს, შევიგრძნო ცხოვრების მარტივი, დუნე დინება. უმეტესად, ესაა წარმოსახული ხატები - არა ისტორია, არა დრამა და არც ის, რასაც წარსულის შესწავლას უწოდებენ, არამედ ხატები, რომლებითაც გვნუსხავს ისტორია. ასეთ წუთებში ადამიანის თვალწინ დეტალურად ცოცხლდება წარსული.

შეიძლება ითქვას, რომ ქემალ ათათურქის მიერ დასავლურ იდეალებზე ორიენტირებული სამოქალაქო რეფორმების განხორციელების შემდეგ თურქულ კულტურაში გამოიყო ორი შრე: ევროპული ცივილიზაციის ზეგავლენით აღბეჭდილი მოდერნიზებული კულტურა და, მეორე მხრივ, ოსმალეთის ისლამური ტრადიციები. თანამედროვე რესპუბლიკის ფუძემდებლები გულუბრყვილოდ ფიქრობდნენ, რომ ევროპეიზაცია ნიშნავდა წარსულის დავიწყებას. ისინი უხეშად თელავდნენ ოსმალურ კულტურულ ისტორიას, რაც, მათი აზრით, თავისთავად იძლეოდა ქვეყნის მოდერნიზაციის საშუალებას. ამასთან, ფროიდისა არ იყოს, დათრგუნული წარმოდგენები კვლავ ამოტივტივდებიან ხოლმე. ზოგჯერ ვოხუნჯობ, რომ მეც ამგვარად ამოვტივტივდი. ჩემი რომანები მოდერნისტული, ზოგიერთის აზრით კი - პოსტმოდერნისტული, ესე იგი, დასავლური ყაიდის ნაწარმოებებია, მაგრამ მათში თავს იჩენს ოსმალური კულტურა, ისლამური კულტურა.

მინდა, შევეხო მხატვრობის თემას, რადგან შვიდიდან ოცდაერთი წლის ასაკამდე მხატვრის პროფესიაზე ვოცნებობდი. 13-14 წლისას მიტაცებდა ჩვენი ილუსტრატორების ქმნილებათა გადახატვა. როდესაც რომანისტი გავხდი, დავაპირე, დამეწერა წიგნი თურქი მინიატურისტების შესახებ. ეს იდეა, რამდენადმე შეცვლილი სახით, წარმოადგენდა იმ საწყის იმპულსს, რომელმაც მიბიძგა, დამეწერა "მე მქვია რედი" - წიგნი სტამბოლელ მაჰმადიან მხატვარზე. ვინაიდან ისლამური მხატვრობა თითქმის არ არსებობს, ამდენად, ესაა ძალზე ვიწრო თემა.

როდესაც მივხვდი, რომ ჩემი თხზულება ვრცელ წიგნად იქცა, მასში ჩავაქსოვე ფილოსოფიური იდეები, ესთეტიკური იდეები მხატვრობის შესახებ, აღვწერე ხედვისა და ილუსტრირების თანმხლები ტკბობა, ვიმსჯელე იმის შესახებ, რა არის პირველადი - მხატვრობა თუ ლიტერატურა, განვიხილე მისტიკური და ჩვეულებრივი, ადამიანური ხედვის არსი.

ამ წიგნს მით უფრო დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ, რომ მას საფუძვლად უდევს ჩემი ოჯახის ისტორია. შექურისა და მისი ორი ვაჟის სახეები ავტობიოგრაფიულია. ორჰანის პროტოტიპი მე თვითონ გახლავართ. შევქეთი - ჩემი ძმის სახელია, შექური - დედაჩემისა. წიგნში აღწერილი ეპიზოდის მსგავსად, მამაჩემმა დროებით მიგვატოვა და დედა ცდილობდა, შეგუებოდა მის ახალ მატერიალურ მდგომარეობას, არაფერი დაეკლო ვაჟებისთვის.

ისტორიული ჟანრი ამჟამად მოდაშია. ამიტომ, უმბერტო ეკოს მსგავსად, მივმართე დეტექტიურ გამონაგონს, ზოგიერთ ხერხს კი დავესესხე კალვინოსა და ბორხესს. მაგრამ ნაწარმოების ზოგად ქარგას წარმოქმნის ჩემი პირადი ისტორია. რომანს გატაცებით ვწერდი. ისეთი შეგრძნება გამიჩნდა, თითქოს ეს იყო დიალოგი არა მარტო მკითხველთან, არამედ - ჩემს წარსულთანაც, რომელსაც ბევრ შეთხზულ ამბავს ვუმატებდი. შესაძლოა, ნარაციით ტკბობის საფუძველი ისაა, რომ მწერლის პირადი ცხოვრების შენიღბულად გადმოცემის მიუხედავად, ნაწარმოებში აღწერილ ამბებს ავტორის გულწრფელ აღიარებად მივიჩნევთ ხოლმე. ვფიქრობ, ნაწარმოებთა თემების შერჩევისას გადამწყვეტ როლს ასრულებს ჩვენი ვნებები - არა სიბრალული საკუთარი თავის მიმართ, არამედ გულისწყრომა, ეჭვები, სასიყვარულო განცდები.

ყველა მეკითხება, რას ფიქრობს ამ ქმნილების შესახებ ჩემი ძმა - ის ხომ სულაც არაა გამოყვანილი დადებითი პერსონაჟის სახით. მაგრამ მას არ სურს კამათი წიგნის გამო. რომანის ბოლო პარაგრაფი იმგვარად დავწერე, რომ მისთვის პატიების საბაბი მიმეცა - ორჰანი გამუდმებით ცრუობს, ის აზვიადებს დედამისის სილამაზეს და სათანადოდ ვერ აფასებს ძმის ღირსებებს - რა თქმა უნდა, ხუმრობით. შევქეთმა ეს პარაგრაფი გადაიკითხა და მითხრა, დიახ, დიახ, ნამდვილად აზვიადებო. ამის შესახებ მეტად აღარ გვისაუბრია.

ჩემი აზრით, როდესაც მწერალს აწუხებს მტანჯველი განცდები, მან უნდა მოახერხოს მათი აღწერა ძალდაუტანებელი, ხალისიანი მანერით. თუ იუმორით მოეკიდებით საკუთარ ეჭვებს, საკუთარ მრისხანებას, შეძლებთ კარგი ავტობიოგრაფიული ნაწარმოების დაწერას. როდესაც ამ კილოს ერთხელ მიაგნებთ, შემდგომ ხალისი და ფანტაზია არ გიღალატებთ. მაგრამ ამ ტონალობის, მართებული კილოს მიგნება ძალზე ძნელი საქმეა.

ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ

ადამი და...

ᲔᲕ ᲒᲐᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

თქვა: აქვე არაა ღმერთი, იმ სიშორეს რა მინდაო!

ხოდა მივიდა ღმერთთან და, ჩვეულებისამებრ, ადამის ლანძღვა დაიწყო.

ნათელამ წარმოიდგინა, რომ ასაკში შედიოდა - რომ წნევამ და კლიმაქსმა ერთიანად მოუღო ბოლო /ამ დროს, ჯერ ორი თვისაც კი არ იყო!/... დინჯ ადამს საყვედურებით ავსებდა, მთელი დღე ოხრავდა და არარსებული შვილების მომავალზე დარდობდა. და გაიღვიძა შეწუხებულმა ადამმა და, როგორც მოსალოდნელი იყო, ღმერთთან დაიჩივლა - ან ეს ქალი მომაშორე, ან როგორც შთამბერე, ისე ამომაცალე სიცოცხლის სუნთქვა ნესტოებიდანო. ნათელას მუდმივი უხასიათობის მიზეზი მოიკითხეს ელოჰიმებმაც.

ღმერთმა კი თქვა:

- საქმე იმაშია, რომ ქართველი ქალი სამოთხეშიც კი უკმაყოფილოა.

ყოფიერების აუტანელი სიმსუბუქე
ეპილოგი

და გადაწყვიტა ღმერთმა, რომ ადამის ცოლისთვის ეროვნება გამოეცვალა. და გადახედა ღმერთმა კანდიდატურებს: ჯერ რუს ქალზე იფიქრეს, თუმცა, მისი სიმთვრალისა, შემდეგ კი ცრემლების შეეშინდათ - თანაც ბავშვს გაგვილახავსო /ადამს ანუ/. ანგლოსაქსი ქალი ცხენსა ჰგავს, ხოლო სპარსი სახეს არ გამოაჩენს და ასეთი ვის რად უნდაო. ამიტომ ისევ ჭკვიან, ებრაელ გოგონაზე შეჩერდნენ.

და რაკი პირველ შემთხვევაში *კბილმა* ვერ გაამართლა, ღმერთმა ადამს *ნეკნი* ამოუღო და ძვირფას შვილს მისივე ნეკნი გააყოლა ცოლად. ნათელას კი ისე ეწყინა, რომ ღამით სამოთხის ბაღიდან გაიპარა და მთელი თავისი ავლადიდებაც თან გაიყოლა: ეგღა მაკლია იმ კახპას ჩემი ლუდოვიკო დავუტოვოო, - ევაზე თქვა.

თუ რა ბედი ეწია ნათელას, არავინ იცის /რასაც ვერ ვიტყვით ადამისა და ევას შესახებ/. ერთნი ამბობდნენ, არარსებულ თურქეთში გადასახლდაო, ხოლო მეორენი ირწმუნებოდნენ - არარსებულ შტატებშია და მოხუც მილიონერს უვლისო.

ერთი სიტყვით, ზუსტად ვერავინ გეტყვით, სად არის და რას საქმიანობს ამჟამად ნათელა. ცოცხალია თუ გარდაიცვალა? თუმცა, ამას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია რომ ნათელა ჩვენს გულებში ცოცხლობს.

და თუკი გულებში არა, სახლებში ხომ მაინც...

ჯეიმს ჯოისის "ახალგაზრდა მხატვრის პორტრეტი"



ᲰᲔᲠᲑᲔᲠᲢ ᲯᲝᲠᲯ ᲣᲔᲚᲡᲘ

ერთმა აბეზარმა გაზეთმა საკმაოდ ცნობილ რომანისტს მიმართა შეკითხვით, თუ რა აზრისა იყო ის 1916 წლის ლიტერატურაზე. პასუხად მან საქვეყნოდ განაცხადა, რომ 1916 წელს არანაირი ლიტერატურა არ შექმნილა, მე თვითონ კი მხოლოდ "მეცნიერებას" ვეცნობოდიო. ეს არც თუ კორექტული იყო ჩვენი ლიტერატურისა და მეცნიერების მიმართ. უგნურებაა ერთმანეთს დაუპირისპირო ეს ორი სფერო. მსგავსი მიდგომა ისევე გაუმართლებელია, როგორც ლიტერატურისა და "ძველი კლასიკოსების" ან ლიტერატურისა და ისტორიის გამიჯვნა. ომის თემაზე მრავალი კარგი ნაწარმოები შექმნილა, აქ გასაკვირი არც არაფერია; სამარცხვინოა, მაგრამ ჩვენი მშობლიური კრიტიკა, რაღაც გაუგებარი ნეტარებით დასტირის მათ სიმწირეს მაშინ, როცა ის ვალდებულია თანმიმდევრული ანალიზი შესთავაზოს მკითხველს. კრიტიკამ უნდა იკვლიოს, მან შეიძლება შეაფასოს ან განაქიქოს, მაგრამ როცა ის გადაიქცევა იმ მოხუცის ბუზღუნად, რომელსაც რომანის აღქმის უნარიც დაუკარგავს, ეშმაკსაც წაუღია ასეთი კრიტიკა! თანამედროვე მწერლობაზე ბუზღუნს, მართლაც არანაირი გამართლება არა აქვს. ომზე დაწერილ წიგნებსა თუ მოთხრობებს - თავისთავად ბრწყინვალე ლიტერატურას - რომ თავი დავანებოთ, არსებობს უამრავი ახალი და საინტერესო ძიებებით გამორჩეული ნაწარმოები, დაწყებული უკვდავი ართურ გრინის უშუალო და დამაჯერებელი ქმნილებებით ("ომში დატყვევებულის ამბავი") და ავანსცენაზე გამოსული ისტორიკოსების თხზულებებით დამთავრებული, რომელიც ვერ დატოვებს გულგრილს ვერავის, ვისაც კი ჯერაც არ დაუკარგავს ინტერესი ლიტერატურის მიმართ. გავიხსენოთ, თუნდაც, მის რიჩარდსონის სახალისო მცდელობა მწერლობაში გადმოეტანა ფუტურისტული ხატვის მანერა ("Pointed Roofs" და “Backwater”), მისტერ კარადოკ ევანსის მიერ შემოთავაზებული "მკაცრი" წერის მეთოდი, ფსევდოუელსური კილოკავი, რომელიც, ერთი მხრივ, თავისი გროტესკულობით დიდ სიამოვნებას მოჰგვრის საზრიან მკითხველს, მეორე მხრივ კი, ალბათ გააცოფებს ყველა მგრძნობიარე უელსელ პატრიოტს ("My People” და “Capel Sion”). არავის შეუფასებია ჯეროვნად მისტერ თომას ბურკის “Limehouse Nights”-ის რომანტიკული ძალა და სინატიფე. 90-იანი წლების დასაწყისში, როცა ჰენლიც ცოცხალი იყო და არც ახლის ძიება ითვლებოდა სათაკილო საქმედ, ამ წიგნს უეჭველად მიაგებდნენ საკადრის პატივს. კიდევ უფრო დიდ ყურადღებას იმსახურებს ჯეიმს ჯოისის "ახალგაზრდა მხატვრის პორტრეტი". ეს წიგნი უნდა ვიყიდოთ, წავიკითხოთ და განზე გადავდოთ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა უგულებელვყოთ. ეს დიდი ლიტერატურაა, ისევე, როგორც "გულივერის მოგზაურობის" ბოლო წიგნი.

აზრი არ ექნებოდა შეგვერბილებინა ამ ნაწარმოების ის "ნიშანი", რომელიც მისი ავტორისგან შეგნებულადაა წინ წამოწეული. მისტერ ჯოისისთვის, ისევე, როგორც სვიფტისა და კიდევ ერთი თანამედროვე ირლანდიელი მწერლისთვის, უხამსობა სუსტი წერტილია. ცხოვრების საერთო სურათს ის თითქოს უბრუნებს იმ დეტალებს, რომელიც თანამედროვე სადრენაჟო სისტემამ თუ ეტიკეტმა განდევნა საზოგადოებაში მიღებული საუბრებიდან და ურთიერთობებიდან. უწმაწური, უჩვეულო სიტყვები უსიამოდაა მიმოფანტული მთელ წიგნში და, შეიძლება ითქვას, გაუმართლებლადაც. თუ მკითხველი მეტისმეტად მგძნობიარეა ასეთი გამოვლინებების მიმართ, მაშინ მას ისღა დარჩენია, თავი შეიკავოს მისი წაკითხვისგან; მაგრამ თუ ის, ლამაზი ხედებით, ეკლესიით და სხვა ამგვარი მომაჯადოებელი გარემოთი განთქმულ იტალიის რომელიმე თვალწარმტაც მხარეში, მოგზაურივით შეძლებს ფრთხილად იკვლიოს გზა და გვერდი აუაროს მისთვის უსიამოვნო ადგილებს, ჩათვალეთ, რომ დრო ტყუილად არ დაუკარგავს. სვიფტისა თუ თავად მისი შემოქმედების ამ საზიზღარ მომენტსაც კი ვუპოვით მოულოდნელ ახსნას მისტერ ჯოისთან. თავის რომანში ის რამდენიმე ადგილას აღნიშნავს, თუ როგორ ძაგძაგებს და ღიზიანდება მისი პერსონაჟი სტივენი გამკივანი, უხეში ხმის გაგონებაზე და რა აღტაცებაში მოჰყავს ის მუსიკას და კეთილხმოვანი სიტყვების რიტმს. მაგრამ არანაირი სუნი ასე ძლიერ არ მოქმედებს მასზე. ყნოსვითი შეგრძნებები მისთვის შეიძლება იყოს ან სასიამოვნო, ან არაესთეტური, მაგრამ არა ისეთი გულისამრევი ან აღმაფრთოვანებელი, როგორც - ბგერები. მსგავსი ანომალია ჩვენთვის სავსებით გასაგებია. მახსოვს, დიდი ხნის წინ, ჩემს მიმოხილვაში ყურადღებას ვამახვილებდი რობერტ ლუის სტივენსონისა და სერ ჯ. მ. ბარის მოთხრობების აღქმითი ბაზისის განსხვავებულობაზე; ამათგან პირველი ვიზუალურად წარმოიდგენდა და სურათივით ხედავდა თავის მოთხრობას, მეორეს კი ის მხოლოდ ესმოდა. ჩვენ უსამართლონი ვიქნებოდით მისტერ ჯოისის მიმართ, თუკი მას მივუსადაგებდით ჩვეულ აღქმით საფუძველს და შემდეგ კი ჩვენს გამიზნულ შეურაცხყოფაში დავადანაშაულებდით.

მაგრამ ეს ისე, სხვათა შორის. მისტერ ჯოისის წიგნის ღირსებას არაფერი აქვს საერთო მის სპორადულ არაესთეტურობასთან. მსოფლიო ლიტერატურის ზოგიერთი შედევრის მსგავსად, ცენტრალური ადგილი ამ რომანშიც ბავშვის განათლების თემას უჭირავს; აქ უდაოდ ყველაზე ცოცხლად და დამაჯერებლადაა წარმოდგენილი ირლანდიურ-კათოლიკური აღზრდის პროცესი. ეს მოზაიკაა, რომლის ცალკეული ფრაგმენტების ერთობლიობა აბსოლუტური სრულყოფილებით გადმოგვცემს საკმაოდ გულჩათხრობილი და მდიდარი წარმოსახვის უნარით დაჯილდოებული დუბლინელი ბიჭუნას ცხოვრებას. ავტორის ტექნიკა გამაოგნებელია, მაგრამ საბოლოო ჯამში - საკმაოდ ეფექტიანი. არაერთი ირლანდიელი მწერლის მსგავსად - სტერნიდან შოუმდე - მისტერ ჯოისი აბზაცებისა და პუნქტუაციის სფეროში თამამ ექსპერიმენტატორად გვევლინება. ისე ხდება ერთი სცენიდან მეორეზე გადასვლა, რომ მინიშნებაც არ კეთდება დროისა და ადგილის შეცვლაზე; საბოლოოდ კი მოულოდნელად მესამე პირის ადგილს პირველი იკავებს; დიალოგების გამოსაყოფად ავტორი საერთოდ არ იყენებს ბრჭყალებს. მისი წერის ამ თავისებურებათაგან პირველი ჩემთვის დროდადრო დამღლელიც იყო, მეორე მხრივ, ალბათ საკლასო დაფასთან შეძენილი ჩვევა მაიძულებდა, ერთგვარი პედანტურობით გამომეყო და გამეხაზა ყველა საეჭვო ადგილი, მაგრამ ძნელი სათქმელია, თავად მასალამ უფრო ამაღებინა ამაზე ხელი, თუ იმ სავარაუდო ეფექტმა, რასაც იქონიებდა ეს ყველაფერი სხვებზე, თუმცა, ბოლოს და ბოლოს, ამას არც უნდა ავეღელვებინე; მისი სტილის ზემოხსენებული მეორე თავისებურება, უნდა ვაღიარო, ამ კონკრეტულ შემთხვევაში სავსებით გამართლებულია სწორედ მისი ეფექტიანობის გამო; მესამე კი აიძულებს მისტერ ჯოისს უხვად გამოიყენოს ტირეები. ამ წიგნის ერთერთი დიალოგი, მართლაც ბრწყინვალეა, კერძოდ ის, რომელიც უკავშირდება ეპიზოდს, როცა მისტერ დედალოსი ჭრის ინდაურს; სრული პასუხისმგებლობით უნდა ვთქვა, რომ ამაზე უკეთ თვით სტერნიც კი ვერ დაწერდა; მაგრამ დიალოგთა უმეტესობა შემაწუხებლად აჭრელებულია ამ ტირეებით, კაცს ისე ასტკივდება თვალები, როგორც ძველი კინემატოგრაფის მოელვარე პროჟექტორის შუქისგან. ვფიქრობ, მისტერ ჯოისმა ვერ შეძლო ჩვენი დარწმუნება ბრჭყალების უსარგებლობაში.

ამ წიგნის მნიშვნელობა მთლიანადაა განპირობებული მისთვის ესოდენ დამახასიათებელი და განუხრელი რეალიზმით. სტივენ დედალოსის დამაჯერებლობით ძნელად თუ დაიკვეხნის რომელიმე ნაწარმოების პერსონაჟი. ინტელიგენტი მკითხველისთვის კი განსაკუთრებით საინტერესო იმის აღმოჩენა უნდა იყოს, თუ რაოდენ არათავისუფალია ირლანდიელთა უდიდესი მასა. მისტერ ჯოისი შეულამაზებლად აღწერს ამ ყმაწვილის ცხოვრებას გარემოში, რომელიც თითქმის სრულიად უცხოა ინგლი-

სური სამყაროსთვის. ჩვენ ვხედავთ, თუ რაოდენ მორცხვი და გულჩათხრობილია იგი, როცა საკითხი სექსს ეხება, მოწმენი ვხდებით მისი ღამის კოშმარებისა და უადგილო ადგილას მალულად მიჯღაბნილი წარწერების, ვხედავთ, თუ როგორი გულწრფელობით სწამს მას ჯოჯოხეთის რეალურობა. თანამედროვე პირობებში აღზრდილ ყმაწვილს ძალზე უცნაურად მოეჩვენებოდა სცენა, როცა სტივენი ეჭვის ნასახის გარეშე ისმენს ორ მგზნებარე ქადაგებას ამ საშინელ თემაზე, გაუგებარი იქნებოდა ძრწოლით გამოწვეული მისი სულიერი ტანჯვა, არა ჩვეულებრივი პროტესტი, რასაც ყოველივე უწმინდური იწვევს არაღვთისმოშიშ ბავშვებშიც კი, არამედ სწორედაც - შიში, ან როცა ის, ქალაქის გარეუბანში უცნობ მღვდელთან მისული, თრთოლაატანილი ინანიებს მანკიერ ცოდვებს. შეადარეთ ეს დამრთგუნველი ძრწოლა კონრადის მონაყოლს, თუ როგორ ქვითინებდა იმავე დღეში ჩავარდნილი ლორდი ჯიმი. ამ დუბლინური ისტორიის მეორე უაღრესად ნიშანდობლივი გარემოება კი ისაა, რომ აქ ყოველი ადამიანისთვის სიძულვილი ინგლისელთა მიმართ ისეთივე გარდაუვალი და ჩვეულებრივი მოვლენაა, როგორც ნებისმიერი ბუნებრივი ფენომენი, მაგალითად, ცა ან ზღვა. ეს სიძულვილი ბრმაა, ამ გრძნობით შეპყრობილ ხალხს აზრადაც კი არ მოსდის იმის აღიარება, რომ ინგლისელთა საკმაო ნაწილს გულწრფელად სურს ირლანდიის მიმართ არსებობდეს სამართლიანი დამოკიდებულება. ამ განწყობაში პრობლემის რაციონალური გადაწყვეტის ნიშან-კვალსაც ვერ აღმოაჩენთ; ან თუნდაც იმის სურვილს, რომ როგორმე დაეხმარონ გონებაჩლუნგ ინგლისელებს ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის გამოჩრილი ამ სამმხრივი თავსატეხის ამოხსნაში. ეს სწორედაც რომ სიძულვილია, მანიად ქცეული განწყობა, გონების მდაბალი, მძვინვარე აკვიატება. ასეთ პოლიტიკურ გარემოში იზრდებოდა სტივენ დედალოსი, ასეთ გარემოში ყალიბდებოდა მისი მეტისმეტად მგძნობიარე სული. ვშიშობ, რომ ზუსტად ასეთ ატმოსფეროში აღიზარდა შესანიშნავი ირლანდიელი ახალგაზრდობის უმეტესობა. რა სიკეთე შეიძლება მოიტანოს უკიდურესი ირლანდიელი "პატრიოტის" მიტური სიმღერით პასუხობს და არ სურს, მას ღამე გაათევინოს თავისთან. ამგვარ მკითხველს უნდა აუხსნათ, რატომ არ იწვევს მოლის ადიულტერი ნაწარმოების ბოლო ნაწილში ბლუმის კონფრონტაციას ქალთან, და უნდა განუმარტოთ აგრეთვე მომხიბვლელობა "ნაბიჯების ორმაგი ექოსი, რომელიც ღვთის მიერ შექმნილ მიწაზე ხმიანობს, აგრეთვე - აკორდეონის ჰანგებისა, გზიდან რომ გაისმის". დაუსაბუთეთ მკითხველს, რომ ბლუმის ყოყმანს ("მკვლელობა? არასოდეს, რადგან ორმაგი ბოროტმოქმედება მიუტევებელია. დუელი? არა. განქორწინება? ახლა - არა") უპირატესობა უნდა მიენიჭოს ე.წ. "ჰეროიკული" სიტყვებისა ან ქმედებების წინაშე. ამასთან, საბოლოო ანგარიშში მსგავსი მკითხველი, ალბათ, თავს მოტყუებულად მიიჩნევს, რადგან უამრავ დროსა და ენერგიას შეალევს წიგნს და მაინც ვერ მოახერხებს იმ გასაოცარი მდგომარეობის მიღწევას, რომელსაც თავის შექცევას უწოდებენ.

რატომაა, რომ "ულისე" გზას უკეტავს მკითხველებს სიამოვნებისკენ, რომელსაც ისინი მგზნებარედ ესწრაფვიან? რატომაა, რომ მისი გმირები, თითქოსდა, ცდილობენ გადაავადონ ნაწარმოების სრულიად ახლებური გაგება, თუმცა იმედს გვიტოვებენ, რომ ამგვარი გაგება ჯერ კიდევ შესაძლებელია, თუნდაც - ხვალ? რატომ მთავრდება რომანი მღელვარე მონოლოგით, სადაც გამოთქმულია ურთიერთსაპირისპირო (შეუთავსებელიც კი) სურვილები და თვალსაზრისები? რატომ უტოვებს "ულისე" ქანცგალეულსა და დარეტიანებულ მკითხველს უკმარისობის გრძნობას? თუ ჯოისის ქმნილება არ შეაშინებს მკითხველებს

„ახალგაზრდა მხატვრის პორტრეტი" - ჯეიმს ჯოისი, 1919

გათანაბრებამ ინგლისელ ან ამერიკელ ლიბერალთან? ის ნებისმიერ ინგლისელ ტორიზე უფრო გონებაშეზღუდული და რადიკალურია და მის ბუნებრივ მოკავშირედაც კი იქცევა ეკონომიკის ომისშემდგომი რეკონსტრუქციის შეფერხებაში. საფრთხე, რომელსაც ის ქმნის, ტორისთვის პირდაპირ მისწრებაა ინგლისში სამხედრო რეაქციის გასამართლებლად. დროა ამერიკელმა დამკვირვებელმა თვალი გაუსწოროს ამ სიმართლეს. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ინგლისი სამართლიანად არ უნდა მოექცეს ირლანდიას, მაგრამ უნდა გავაცნობიეროთ, რომ ეს ახლადშეღერებული ყმაწვილები, სრუტის გადაღმა რომ ცხოვრობენ, თავისი აღზრდითა და ტრადიციებით საკმაოდ განსხვავდებიან ინგლისელთაგან და აქედან გაწვდილ დახმარების ხელსაც მტრულად შეხვდებიან. არსად ისე ნათლად არაა ნაჩვენები, თუ რამდენად უცხონი არიან ისინი ჩვენთვის, როგორც ამ ღირსშესანიშნავ რომანში.

The Republic, 1917

ინგლისურიდან თარგმნა
ასმათ ლეკიაშვილმა

ჯეიმს ჯოისის კითხვისას

ვიკი მეჰეფი

როგორ უნდა აღვიქვათ ისეთი ნაწარმოები, როგორიც "ულისეა"? დავუშვათ, რომელიმე "კეთილსინდისიერ" მკითხველს სურს, გულდასმით გაეცნოს ამ წიგნს და, ამასთან, არ შეყოვნდეს მის 31-ე, 152-ე, 314-ე გვერდებზე. წარმოიდგინეთ მისი რეაქცია სტივენის, შემდეგ კი - ბლუმის შინაგან მონოლოგებზე: როგორ განაცვიფრებს მკითხველს უეცარი ვარაუდი, რომ ეს მონოლოგები მძლავრად ზემოქმედებს მისი აზრების უწყვეტ, მდუმარე კომენტარზე. საზრიან მკითხველს უთუოდ თავს შეაწყენს გაჭიანურებული, დეტალებით ჭარბად გაჯერებული პასაჟები. მის იმედგაცრუებასა და გაღიზიანებას გამოიწვევს წიგნის საყოველთაო აღიარება და ამ გრძნობას მხოლოდ ნაწილობრივ შეარბილებს იმის შეგნება, რომ "ულისეს" ძნელად გასაგები იდიომების უმრავლესობა უფრო ქუჩის ჟარგონს განეკუთვნება, ვიდრე - ლიტერატურულ მეტყველებას. ამგვარ მკითხველს, როგორც წესი, აოგნებს ჯოისის სტილი, ზოგჯერ კი ის ემორჩილება მის მომნუსხველ ძალმოსილებას. ხშირად მკითხველი კრიტიკულად (თუმცა ფარული მღელვარებით) ეკიდება სიტყვებისა და განცდების იმ ნაკადს, რომელშიც ასახულია 1904 წლის ერთი დღე. "ითაკაში" მას აოცებს, რომ არავითარი აშკარა ცვლილება არ შეიმჩნევა ლეოპოლდისა და მოლის, ან სტივენისა და ლეოპოლდის ურთიერთდამოკიდებულებებში. მას, უდავოდ, აღაშფოთებს ის ეპიზოდი, როდესაც (565 გვერდის შემდეგ) ბლუმის მზრუნველობაზე სტივენი შეურაცხმყოფელი, ანტისემიტური სიმღერით პასუხობს და არ სურს, მას ღამე გაათევინოს თავისთან. ამგვარ მკითხველს უნდა აუხსნათ, რატომ არ იწვევს მოლის ადიულტერი ნაწარმოების ბოლო ნაწილში ბლუმის კონფრონტაციას ქალთან, და უნდა განუმარტოთ აგრეთვე მომხიბვლელობა "ნაბიჯების ორმაგი ექოსი, რომელიც ღვთის მიერ შექმნილ მიწაზე ხმიანობს, აგრეთვე - აკორდეონის ჰანგებისა, გზიდან რომ გაისმის". დაუსაბუთეთ მკითხველს, რომ ბლუმის ყოყმანს ("მკვლელობა? არასოდეს, რადგან ორმაგი ბოროტმოქმედება მიუტევებელია. დუელი? არა. განქორწინება? ახლა - არა") უპირატესობა უნდა მიენიჭოს ე.წ. "ჰეროიკული" სიტყვებისა ან ქმედებების წინაშე. ამასთან, საბოლოო ანგარიშში მსგავსი მკითხველი, ალბათ, თავს მოტყუებულად მიიჩნევს, რადგან უამრავ დროსა და ენერგიას შეალევს წიგნს და მაინც ვერ მოახერხებს იმ გასაოცარი მდგომარეობის მიღწევას, რომელსაც თავის შექცევას უწოდებენ.

რატომაა, რომ "ულისე" გზას უკეტავს მკითხველებს სიამოვნებისკენ, რომელსაც ისინი მგზნებარედ ესწრაფვიან? რატომაა, რომ მისი გმირები, თითქოსდა, ცდილობენ გადაავადონ ნაწარმოების სრულიად ახლებური გაგება, თუმცა იმედს გვიტოვებენ, რომ ამგვარი გაგება ჯერ კიდევ შესაძლებელია, თუნდაც - ხვალ? რატომ მთავრდება რომანი მღელვარე მონოლოგით, სადაც გამოთქმულია ურთიერთსაპირისპირო (შეუთავსებელიც კი) სურვილები და თვალსაზრისები? რატომ უტოვებს "ულისე" ქანცგალეულსა და დარეტიანებულ მკითხველს უკმარისობის გრძნობას? თუ ჯოისის ქმნილება არ შეაშინებს მკითხველებს კითხვის პროცესის მოულოდნელობით, ის სიგიჟემდე მიიყვანს მათ მძვინვარე ვნებებით.

"ულისე" არ გვანუგეშებს მკაფიო დასკვნებით, რადგან ნაწარმოების ძირითად მიზანს წარმოადგენს არა გმირების აღწერა-დახასიათება, არამედ - მკითხველთა შინაგანი გარდასახვა. გმირები, ერთი მხრივ, თავიდან ირიდებენ მკითხველებს, მეორე მხრივ კი - ბიძგს აძლევენ მათ, გაიაზრონ სამყაროსთან, ტექსტთან, იდეებთან და ადამიანებთან მიმართებების ახალი შესაძლებლობები. ჯოისის პერსონაჟები უგულებელჰყოფენ მკითხველთა მისწრაფებას, ადვილად (და, მაშასადამე, წინდაუხედავად) გააიგივონ თავი მათთან; ნაწარმოების ენა, აგრეთვე უძალიანდება მისი იოლად ათვისების მცდელობას. როდესაც წყდება გაიგივების ან მექანიკური გაგების პროცესი, მკითხველს თვითრეფლექსიის საშუალება ეძლევა, თუმცა დროის ეს ინტერვალი შეიძლება გამოყენებულ იქნას იმისთვისაც, რომ შევუკურთხოთ ავტორსაც და მის ნაწარმოებსაც. მკითხველთა მასტიმულირებელი ან დამაბნეველი ახლებური პერსპექტივები ხორცშესხმულია ჯერ კიდევ "დუბლინელებში", სადაც მწერალი მიმართავს ე.წ. epiclesis-ს მოთხრობათა დაბოლოების აღსანიშნავად. ჯოისი მიუთითებდა, რომ epiclesis გახლდათ საბრალმდებლო სიტყვის იმ მომენტის აღმნიშვნელი ბერძნული ტერმინი, რომელსაც ბიძგი უნდა მიეცა შესაძლო ტრანსფორმაციისთვის "დუბლინელებში". ჯოისის გმირები "იყინებიან" იმ ზღვარზე, რომლის მიღმა მათი ცნობიერი წვდომა შეუძლებელია. ამ უძრავ ცხოვრებას, ამ "nature morte"-ს არ ახლავს გარკვეული კომენტარი. ავტორი არ მოგვიწოდებს, შემწყნარებლობა გამოვიჩინოთ მისი გმირების მიმართ. აქაც (როგორც შემდგომ "ულისეში") მწერლის ტექნიკა მიზნად ისახავს მკითხველთა სულიერ გარდახორციელებას. ჯოისი გასაოცარი გამჭრიახობით განჭვრეტს ყოფის მომაკვდინებელ ზემოქმედებას ჩვენზე. ამასთან, მისი სტრატეგია სხვადასხვაგვარ ზეგავლენას ახდენს, ერთი მხრივ, გამოცდილ მკითხველებზე, მეორე მხრივ კი - ადვილად "ფროიდიზებად" ახალგაზრდებზე, მაგრამ უკლებლივ ყველას ის ეხმარება, გარდაქმნან მათი ცხოვრების "ენა" "მეტყველებად" (ანუ მოიპოვონ ის შეფარდებითი თავისუფლება, რომელიც, ფრანგ ენათმეცნიერთა მიხედვით, ასოცირდება მეტყველებასთან).

"ულისეს" ერთ ეპიზოდში, კერძოდ, "მზის ხარებში", სტივენი ამბობს, რომ მიმართება გმირსა და მკითხველს შორის, სხეულისა და სულის მიმართების მსგავსად, ზოგჯერ კონფლიქტურ ხასიათს ღებულობს. ჩვენ ხშირად უშფოთველად

გაგრძელება E16 გვერდზე

პარიზი, 1939

ჯეიმს ჯოისის კითხვისას

ვაკვირდებით გმირებს, რომლებიც უმკლავდებიან საკუთარ ვნებებს და მით უფრო იოლად მოვთოკავთ ხოლმე ანალოგიურ განცდებს. მაგრამ როდესაც გმირი ვერ ბედავს, ბოლომდე ჩასწვდეს ძალზე არსებითი, გადამწყვეტი მოვლენის არსს, მისი მარცხი სტიმულს აძლევს მკითხველს, ბოლომდე მიიყვანოს ეს ინტელექტუალური ძალისხმევა. სტივენი ვარაუდობს ამგვარ შესაძლებლობას და ლიტერატურულ-თეოლოგიური არგუმენტების მეშვეობით ასკვნის, რომ იმედგაცრუება მატერიალური სამყაროს მიმართ განაპირობებს სულის ტრიუმფებს: სამშობიაროში, მოქეიფეთა წინაშე ის წარმოთქვამს ბლეიკის ან იეიტსის სულისკვეთებით გამსჭვალულ დეკლარაციას, რომლის სტილი ელისაბედის ეპოქის ქრონიკებს მოგვაგონებს:

"იცოდეთ ყველამ, თქვა მან, რომ მარადისობის სრა-სასახლეები დროის ნამუსრევზე აიგება. რას ნიშნავს ეს? ვნების გრიგალი ახმობს მაყვლოვანს, მაგრამ შემდეგ ის იქცევა დროის ჯვარზე აყვავებულ ვარდად. დაიმახსოვრეთ. ქალის საშოში სიტყვა განკაცდება, მაგრამ სულში ყველა არსების შემოქმედისა, საქმე უკვდავ სიტყვად იქცევა. ასე მოხდა სამყაროს შექმნის შემდგომ. Omnis caro ad te veniet".

სტივენი ავითარებს თეორიას ნაყოფის მომწიფებისა და დაბადების ენობრივი გამოხატულებების შესახებ. ამ თეორიას გმირი უკავშირებს ლიტერატურულსა და ქრისტიანულ წარმოდგენებს, რომლებშიც ასახულია ურთიერთმიმართებები ამქვეყნიურ ცხოვრებასა და საიქიოს შორის. მისი აზრით, მიწა და ცა, სხეული და სული დაპირისპირებული და, ამასთან, სადარი ორეულებია, რომლებიც მორიგეობით წარმოშობენ ერთმანეთს. სიტყვა (ან სული) განკაცდება ქალის სხეულში, მაგრამ ამ მოკვდავი სხეულის აღსასრული ხელახლა ზრდის უკვდავ სიტყვას. თეორია სხეულისა და სიტყვის ურთიერთშენაცვლებადობის შესახებ მიესადაგება აგრეთვე მდუმარე, ორმხრივ დიალოგს ავტორსა და მკითხველს შორის, რომელთა მედიატორია დაწერილი, მატერიალური ტექსტი. შემოქმედების პროცესში ავტორი განასხეულებს თავის სიტყვებს, მაგრამ მკითხველიც შემოქმედის როლში გვევლინება, როდესაც "თარგმნის" აღქმულ ტექსტს მის იმგვარ ნაირსახეობად, რომელიც პერმანენტულად ზემოქმედებს ცხოვრების მისეულ გაგებაზე. სტივენი მიიჩნევს, რომ განვითარება რიტმული და ორმხრივი პროცესია. სიკვდილი და სიცოცხლე ურთიერთს აწონასწორებს, ისე, რომ ცხოვრებისეულ ასპარეზზე გმირის დამარცხებამ შეიძლება აიძულოს აღელვებული მკითხველი, თვითონ განახორციელოს გმირის მიზნები.

ჯოისის სიტყვები "განკაცდება" ტექსტის სხეულში, მაგრამ არასრულყოფილმა განკაცებამ შეიძლება რაღაც უფრო სრულყოფილი აღმოაცენოს მკითხველის სულში. როდესაც სტივენი მსჯელობს დროის ნამუსრევზე აგებული მარადისობის სრა-სასახლეების შესახებ, ის გულისხმობს უილიამ ბლეიკის ჩანაწერებს, რომლებშიც გადმოცემულია პოეტის ყოველდღიური წარმოსახული საუბრები ცამეტი წლის წინ გარდაცვლილ ძმასთან. ბლეიკი აღნიშნავს: "ყოველი მოკვდავის აღსრულება უკვდავების მონაპოვარია". ბლეიკი მარადისობას უპირატესობას ანიჭებს დროსთან შედარებით; სულის სრა-სასახლეები ნაცარტუტად აქცევს დროის ნამუსრევს. ამასთან, ჯოისი, ისევე, როგორც მისი თანამემამულე იეიტსი, მიიჩნევს, რომ სული და სხეული გარდუვალად დაპირისპირებული და, თანაც, ურთიერთდაკავშირებული ძალებია. ხელოვნება და ცხოვრება ერთმანეთის შეტრიალებული სარკისებრი გამოსახულებებია. სწორედ ამიტომ ჯოისი არ ცდილობს, რომ მისმა გმირებმა იოლად მოაგვარონ მათი პრობლემები. თუკი მკითხველსა და ტექსტს აკავშირებს შებრუნებული მიმართებები, ხომ არ უნდა ვიგულისხმოთ, რომ გმირების წარმატებები აზარალებს მკითხველებს? და იქნებ გმირების მარცხმა მკითხველებს სულიერი სიმხნევე მიანიჭოს? ჯოისის წარმოსახულ სამყაროში ტექსტი წარმოგვიდგება როგორც ეკალი ან ჯვარი, რომელზეც აღმოცენდება და იფურჩქნება ახალი რეალობები. შემეცნების ან გარდასახვის მიზნით ავტორიცა და მკითხველებიც "უნდა მიელურსმონ უმოწყალო წარმოსახვის ჯვარს". ეს არაა მაზოხიზმის ან სადიზმის გამოვლინება, რადგან ავტორსა და მკითხველებს, ჩვეულებრივ, უკვე გააჩნიათ ამგვარი ჯვარცმის გამოცდილება. საკითხავია, შესაძლებელია თუ არა პერიოდული გათავისუფლება (მეტყველება) და როგორ იქცევა ჯვარმცმელი წარმოსახვა - თუ მას გავიაზრებთ, როგორც გზაჯვარედინს - ცხოვრების განახლების საშუალებად?

ჯოისის მსოფლაღქმის ქრისტიანული საფუძველი გამოაშკარავდება, თუ გავითვალისწინებთ ამ რელიგიის ამოსავალ მომენტებს. მაგრამ მეოცე საუკუნის დასაწყისის ირლანდიაში ქრისტიანული პერსპექტივა გზაჯვარედინს კი არა, ფართო შარაგზას წააგავდა, ეს კი ქვეყანას უქადდა აღმსარებლობათა ისტორიულად განპირობებულ სიმრავლეს. ძნელი იყო ქრისტიანობის მიერ სულიერი რეალობების უპირატესი შეფასების შერიგება ცხოვრების პრაქტიკულ საჭიროებებზე ზრუნვასთან, ამ უკანასკნელს კი ჯოისი იუდაიზმს უკავშირებდა. სტივენი უნდა შეეჯვაროს (დაპირისპირების ან თანალმობის მეშვეობით) ბლუმს, რაც წარმოქმნის "Blephen. Stoom"-ს. უილიამ ბატლერ იეიტსის პოემა "ვარდი დროის ჯვარზე" აგრეთვე გაჯერებულია ქრისტიანული მსოფლაღქმის სხვადასხვაგვარი დანაშრევებით: ვარდი განასახიერებს არა მარტო გვემილსა და აღმდგარ იესოს, არამედ - მრავალტანჯულსა და აღორძინებულ ირლანდიასაც, აგრეთვე - მარადიულ მშვენიერებას, რომელსაც პერიოდულად ანადგურებს ჟამთასვლა, რათა ის კვლავ და კვლავ განახლდეს. ვარდი, რომელსაც ხოტბას ასხამს იეიტსი, ეჯვარება ქრისტიანულ ტრადიციას და ხაზს უსვამს მას: ესაა ქალური საწყისის გამოხატულება და, ამასთან, მოკვდავ სხეულში მფეთქავი გული. ვარდი ჰყვავის იმის წყალობით, რომ გარემოცულია წარმავალი სამყარო.

თუ მკითხველი დაძლევს საკუთარ სურვილებს, უარყოფის უდაბნოც კი აყვავდება. სტივენის აზრით, ვნებათა გრიგალის ქროლვით გამხმარი მაყვლოვანი იქცევა ჯვარზე აყვავებულ ამგვარ ვარდად.

თუ კონტექსტს ოდნავ შევცვლით და ეკლისა და ვარდის სიმბოლოებს გამოვიყენებთ ნარატივისადმი, რომელიც უკეთ შეესაბამება "ფინეგანის ქელეხს", ვიდრე "ულისეს", მაშინ მკითხველები წარმოგვიდგებიან ეკლებზე ამოსული ასკილის ვარდის სხვა ნაირსახეობებად. ყოველი მათგანი "მთვლემარე სილამაზეა", რომელსაც ტექსტი მორიგეობით აძინებს და აღვიძებს. ზოგჯერ დაძინება მოვალეობაა: ანა ლივია პლურაბელი ბოლო მონოლოგში, რომელსაც ის წარმოთქვამს "ფინეგანის ქელეხში", საუბრობს "მძინარე სილამაზეთა", როგორც "მძინარე მოვალეობათა" შესახებ, რომელთა გაღვიძებასაც ის სულაც არ ესწრაფვის. ასკილის ვარდის მსგავსად, მკითხველებს აცდუნებს მთვლემარე მსმენელებად ქცევის შესაძლებლობა. ჯოისი ახასიათებს ამგვარ მსმენელებს, როგორც ცოდვისკენ მიდრეკილ "მთვლემარე სილამაზეებს". ამგვარად, მკითხველთა მთავარი მოვალეობაა, დროდადრო იძინონ და გაიღვიძონ, იყონ "მთვლემარე სილამაზეები", რომელთაც ხან აწამებენ, ხან კი - ელაციცებიან. ძილის დროს ისინი ვერ იცნობიერებენ, გაღვიძებისას კი მწვავედ შეიგრძნობენ, რაოდან შემაძრწუნებელია ცხოვრების სიზმარი. ტექსტის მსგავსად, მკითხველი "ფურცელია", მაგრამ ესაა მთვლემარე, შევსებული, შესწორებადი ფურცელი, რომელსაც სხვების გაღვიძების უნარი შესწევს. მკითხველის ახალი ცხოვრება მაშინ იბადება, როდესაც მას ჯვარზე აკრავენ სხვა მკითხველები ან ტექსტი, ან კიდევ - დამარცხებული (და არა წარმატებული) გმირი. სემუელ ბეკეტი უფრო აშკარად მიუთითებს ტექსტის ამ ასპექტზე. "გოდოს მოლოდინში"-ს დასასრულს ვლადიმირი უყურებს თავის მთვლემარე მეგობარს, ესტრაგონს, და კითხულობს: "მეძინა თუ არა, როდესაც სხვები იტანჯებოდნენ? მძინავს თუ არა ახლა? ხვალ, როდესაც გავიღვიძებ ან - მეგონება, რომ გავიღვიძე - რას ვიტყვი დღევანდელი დღის შესახებ?" ის აკვირდება მძინარე პარტნიორს, შემდეგ კი ფიქრობს: "მეც მიყურებს ვიღაც. ჩემზეც იტყვიან, მას სძინავს, მან არაფერი იცის, დაე, იძინოსო". ესაა თვითრეფლექსიით განპირობებული დაეჭვება, რომლის პროვოცირებასაც მიზნად ისახავს ჯოისის მთელი რომანი: მიხვედრა იმისა, რომ სწორედ მაშინ გვღვიძავს, როდესაც ვთვლემთ და უგრძნობელნი ვართ გარესამყაროს მიმართ. ესტრაგონის მსგავსად, ჯოისის გმირები იმით ამთავრებენ, რომ იძინებენ და ელოდებიან ხსნას, რომელიც ჩვევად არ იქცევა. ისინი გამოხატავენ თავიანთ მოწყენას, კაეშანს, მოუთმენლობას, სასოწარკვეთილებას, მაგრამ მკითხველის ძალებს აღემატება, განაცხადოს ვლადიმირთან ერთად, "აი, აქ, ახლა, მთელი კაცობრიობა ჩვენა ვართ, მოგვწონს ეს თუ არა. მოდით, გავაკეთოთ ყველაფერი, რაც ძალგვიძს, სანამ ძალზე გვიანი არ იქნება".

ინგლისურიდან თარგმნა
თამარ ლომიძემ